გულო კობიაშვილი

გადაულებელი წვიმების შემდეგ

ნოველები
ლექსები

«ეროვნული მწერლობა»
თბილისი
2005

უაკ (UDC) 894.631-32
კ 645

ამ წიგნში გულო კობიაშვილის ახალი ნოველებია შესული. ავტორი ჩვეული ოსტატობით გვიხატავს თანამედროვე ადამიანების ტრაგიკომიკური ცხოვრების სურათებს. ადამიანებისა, რომელთაც, ჩინური წყევლისა არ იყოს, _ გარდაქმნის პერიოდში მყოფ სახელმწიფოში უწევთ ცხოვრება.

აქვე გაეცნობით ავტორის პოეტურ შემოქმედებასაც. იუმორით ცნობილი ნოველისტი ამ შემთხვევაში სულ სხვა კუთხით წარმოგიდგებათ.

ISBN 99940-0-035-7

ნოველები

მესამე მაწანწალა

ოცდათერთმეტი დეკემბერია, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ ჩამობნელებულა, მთელი წლის უშუქობის შემდეგ ქუჩები უკვე საზეიმოდაა გაჩახჩახებული და ასევე, თითქმის მთელი წლის ნაშიმშილარი მოქალაქეებიც მოზეიმე იერით, ფაცი-ფუცით მიარბენინებენ სურსათ-სანოვაგეს სახლებისაკენ.

დადიანის ქუჩაზე სოკრატე ჭინჭილაშვილის არცთუ ახალგაზრდა მეუღლე, მალვინა ნემსაძე მიტყაპუნობს ორმოცდაორი ზომა ფეხსაცმლით და ოცდაჩვიდმეტი ზომა ფეხით, ღრმად ჩაფიქრებული, მჭვუნვარე, ორივე ხელის თითებზე რაღაცას ითვლის გაფაციცებით.

_ როგორ ხართ, მალვინა? _ ეკითხება პირისპირ შემთხვევით შეჩეხებული, საჭმელ-სასმელით დატვირთული მამიდაშვილის შვილი ლადო თვლით გართულ მალვინას და მაშინვე ნანობს, რადგან ხვდება, რომ ქალს მანამდე არც შეუმჩნევია.

_ როგორ ვიქნებით, ლადო, _ გახარებული მალვინა სამჯერ კოცნის ლადოს და ხარბად ათვალიერებს მის სავსე ჩანთებს, _ სოკრატე არ მუშაობს, მე არ ვმუშაობ, ბავშვებმა სკოლა დაამთავრეს და ვერც სწავლა გააგრძელეს, ვერც სამუშაო იშოვეს... როგორ ვიქნებით, კანფეტი რომ კანფეტია, ისიც კი არ გვაქვს საახალწლოდ.

_ ეეჰ, ეეჰ, რა ცხოვრება დაგვიდგა, რა ცხოვრება, თუ ღმერთიღა გვიშველის, თორემ მეტი აღარაფერი, მეტი აღარაფერი, _ თავი გადააქნია ლადომ და რატომღაც აჩქარდა, _ აბა, წინასწარ გილოცავთ, მოკითხვა შინ, მოკითხვა!

«მოკითხვა შენ და ჯანდაბა შენს თავს, წუწურაქო, წუპაკო, მამაძაღლო, აბა, უყურე შენ, კი არ თქვა, აჰა, მალვინა, რაღაცას შენც გიწილადებ, აიღე და შენს დამშეულ შვილებს სა-ახალწლოდ ორი ლუკმა მაინც შეაჭამეო. არ გაიხარე, შენ, არ გაიხარე. რა სიკვდილი ეტაკათ, შენ გენაცვალე, რაღაცას იშოვიან და მორჩა მერე. რაღაცა ვიშოვო, ამდენს მოვათრევდე, ჩემზე უფრო გაჭირვებული და უბედური შემხვდეს და არ გავუნაწილო? ხომ არც უნდა შემარჩინო, ღმერთო? არ უნდა შემარჩინო, არ უნდა შემარჩინო!

სესხადაც რომ ვერ ვიშოვე, ეს ოხერი? იციან, ვეღარ დავუბრუნებ და... ნახევარი კილო უბრალო კანფეტი გვაქვს, ქათმის ორი გაყინული ბარკალი, ორი პური და ეგაა და ეგ... სოკრატე, სულელი, როგორ მეუბნებოდა, ლადოსთანაც შეიარე, ვითომ შემთხვევითო, ლადოს გააგდებინებ რამეს, იმის ყვავ ცოლს გააგდებინებ, თუ... არა, არა, როგორც შარშან გავაკეთე, ისევ ისე გავაკეთებ წელსაც, არც სხვები უქნია ღმერთს, მაგრამ ხომ მოვაგროვე შარშან მაინც ცოტა რაღაც: ნუცამ ხუთი ცალი ხახვი, ერთი ნიორი და ერთი ძეხვი მომცა, ქეთომ ნახევარი კილო კანფეტი, გივის ოჯახიდან ერთი გაძვალტყავებული, მაგრამ, მაინც ქათამი წამოვიღე, თენგოს ცოლმა ორი ლიტრი ადესა მაჩუქა, გოგია წუპაკმა ორი კილო ვაშლი ძლივს გაიმეტა, ნინამ ხელისგულისოდენა ხორცი და ორი კონა მწვანილი მაჩუქა, მარინამ _ ათი ლარი, იქიდან ვისთან გავიარე? ჰო, _ თედოსთან, საზიზღრები, ელდა ეცათ,რომ დამინახეს, აქეთ ვიყავი მეგობართან და ორი წუთით შემოგიარეთ იმის გასაგებად, როგორ ხართ-მეთქი, _ კარგად, კარგად, დიდი მადლობა, ქალიშვილთან ვართ დაპატიჟებული და წასასვლელად ვემზადებითო, მართლა ორ წუთში გამომაბუნძულეს ცარიელ-ტარიელი, არა და შემწვარ-მოხრაკულის სუნი იდგაა... რამ გააწუწურაქა ეს ხალხი, რამ გადარია ასე. დამინახავენ თუ არა, _ «რას შვრება სოკრატე, არ მუშაობს ისევ?» ვითომ არ იციან, რა ხვითოცაა, როდის იყო, რომ მუშაობდა. როცა სამსახური იშოვებოდა, მაშინ არ იკლავდა თავს და ეხლა იმუშავებს? ღმერთო! რატომ ხარ ზოგისთვის მამა და ზოგისთვის კი

მამინაცვალი? რამდენი რამე მითხოვია შენთვის და მხოლოდ ერთადერთი შემისრულე იქიდან, _ გათხოვება. არ ჯობდა, ეგეც არ შეგესრულებინა? ისეთი მთვრალი მოვიდა ხელის სათხოვნელადაც კი, მამაჩემს, საწყალს, სულ «ქალბატონო მამიდა» უძახა. მითხრა მაშინვე ცხონებულმა დედაჩემმა, ნუ აჩქარდები, მალვინა, არაა ეგ კაცი კაციო და არ დავუჯერე, კაცია, აბა? უსაქმური, ლოთი, ლაჩარი, ლაჩარი, ვინმე ყაჩაღი რომ შემოგვივარდეს ბინაში, თაგვს შეასწრებს სოროში. მაგის შესრულებას არ ჯობდა ის შეგესრულებინა, მამიდაჩემმა ხუთოთახიანი ბინა ქალაქის ცენტრში მე დამიტოვოს ანდერძით-მეთქი? ძაღლი ჩააკვდა სულში, ჩემს დას ხუთოთახიანი დაუტოვა და მე თავისი ფოტოსურათები. დავწვი თუ არა. დავხიე თუ არა, საძაგელი, ჩავარდნილი ვიყავი და სანახავადაც კი არ მოსულაო. მაგისმა მზემ, გადავყვებოდი თან, ცოტა მყავდა მე თვითონ ჩემი მოსავლელი?!. ეტყობა, თან ის გველიც, ჩემი და, ხუთი წელი, რაც იმ საზიზღარს უვლიდა, განუწყვეტლივ იმასაც ეჩიჩინებოდა, «სულ მე, სულ მე, მალვინას არაფერი, მალვინას არაფერიო.» სამართალია ახლა, ღმერთო, ეს? გაყიდა ის სახლი და ცხოვრობს ხონთქრის ცოლივით. აღარც და ახსოვს, აღარც ძმა და აღარც ნათესავი. ეჰ, უსამართლო ხარ, ღმერთო, უსამართლო, მოკლედ, ვის აძლევ და ვის ართმევ, აღარ გაიგება. აბა რა დამიშავებია ვინმესთვის, არ ვქურდობ, არ ვმრუშობ, ტყუილს არ ვამბობ, ცილს არავის ვწამებ, კეთილი ვარ და ასე კი ვიტანჯები. რაო, რაო, რას ბჟუტურობდა გუშინ ლამარა, წინაპრების ცოდვა შვიდ თაობას მოეკითხებაო? ჰო, მართლა, წინაპრებს არ ვითვლიდი, სწორედ, ის მიწადასაყრელი ლადო რომ შემხვდა? ჰო, რამდენი გამოდის ბოლო-ბოლო ის ოხერი წინაპარი? შვიდი ქალი მამის მხრიდან და შვიდიც კიდევ პლუს კაცი, დედის მხრიდანაც. შვიდი ისა, შვიდი ესა. სულ გამოდის ოცდარვა. ნეტა იმათი აქეთ-იქით ნამრავლ-ნუმრავლის ცოდვებიც ჩვენ გვეკითხება? უიმეე, უიმეე, იმიტომაცაა ჩვენი საქმე ასე კარგად, ნამრავლ-მამრავლს ვინ ჩივის, ზუსტად თოთხმეტი ბებიის და თოთხმეტი პაპის ცოდვებსაც კი ეხუმრები? წადი და გაიგე, აქედან ვინ რა საშინელებას სჩადიოდა, რა ახალგაზრდობაში, რა სიბერეში, იმის იმედით, ჩემზე მეტად მერე ჩემს შთამომავალს მოეკითხებაო. ფეხებზე არ მკიდია მე ჩემი მეშვიდე თაობა, კაცმა რომ თქვას? სჯობია, თვითონ მას მოჰკითხო ხოლმე, თვითონ მას, _ პირადად და თანაც მაშინვე, თორემ რა გამოდის ასე, კაცმა არ იცის რის გამო და ვის გამო ვიტანჯები და ვეთრევი ქვეყანაზე გამწარებული, მშიერი, მწყურვალი, რა სხვისი გამონაცვალი ტანსაცმლით, რა სხვისი ნაჩუქარი ფეხსაცმლით. ოხერს, დუდანას რა კაცივით ფეხი ჰქონია, მართალია, შევებრალე კი და სულ ახალი მაჩუქა, მაგრამ რაა მაინც, ისე დავდივარ, გეგონება თხილამურები მაცვია, ღმერთო,ის მაინც დიდი ამბავი იქნებოდა, ოცდაჩვიდმეტი თუ არა, ოცდათვრამეტი ზომა მაინც ჰქონოდა ის მოსამტვრევი ფეხი?»

_ ღვთის გულისათვის, ქალბატონო, დამეხმარეთ, _ შეაწყვეტინა ღმერთთან გამართული ცხარე პოლემიკა მალვინას საბრალოდ აბუზულმა მოხუცმა ქალმა, _ ხელი გაუწოდა და კიდევ ერთხელ გაუმეორა ხვეწნით, _ ღვთის გულისათვის, გთხოვთ!

_ ეჰ, დეიდა, მქონდეს და, თხოვნაც კი არ დაგჭირდებოდა. ერთი თეთრი რაა, ერთი, ისიც კი არა მაქვს, _ შეჩერდა და პალტოს ჯიბეები ამოიტრიალა მალვინამ _ მეტრო რო მეტროა, იმის ფულიც კი არა მაქვს, ფეხით უნდა ჩამოვიარო ნათესავები, რომ საახალწლოდ მაინც ვიშოვნო რამე.

_ ღმერთმა გაშოვნინოს, შვილო, იმდენი გაშოვნინოს, წამოღებაც კი გაგიჭირდეს!

_ გმადლობ, დეიდა, ოღონდ მაშოვნინოს და...

ზამთრის ცივმა ქარმა წამოუქროლა, ჩამოღამდა კიდევაც და უკვე დიდმანძილგამოვლილმა, საკმაოდ დაღლილმა, შეციებულმა მალვინამ მარშრუტი შეცვალა, _ იმის მაგიერ, ვაკისკენ გაეგრძელებინა გზა, მარცხნივ გადაუხვია და აღმაშენებლის პროსპექტს დაადგა ტყაპა-ტყუპით.

«ნუცასთან მირჩევნია ჯერ, რაც არ უნდა იყოს, ქმრის ნათესავია. მართალია, შარშან ძალიან არ მოუკლავს თავი, ხუთი ხახვი, ერთი ნიორი და ნახევარი კილოც არ იქნებოდა, იმხელა ძეხვი მომცა, მაგრამ იქნებ წელს დაამატოს რამე. თვითონ ხოა და რძლებიც რომ ერთიმეორეზე წუწურაქები და უზრდლები შეხვდნენ?! გამოტანებას ვინ ჩივის, ისე დამიკრავენ შორიდან თავს და წაიწლაწნებიან, თითქოს პირველად მნახეს. არ კადრულობენ ჩემთან დალაპარაკებას ექიმი ქალბატონები, გეგონება ღარიბი პაციენტი ვარ გასასინჯად მისული და არა ღარიბი ნათესავი. რასაც ანზორი და ტარზანი ფულს ხვეტენ თავ-თავიანთი ბიზნესით და ვეღარ გაძღნენ, ვერც რძლები, ვერც დედამთილი. ან ეგ რა წესია გენაცვალე, ამდენი ფული აქვთ და ისევ ერთად კი ცხოვრობენ, ვერ იყიდიან თავ-თავისთვის? ეჰ, აი, რაა ბედნიერება, _ სიმდიდრე!»

მალვინამ კარგად დაიბერტყა ფეხსაცმელი სადარბაზოში და ლიფტის ღილაკს დააჭირა თითი. კაბინის კარი იმავე წამს გაიღო, მესამე სართულზეც მალევე ასრიალდა და ქენქაძეების კარის წინ, ვიდრე ზარს დარეკავდა, სიტყვიერი ტექსტის წაბუტბუტების შემდეგ, მალვინამ ენერგიულად და ზედიზედ სამჯერ გადაიწერა პირჯვარიც.

კარი გვიან, მხოლოდ მეორე დარეკვის შემდეგ გაიღო და სახეზე საბრალო ღიმილდაფენილმა მალვინამ ისეთი ცხარე ქლაშა-ქლუში აუტეხა ორმოცდაორ ზომა ფეხსაცმელს ჯერ ისევ სველ ტილოზე, კაცი იფიქრებდა, მხოლოდ იმიტომაა მოსული, რომ ამ, ისედაც უკვე ყავლგასულ ტილოს რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენოსო.

_ ეს ვინ მოსულაა! _ ისეთი დაუფარავი სიხარულით წამოიძახა ნუცამ, მალვინამ უკან მიიხედა, ნეტავ ამისთანა ვინ დაინახაო. _ შენზე ვამბობ, ქალო, შენზე, _ გაიცინა ნუცამ, _ რა ქარმა გადმოგაგდო, რამდენი ხანია, აღარ გამოჩენილხარ!

_ რა ვიცი, აბა, _ გათამამდა მალვინა და თვითონაც სიხარულით აკოცა ნუცას, _ მეგობართან ვიყავი აქეთ და ვიფიქრე, ბარემ ჩვენებსაც შევუვლი, წინასწარ მივულოცავ-მეთქი!

_ კარგად გიფიქრია, კარგად, დაკიდე პალტო? შემოდი, შემოდი, _ რატომღაც თავისი ოთახისკენ შეუძღვა ნუცა, სავარძელში მძიმედ ჩაეშვა და მალვინასაც თვალით ანიშნა მოპირდაპირე სავარძელზე _ სხვა რასა იქმთ, როგორ ხართ.

_ ეეჰ, _ ამოიოხრა მალვინამ, _ რა ვიცი, აბა, ვართ ღვთის იმედით.

_ ეეჰ, ეეჰ! _ ამოიოხრა ნუცამაც, _ ისევ ღმერთის იმედი, თორემ...

_ დანარჩენები სადღა არიან? _ დაინტერესდა მალვინა.

_ ანზორმა და ტარზანმა ბავშვები წაიყვანეს საახალწლო ზეიმზე, ქალბატონები კი შინ ბრძანდებიან.

_ ალაგებენ და ამზადებენ, ალბათ, არა, საახალწლოდ? _ გაიცინა მალვინამ.

_ დაულაგა კიდევაც მოსამსახურემ და გაუმზადა კიდევაც _ ოხრად ყრია კიდევ გასამზადებელი, მაგრამ... ეეხ, _ ამოიოხრა ნუცამ, _ ეეჰ, ეეჰ!

_ რა იყო, მოხდა რამე? _ შეთქმულივით ჩუმად იკითხა მალვინამ და ნუცასკენ გადაიხარა.

_ ეეხ, ჩემო მალვინა, შენ მარტო გაჭირვება გგონია უბედურება. ეგ რა უბედურებაა, ჩემო კარგო, ბოლო-ბოლო, ზოგი პურს მოგიტეხს, ზოგი ყველს და არ მოკვდები შიმშილით. არაფერი გვაკლია, ვდუღვართ და გადმოვდუღვართ, მაგრამ...

_ ვაიმე, რა იყო, გენაცვალე, ნუცა? _ შეწუხდა მალვინა, _ რა გჭირთ ამისთანა?

_ რაღა რა იყო და რაღა რა გვჭირს, _ მალვინასკენ გადაიხარა ნუცა, _ მოუკვდათ დედა, მოუკვდათ, თავები დაიღუპეს ორივემ, ტარზანმაც და ანზორმაც.

_ უიმე! _ ლოყაზე ხელი იტკიცა მალვინამ, _ ვალებში ჩავარდნენ? საციხედ აქვთ საქმე? ქურდები დასდევენ?

_ მოიცა, მოიცა, ვინ მამაძაღლი, ეგრე იყოს. ქალებზე გეუბნები, ცოლებზე, ესენი ვინ არიან, რა წრის, რა ბუნების... ორივე უჟმური, ორივე უკულტურო, ორივე თავისთავზე დიდი

წარმოდგენის,ორივე ძუნწი, ორივე უმადური, ერთმანეთს ხომ ჭამენ და ჭამენ, ქმრებს ხომ ჭამენ და ჭამენ და მე მჭამეენ... რა ცალ-ცალკე და რა ერთაად! მაგრამ ტყუილია, ვერ ეღირსებიან, ვერა. მეც მაგარი დავხვდი, კარგი ქვა და კარგი რკინა! ქალო, ძმების დაშორება უნდათ, ცალ-ცალკე გვინდა ცხოვრებაო. მამტყუნებ? ვეუბნები, ვიდრე ცოცხალი ვარ, ორივე შვილი ჩემ თვალწინ უნდა ტრიალებდეს-მეთქი! ადგილი არ გვაქვს, მალვინა, გენაცვალე, რემონტი გვაკლია, საჭმელი, სასმელი, ჩაცმა-დახურვა, საზღვარგარეთის კურორტები, თუ?.. ვიდრე მე ცოცხალი ვარ, არ დავახურდავებ ამ ბინას, ძალაა, ბატონო? ჩემი ქმრის სახსოვარია და იმიტომ. რაც იმან ამ ბინაში ოფლი ჩააქცია! კი ბატონო, რაიკომის მდივანი იყო და მოსდიოდა თავისით, მაგრამ იმ ქრთამის აღებასაც ჭკუა უნდოდა, გენაცვალე, და ის ქრთამიც, რაღაც გაგებით ცალი ფეხი ციხეში იყო, ჩემო კარგო. პიმენის სული აქ იტრიალებს ვიდრე მე ცოცხალი ვარ და რა გავყიდო და რა დავახურდაო, _ ჩემი პიმენის სული?! არ უნდათ აქ ცხოვრება? _ ტუჩები უფრო ახლოს მიუტანა ნუცამ მალვინას ყურს, _ ნუ უნდათ ბატონო, ერთსაც ჩეჩქივით აქვს ფული და მეორესაც, იყიდონ თავ-თავისთვის, ვუშლი?! არა, ბატონო, მაინც და მაინც ეს უნდათ გაგლიჯონ შუაზე და წაიღონ თავ-თავისთვის, ერთმანეთისგან რაც შეიძლება შორს. მამტყუნებ, ნებას რომ არ ვაძლევ? _ მალვინას ყურს ტუჩები მოაცილა და თვალებში გამომცდელად შეხედა ნუცამ _ მოვკვდები და არ მივცემ მაგის ნებას. მოვკვდები და არ მივცემ!

_ უიმეე, ჩემო ნუცაა, _ მკერდზე მუშტი ისე გამეტებით დაიბაგუნა მალვინამ, ცოტა დააკლდა, გული არ შეუწუხდა, _ ვინ, ვინ მამაძაღლი გაგამტყუნებს? არაფრით მაგისი ნება არ მისცე, პიმენს ეგ უნდა აკადრო? ხომ გაგიჟდა კაცი. თუ ძალიან გაგიჭირდა, აქ არ ვართ ნათესავებიც? სხვა თუ არაფერი, სიტყვას მაინც შეგაწევთ.

_ შენ გაგახაროს ღმერთმა, არ ამოვისუნთქე? ვფიქრობდი, ხომ არ ვტყუი, შვილები და რძლები ხომ არ არიან მართლები-მეთქი... გადი შენ, ეგენიც ნახე, არ თქვან მერე, ნუცამ დატენა და მოკითხვითაც კი არ მოგვიკითხაო. რას გეტყვი იცი? აუცილებლად წამოგიწყებენ ამაზე ლაპარაკს, რაკი დღესაც ვიჩხუბეთ და, რაც გინდა გითხრან, არაფერზე არ დაეთანხმო. უთხარი, მეც ნუცასავით ვფიქრობ-თქო, თქვენ რომ თქვენი მამამთილი გცნობოდათ, ეგ აზრი თავში საერთოდ არ მოგივიდოდათ-თქო. იმის სულს ეწყინება და იცოდეთ, არ გაპატიებსთ-თქო... აბა, შენ იცი. მოიცა, მოიცა, _ კართან ისევ ჩურჩულით შეაჩერა ნუცამ მალვინა, _ სანამ შენ მაგ ქაჯების დაჩენილებს მოინახულებ, მე დროს ვიხელთებ და ჩაგილაგებ ჩანთაში რაღაც-რაღაცეებს. საჭმელ-სასმელს მიაქვს აქაურობა, რამდენი ანზორმა მოყარა და რამდენი ტარზანმა, ნეტა რისთვის, რომელია რამის ღირსი. ნახვასაც კი არ კადრულობენ, გაკეთებას ვიღა ჩივის. ის ხომ სასაცილოა, ვინმე გაჭირვებულს რამე გაუნაწილონ, ყვავები არიან, ყვავები, კაკალს ვერ გააგდებინებ. ჰო, ჩანთას გაგივსებ და ჩუმად გაგატან, სად იქნება იცი? ნაგვის ბუნკერი ხომ იცი, აქვე რამდენიმე საფეხურს ჩაივლი თუ არა, კარს შეაღებ და იმის უკან ნახავ, ასანთი აიღე მერე სამზარეულოდან, ბუნკერში სიბნელე იქნება, ხომ იცი.

გახარებული, სახედამწუხრებული მალვინა ნუცას ოთახიდან გავიდა თუ არა, ის იყო ანზორის თავწაკრულმა ცოლმა ლიკამაც გამოაღო თავისი კარი, თავდაპირველად ვერც იცნო სტუმარი, მერე კი ისე გაუხარდა, ისე სტაცა ხელი და ჩაიხუტა, კინაღამ დაახრჩო საბრალო ქალი.

_ მობრძანდით, მალვინა დეიდა, მობრძანდით, _ შეიყვანა თავის ოთახში, _ არც კი დაიჯერებთ, როგორ გამიხარდა თქვენი დანახვა, _ ტელევიზორს ხმა დაუწია და წინ ჩამოუჯდა მალვინას, _ რას შვრებით, როგორ ხართ?

_ ეეჰ, _ ამოიოხრა მალვინამ _ რა ვიცი, აბა, ვართ ღვთის იმედით.

_ ეეჰ, ეეჰ, _ ამოიოხრა ლიკამაც, _ თუ ისევ ღვთის იმედი, თორემ...

_ სხვები სადღა არიან? _ უფრო მოხერხებულად მოეწყო რატომღაც მხრებში გაშლილი მალვინა და ფეხიც გადაიდო ფეხზე.

_ ანზორი და ბავშვები ცირკში, საახალწლო ზეიმზე, უფროსი ქალბატონი ხომ იხილე და უმცროსი თავის ოთახში ბრძანდება, ალბათ. ეეჰ, _ ამოიოხრა ისევ ლიკამ.

_ ეეჰ... _ ამოიოხრა მალვინამაც ისევ.

_ იცით, რა, მალვინა დეიდა, _ ცრემლი წასკდა უცებ ლიკას, _ როგორც უახლოეს ნათესავს, როგორც დედას, ისე გეტყვით და გამამტყუნეთ მერე,.. აღარ შემიძლია მეტი, არაფრით არ უნდა ამ ქალს ბინა გაყიდოს და გაგვიშვას ჩვენ-ჩვენთვის... ისაა კიდევ და... ის მაკაა თუ რაღაც ჯანდაბა... ისე ჩასცხო დღეს ჩემს იკას და ისე გააგდებინა ხელიდან თავისი თიკას სათამაშო... არა, გენაცვალე, არა, აღარ შემიძლია მეტი... ვაიმეე, უფულობას და უპურობას ჩივით, მალვინა დეიდა? ვინ მამაძაღლი, არც ფული მინდა, არც პური, ოღონდ ესენი აღარ დამანახა. კი, ბატონო, კი, ბატონო, შეგვიძლია წავიდეთ, ჩვენივე ფულით ვიყიდოთ ბინა ჩვენთვის, მაგრამ რატომ, გეკითხებით, რისთვის, იმისთვის, რომ იმ მეხინკლის ქალიშვილს დარჩეს ამხელა სასახლეში ბურთი და მოედანი? მოვკვდები და არ წავალ, მოვკვდები და არ წავალ! მამტყუნებთ?!

_ უიმეე, ჩემო ლიკაა, _ მკერდზე მსუბუქად მიიბაგუნა მუშტი მალვინამ, _ ვინ, ვინ მამაძაღლი გაგამტყუნებს, შვილო?! გააყიდვინე, აიძულე და როგორმე გააყიდვინე! არაფრით, არაფრით არ დახარჯოთ თქვენი საკუთარი ფული ახალი ბინის საყიდლად. ზედმეტი მოგივათ, თუ? არასდიდებით, არასდიდებით არ გადახვიდე აქედან, ვიდრე არ გაყიდით, თორემ დაიმახსოვრე ჩემი, ტარზანს და იმ... იმ... რა ჯანდაბა ჰქვია? მაკა, ხო? ჰო და ტარზანს და მაკას ვეღარც ფულს გამორჩებით და ვეღარც ვერაფერს... ეჰ, შე საწყალო, შე საწყალო, რა დღეში ყოფილხარ, მოგიკვდა მალვინა დეიდა შენ. კაი, კაი, ნუ ნერვიულობ, ჩემო ლამაზო, ჩემო კეთილო, ღმერთი გადმოგხედავს, ღმერთს, ხომ იცი, არ ეშლება, ყველა იმას იმკის, რასაც თესავს. პირველ რიგში ანზორი უნდა დადგეს თავის სიმაღლეზე, ანზორმა უნდა დაანახოს დედასაც და ძმასაც, რომ თავს არავის დააჩაგრინებს, არც თავს და არც ცოლ-შვილს. ნათესავების ჩარევაც თუ გახდება საჭირო და აქ არა ვართ? სხვა თუ არაფერი, სიტყვას მაინც შეგაწევთ.

_ დიდი მადლობა, მალვინა დეიდა, დიდი მადლობა, პირდაპირ ღმერთმა გამომიგზავნა დღეს თქვენი თავი. დედაჩემთანაც ვერ წავედი, ტელეფონითაც ვერ მოვუყევი და...

_ კაი, კაი, ახლა, დაწყნარდი, მოიხსენი ეგ თავსაფარი და დატრიალდი, გაამზადე რამე.

_ გამზადებულიც ოხრად ყრია და გასამზადებელიც, მაგრამ მე არ მოვკიდებ ხელს. წუწურაქები, ორივე ერთნაირია თან, მოკალი და ვინმესთვის რამე მიაცემინე. რას ვიზამ ახლა, იცით, მალვინა დეიდა? თქვენ, რა თქმა უნდა, მეტი გზა არა გაქვთ, ის ქალბატონიც უნდა მოინახულოთ და ამ მომენტით მინდა ვისარგებლო სწორედ. ჩანთაში ჩაგიწყობთ რაღაც-რაღაცეებს, ჩუმად გავიტან გარეთ და სად მოძებნეთ მერე, იცით? მოიცა, მოიცა... ჰო, ნაგვის ბუნკერი ხომ იცით, აქვე, ლიფტის პირდაპირ, კარს უკან დავდებ.

_ დიდი მადლობა, გენაცვალე, დიდი მადლობა შვილო და მადლობა დედაშენს კიდევ, ასეთი კარგი და კეთილი რომ გაგზარდა. მაშ შენ ამ უკეთურებში უნდა იტანჯებოდე? მაგრამ იცოდე, ღმერთი ყველაფერს ხედავს და...

ლიკასი არ იყოს, მაკაც თავწაკრული მიეგება სტუმარს და ისიც განსაკუთრებული სიხარულით.

_ როგორ ხართ, მალვინა დეიდა? _ ტელევიზორს ხმა დაუწია მაკამ და სავარძელში ჩაჯდა თვითონაც.

_ ეეჰ, _ ამოიოხრა მალვინამ, _ ვართ რა, ღვთის იმედით.

_ ეეჰ, _ ამოიოხრა მაკამაც, _ თუ ისევ ღმერთი, თორემ...

_ დანარჩენები სადღა არიან? _ იკითხა მალვინამ.

_ ტარზანი და ბავშვები ფილარმონიაში, საახალწლო ზეიმზე, ქალბატონები თავ-თავიანთ ოთახებში. ნახავდით უკვე, ალბათ... ეეჰ, _ ამოიოხრა მაკამ და მოჰყვა, ლიკასი არ იყოს.

მალვინამ მოუსმინა, მიეფერა, მიეხმატკბილა, მგზნებარედ დაეთანხმა იმაზეც, რომ საკუთარი ფულით არ უნდა იყიდოს საკუთარი ბინა, რომ არ უნდა დაუთმოს არც ბებერ კახპას და არც ვაჭრის გომბიოს, რომ ყველაზე დიდი ტრაგედია ის კი არაა, შიმშილით რომ კვდები, ყველაზე დიდი ტრაგედიაა, როცა ამდენი გაქვს და მაინც უბედური ხარ. დაამშვიდა, დააწყნარა ტრაგიკული მაკა და უცებ ელდა ეცა, _ საათს მოჰკრა თვალი.

_ ჩემი სიკვდილი, რომელი საათია, გოგო, რომ გავაბი აქ აგვისტოს ჭრიჭინასავით. სად არ ვიყავი წასასვლელი. დედაა, რა დრო გასულაა...

_ ჰო, სადაცაა, ჩემებიც მოვლენ, _ ამოიოხრა მაკამ, _ ჩამიმწარეს ყველაფერი, ნაძვის ხე რომ ნაძვის ხეა, ისიც კიდე უცხო ქალმა მორთო, მოსამსახურემ. დედაჩემს უნდოდა მოსვლა, მაგრამ შემეშინდა, თმით არ ითრიოს ორივე და ტარზანამ მერე ჩემზე არ იყაროს ჯავრი-მეთქი. პირდაპირ ღმერთმა გამომიგზავნა თქვენი თავი... პიმენა არა, ფეხები, იცის, სადმე ერთოთახიანში შეტენიან მერე თავისი შვილები და იმიტომაც არ უნდა გაყიდოს. ვერ მივართვი ქალბატონ ლიკაკოს, აქ იქნება? მეც აქ ვიქნები. მოვკვდები, აქ მოვკვდები, ასე გაუხარებლად და არ წავალ არსად... თან რა ჯანზეა, ეს ოხერი დედაბერი, მთელი კომუნისტების ქონება მაგას აქვს გადაჭმული და მაგას მოერევა რამე? ორივეს თავისზე წინ გაგვისტუმრებს, ორივეს კუბოებით გაგვისტუმრებს, მაგრამ გაგვისტუმროს, ჯიბრზე, ორივე ერთად გაგვისტუმროს!

_ კაი, ახლა, კაი, ჩემო ლამაზო გოგო, _ დაამშვიდა ისევ მალვინამ, _ შენ ისეთი კეთილი ხარ, ღმერთი კი ისე სამართლიანი. თანაც, ნათესავებიც აქ არ ვართ, შენს მხარეს დავიჭერთ ყველა.

_ დიდი მადლობა, მალვინა დეიდა, დიდი მადლობა. ცოტა ხანს კიდევ დაბრძანდით,მე ჩუმად გავალ იქით, უამრავი რაღაცაა, არც კი ვიცი რა, რაღაც-რაღაცეებს ჩაგილაგებთ ჩანთაში და... აბა ეგენი ხომ არ მოიფიქრებენ, ძუნწები, საზიზღრები... მოიცა, მოიცა, სად დავდო მერე... ჰო, ბუნკერი ხომ იცით, _ კარს შეაღებთ და იმის უკან.

მალვინამ ცოტა ხანს ოთახის თვალიერებით გაირთო თავი, მერე, როგორც კი მიხვდა, მაკა გარეთ გავიდაო, წამოხტა და სამზარეულოში გავარდა. უახლესი საყოფაცხოვრებო ტექნიკით თეთრად გადაზიმზიმებულ ფართო სამზარეულოში რიღათი სავსე არა, უამრავი პარკი, ჩანთა თუ ყუთი იყო დახვავებული. მალვინამ მაგიდაზე დაყრილ რამდენიმე პარკს ელვის სისწრაფით გადაუხსნა თავი, ყველაზე ძვირფასი კანფეტები გადმოილაგა ჟაკეტისა და ბოლოკაბის ჯიბეებში, ასანთიც სწრაფად მოიძია და ბუნკერიდან შემობრუნებულ მაკას უკვე ჰოლში შეეგება პალტოჩაცმული.

მაკამ შეთქმულივით ჩაუკრა თვალი, კარი ფრთხილად ჩაკეტა და ფეხაკრეფით გაემართა თავისი ოთახისაკენ.

_ ნუცა! _ ნუცას კარი ფრთხილად შეაღო მალვინამ და უკვე შემოგებებულ ნუცას ყურთან მიუტანა ტუჩები, _ მე დღე ვაწიე ერთსაც და მეორესააც... ვუთხარი, თქვენ ხომ არ გგონიათ, ნუცა უპატრონოა და თქვენსას გაიტანთ-მეთქი... თქვენ კი არა, ანზორი და ტარზანიც რომ თქვენს ჭკუაზე დადგნენ, მაინც არ გამოგივათ არაფერი, პიმენი არ დააჩაგვრინებს ნუცას თავს არავის-მეთქი. პირველ რიგში პიმენის, პიმენის გეშინოდეთ და მერე კიდევ ღმერთის-მეთქი. ფეხზე დავდგებით მთელი ნათესაობაც-მეთქი. ნუცა ამ სახლსაა მიჩვეული და ასი წელიც რომ იცოცხლოს კიდევ და ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო ნუცა, მტრის ჯინაზე, ამ სახლში უნდა ცხოვრობდეს ბოლომდე-მეთქი... მააშ,საზიზღრები, საძაგლები...

_ შენ გაიხარე, შენ! _ ხელში შერჩენილი ვალერიანის წვეთებით გაჯერებული წყალი სადღეგრძელოსავით გადაჰკრა ნუცამ, _ მიდიხრ, უკვე? ხელცარიელი გაგიშვეს, ხო, მაგ ვაჭრების ნაშიერებმა? ბუნკერში შევლა არ დაგავიწყდეს.

_ უი, ქალო, კიდე კაი, მითხარი, აღარც მახსოვდა, _ ჩუმად გაიცინა მალვინამ, _ აბა, გილოცავ, წინასწარ, ღმერთმა მართლა ასი წელი გაცოცხლოს კიდევ და რაც გულში გაქვს,

ყველაფერი აგისრულოს, _ კიბის ბაქნისკენ გადააბიჯა და ვიდრე ნუცა კარს დაკეტავდა, ჰაეროვანი კოცნითაც დაემშვიდობა.

მალვინამ წამში იპოვა სამივე ჩანთა. სამივე, როგორც დაჰპირდნენ, კარს უკან იყო მიწყობილი და სამივე ისე მძიმე, მალვინა ცოტა არ იყოს დაეჭვდა, ვინმეს მორჩენილი სარემონტო მასალები ხომ არ ჰქონდა მიწყობილი და ისინი ხომ არ გადმოვალაგეო. ასანთს გაჰკრა და სამივე ჩანთას დახედა _ თითოეულიდან სამ-სამ Qქათამს ჰქონდა ფეხები ამოშვერილი და სამ-სამი შამპანურის ბოთლი ყელყელაობდა, დანარჩენს კი რა დაითვლიდა, _ რა ძვირფას ძეხვეულს, რა შებოლილ თუ ახალ ხორცს, რა ნიგოზს, რა ჩურჩხელას თუ შოკოლადის კანფეტს, რა ბანანს და რა ანანასს, რა თაფლს და რა ლეღვის ჩირს... თევზეული ცაკლე იყო შეფუთული და ისე ჩადებული სამივე ჩანთაში: რა ზუთხი, რა სათალი...

მალვინამ უცებ ისეთი ენერგიის მოზღვავება იგრძნო, «სად წამივა, დანარჩენი კიდევ რაა, იმას შინაც კარგად ვნახავო», სამივე ჩანთას ერთდროულად ეძგერა და ციმციმ მიიტანა ლიფტთან. კაბინაში შესულმა ქალმა გამარჯვებულის ბედნიერი ღიმილით შეათვალიერა თავი სარკეში, შეათვალიერა ნადავლიც და ალერსით წაუთათუნა ხელი ერთ-ერთი ჩანთიდან ამოჩრილ ექვს გაფარჩხულ ყვითელ ფეხსაც.

ლიფტიდან გამოსულ მალვინას უცებ გაახსენდა უკვე მოსასვლელი ანზორი და ტარზანი, _ ე, მანდ, აქ ასე დატვირთულს არ წამასწრონო და ჯერ კიდევ შემორჩენილი მოზღვავებული ენერგიით სამივე ჩანთიანად გაუხვია ეზოს ყველაზე უფრო ბნელი ნაწილისაკენ. საშიშ ზონას გასცდა თუ არა, მალვინამ შეისვენა და უცებ ელდა ეცა. ამდენ ქაქან-ქაქანში, სულ გადაავიწყდა, რომელიმე მათგანისათვის მეტროს ფული მაინც ეთხოვა, _ ტაქსის ფულს ვიღა ჩივის. მეტრომდე კიდევ გაუძლებდა როგორმე ამსიმძიმე ბარგის თრევას, ბოლო-ბოლო ორს ერთ ჯერზე წაიღებდა, დადებდა, უკან მობრუნდებოდა და მესამესაც მიიტანდა იმ ორამდე, მერე,ისევ ორს წაიღებდა, დადებდა, მობრუნდებოდა და მესამესაც ისევ იმ ორამდე მიიტანდა, მეტროში დაისვენებდა კიდევაც და თავისი მეტროსადგურიდან სახლამდეც რაღა იყო.

მალვინა მწარედ ჩაფიქრდა, ასე დატვირთული სახლამდე ფეხით გამთენიის ხანს თუ მიაღწევდა მხოლოდ.

«ჯობია დავადგე გზას. ღმერთმა მაშოვნინა ამდენი და იქნებ ღმერთმავე მაშოვნინოს ბევრი თუ არა, ოცი თეთრი მაინც, ან იქნებ კონტროლიორს შევეცოდო და... მთავარია, მეტრომდე მივაღწიო როგორმე.»

მალვინამ, როგორც იქნა, გააღწია წვალებ-წვალებით, გაჩახჩახებულ პროსპექტამდე, სამივე ჩანთას ერთად მოუყარა თავი და დაღლილი, ცოტა ხნით სულის მოსათქმელად შეჩერდა.

_ დეიდა, გეხვეწებით, დამეხმარეთ, რა? _ მიუახლოვდა უცებ პატარა მათხოვარი ბიჭი მალვინას, _ ღმერთი გადაგიხდის.

_ დამეკარგე აქედან! შენღა აკლდი ახლა ჩემს გაჭირვებას! _ სამივე ჩანთას კრუხივით გადაეფოფრა მალვინა, _ არ წაიღეს ტვინი ამ მათხოვრებმა? დღე არ იციან და ღამე, დაკარგეს სულ თავმოყვარეობა!

შეშინებული მათხოვარი გასცდა თუ არა, მალვინამ კვლავ გააგრძელა გზა, _ ჯერ ორი ჩანთა გადააადგილა რამდენიმე მეტრით წინ, მერე მობრუნდა და მესამეც იქამდე მიიტანა... მერე ისევ ორი წაიღო, ერთიც მიამატა და ა. შ.

მეტროს ახლომახლო ჯერ კიდევ უამრავი ხალხი ირეოდა, ვინ მაღაზიებში შერბოდა და გამორბოდა, ვინ მეტროში შედიოდა და გამოდიოდა, ვინ პირდაპირ ქუჩაში ყიდდა და ვინ პირდაპირ ქუჩაშივე ყიდულობდა... ვინ სიმღერით მათხოვრობდა, ვინ უხმოდ იდგა ხელგამოწვდილი, ვინ ტელეფონ-ავტომატში ჩაჰყვიროდა, ვინ გვერდზე გამდგარი ბაასობდა წყნარად...

მალვინამ შეისვენა. ერთი ჩანთა იქვე დატოვა, ხის უკან, მოფარებულში, ორი კი ძლივ-ძლივობით წააჩოჩიალა დაკეტილი საკანცელარიო მაღაზიის კიბის მომყუდროვებული ნაწილისაკენ.

სამსაფეხურიანი კიბის ბაქანზე ჩამოსკუპებულმა ორმა მაწანწალა, მწითურმა, წითელცხვირა, სახეაჭარხლებულმა ქალმა, რომლებიც, ეტყობა, ახალ წელს უკვე ზეიმობდნენ, ერთმანეთისკენ მისაჭახუნებელად წაღებული ჭიქა მეყსეულად დადგა და მეყსეულადვე გამოიწოდა ხელიც უკვე მიახლოებული მალვინასაკენ.

_ დარაგაია, დაი ნამ შტოტო, ნიმნოჟკო, ხოტ ტოლკო ხლებ, ილი კანფეტკუ. ვიდიშ, უ ნას ტოლკო ვოდკა, ბოლშე ნიჩევო! დაი ა, რადი ბოგა!

_ დამეკარგეთ აქედან, ბასიაკებო, გათახსირებულებო! _ დაუცაცხანა დაღლილ-დაქანცულმა მალვინამ მაწანწალებს, _ სად მაქვს თქვენთვის მოსაცემი. ერთი იმ სვავებს არ ეჩხუბათ და ვნახავდი, რასაც მომცემდა თქვენი ბოგი. გაანძრიეთ ხელი და იშოვით. სულ მომეცი და მომეცი აკერია ამ ხალხს პირზე, თვითონ თუ ხართ ვინმესთვის რამის მიმცემები, მე რომ გთხოვო ახლა შენ, ოცი თეთრი არ მაქვს, რომ მეტროთი წავიდე-მეთქი, მომცემ? _ დაუბრიალა თვალები ერთ-ერთ მათგანს.

_ ოცი ტეტრი? _ თვალები დააჭყიტა მაწანწალამ.

_ და, და, დაი მნე ოცი ტეტრი! _ მართლა გულით სთხოვა მალვინამ.

_ ნეტუ უ მენია ოცი ტეტრი! _ რატომღაც მკერდზე დაიბაგუნა მუშტი მაწანწალამ და მეორეს გადახედა, _ ესტ უ ტებია ოცი ტეტრი?

_ უ მენია ტოჟე ნეტუ, კლიანუს ბოგომ! _ იუარა მეორემაც, დაასლოკინა და ისევ ჭიქას დასწვდა, _ ნუ, დავოლნო, ნადენკა, ხვატიტ... უხ, მატ ტვაიუ...

_ ახ, ტი სუკა, ბლიად!

_ საძაგლები, თუ რამე აქვთ სათხოვარი, ბოგ, ბოგო, გაიძახიან, სთხოვ რამეს და ნეტუ! _ ჩანთები კარგად მიჭუჭკა კიბესთან მალვინამ და ხის უკან დამალული ჩანთის მოსატანად გაექანა.

ჩანთა აღარსად იყო. მალვინამ გიჟივით შემოურბინა ხეს, მერე იფიქრა, ალბათ, ხე შემეშალაო და მეორე ხესაც ისევ გიჟივით დაურბინა. არც იმ ხესთან ჩანდა სადმე ჩანთა.

_ ვაიმეე, ვაიმეე! _ თავში ხელები წაიშინა მალვინამ და უცებ ისევ გიჟივით გავარდა კიბისკენაც. მაწანწალები აღარ ისხდნენ კიბის ბაქანზე, არცერთი ჩანთა აღარ იდო კიბის გვერდით, მომყუდროებულშიც.

_ მიშველეეთ, მომპარეეს, მიშველეეთ! _ ხან წინ გაიქცა და წინ ეძება ჩანთიანი მაწანწალები, ხან უკან გამოიქცა და უკან... თითქოს აორთქლდნენო, ოთხივე ისე გაქრა, _ ცარიელი ორი ჭიქა იდო ბაქანზე, ეგ იყო და ეგ. ატირებული მალვინა კიბეზე ჩამოჯდა და სიმწრისგან მუხლებში წაიშინა ხელები.

_ ვიდელა ია, კაკ უნესლი ტვოი სუმკი, _ მხარზე ხელი დაადო ვიღაცამ მალვინას, _ ნუ, ხვატიტ, დარაგაია, ხვატიტ. ჩტო პადელაეშ, უჟე, ნიჩევო.

მალვინამ თავი ასწია და მესამე მაწანწალა ქალი დაინახა, მანამდე შორიახლოს რომ მათხოვრობდა უხმოდ ხელგამოწვდილი.

_ კტო უნიოს? _ ტირილით ჰკითხა მალვინამ.

_ კაკ კტო? ზდეს ჩტო სიდელი, _ ბლიადი!

_ მაშ უნესლი, არა? _ გაშლილი ხელები ისევ მუხლებში ჩაიტყაპუნა მალვინამ.

_ და, უნესლი, უნესლი, ბლიადი... _ გაიმეორა და რატომღაც ამოიოხრა ქალმა, _ შენ ოცი ტეტრი გინდა, დლია მეტრო, და? ვოტ, ბერი, ბერი სკოლკო ხოჩეშ. _ გაშლილ ხელისგულზე დაყრილი უამრავი ხურდა დაუნანებლად გაუწოდა მალვინას და ზეცისკენ ააღირა თავი, _ ზნაეტ ბოგ, ია ტოჟე ბლიად, ნო ბლიად პატიოსანი!

ბრძენი ჩინელები

ემელიანე ბალახაძეს უყვარდა სოფლელი, უბრალო და როგორც თვითონ იცოდა თქმა, «სრულიად უპრეტენზიო» ხალხი. ჯერ სწავლის, შემდეგ ორი დისერტაციის, შემდგომ კი მოუცლელი სამსახურეობრივი საქმიანობის გამო, სოფლად მხოლოდ ერთი-ორი დღით თუ ახერხებდა ჩასვლას და იმ ორ დღეშიც კი ემელიანეს ისე ავსებდა მეზობელთაგან თუ ახლობელთაგან თავსმოხვეული სიყვარული, წლობით ყოფნიდა შემდგომ ეს რაღაც უხილავ ენერგიად გამოყოლილი ბედნიერება ქალაქად მეცნიერებას თავშეწირულ კაცს.

უკვე სიჭარმაგეში იყო შესული პატივცემული მეცნიერი, როდესაც კრემლმა «პერესტროიკა» გამოაცხადა და აქედან გამომდინარე, უნდოდათ თუ არა, ყველა რესპუბლიკაში დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. დაიწყო რაღა თქმა უნდა, საქართველოშიც. ამ დიდი ხნის სანუკვარი ოცნების ფრთაშესხმამ მეცნიერს ისეთი ძალა და ენერგია შთაბერა, კალამს ლამის აღარ უშვებდა ხელიდან. სამსახურში მიმავალი თუ სამსახურიდან მომავალი, სიხარულით სავსე თვალებს აყოლებდა ხალხის აზვირთებულ ტალღებს და მაგიდასთან მიმჯდარი, კვლავ გააფთრებით აგრძელებდა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ სასიკვდილო უფსკრულის პირას მდგომი მშობლიური ენის უძველესი და უძლიერესი სტრუქტურების გამოკვლევას.

_ ასჯერ რომ დავბადებულიყავი, ასჯერვე ენათმეცნიერებას მივუძღვნიდი ჩემი სიცოცხლის ყველა შეგნებულ წელს. ამაზე დიდი, ამაზე უფრო საჭირო ან კი გეგულება სხვა რამ ამ ცოდვილ დედამიწაზე, ნიკიფორე? _ აღტაცებას ვეღარც ჩაის სუფრასთან მალავდა ეროვნული მოძრაობით ფრთაშესხმული მეცნიერი, _ როგორც იქნა, როგორც იქნა, დგება ჟამი, როცა აღარც ჩვენს ქვეყანას, აღარც ჩვენს ენას მტრის მსახვრალი ხელი აღარ დაემუქრება. ღმერთო, რა პერსპექტივებია წინ: წარმოიდგინე, აბა, თავისუფალ, დამოუკიდებელ ქვეყანაში რა ფასი ექნება შრომას, როგორ მოუფრთხილდება შეგნებულად ენის დანაგვიანებას თითოეული მოქალაქე, რა სასოებით მიიხუტებს გულზე თითოეული ჩვენგანი ღვთისგან ბოძებულ უპირველეს და უსაოცრეს უხილავ ფენომენს, _ დინამიკურ ნიშანთა სისტემას და... გესმის?! ღმერთო, გესმის, რას ყვირის მილეთის ხალხი? _ თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს გაუმაარ-ჯოს! გაუმაარ-ჯოს! გაუმაარ-ჯოს!

_ საქართველოს განმათავისუფლებელს გაუმაარ-ჯოს! გაუმაარ-ჯოს! გაუმარ-ჯოს! _ მოისმა ისევ ქუჩიდან.

_ გესმის, ნიკიფორე, გესმის, რა ბედნიერება დაგვატყდა თავს?

_ შენ რომ ენათმეცნიერების მაგიერ სოციოლოგია შეგესწავლა, მიხვდებოდი, რომ ამ მოყვირალთა ოთხმოცი პროცენტისათვის ენა მხოლოდ ღეჭვის, გემოვნების, ღვარძლისა და შურის გამომხატველი ორგანოა და მეტი არაფერი, _ დაამთქნარა სოციოლოგმა ნიკიფორემ, ჭაღარა ულვაშზე ხელი გადაისვა და რატომღაც ჩაიქირქილა, _ ცუდ სიმპტომებს ვამჩნევ უკვე, არ გავს რაღაც, ეს, პატრიოტულ მოძრაობას. დიიდი, დიიდი დოზით ურევია შიგ ათას ცხრაას ჩვიდმეტი. ბელადიც წამოჩიტულია უკვე, «ბრძენი ხალხიც» სახეზეა, ან თუნდაც ეს, მდაბიოთა ღრეობიდან გადმოღებული «ჯოს!» «ჯოს!» «ჯოს!» შემთხვევითი გგონია შენ?

_ რას ამბობ, ნიკიფორე, რას? _ ყბა გვერდზე მოექცა ემელიანეს, _ ვისზე ამბობ ამას, ჩვენს სისხლსა და ხორცზე? ჩვენს საწყალ, ახალგამოღვიძებულ ხალხზე?

_ აი! აი! აი! _ თითი თანხმობის ნიშნად დააქნია ნიკიფორემ. _ ვატყობ, ნელ-ნელა გაერკვევი სოციოლოგიაში. ბიჭო და გამაგებინე, ერთი, როგორც წესი, ნამდვილ, ჩამოყალიბებულ პიროვნებასაც კი, როცა იღვიძებს, თითქმის ყოველ დილას, უცებ უჭირს გარკვევა, ვინაა, რა პიროვნებაა, რას წარმოადგენს... და დავიჯერო ახლა, ამ «ბრძენმა ხალხმა»,

გუშინ კომუნისტების მზეს რომ ფიცულობდა, ამ უთენია, დილა-ბნელზე გაიზმორა, გაიღვიძა, გაიგო უცებ და უცებვე დაიჯერა კიდევაც ყველაფერი? ისე, ჩემო ემელიანე, ასჯერ თუ დაიბადე კიდევ, დამიჯერე, ერთი-ორი სიცოცხლე სოციოლოგია-ფსიქოლოგიასაც მიუძღვენი, არ წააგებ. დემონსტრაციებსა და მიტინგებზე ისევ არ დადიხარ, ხომ?

_ შენ მაინც როგორ არ გესმის, ნიკიფორე, ვერ გავიგე. სულ ერთი არაა, განა, მშენებლობის რომელ მხარეს დგახარ და რომელ კედელზე დებ რომელ აგურს?

_ ჰმ, ნახე შენც, ევოლუცია! უამრავ რევოლუციათა უამრავი ისტორია კი ერთსა და იმავეს გვასწავლის მხოლოდ: ეს აზვირთებული, აბობოქრებული და _ აქ თითი მკაცრად შემართა ნიკიფორემ _ ყოველთვის ახალგაღვიძებული მასა, როგორც კი ეგრეთ წოდებული სიმართლისა თუ თავისუფლებისათვის გათხრილ საძირკველში თუნდაც ერთ უდღეურ და გაბზარულ აგურს მაინც ჩადებს... იმის მაგიერ, მეორე, მესამე, მეათე, მეათასე მიაყოლოს, გააფთრებული გამორბის იქიდან, რომ შენ, შენ შეგხედოს სად ხარ და რას აკეთებ! გულში კარგად იცის, ძალიან კარგად იცის, რომ აკეთებ და სწორედაც რომ აქაა ძაღლის თავი დამარხული. აკი არც დავიწყებიხარ არასდროს, _ იმ ქუჩასა თუ ტყე-ღრეში სირბილის დროსაც ყოველთვის ახსოვდი. მეტ წილს ეს არბენინებდა ყოველთვის ასეთი რევოლუციების დროს და არა მართლაც კარგი და ლამაზი. განგებ გარიდებდა ცოტა ხნით თვალს, განგებ გაცლიდა და... აი, უკვე დადგა ჟამი, მორჩა! ერთი გაბზარული, უდღეური აგური ჩააგდო უკვე, თვითონაც რომ არ იცის, რის საძირკველში და ბელადისგან დაგეშილი, შენს თავს ითხოვს ახლა სამაგიეროდ. მეტის ჩამგდები ის აღარაა, მეტის გაკეთების არც უნარი, არც შესაძლებლობა აქვს, პრეტენზია კი დიიდი... აი, ამ დროს გეძებს უკვე შენ, მისი სიტყვით, «სადღაც სოროში შემძვრალ თხუნელას». რომ დამჯდარხარ და იკვლევ, რომ დამჯდარხარ და წეერ? რატომ ხარ იმათზე მეტი? თუ აქამდე სიმშვიდე იყო და ასე თუ ისე კანონიერება, ახლა ხომ დადგა მისი ჟამიც, _ საყვარელი რევოლუცია მასებთან სულიერად ახლო მყოფი საყვარელი ბელადით. არც ბელადს სიამოვნებ, არც მასას. ერთისთვისაც აუტანელი ხარ შენი ინტელექტით და მეორისთვისაც. ახ, რა კარგია! რა კარგად და სიმართლის რა სიყვარულით გაიმეორებს ბელადისა თუ მის იდეოლოგთაგან შენთვის უკვე შერქმეულ ყველაზე უფრო თავზარდამცემ სიტყვას _ «მოღალატე» და რა გააფთრებით მოგიღებს ბოლოს, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი შენობის ყველაზე მაღალ კედელზე ქაფჩითა და მტკიცედ გამომწვარი აგურით ხელში მდგომს! მოგიღებს იმიტომ, რომ სანამ შენა ხარ, ის არარაობაა, რაც გინდა ირბინოს, იყვიროს, რაც გინდა. მას არ ესმის, რომ ღმერთმა ერთმანეთისგან ნიჭით, შრომით, სიკეთით, სილამაზით, თავდადებით გამოგვარჩია. არ ესმის და არც უნდა დანახვა. ერთადერთი, რისი სურვილიცა აქვს, ესაა, _ თვითონ, თვითონ ჩანდეს ამ ქვეყანაზე, შენ კი, შენ, _ ჭეშმარიტო პატრიოტო, ჭეშმარიტო არისტოკრატო, ჭეშმარიტო პოეტო, მხატვარო, მეცნიერო, ლამაზო, ჭკვიანო, _ ხელს უშლი ბუზი სპილოდ გამოჩნდეს. დამიჯერე, იარე მიტინგებზე, თანაც რაც შეიძლება ხშირად, სიტყვასაც თუ იტყვი ერთი-ორჯერ მაინც და თანაც რაც შეიძლება სულელურს...

_ საზიზღარია და ბოროტი ეგ შენი ფილოსოფია, _ ძლივს ამოილუღლუღა თავჩაქინდრულმა ემელიანემ.

_ მაგრამ მართალი, რადგან ბელადი მასას მხოლოდ ბოროტებისათვის აღვიძებს, _ აბა, იმას, რასაც ახლა კრემლი ისედაც გაძლევს და თანაც, ჯერ კაცმა არ იცის, რა მიზნით, არც მასის ბღავილი სჭირდება და არც ხალხის. პირიქით, როგორც არასდროს, ისეა საჭირო სწორედ ახლა სიმშვიდე, შეკავშირება და დაფიქრება, თორემ თუ ასე გაგრძელდა, ერს ორად გახლეჩა არ ასცდება და ვინძლო ისეთმა შხამიანმა ახალმა გველეშაპმა ისარგებლოს ამით, სანატრელი გაგვიხდეს წინა გველეშაპუნა! _ ჩაიცინა ნიკიფორემ _ დასაწყისია ჯერ, დასაწყისი და იმიტომ ვერ ხვდები. წავედი. ახლა მიტინგზე შევივლი, დავდგები რაც შეიძლება წინ, თუნდაც გულხელდაკრეფილი. ხვალ საღამოს შემოგივლი ისევ და თუ

ღმერთმა არ ქნას და ამ ოქტომბრის რევოლუციამ პატრიოტული მოძრაობის სახე არ მიიღო, თუ სიყვარულმა ბოროტებას არ გადასძალა, ის მაინც გეცოდინება, რატომ ამოგაგლიჯეს ენა, _ როგორც საკომუნიკაციო საშუალება, _ ენის, _ როგორც დინამიკურ ნიშანთა სისტემის მეცნიერებისათვის დამაშვრალს.

* * *

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ემელიანე ბალახაძე საშინლად დააბნია თავისი სამსახურის დამლაგებელი ქეთოს მოქმედებამ, ქეთომ, პროფესორი დაინახა თუ არა, ნაცვლად წინანდელი მოკრძალებული სალმისა, მოულოდნელად უსიამოვნოდ აბზიკა ცხვირი, ზიზღით დაბზიკა ტუჩი და კუდიანების სერობიდან ახლადდაბრუნებულივით ქშენით ამოიჩარა იღლიაში გრძელტარიანი მეჩხერი ცოცხი. პროფესორმა დაბნეული ღიმილით დაუქნია თავი ქეთოს. ქეთომ სალამზე არ უპასუხა, სიძულვილით გადააფურთხა გვერდზე და ძაღლივით დაკრეჭილი უკანასკნელი ექვსიოდე კბილიდან საკმაოდ მკვეთრად და გასაგებად გამოცრა: _ ერის მოღალატე!

შემცბარმა ემელიანემ თვალები დაახამხამა, კიბეს ნირწამხდარი, გაოგნებული აუყვა და უკვე ზემო ბაქანზე ასულს თანამშრომელმა, თვალებგადმოკარკლულმა, ცხვირკაუჭა და მკერდათქვირებულმა მსუბუქი, ყოფაქცევის სამჯერ განათხოვარმა და სამჯერვე უკანგამოგდებულმა ქალმა, ისე გაჰკრა დიდი ხნის უხმარ-გამოუყენებელი გავა, კინაღამ ისევ პირველ სართულზე ამოაყოფინა თავი.

_ ეს თხუნელა მეცნიერები! ეს თხუნელა მეცნიერები! _ წაისისინა ქალმა, გავა ისევ გაჰკრა პროფესორს, წაიგრძელა თავი კობრასავით ზემოთკენ და უცებ დასჭექა მთელი დაწესებულების გასაგონად, _ მოდიხართ, გოგოებო, მიტინგზე?

მეოთხე, მესამე და მეორე სართულებიდან უცებ მოსკდნენ ნიაღვარივით ორმოცდაათი-სამოცი წლის «გოგონები». წამით ზიზღის ქარიშხალში გაახვიეს გაშეშებული ემელიანე, ერთმა, განსაკუთრებით ცეტმა, ვითომ შემთხვევით წიგნიც კი გააგდებინა ხელიდან პროფესორს და ამაყი და გამომწვევი ძახილით _ «თავისუფალ საქართველოს გაუმარჯოს!» _ ყველა ერთდროულად გაიჭრა გარეთ.

სამუშაო ოთახში შესულ ემელიანეს სალამზე ოთხიდან მხოლოდ ერთმა უპასუხა; ახალგაზრდა ნათელთვალება ბიჭმა ფანჯარა გამოაღო, სიგარეტს ბოდიშის მოხდით მოუკიდა, ჯერ წასასვლელად გამზადებულ მრისხანედ ამრეზილ სამ ქალბატონს გადახედა, მერე ბატონ ემელიანეს და უცებ გაიცინა:

_ რას ვიფიქრებდი, თუ იმ შავბნელ ცხრაას ჩვიდმეტს ვნახავდი საკუთარი თვალით, ოცდაჩვიდმეტიც თუ დადგა, გული უნდა გავიმაგროთ, ბატონო ემელიანე, მერე, დაახლოებით ორმოცი-სამოცდაათი წლის შემდეგ თვითონ ამ «სიმართლისათვის» მებრძოლ ქალბატონთა და ბატონთა შვილები და შვილიშვილები დაგვიტირებენ ცხარე ცრემლით, თურმე უდანაშაულონი და მართლა პატრიოტები ყოფილანო და მოჰყვებიან თანაც არქივებში გაცხარებულ ფუთ-ფუთს, _ ვინ იყვნენ ნეტა, ვინ დაიდო იმათი ცოდოო... ჩვენი მონტიორი გამოსულა გუშინ მიტინგზე, მოუხსენებია ხალხისათვის, რომ ჩვენს ინსტიტუტში სულ ცოტა, ოცი კაცი მაინცაა ერის მოღალატე, პირადად თქვენ კი, ბატონო ემელიანე, თურმე ნუ იტყვით და კრემლის აგენტი ბრძანდებით.

* * *

_ სულზე მომისწრო შვებულებამ, სამუშაოც მიმაქვს თან. დავრჩები ჩემს საყვარელ სოფელში, გავივლი, გამოვივლი, ადამიანურად მაინც დაველაპარაკები ხალხს. ჩემი საყვარელი, მშრომელი და სრულიად უპრეტენზიო ხალხი... დამღალა, ნიკიფორე, ამ აბობოქრებულმა ცხოვრებამ, ვერ გავიგე, ვეღარ გავიგე, ვის რა უნდა ჩემგან. რა ხდება, რატომ ხდება. მანამდე თუ სიყვარულითა და პატივისცემით ვიყავი გარემოცული, ახლა თითქოს ბოროტმა ჯადოქარმა გადაჰკრაო კვერთხი, ისე შეიცვალა და გამოიცვალა ყველა და ყველაფერი, _ ჩემოდანი დადგა, სკამზე დასჯილი ბავშვივით ჩამოჯდა ემელიანე და თავჩაქინდრულმა ისევ წაიდუდუნა _ ჩემი საწყალი, მშრომელი და უპრეტენზიო ხალხი...

_ ენობრივი სისტემის არც ერთი რგოლი არ რჩება უცვლელი! _ ისეთი პათეთიკით და ხაზგასმით თქვა უცებ ნიკიფორემ, ემელიანე ლამის შეხტა.

_ შენ... რა იცი?

_ რა ცოდნა უნდა ამას, _ ჩაიხითხითა ნიკიფორემ: _ ყველანაირ მეცნიერებას ერთი და იგივე კანონზომიერება არ უდევს საფუძვლად და თანაც, ერთ-ერთი ყველაზე მთავარის და ზოგადის, სოციოლოგიის კვლევის საგანი არაა განა თითოეული მათგანი?

_ ნუ შემჭამე ერთი, მაგ შენი სოციოლოგიით, _ ჩაიბუტბუტა ემელიანემ და ჩემოდანს ხელი წამოავლო, _ გასაღებს დაგიტოვებ, მოხედე ხოლმე ზოგჯერ აქაურობას, _ წყალი დაუსხი ყვავილებს!

_ აბა შენ იცი, _ თვალზე ცრემლი მოადგა ნიკიფორეს, _ ღმერთმა ქნას, კარგად დაისვენო იმ შენს უპრეტენზიო, მშრომელ და მოსიყვარულე ხალხში, _ უცებვე დამცინავად გაეღიმა და თავი გადააქნია, _ ახ, რა მშვიდად შეხვდებოდი შენც ყველაფერ ამას, რომ...

_ ასჯერ რომ დავიბადო, ასჯერ! _ თითი მუქარით დააქნია ემელიანემ და მეგობარი გადაკოცნა, _ ასჯერვე ენათმეცნიერებას მივუძღვნი მთელ ჩემს შეგნებულ სიცოცხლეს!

_ და ასჯერვე მსხვერპლად ალბათ თავსაც, რომელშიც მოთავსებული იქნება ენა, მოცემულ მომენტში როგორც პირის ღრუს კენტი კუნთოვანი ორგანო! _ ისევ ჩაიქირქილა ნიკიფორემ.

* * *

ემელიანეს ჩასვლა შინ სოფლის ქრისტიანულ დღესასწაულს დაემთხვა. სიხარულისაგან ლამის გადარეულმა და მთლად გაახალგაზრდავებულმა მოხუცმა დედამ იმავე წამს გააწყო სუფრა და შვილის შენიშვნაზე, ვის ეპატიჟებიო, თავის გადაქნევით და მორიდებით შეახსენა ათადან და ბაბადან მომდინარე ტრადიცია:

_ ამ დღეს ყველას აქვს, შვილო, სხვის სახლში შესვლის და ქეიფის უფლება, არა აქვს მნიშვნელობა, დაპატიჟებულია თუ არა; პირიქით, სტუმრის შემოსვლა ბედნიერებაც კია, მით უმეტეს, სალოცავის გვერდით ვცხოვრობთ, ათასი აივლის და ჩაივლის, ვიღაცას გული გამოუწევს, შემოვა და დაგვილოცავს ოჯახს. თანაც, რამდენი ხანია, არ მღირსებია ასეთი ბედნიერება, სულ ცოტა, ოცდაათი წელი მაინც იქნება, დღეობაზე აქ არ ყოფილხარ.

პირველი, ვინც იმ დღეს ბალახაძეების ოჯახს ესტუმრა, ემელიანეს თანაკლასელი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი თედო ოქრუაშვილი გახლდათ. შემოსვლისას ბრიგადირმა კარის სიმაღლე ვერ მოზომა და ისე გლიჯა თავი ჩარჩოს, სხვას, ნებისმიერს საზამთროსავით გაუსკდებოდა ალბათ, ბრიგადირს კი არც გაუგია, ღვინით ისე იყო გაჟიჟინებული, იმის მაგიერ, თავზე ეტაცა ხელები, ემელიანეს სტაცა სუსტ, გალეულ მხრებში და ცოტა დააკლდა არ ააბურთავა ამ ხნის კაცი.

_ ემელიანეს ვახლავარ, ემელიანეს! ვუტირეთ თუ არა დედა კომუნისტებს, მივახეთქე თუ არა იმ წითელ ცხვირ-პირში ამხანაგ ლენინს თავისი წითელი მანდატი! დედაც ვატირე მაგათი, ან რაღად მინდოდა: სახლი ავიშენე, მანქანა ვიყიდე, ქალაქში ხუთოთახიანიც

გავირტყი... როგორ ვამაყობდი შენით, კლასელებში ყველას გვაჯობე. დაჯექი, დაჯექი! დამისხი, ასე ა, ასე დაგეცალოს მტერი. მაშ ცნობილი კაცი ხარ, არა? მაშ პროფესორი ხაარ და მეცნიერი, მე კიდე ბრიგადირი... თუმცა კომუნისტობა აღარაა, მაინც ბრიგადირი დავრჩი... ახლა იჯარაა მოდაში... შენით ვამაყობდი, როგორი მოწიწებით გიყურებდი ხოლმე თვალებში... რას ვამაყობდი, მთავარი მაინც ხალხი ყოფილა, ხალ-ხი! ასობით ყრია შენნაირი პროფესორი! მე თუ ვერ ვისწავლე, იმიტომ კი არა, რო ჭკუა არ მქონდა... მეზარებოდა! დაზარებამ მიქნა ყველაფერი... რად გინდა, გქონდეს თუნდაც ხუთი სახლი, ათი მანქანა, დაფასება სხვაა მაინც, არა? _ კბილები გააკრაჭუნა, მღვრიე თვალებით ჩააჩერდა უცებ გაოცებულ პროფესორს და მხარზე დევივით დაჰკრა ხელი. _ მაინც ხომ გაჯობე? სადაა შენი პატრიოტიზმი, ხუთი შვილი მყავს, შენ?.. ილია ჭავჭავაძეს? შენ რა შეაწიე-მეთქი, მითხარ, სამშობლოს?

_ თედო, შენი ჭირიმე, შვილო, როგორ გიყვარდა ჩემი ემელიანე, რატომ ელაპარაკები ახლა ასე, რა დაგიშავა, შენ შემოგევლე, ან ცეცხლზე ნავთს რატომ ასხამ, შვილო, _ თედოს მხრებზე ხელი მოხვია და ატირდა ნუცა. _ არ იცი, განა, ამისი უბედური ცოლ-შვილის ამბავი? არ იცი, ის დღე დაიქცეს?

_ მალჩატ! ბოდიში რუსულ სიტყვაზე. მე ქართველი ვარ, ქართველი ვარ და მადარდებს დიმოგრაფია! _ დაასლოკინა თედომ, _ მეორე მოეყვანა, ხომ არ ჩაყვებოდა წინა ოჯახს, აბა, საფლავში. მე ძალიან მიყვარს ჩემი ემელიანე! რა გატირებს შენ, ქალო, გაწყენინე რამე? ვინ მყავს მე თქვენნაირი ახლობელი... ათასი მიყრია თქვენნაირი ახლობელიც და თქვენნაირი ნასწავლიც! დალიე! თუ არც დალევის თავი გაქვთ ამ საცოდავ ინტელიგენტებს, ჰა? თუ მე ბრიგადირი ვარ, ნაკლები ვარ შენზე? აბა, მითხარი, ნაკლები ვარ?! წამოდი ახლა, წამოდი, ჩემთან უნდა გაქეიფო და განახო, რა არის ნამდვილი ცხოვრება, ნამდვილი ჭამა-სმა... ვინ მიგდიხარ, მე შენი... რითი ხარ ჩემზე მეტი, მე შენი...

_ შვილო, რა დაგემართა, შენი ჭირიმე, თავი დაანებე, გიშავებს რამეს, შვილო? _ ხელახლა აქვითინდა ნუცა და ხელებში ჩაებღაუჭა თედოს. _ გაუშვი, ამ დილას ჩამოვიდა, სტუმრებს ველოდებით, ვერ წამოვა!

ნირწამხდარი და გაოგნებული ემელიანე ის იყო, თავის გარიდებას აპირებდა, რომ ოთახში მეტეორივით შემოიჭრა ნინა, თედოს მეუღლე, ემელიანეს არც მისალმებია, ისე ეძგერა თედოს და ერთი თუ ორი! ერთი თუ ორი! ისეთი ტყაპა-ტყუპი აუყენა ბრიგადირის ფართო მხარ-ბეჭს, ჭახა-ჭუხი დააწყებინა სულ ძვლებს:

_ შენ არ მოესწარი მომავალ მთავარანგელოზობას, შე ღორო, შენ! დალიე, ვერ ინელებ და დაძრწიხარ ახლა კარდაკარ, არა?

გასაოცარი ენერგიით, როგორც პაწაწინა ანჩხლმა ფინიამ დიდი ბულდოგი, ისე გაიგდო წინ ქმარი და როგორი ელვის სისწრაფითაც შემოიჭრა ბალახაძეების ეზო-კარში, ისეთივე სისწრაფით გაჰქრა იქიდანაც მეუღლიანად.

ორიოდ საათს აღარავინ გამოჩენილა. მერე კი თამაზამ გადმოაბიჯა ზღურბლს. იქვე შეჩერდა, ხელი რატომღაც ჰიტლერივით შემართა და გამოაცხადა:

_ პუგაჩოვს სალამი!

ემელიანემ თუმცა ვერ გაიგო, თამაზა ასე რატომ მიესალმა, მაინც გახარებული წამოდგა, გაზეთი იქვე მიაგდო და გულწრფელი მონატრებით გადაეხვია თამაზას. თამაზასაგან ბევრი სიკეთე და მხოლოდ მორიდებული სალამი ახსოვდა ემელიანეს. ხათრიანი იყო იმდენად, დიდხანსაც კი არ უბამდა ხოლმე საუბარს პროფესორს, _ ამინდზე თუ წაიდუდუნებდა რაღაცას ფხიზელი, მთვრალი კი, იმ ხანმოკლე საუბარშიც რატომღაც აუცილებლად გამოურევდა ჯარში ნასწავლ რუსულ სიტყვას, აქაოდა, ამ ქვეყანაზე მეც რაღაცა გამეგებაო, აუცილებლად გაიხსენებდა იმას, თუ როგორ დადიოდა ემელიანეს გამონაცვალი, ხანდახან კი ნუცასაგან ნაჩუქარი ახალთახალი ტანსაცმელ-ფეხსაცმლით მთელი ბავშვობა, ყრმობა და

სიჭაბუკე და ამის გახსენებისა და მადლობის შემდეგ ყოველთვის მადლიერების ცრემლით სავსე ტოვებდა ბალახაძეების ეზოს. ცოტა ხნის შემდეგ კი თითქმის ყოველთვის თამაზას ნაბოლარა გოგო მოდიოდა რძით ან სხვა რამ მცირე მოსაკითხით ემელიანე ბიძიასთან.

ემელიანე მაგიდას მიუჯდა და თამაზასაც ანიშნა ღიმილით სკამისკენ, მაგრამ ისევ ჰიტლერის პოზაში გაჩერებულმა თამაზამ ზედაც არ მიხედა სკამს, დაასლოკინა, ფეხი ფეხს შემოჰკრა და გაიმეორა.

_ პუგაჩოვს სალამი!

_ თამაზ, შვილო, _ დაუყვავა ცოტა არ იყოს უკვე შეფიქრიანებულმა ნუცამ, _ დაჯექი, პუგაჩოვი საიდანღა მოიგონე ვითომ?

_ ხი-ხი-ხი... _ ჩაიხითხითა უცებ თამაზამ და ისევ დაასლოკინა, _ თუ პუგაჩოვი არაა, რატომ ჰქვია აბა, ემელიანე? აი, მე შენ, ნუცა დეიდა, ქართველი კაცი გეკითხები: რატომ ჰქვია ქართველ კაცს, მოცემულ შემთხვევაში ბალახაძეს, სახელად რუსული ემელიანე და რატომ არ ჰქვია, მაგალითად, იაკინთე. ქვევრიაშვილს უსმენთ თქვენ, რადიოთი და ტელევიზიით?

თავისი განათლებით და წინადადებით აშკარად თავმოწონებულმა თამაზამ თვალები ამაყად დააჭყიტა, წარბი მაღლა აწკიპა და ცალი ყური ნიშნისმოგებით მიაპყრო დედა ნუცას და შვილ ემელიანეს.

_ იაკინთე ბერძნული სახელია, თამაზი კი სპარსული, _ გაეღიმა ემელიანეს.

_ რაო? შენ მე მასწავლი?! შენ მე მასწავლი, მთელი სიცოცხლე მე მქვია ეს სახელი?! თამაზა! თამაზას უცხოურობა ვის გაუგია, შენ კი, შენ ერის მოღალატეს დაგიძახებ, თუ ეხლავე სახელს არ გამოიცვლი. ქვეყანამ იცის, ქვეყანამ, ემელიანე პუგაჩოვი!

_ ბეჩა, პუგაჩოვმა რა დაგვიშავა და შაჰ-თამაზი მაინც არ გაგიგონია? _ შეეცადა საუბარში ჩარევას საწყალი ნუცა, მაგრამ თამაზამ გაფრთხილების ნიშნად ხელი აუწია ლამის ცხვირწინ და ყური ისევ ემელიანეს მიაპყრო მზაკვრულად.

_ ჰა, იცვლი თუ არა, დამპყრობლის სახელს?!

_ ოოჰ, ნიკიფორე! ნიკიფორე! _ უცებ აღმოხდა გულის სიღრმიდან გამწარებულ და თვალზე ცრემლმომდგარ ემელიანეს.

_ თანახმა ვარ, იყოს ნიკიფორე! _ დათანხმდა იმავე წამს გახარებული თამაზა და ხელი შერიგების ნიშნად გაუწოდა ემელიანეს. _ ახლა კი, ჩემო გაქართველებულო ძმაო და მეგობარო ნიკიფორე ბალახაძევ, ერთად ავწიოთ ჩვენი ქვეყნის თავისუფლების სადღეგრძელო. როგორ, აბა, ქართველი სუფრასთან ქართული სახელით უნდა იჯდეს, მარტო სმაა მაშ, პატრიოტობა?! ერთი გოგოც შევძინე ერს ამ მოძრაობაში, _ ამაყად დაასლოკინა, თავი შიგ თეფშში ჩარგო და კმაყოფილმა იმით, რომ კიდევ ერთი პატრიოტული საქციელი ჩაიდინა, ღრმა ძილს მისცა თავი.

თამაზას წასაყვანად მოსულმა მეუღლე გუგულამ მოწიწებით ჩამოართვა ხელი ბატონ ემელიანეს (როგორც თვითონ უწოდა), იდუმალი სახით ესაუბრა პროფესორს «უდანაშაულო და საწყალ» კომუნისტურ პარტიაზე, საიდუმლოდ გაუმხილა, რომ ცოცხალი თავით არ ღალატობს და არ დათმობს სისხლსა და ოფლში ნაწრთობ წითელ მანდატს, თუნდაც მთელ საბჭოთა კავშირში ის დარჩეს მხოლოდ პარტიის წევრად. მერე კი, როცა ემელიანეს სიბრალულით სავსე თვალებსა და გადაქნეულ თავსაც შეასწრო თვალი, მთლად ამოუჯდა გული, წაიტირა ქმრის უგუნურობაზე, _ როგორ გადააგდო მაშინვე მანდატი თამაზამ, ოხვრით და გაწიწმატებით ჩამოთვალა კომუნისტთაგან მოძღვნილი უამრავი სიკეთე, შეახსენა ისიც, ეგენი რომ არა, ჩვენ ხომ ვერაფერს მივაღწევდით, ისევ ყმები და მონები ვიქნებოდით იმ საძაგელი ბატონებისო, უცებ წამოხტა, რატომღაც ცალ ფეხზე დადგა, ცალი აიკეცა, ერთი ხელიც კინკრიხოზე შემოიდო და თვალცრემლიანმა შეხედა ემელიანეს, _ გახსოვთ, ისტორიის სახელმძღვანელოებში რომ ეხატა ყმა გლეხი, მარტო ერთი ფეხის დადგმა მიწა რომ ჰქონდა საკუთრად იმ სულაძაღლებული მემამულისგანო? მეორე ფეხიც

რომ დაგვადგმევინეს კომუნისტებმა, შენ რომ ფერშალი გამოგიყვანეს, მე კი ბიბლიოთეკარი, ის არ მოგეწონა, არაო? _ ასევე ცალფეხაკეცილმა დაჰკივლა თავზე მძინარე თამაზას და ის კინკრიხოზე შემოდებული ხელი მოულოდნელად ისე ჩასცხო თავში, თეფში შუაზე გასკდა, თამაზას ცხვირ-პირმა კი პირდაპირ მაგიდაზე მოიღო ტყაპანი.

როგორც კი პოლიტიკურად დაპირისპირებული ცოლ-ქმარი ბალახაძეების ეზოს გასცდა, იმავე წუთს დაბარებულივით მოადგა ჭიშკარს ხელიხელგადახვეული რამდენიმე ახალგაზრდა. საბედნიეროდ, ეზოში არ შემოსულან, რატომღაც თავიდან ბოლომდე ომახიანად დაამღერეს «ცანგალა და გოგონა», ერთხანს იკამათეს იმაზე, ემღერათ თუ არა «გაფრინდი შავო მერცხალო», ბოლოს ხუთმა დაასკვნა, რომ ეს არაპატრიოტული იქნება, რადგანაც ის ისეთ მტარვალს და ისეთ დიდ კომუნისტს უყვარდა, როგორიც სტალინი იყოო, მეექვსე, გაუჩუმებელი, _ «ომი მოიგო, ომი ფაშისტებთან, თორემ ახლა თქვენ «ახტუნგს» იმღერებდითო,» _ მუშტით გააჩუმეს და გზას «შავლეგოს» სიმღერით გაუყვნენ.

_ ღმერთო, გვაპატიე ღმერთო, რომ აღარც შენ გვახსოვხარ და აღარც სხვა ვინმე წმიდა, _ პირჯვარი გადაისახა შეწუხებულმა ნუცამ, როცა სალოცავიდან ჩაატარეს ნაცემ-ნატყეპი და დასისხლიანებული ომარა, რომელიც ტანსაცმელს იხევდა ტანზე და ისევ სალოცავისკენ მიიწევდა, _ სანამ არ მოვკლავ, არ მოვისვენებო! _ ღმერთო, გვეშველება კი რამე ოდესმე? გვეშველება კი? _ სანთელი დაანთო და ჭიშკრის ხმაზე შეშინებული შემოტრიალდა.

_ დედა ვატირე მე შენი, დედა ვატირე! შე ერის მოღალატევ! _ ჭიშკრამდე მოსდია შიგ შემოვარდნილ ბავშვატაცებულ დარიკოს მამამისმა ივანემ. _ მაშ გიყვარს, არა? მაშ უცხო ეროვნებას ამრავლებ, არა?

_ ღმერთო, შენი ჭირიმე, თვითონვე არ გადაუხადა ამ ორიოდე წლის წინ ქორწილი, მანქანაც აჩუქა და თვითონვე არ ამბობდა, შვილებში არ გამომერჩევა ვოვაო? _ დარიკოს მისაშველებლად გაქანდა ნუცა. _ არ მოკლას ამ ნადირმა!

შეღამებული იყო უკვე, კარზე მორიდებით რომ დააკაკუნეს. ემელიანე შეკრთა კიდევაც მოულოდნელობისაგან, აღარავის ელოდა. ნუცამაც ყოყმანით გააღო კარი და ცოტა ხნის შემდეგ შვების ღიმილით შემოუძღვა ოთახში ვაჟას, _ მაზლის შვილიშვილს.

ემელიანემ მკერდში სიყვარულით ჩაიხუტა ბიჭი, მერე უცებ განზე გასწია და სახეზე დააკვირდა.

_ რა კარგია, რომ აქა ხართ, ემელიანე ბიძია, _ გაუღიმა ბიჭმა და გასიებულ თვალზე ხელი აიფარა. _ მომენატრა ადამიანთან ადამიანური საუბარი. თუ შეიძლება ამაღამ თქვენთან დავრჩები, დილით კი... არა, მეტი არ შემიძლია, უნდა წავიდე!

_ კი, მაგრამ, ჯერ ხომ არდადეგები გაქვს, შვილო. _ სუფრის ხელახლა გაწყობას შეუდგა ნუცა.

_ ნუ წუხდებით, ნუცა ბებია, არ მინდა არაფერი... _ ბიჭმა ხატის წინ დანთებულ სანთელს მიაპყრო მზერა და ამოიოხრა.

_ აღარ მინდა არაფერი, დავიღალე, აღარაფერი აღარ მინდა... _ უცებ თვალები უცნაური ცეცხლით აევსო, მხრები შეიბერტყა და უცებვე ალალად, გულიანად გადაიხარხარა. _ რა ბრძენი ყოფილა ჩინელი ხალხი, _ აი, მესმის წყევლა: «შენ მოგიწიოს ცხოვრებამ სახელმწიფო გარდაქმნის დროსაო... შენ მოგიწიოს ცხოვრებამ გარდაქმნისა და რევოლუციის დროსაო»...

მეჭეჭი

_ ახალი თუთას მთვარეო, გებრძვის ცისანა დავითის ასული ენძელაძეო, ან ეს მეჭეჭი გააქრე, ან შენ თვითონ გაქრი! _ მეორე სართულის აივნიდან დაანახა თეძოზე ამოსული მეჭეჭი ცისანა დავითის ასულმა ენძელაძემ ახალ მთვარეს და კიდევ ორჯერ ზედიზედ გაუმეორა, საკმაოდ მკაცრად, საკმაოდ ხმამაღლა: _ ახალი თუთას მთვარეო, გებრძვის ცისანა დავითის ასული ენძელაძეო, ან ეს მეჭეჭი გააქრე, ან შენ თვითონ გაქრი!

მთვარემ დაინახა თუ არა ცისანას მეჭეჭი, ან შეეშინდა თუ არა მისი მუქარის, ვერ გეტყვით, მაგრამ იმავე სართულელმა, მეტიც, მთლად მომიჯნავე აივნელმა, ალკოჰოლით ჯერ ისევ საკმაოდ გაბრუებულმა, ხის სვეტს მიყრდნობილმა ფრიდონმა კი ნათლად და მკაფიოდ დაინახა არა მარტო მეჭეჭი, არამედ მთლიანად მისი თვალწარმტაცი შემოგარენიც.

ცისანას მთვარის გარდა არ აინტერესებდა არაფერი და ამიტომ საერთოდ არ შეუმჩნევია მისკენ მონუსხულივით მზირალი ფრიდონი. არც ეცალა არავისთვის, მეჭეჭი ძალიან აწუხებდა და ამის გამო მკაცრად იცავდა წინა დღით ნასწავლი მკურნალობის უცილობელ წესს: უბრად უნდა შესულიყო შინ, უბრადვე უნდა გამოსულიყო იქიდანაც (ან კი ვის დაელაპარაკებოდა მარტოხელა შინაბერა), ყოველ გამოსვლაზე უნდა აეწია პერანგი, ჩაეწია საცვალი, დაენახებინა მთვარისთვის თავისი ხოჭოსავით შავი მეჭეჭი და თითო გამოსვლაზე სამ-სამჯერ ულტიმატუმის წაყენების შემდეგ სამ-სამჯერვე სასტიკად დამუქრებოდა საწყალ, რა რა და, მთელ ამ ამბავში სრულიად უდანაშაულო მთვარეს!

ასე რომ, ღამის სიცხისა თუ ნასმურევზე წყლის წყურვილისაგან საკუთარ აივანზე ტრუსის ამარა გამოსული, ერთლარიანი არყისგან ჯერ ისევ უაზროდ გაბრუებული ფრიდონ შოთას ძე საბოლოო ჯამში ცხრაჯერ დატკბა ცისანა დავითის ასულის სხეულის ქვედა ნაწილის საფუძვლიანი დათვალიერებით!

რომელიღაც კომერციული ინსტიტუტის, განათლებით მათემატიკოსმა, სამსახურებრივი მოვალეობით კი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, მკაცრმა და ასევე შინაბერა ფლორამ, რომელიც ამ უცნაურ სამკუთხედს «იტალიური» ეზოსათვის დამახასიათებელი კუთხოვანი ნაწილის მესამე სართულიდან ადევნებდა თვალყურს, ვეღარ მოითმინა და რვაჯერ მოთმენილი, თავისი თვალსაზრისით ენის ნორმის დარღვევა, უკვე მეცხრეზე ერთად წამოაძახა და შეუსწორა კიდევაც მთვარესთან მორკინალ «ბაზრის დედაკაცს» (გულში ასე უწოდა და თანაც როგორი ქირქილით!):

_ გაქრი კი არა, გაქერი, შე უტვინო!

_ რაო? _ მოულოდნელობისგან კინაღამ გული გაუსკდა ჯერ ისევ პერანგაწეულ, საცვალჩამოწეულ და თეძომოშიშვლებულ ცისანას, ფრიდონმა კი, მთელი ამ ხნის განმავლობაში მერწყულის სტატუეტივით რომ იდგა გაქვავებული ხელში შერჩენილი წყლით სავსე ბოთლით, ისეთ ციდან მოვლენილ მეხისტეხად და უბედურებად მიიღო მასწავლებლის სრულიად ჩვეულებრივი მრისხანე ხმა, ცოტა დააკლდა, პირდაპირ მეორე სართულიდანვე არ ისკუპა ეზოში და პირდაპირვე არ მოკურცხლა უკანმოუხედავადაც.

_ გა-ქე-რი! გა-ქე-რი! _ კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე თითის ქნევით, ისე დაუცაცხანა მასწავლებელმა პირდაბჩენილ, უცნაურ პოზაში გაშეშებულ ცისანას, თითქოს სულ ცოტა, მესამეკლასელი კიკინებიანი გოგონა ყოფილიყოს დაფასთან მდგომი და არა საკუთარ აივანზე საკუთარი გასაჭირით დაკავებული ორმოცდაათიოდე წლის ქალი და თავის ქორისებრი მზერა ასევე ჯერ კიდევ საწყის მდგომარეობაში მყოფ ფრიდონზე გადაიტანა: _ შენ კიდე, რას მისჩერებიხარ უსირცხვილოდ, ლოთო! არაკაცო! მთელი ღამეა მაგის საჯდომს უთვალთვალებ, ფუჰ!

ცისანამ ძლივს მიატრიალა თავი ფლორას ახალი სალანძღავი ობიექტის მიმართულებით და ცხვირი კინაღამ ცხვირზე მიადო ფრიდონს, _ ერთი ნაბიჯიც კი არ აშორებდათ ერთმანეთისგან, _ ერთი დაბალი და თხელი ტიხარი მხოლოდ, სხვა არაფერი!

ლოთმა, თუშური ვაცივით წვერცანცარა, ქუთუთოებჩამოსიებულმა და «ჭუჭყიან-ზუნტლიანმა» მეზობელმა (ასე იხსენიებდა ხოლმე ცისანა გულში ამ უკანასკნელს, როცა უხმოდ უკრავდა თავს მისალმების ნიშნად), რაღაც წაიბუტბუტა, ადგილზე უხერხულად დატრიალდა, წყლით სავსე ბოთლი უცებ მოიყუდა და უცებვე ჩაირაკრაკა კიდევაც მუცელში, _ აქაოდა, აივანზე სწორედ ამ მიზნით ვიდექი და არა იმ მიზნით, რაც თქვენ გგონიათო.

იმ საღამოს ოთხ სერიალნანახი, პლუს ორ ეროტიკულ ფილმდამატებული, ცხოვრების ტრადიციული, მართალია, აწ უკვე მოძველებული წესისგან ქალობაგაუხარელი, მაგრამ ამ «აწის» მხრივაც საბოლოოდ იმედგადაწყვეტილი ფლორა უძილობასაც საკმაოდ გაეწამებინა და თაგვივით თხრიდა და თხრიდა:

_ «გაქრი!»_»გაქრი!» _ გამოაჯავრა მან ჯერ ისევ გაოგნებული და შიშისგან დაზაფრული დავითის ასული და კვლავ ფრიდონის წვერს გადასწვდა _ ეს კიდევ, კაცის არამსგავსი, თხაკიკინა!

_ ქალო, შეენ... _ როგორც იქნა ამოილუღლუღა ცისანამ.

_ რა _ მე-ე? უკულტურო! რომელი ჯულია რობერტსი შენ მყავხარ, მაგ გატიკნულ უკანალს რომ უჩვენებ მთვარეს! ჰმ, თანაც როგორ ემუქრება, ნახეთ ერთი! კარგი კი იქნება, ისე გაცოფდეს, ისე იძიოს შენზე შური, ისე დაგწყევლოს და ისე გაგაუბედუროს...

_ ქალო, შეენ... _ მთვარეს შიშნარევი მუდარით ახედა და ისევ ვერ მოაბა თავი წინადადებას უკვე საცვალამოწეულმა, პერანგჩამოწეულმა და მოშიშვლებულ, ჯერ ისევ მშვენიერ გულმკერდზე უმწეოდ ხელებაფარებულმა ცისანამ. წინა დღეს ბაზრობაზე ჭიქების გამყიდველი დარიკოსგან ისწავლა მეჭეჭის მოცილების აღნიშნული ხერხი, რაც მართალია, მართალია, პირველად სასაცილოდაც არ ეყო, მაგრამ დარიკომ ისე მგზნებარედ დაამტკიცა საცვლის იქვე ჩახდით მისი უტყუარობა და, რაც მთავარია, ისე დააფიცა და დააიმედა, _ ნახავ შენ, როგორ ამოისუნთქავ ამის შემდეგ და რა ბედნიერი იქნებიო, ცდუნებას ვეღარ გაუძლო და აი, იმკიდა კიდევაც უკვე ბედნიერებას!

_ თუმცა, მეც, ვამბობ, რა! მთვარეს! მთვარეს კი არა, კაცს! კაცის გამოჭერა გინდა და იმიტომ! აგირიეს ხომ, ტვინი სერიალებმა, მოგეცა, ხომ, იმედი, რომ შენს ასაკშიც შეგიძლია ხუნტრუცი... მიდი, ჰო, რაღას უცდი, გამოჭერილია უკვე, ხომ ხედავ, გიყურებს ბუღასავით! მიდით, რაღას უცდით, მიდით, ჰო, მიდით!

მოკლედ, «მკვდარი ადგა და აღარ დადგაო!» თავდასხმის ობიექტი კი კიდევ უფრო რომ გაენათებინა (ვინმეს რომ გაღვიძებოდა, კარგად ხომ უნდა დაენახა, რა უზნეობაც ხდებოდა მეორე სართულის ამ მცირე მონაკვეთში!), ფლორამ საკუთარიაივნიდანაც მიუჭყიტინა ნათურა, _ დიიდი და თანაც ასვატიანი, როგორც რომ ჩირაღდანი რამპის!

პატიოსანმა, მშრომელმა და ალალმა ცისანამ უხმოდ აიღო აივნის კუთხეში მიწყობილი თეფშებიდან ერთ-ერთი, ყველაზე უფრო მძიმე (ამეების გაყიდვით ირჩენდა თავს მას შემდეგ, რაც რეფორმებმა სხვა უამრავ რამესთან ერთად მისი ინტელიგენტური სამსახურიც შეიწირეს) და მძვინვარედ სტყორცნა მესამე სართულზე ინდიელთა ბელადივით გადმომდგარ შუბლწაკრულ, თმაგაშლილ, აწოწილსა და შავად სახედაჩამიჩებულ ფლორა ჭიაშვილს.

ფლორამ სწრაფად დასწია თავი, სულ ტყუილად კი, იმიტომ, რომ თეფშს არც უფიქრია ფლორას თავი, ელვისებურად ჩაიქროლა მისგან საკმაოდ მოშორებით და შეამსხვრია რა მრავალშვილიანი პოღოსიანების მინა, ოჯახის უფროსისგან წინა დღეს სასოებით ნაყიდი ბრაც ელვის სისწრაფითვე მიაყოლა და მიაფშვნა ზედ თავზე მეთერთმეტე პოღოსიანის შექმნით დაკავებულ ცოლ-ქმარს.

ფლორას აივნისკენ ამერიკული ბომბდამშენებივით მიჰყვნენ ერთმანეთს დიდი, საშუალო თუ მცირე ზომის მფრინავი თეფშები...

ხოლო ფლორას მსხვილ-მსხვილი კარტოფილებით სავსე კალათი ედგა აივანზე და მოეპოვებოდა აგრეთვე ორი, ზამთრიდან შემორჩენილი საშინლად დაჯღვარკნილ-დახორკლილი, მომწვანო-მოყვითალო, მოგრძო და ამავე დროს გრძელყუნწიანი, უფრო ზუსტად კი გრძელკუდიანი გოგრა-ხოკერაც! ის ხოკერები იყვნენ სწორედ, ღამის სრულ ოთხ საათსა და ცამეტ წუთზე ერთიმეორის მიყოლებით, რაღაც პრეისტორიული ქვეწარმავლებივით რომ დააცხრნენ თავს მინის ნამსხვრევებთან ერთად ვალერიანის წვეთების თვლით გართულ კვაშალების ისედაც მოხუცსა და ისედაც ავადმყოფ დედას და ისე რომ აუფორიაქეს გულ-მუცელი და არა მარტო გულ-მუცელი და თანაც არა მარტო დროებით!

ნამგალა მთვარესავით უდანაშაულო, ბუნებით უზომოდ მშვიდობისმოყვარე, შეიძლება ითქვას, პაციფისტიც კი, ფრიდონი, რომელსაც, ღმერთმა ხომ იცის, ერთხელაც კი არ შეუხედავს სხვა თვალით ცისანასათვის (ისე ცხოვრობდა _ ლოთობდა მის გვერდით მთელი ეს შვიდი წელიწადი, ზუსტად მას შემდეგ, რაც კანონიერმა მეუღლემ ღრიანკალმა ლარამ ზოდიაქოთი შესაფერის კუროსთან ერთად გამოაძევა საკუთარი ორსართულიანი ბინიდან და საერთო, მამის მსგავსად მერწყული პირმშო გიორგიც მთლად მიისაკუთრა დედის საპატიო უფლებით), განცვიფრებული ადევნებდა თვალყურს ჰაერში მოფრიალე თეფშებსა თუ მონავარდე კვახ-კარტოფილებს, მერე კი, როცა, და როგორც იქნა, ფლორამ თვალში კარტოფილის მორტყმით რომ მოცელა მოწინააღმდეგე და კვლავ ამაყად და კვლავ ინდიელების უბუმბულო ბელადივით რომ გადმოდგა აივანზე, _ «შე ლოთო! შე ლოთოს!» ძახილით, ფრიდონის მოთმინებასაც დაედო ზღვარი, _ მეორე დღისთვის სასოებით გადანახული ლიტრნახევრიანი ლუდი «ყაზბეგი» გრადივით და თანაც სნაიპერული სიზუსტით დაიძრა თავდამსხმელისკენ. წუთით გადამალული ფლორას თავიც მაინცდამაინც სნაიპერული სიზუსტით ამოძვრა სწორედ იმ დროს და სწორედაც რომ შესაფერის წამს და...

თავ-თავიანთ აივნებზე უცებ გამოცვენილმა მეზობლებმა, დაზარალებულთაც და დაუზარალებელთაც, ის იყო, იმისი გარკვევა დაიწყეს, რა იყო ეს, _ მიწისძვრა, ომი, თუ... რომ ეზოს ცხოვრებაში ყველაზე უფრო გათვითცნობიერებულმა, ყვითელი პრესის ჟურნალისტივით უცერემონიო და ენაჭარტალა აიქანუშამ შუაგულ ეზოდან მიაკივლა ცისანას აივანს და არა მარტო მიაკივლა, თითიც ენერგიულად გაიშვირა მისკენ.

ო, რამდენი წყვილი თვალი გაეკიდა დედაბერ აიქანუშას ჩხირივით საჩვენებელს, ო, რამდენმა იხილა და თანაც, რა: ლოთ, თმაწვერულვაშგაბურძგნულ შიშველ ფრიდონს (ტრუსი არ იკვეთებოდა!) ორივე ხელით ჩაებღუჯა ნახევრადშიშველი, ეზოს ბინადართაგან მანამდე ლამის წმინდანად შერაცხული ცისანა და შეშლილი მიჯნურივით ჩაჰყურებდა თვალებში!

რაღა სიყვარულით აღტყინებული პანი, რაღა ვნებისგან გონმიხდილი ფერია ტყისა!

ეგ იყო, ორიოდ დაბურული ხე აკლდა სურათის სისრულეს და ხმაც სალამურის, _ საიდანმე!

ეზო ერთი წუთით გაშრა, გაქვავდა! ან კი ვის გაამტყუნებდით, აივანლოჟიდან იყო თუ აივანპარტერიდან, ერთი რამ ჩანდა მხოლოდ, ჩანდა ცხადად და ჩანდა ნათლად, რაო, კინო ხომ არ იყო, მთელი ამ დავიდარაბის დამდგმელ რეჟისორს ახლო კადრით ეჩვენებინა მაყურებლისთვის, ცისანას ლამის ამოვარდნილი თვალი, მისი ცოდვით ლამის ატირებული ფრიდონის თვალწინ რა კოლოსალური სისწრაფით იდებდა ცისანასავე საბედისწერო მეჭეჭის ფერს?!

კვაშალების გამოძახებული სასწრაფო დახმარების მანქანა რომ შემოწივილდა ეზოში და საბოლოოდ გამოფხიზლებულმა ფრიდონმაც მორცხვად ითხოვა დახმარება, მაშინღა გაირკვა ყველაფერი, თუმცა, რა ყველაფერი, _ გრადი «ყაზბეგისგან» უგონოდ გაჩაჩხულ ახლადაღმოჩენილ ფლორას ჯერ ისევ წყალს ასხამდნენ და სახეში რიგ-რიგობით ულაწუნებდნენ თანასართულელი პოღოსიანები, სააკიანები, ანტონიანები, მოროზოვები, შაპიროები, ზულფუგ-ოღლები, პუპუნიტები, ომანები და სხვები. ის იყო, ისინიც სასწრაფოს ექიმებთან აპირებდნენ დესპანის ჩაგზავნას, რომ ამ დროს მუცლის ფხანით გართულ ვეპეპე ქოქოითს, მანამდე ქირქილით რომ უთვალთვალებდა მთელ ამ ამბავს, ძველი წყენა გაახსენდა (არა და საბრალო ფლორა მაშინ ნამდვილად მართალი გახლდათ) და ისეთი პანღური უთავაზა ყველასგან მალულად, წამში მოაგო გონს.

მთლად წყალში მობუტბუტე ფლორამ, არც კი წამომჯდარა, ისე დაიწყო მოყოლა, რომ აგერ უკვე ათი წელი მაინც იქნება, რაც ამ ეზოში ეს უზნეობა ტრიალებს, რომ ხან ფრიდონი შედის ყოველღამ ცისანასთან, ხან ცისანა ყოველღამ ფრიდონთან... რომ ამ სერიალებმა და გარყვნილმა ფილმებმა მთლად გადარიეს ეს ხალხი, განსაკუთრებით კი ცისანასა და ფრიდონის ასაკის ბებრები... რომ, ბოლოს და ბოლოს, ზნეობასა და მორალზე ხმის ამოღება მხოლოდ ფლორა პედაგოგის მოვალეობა კი არ არის... რომ დროა, შედგეს ეზოს გაერთიანებული კრება, რომ დროა გაძევებულ იქნას ამ წმინდა ადგილიდან ბავშვებისათვის გამრყვნელი მაგალითის მიმცემი ეს ორი გარეწარი და ა.შ. და ა.შ.

კვაშალების გამოძახებულმა სასწრაფო დახმარების მანქანამ არ წაიყვანა თან ცისანა. ისედაც საკმაოდ იყვნენ დაბნეულნი, ვერ გაეგოთ, ფსიქიატრიულში წაეყვანათ გაუჩერებლად აწივლებული დედაბერი, თუ თერაპიულში. ცხვირწინ უტრიალებდნენ გრძელკუდიან, დაჯღვარკნილ ხოკერებს: _ ა, დედი, შეხედე, ნახე, გოგრებია, კვახებია, რაც გინდა, ის დაუძახე, რა მფრინავი ხვლიკები, რის მფრინავი ხვლიკებიო, ის კი არ უჯერებდა არავის, არც ექიმებს, არც ექთნებს და არც ამერიკიდან სტუმრად ჩამოსულ ოჯახის წევრებს. ეზოდანაც ასე გაიყვანეს, წივილით და კივილით, _ ვაი, ხვლიკი! ვაი ხვლიკიო!

ფრიდონის გამოძახებულმა იაფფასიანი სასწრაფო დახმარების მანქანამ კი ოფთალმოლოგიური კლინიკისკენ აიღო გეზი. რატომღაც ერთნაირად უჟმურმა ექიმმაც და ექთანმაც ერთნაირადვე შეუღრინეს ფრიდონსაც, როცა მან თან გაყოლის სურვილი გამოთქვა, _ უცხო პირები არ დაიშვებიანო! საბრალო ფრიდონმა მორცხვად გამოიკითხა მისამართი და რადგან ერთი თეთრიც კი არ მოეპოვებოდა, ფეხით მაშინვე დაადგა ოფთალმოლოგიურისაკენ მიმავალ გრძელ გზას.

ეზომ ნელ-ნელა იწყო ომის ჭრილობების მოშუშება: ზანაზან პოღოსიანმა მეთერთმეტესაც საფუძველი ჩაუყარა, მინაც ჩასვა და ბრაც ზუსტად ისეთივე იყიდა ისევ, _ როგორც თვითონვე აღნიშნა, _ მტრის გულის გასახეთქად!

მინები ჩასვეს აგრეთვე დევდარიანებმა, შამანიდებმა, კვაშალებმა, ბროევებმა, შტინგლერებმა, ალდამოვებმა, ზურღუნებმა და ცინ-ჯაოებმაც.

კვაშალების დედა ერთი თვის შემდეგ გამოეწერა საავადმყოფოდან, ეგაა, ოღონდ, უცნაურობა დასჩემდა _ ხშირ-ხშირად ამოწმებს მინების სიმაგრეს და ხშირ-ხშირად გაჰყურებს ცასაც, ოღონდ ოდნავ გამოღებული კარიდან.

უცნაურობა დასჩემდა ორი კვირის შემდეგ საავადმყოფოდან შინმობრუნებულ, ჯერ-ჯერობით ისევ ცალთვალახვეულ ცისანასაც. ისედაც სიტყვაძუნწი, ერთხანობას საერთოდ დადუმდა, მერე კი უცებ ამრავალმეტყველდა, მაგრამ რას ამრავალმეტყველდა... სიცილ-კისკისსაც უმატა, თვალებიც გაუცისკროვნდა, თითქოს გაახალგაზრდავდა კიდევაც, მოდაზეც დაიწყო ჩაცმა...

ყველაზე მეტად კი ეზო, რაც მართალია, მართალია, განაცვიფრა ფრიდონის მეტამორფოზამ: ჯერ იყო, თმა აიკრიჭა და ვაცივით წვერ-ულვაში გაიპარსა პირწმინდად,

მერე იყო და სმა შეწყვიტა. მერე იყო და ბოთლების მაგიერ სარეცხი საშუალებებით დატვირთული მოადგა ეზოს. ამის მერე იყო და დენდივით დაიმშვენა ახალი, ლურჯი კოსტუმი, თეთრპერანგ ლურჯ ჰალსტუხიანად (მართალია, მეორადი ტანსაცმლის მაღაზიაში ნაყიდით, მაგრამ...), ერთ მშვენიერ დღესაც შავი, პრიალა ფეხსაცმლით შემოჭრაჭუნდა და ერთ არაჩვეულებრივ დღეს კი, ცისანას მორცხვად რომ მიესალმა, მორცხვადვე რომ მიაპყრო შავი წამწამებით დამშვენებული, უკვე დაწმენდილი ლურჯი თვალები (თურმე რა თვალებს მალავდა იმ ავადმოსაგონარი ქუთუთოებით), მორცხვადვე ახარა კიდევაც; «როგორც იქნა, სამსახური ვიშოვე, ქალბატონო ცისანაო!» _ «მართლა, ბატონო ფრიდონო?! _ მეზობელს რომ შეეფერებოდა, ნამდვილად იმაზე მეტად გაიხარა ცისანამ, _ სადაო?» ფრიდონმა თაფლისფერ თვალებს მაშინვე აარიდა ლურჯი თვალები, ლურჯსავე ცას მიაპყრო მშველელივით და წაიბუტბუტა: ისე, სპეციალობით ფიზიკოსი ვარ, თანაც დოცენტი, მაგრამ...

აი, მაშინ გაიხარა, თუ გაიხარა, ცისანამ. თურმე ფიზიკოსი ყოფილა თვითონაც სპეციალობით. გაირკვა ისიც, რომ თურმე ერთსა და იმავე წელს დაუმთავრებიათ, ოღონდ ერთს უნივერსიტეტი, მეორეს პოლიტექნიკური ინსტიტუტი...

გააჩაღეს, მაგრამ რა გააჩაღეს უცებ ცხარე საუბარი და თანაც რატომღაც მაინცა და მაინც კვანტურ ელექტრონიკაზე, შეწყვიტეს, მაგრამ რა შეწყვიტეს უცებვე და შეტრიალდნენ, რა შეტრიალდნენ, რა ჩემი ბრალია და ასევე უცებ, თავ-თავიანთ ოთახებში დაბნეულ-დამორცხვებულნი.

ხოლო აიქანუშამ, ღვაწლმოსილმა, ფიზიკოსთა ამ უმნიშვნელოვანეს სიმპოზიუმს თავიდანვე გულისყურით რომ უთვალთვალებდა თავისი აივნიდან, სავარძელში ვითომცდა ღრმადმითვლემილი (შეგშურდებოდა, «ლისა ალისა!») საბოლოო და მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო...

ქორწილი მთელმა ეზომ გადაიხადა ერთობლივად, არც ფულის დადება დაზარებია ვინმეს, არც შრომა და არც მოლხენა. სუფრა ეზოს მთელ სიგრძეზე გაიშალა, საჭმელ-სასმელს ვერ იტევდა, ისეთი იყო, რომელიმე რეფომრატორ პარლამენტარს ან მთავრობის წევრს რომ შემოევლო შემთხვევით, მთელ მასმედიას აქ მოჰყრიდა თვალებაპარპალებული, _ ა, შეხედეთ, ბატონო, ვინ გვაბრალებს, რომ ქვეყანა დავაქციეთ, დავამშიეთ და გავაუბედურეთო!

თამადა თეიმურაზ ერისთავი ისეთ სადღეგრძელოებს ამბობდა, ისეთ ჯვარულს და მრავალჟამიერს აგუგუნებდა და სუფრის წევრებიც ისეთი მოწიწებით შეჰყურებდნენ, სანამ უგონოდ გაილეშებოდა, პირდაპირ ცრემლი მოგადგებოდა თვალზე სიამაყისგან. მერე კი, როცა უაზროდ მოჰყვა ლუღლუღს და თავიც მკერდზე ჩამოუვარდა ჩვარივით, დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო: ვისაც რა მოეპრიანებოდა, იმას აკეთებდა, ვისაც რა გაუხარდებოდა, იმას ადღეგრძელებდა... ქართველები ქართულად მღეროდნენ და ცეკვავდნენ, ქურთები _ ქურთულად, ბერძნები _ ბერძნულად, ასირიელები _ ასირიულად... ოსებმა ოსური გარეკეს, აფსუებმა _ აფხაზური, რუსებმა _ რუსული, სომხებმა _ სომხური, თათრებმა _ თათრული... ლეკები ლეკურს ჭყიოდნენ, ჩეჩნები _ ჩეჩნურს, თურქები _ თურქულს... წინა თვეს შემომატებული ზანგების ზიმზიმა დუნდულური უნდა გენახათ, წინა კვირას მესამე სართულზე დასახლებული კუალა-ლუმპურელი ტინ-ტუნების ჭიპებით დამტკბარიყავით... ყველა ეროვნების ცეკვას რა ჩამოთვლის, ყველა ტომის სიმღერას რა გაიხსენებს! მოკლედ, გეგონებოდათ, ბაბილონის გოდოლი დაანგრია თუ არა, განრისხებულმა ღმერთმა მთელი ის ხალხი პანტა-პუნტით პირდაპირ ამ პატარა საქართველოს ამ დიდ ეზოში გადმოყარა საქეიფოდაო.

გამთენიის ხანს სუფრას ასევე მრავალეროვანი და მრავალრიცხოვანი ახალგაზრდობაც შემოემატა, ვინ დისკოთეკიდან ბრუნდებოდა, ვინ _ კაზინოდან, ვინ _ ბარიდან და ვინ _ საუნიდან. ვინ ბოიფრენდისგან წამოსულიყო შინ დასასვენებლად და ვინ

გერლფრენდისაგან. ვის სმით გაეხარებინა თავისი ჭია და ვის _ მოწევით, ვის _ წოლით და ვის _ დგომით... ჭიათავისუფლები, მხიარულები, აღგზნებულები, ცხენებივით ჭიხვინებდნენ და გავებით ეხეთქებოდნენ ერთმანეთს. ხელებს ხელებზე უტყაპუნებდნენ მისალმების ნიშნად, უადგილო ადგილებში ჩქმეტდნენ, საერთო, მარტო მათთვის გასაგებ ენასა თუ ჟარგონზე რაღაცას მეტყველებდნენ და ბილწსიტყვაობდნეენ...

შემომატებულებმა კალიებივით სწრაფად გადახრეს იქაურობა. ერთხანს გაბრუებულებმა ადევნეს თვალი თავ-თავიანთ «მშობლიურ ქაჯურსა» და «ტრუხა ბაზარს» (როგორც რომ იმ ნაწნავიან-საყურიან თავსაფარწაკრულმა და შორტიანმა ჩვიდმეტიოდე წლის არსებამ ბრძანა, ყველაზე მეტად რომ აქტიურობდა) და ბოლოს ერთხმად გადაწყვიტეს, თავისი უფლება აქაც მტკიცედ დაეცვათ და გამოეყენებინათ.

თეფშში თავჩარგულ თამადა ერისთავს არც გაუგია, ახალგაზრდებმა ისე გადასვეს სათამადო სკამიდან პირდაპირ მიწაზე, მისი ადგილი კი იმწამსვე დაიკავა დიდმა მუსიკალურმა ცენტრმა.

ხმაურიანმა მუსიკამ უცებ გაკვეთა სივრცე, ნაირფერმა ილუმინაციამ კი ისე მეყსეულად გაახვია თავბრუდამხვევსა და ჯადოსნურ აბლაბუდაში იქაურობა, წამით თვით მოახლოებულ აისსაც კი დაუკარგა უკვდავი სილამაზე და ფერი, არა თუ მოულოდნელობისგან გაშეშებულსა და განცვიფრებულ მშობელმოცეკვავეებს, რომელთაც მანამდე არც კი შეუმჩნევიათ ახალგაზრდობის გლობალური ფართი-ფურთი და სამზადისი.

უცებ დადუმდნენ შეჯიბრში ჩაბმული სალამურიც და საზანდარიც, ჩონგურიც და ბალალაიკაც, თარიც და დუდუკიც, აკორდეონიც და გარმონიც, გიტარაც და კანტელეც, კოკლეც და მუსლიც და ა.შ. სხვადასხვა ეროვნულნიც, ერთ ადგილას გაიყინნენ მშობელთა თუ ჯერ ისევ «ქაჯ» და-ძმათა გრაციოზული სხეულები, ნარნარად გაშლილი თუ მოქნეული მკლავები, ამაყად შემართული მხრები, მკერდები თუ კისრები.

მუსიკა იყოო... მკვდარს წამოაგდებდა საფლავიდან, მკვდარს დააწყებინებდა კანკანს**.

ხუმრობა ხომ არ იყო, _ ლუ, დიდი და უკვდავ-უბერებელი მაესტრო, ლუ-ციფერმანი დირიჟორობდა თვითონ!

განურჩევლად ყველასათვის უკრავდა ანსამბლი და უკრავდა გამორჩეულად მხოლოდ ერთადერთის სადიდებელს!

საცეკვაო მოედანი თინეიჯერებმა დაიპყრეს მთლიანად.

ო, რა ერთსულოვანნი იყვნენ, ო, რა შეხმატკბილებულნი, _ ბაბილონის უწინდელ მშენებლებსაც კი შეშურდებოდათ!

ცნობამიხდილნი, ნეტარებისგან აკვნესებულნი ცეკვავდნენ წელსქვემოთურ ჭიურს, მომნუსხველი ვნებით ეხახუნებოდნენ ერთმანეთს, ეფერებოდნენ და ელოლიავებოდნენ საკუთარსაც და სხვისასაც, თითქმის ყველა პოზას გამოხატავდნენ, რაც რომ ადამ და ევას შემდგომ მოსვლიათ თავში მათ შთამომავალთ... თანაც რა ადვილი იყო ეს ყველაფერი, აბა «გოიმი» წინაპრებივით ხომ არ დაიმსხვრევდნენ ცერებს, ისედაც ნაწვალებ და ნაჩხვლეტ მკლავებს ხომ არ დაიღლიდნენ უაზროდ... კისრის ძარღვებს ხომ არ დაიწყვეტდნენ რაღაც სულელური სიამაყის გამო და ატომის ეპოქაში რკინის ორლესული ჯართის ქნევას ხომ არ მოჰყვებოდნენ გიჟებივით, აქაოდა, მართალია, თქვენთან ერთად ვქეიფობ, მაგრამ ლხინის დროსაც კი არ დაგავიწყდეთ, ვინ ხართ, ვინ ვარ და რა ისტორიის პატრონიო!

გეგონებოდათ, დაგვიანებული საპატიო სტუმარიაო, აღმოსავლეთიდან სულმთლად ახალი, შარავანდმოსილი მთვარე გადმოიწვერა და სუფრას დაადგა თავზე.

უკვე დაღლილმა, რატომღაც დაზაფრულმა ჯვარდაწერილებმა შეთქმულებივით მიაპყრეს მზერა საყვარელ ნამგალას და ფეხაკრეფით გაეპარნენ არეულ სუფრას.

პედაგოგ ფლორას, რაღა თქმა უნდა, არ უქეიფია ქორწილში. მთელ ღამეს ეზოში დედაწულიანად მოქეიფე პოღოსიანების მეათეს უნანავებდა გამწარებული. ახლაც, მთელ

ეზოში მხოლოდ მას სჭირს უძილობა, მით უმეტეს, გრადი «ყაზბეგის» შემდეგ, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც, ბედის დაცინვა კია, მაგრამ სწორედ ქართული ენის ნორმების სისტემატური დარღვევის გამო გაათავისუფლეს სამსახურიდან (ზუსტად ასე ჩაუწერა მოხსნის ბრძანებაში ფლორას დეიდაშვილის მაგიერ დანიშნულმა ახალმა პრორექტორმა, მის ადგილზე კი იმავე წუთს დანიშნა თავისი ახალგაზრდა საყვარელი ეთო ქიმიკოსი). ღამის სამი, ოთხი საათიდან მხოლოდ ისღაა ხოლმე გადმოყუდებული აივანზე. ასეთ დროს კვაშალების მარტოხელა მოხუცი თუ გამოაღებს ზოგჯერ-ზოგჯერ კარს, ისიც ღრიჭოდ, ანდაც, რომელიმე დამაშვრალი თინეიჯერი თუ შემობორიალდება ეზოში ჩვეულზე ადრე და მოწამლულ ტარაკანასავით ეძებს თავის ბინას.

დგას აივანზე უძილობით და თავისი გაუხარელი ქალობით გაწამებული ფლორა, დროდადრო რისხვით აჰყურებს მთვარეს, რისხვითვე ჩაჰყურებს მეორე სათულზე გაერთიანებულ ორ პატარა აივანს და ოხრავს, ყველაზე მეტად კი მაშინაა უბედური და საბრალო, როცა სახეგაცისკროვნებული ცისანა ფრიდონს და ერთ პატარა, ჩანთიან ყმაწვილს გამოაცილებს ხოლმე აივანზე. ყმაწვილი გიორგი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ფრიდონს და ეს არცაა გასაკვირი. გასაკვირი ისაა, თანდათან დედა ცისანასაც რომ ემსგავსება. მერე როგორ ეხუტება, როგორი სიძლიერით მოხვევს ხოლმე ჯერ ისევ სუსტ მკლავებს, გეგონება, ეშინია, ამანაც ქუჩაში არ დამტოვოს უსახლკაროდ და იმ დედასავით ვინმე ბიძია თხის რქას არ გაეკიდოს საზღვარგარეთო.

ფრიდონი გაბრწყინებული თვალებით დაჰყურებს დედა-შვილის დროებით გამოთხოვებას, მერე თვითონაც კოცნის მეუღლეს, რატომღაც ყოველთვის ძველმოდურად კი, _ შუბლზე!

«ჰმ, მთვრალმა თაგვმა ღამურა დაინახა და ვაა, ანგელოზი!» _ უღონო გესლით ქირქილებს ასეთ დროს ფლორა, ოღონდ, რაღა თქმა უნდა, ჩუმად, ახლაც ვერ მოუნელებია, მის ხმამაღლობას რომ მოჰყვა რაც.

აი, იმ პირველი მეჭეჭისას კი ნამდვილად ვეღარაფერს მოგახსენებთ!

მეოცნებე, ნაღვლიან თვალებში

ტყის პირი. კაკლის ჩერო, ჩეროში უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ზურგჩანთები. ყვითელ ზურგჩანთას მისვენებული ყვითელი ქალი მიბნედილ მზერას არ აშორებს ვაჟს.

ვაჟი, _ მზით გარუჯულ სახეზე სიყვარულით გაბრწყინებული თაფლისფერი, კეთილი, კეთილი თვალები, შუბლზე ჩამოშლილი წაბლისფერი თმა, მუხლებზე წაჩოქილი, იდაყვით დაყრდნობია მოლისფერ ზურგჩანთას:

_ ჰო, დიკენსზე მოგიყევით... კიდევ ვინ მიყვარს, იცით? სტერნი. ლორენს სტერნი. მთელი თვეა გაოგნებული დავდივარ. ვნანობ, აქამდე რომ არ ვიცნობდი. თანაც, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერებაა დედანში წაკითხვა. პირველივე წიგნით მოიხვეჭა აღიარება ლონდონში. ლონდონის შემდეგ წარმატება ევროპაში. ვოლტერი რემბრანდტის გვერდით უჩენს ადგილს, როგორც გენიალურ მხატვარს. უცებ მთელი მსოფლიოს საყვარელი კერპი ხდება და თქვენ გგონიათ, ამხელა წარმატება თავბრუს ახვევს? პირიქით, ირონიით წერს ბობოლებზე, რომელნიც ყველანაირად ცდილობენ მისდამი ყურადღების გამოჩენას. რა მახვილგონიერება, რა გრძნობების სიღრმე! ტრაგიკული, არნახული სიყვარულით უყვარს ელაიზა დრეიპერი... ახ, რა სამწუხაროა ხოლმე ასეთი ადამიანების ადრეული სიკვდილი! იცით, ლესიგს უთქვამს, სიამოვნებით დავთმობდი ათი წლის სიცოცხლეს, ერთი წლით მაინც რომ გაგრძელებულიყო სტერნის სიცოცხლეო. ასეთი ადამიანისათვის მეც დავთმობდი სიცოცხლეს. საქართველოში, მაგალითად, ვისთვის დავთმობდი, იცით? _ ვაჟი თვალს

ჭუტავს და ჩაფიქრებული აჰყურებს კაკალს. ალერსით დასთამაშებს სახეზე ფოთლებსშუა გამოპარული მზის ათინათი.

«სტერნი... სტერნი კი არა მურმანის ეკალი... გიჟია ოხერი, რაზე კარგავს დროს, რაზე იღლება. არა და ჯერ არ ჩანს არავინ. ალბათ არც გამოჩნდებიან. ჰმ, რამდენი ვიწვალე, რომ ამასთან მარტო დავრჩენილიყავი, ეს კიდევ...» _ ქალი ბრაზით ათვალიერებს ვაჟის კუნთმაგარ სხეულს, დახვეწილ სახეს _ ჰმ!

_ იცით... იცით, მარტო ათ წელიწადს კი არა, მთელ სიცოცხლეს ვის შევწირავდი? დავით აღმაშენებელს და ილია ჭავჭავაძეს. აი, ვინ გვჭირდება ახლა. ან ერთი, ან მეორე. თქვენ ხედავთ, როგორაა დაბნეული ჩვენი ხალხი? ძლივს, თავისუფლებისათვის ბრძოლის დრო დაგვიდგა და როგორ ვიბრძვით...

_ როგორ?! _ ცივად კითხულობს ქალი და ამთქნარებს, _ შენ რაო, არ მოგწონს?

_ პატრიოტულ მოძრაობაზე იმდენი რამე წამიკითხავს, _ თვალები უნაღვლიანდება უცებ ვაჟს, _ და ყოველთვის ისე ამაღლებული... ვოცნებობდი ხოლმე მოვეკალი ვინმეს მეც, მამულის სიყვარულისთვის, იცით, შარშანდლამდეც კი თითქმის ყოველღამ ძილის წინ ოცნებით სამშობლოსათვის ვკვდებოდი, აი, ასე, შუაზეგადაჩეხილი, _ მკერდზე ირიბად ისვამს ხელს და მეოცნებე ფართო თვალებში ღიმილი უდგება, _ და ყოველღამ, ყოველი სიკვდილის წინ ორად ორ სახელს ვამბობდი მხოლოდ.

_ ერთი ალბათ საქართველო. მეორე? _ დაცინვით ეკითხება ქალი, _ ალბათ საყვარელი ადამიანი?

_ ო, დიახ! _ რატომღაც წითლდება ვაჟი და უხერხულად აჰყურებს კაკალს, _ იცით, განსაკუთრებით მიყვარს კაკალი.

_ თხილი?! _ თანდათან ერევა სიბრაზე ქალს.

_ საჭმელად კი არა, _ ეცინება ვაჟს, _ კაკალს ჩვენი ხალხის გადარჩენაში რამხელა წვლილი მიუძღვის, იცით? ძიძა იყო ჩვენი მარადი. მუდმივად მტრისგან დაწიოკებულთ, ამოწყვეტის პირას მისულთ, როცა ხვნასაც ვეღარ ვახერხებდით და თესვასაც, კაკალი გვინარჩუნებდა სიცოცხლეს კლდე-ღრეებს შეხიზნულთ; რა გულისამაჩუყებელია, არა?

_ გადასარევი! _ კბილებსშუა ცრის ქალი, _ ესე იგი, ასე ძალიან გიყვარს სამშობლო, არა?! მიტინგებზე თუ დადიხარ ერთი.

_ არა, _ ნაღვლიანად აქნევს თავს ვაჟი.

_ ჰმ, ასეც ვიცოდი, _ დაცინვით ამბობს ქალი და ფეხებს გამომწვევად შლის ბიჭის წინ.

_ ვიყავი რამდენჯერმე _ დაცინვას ვერ ხვდება ვაჟი, _ ცილისწამების, ლანძღვა-გინების, სიძულვილის მეტი ვერ ვნახე ვერაფერი. თანაც რა საშიშია მასისთვის, რომ იცოდეთ, სიძულ-ვილის ეს საჯარო გაკვეთილები; ჰმ, ისიც კი არ იცის თითქმის არავინ, კონკრეტულად ვინაა სამშობლოს მტერი.

_ ოჰო-ო! _ წელში მკაცრად სწორდება ქალი, _ შენ რაო, ვერ ხვდები, შეურაცხყოფას რომ აყენებ ამით ეროვნულ მოძრაობას?

_ მე არა, თვითონ.

_ რა, თვითონ?!

_ თვითონ აყენებენ შეურაცხყოფას.

_ ვის? _ წარბს იკრავს გაწიწმატებული ქალი.

_ სიყვარულს, სიკეთეს, პატროტიზმს.

_ რითი, მაინც?

_ იცით, სიძულვილით ბრძოლა არ შეიძლება. თანაც რა უბედურებაა, უკაცრავად და ამდენი კახპა ქალი. კახპების რევოლუცია გეგონება პირდაპირ. კი, წამიკითხავს, კურტიზანი ქალებიც ღებულობდნენ ყველანაირ მოძრაობაში მონაწილეობას, მაგრამ არა ხმის უფლებით. ამიტომაცაა ალბათ ყველაფერი ასე მდაბიური და ასე გაჟღენთილი სიძულვილით.

_ მტერი გძულდეს უნდა, აბა გიყვარდეს?!

_ დიახ, _ ეღიმება ვაჟს, _ სწორედაც რომ უნდა გიყვარდეს მტერი შენი.

_ ვინ? რუსი მიყვარდეს, რუსი?!

_ რუსია შენი მტერი? _ ნაღვლიანად ეღიმება და თავს აქნევს ვაჟი, _ თქვენ მართლა არ იცით, ვინაა მტერი და თუ ოდესმე მაინც გაიგებთ, გვიან იქნება უკვე ალბათ.

_ შენ რაო, ხომ არ გინდა გამაგიჟო? _ დოინჯს იყრის ფეხზე ფიცხლად წამომხტარი ქალი და გააფთრებით დაჰყურებს თავზე ვაჟს, _ დიახ, არ იცი, რომ არ მინდა მონობა? არ იცი, რომ თავისუფლებისათვის სიკვდილი სჯობს მონობაში სიცოცხლეს?

_ ოღონდ ცალკეული პიროვნებების და არა ერის, _ დაღლილი ხმით ამბობს ბიჭი და უცებ საშინლად უნაღვლიანდება სახე, _ იცით, მე თქვენი სიკვდილი კი არ მადარდებს.

_ აჰ, არც მიფიქრია! _ სარკასტულად ხარხარებს გაანჩხლებული ქალი, _ ეჭვიც არ მეპარება, თქვენ მარტო შტერნის სიკვდილი თუ შეგაწუხებთ. მთელი ქართველობა რომ ამოწყდეს, ფეხებზე დაიკიდებთ ალბათ.

_ ღმერთმა დაგვიფაროს! _ პირჯვარს იწერს შეშფოთებული ბიჭი, _ თქვენ ვერ გამიგეთ. მე თქვენი, კონკრეტულად პეტრეს, პავლეს, ჩემი სიკვდილი კი არ მაშინებს, მე ერის სიკვდილი, ნებაყოფლობითი ხარაკირი მაშინებს სწორედ, როგორც თქვენ ბრძანეთ და როგორც მიტინგზე ამბობენ. ამით ხომ მარტო მე, თქვენ, პეტრე და პავლე არ მოვკვდებით, ამით ხომ შოთა მოკვდება, ილია, ვაჟა, დავითი. გიფიქრიათ ამაზე?

_ აბა, რა გინდა, მონავ? _ ზიზღით ათვალიერებს ქალი ვაჟს, _ მონობაში განვაგრძოთ სიცოცხლე? და რა ფასი აქვს, რა შეჰქმენი ფასეული თუნდაც მონობის ამ ორასი წლის მანძილზე?

_ ჰმ! მეორე მიტინგზე მოვისმინე სწორედ ის, რაც ახლა თქვით. იცით, უნიჭო ხალხის თავისმართლებაა ეგ და სხვა არაფერი. მარტო ბოლო, ყველაზე საშინელი პერიოდის ორ პოეტს დაგისახელებთ, ნებისმიერ თავისუფალ, თუნდაც უზარმაზარ იმპერიას რომ დაამშვენებდა თავისმოსაწონებლად. გალაკტიონი და ანა! ახლა ხვდებით, რომ მონობა არაფერ შუაშია ხელოვნებასთან? ანდა როდის ვიყავით გალაღებულნი, როდის გვეცალა მარტო საწერად და ასაშენებლად?

_ მონა!

_ არ ვარ მე მონა, არც ვყოფილვარ არასდროს, _ ლმობიერად უღიმის ვაჟი ქალს, _ დაბრძანდით და ისე მომისმინეთ, რატომ არ გიყვართ თქვენ სხვისი აზრების შეწყნარება. დიახ, თავისუფლება, დამოუკიდებლობა უნდა მოვიპოვოთ, ჩვენც, რუსებმაც, თხუთმეტივე რესპუბლიკამ, მაგრამ არა სიძულვილით.

_ ნუ წაიღე ტვინი ერთი მაგ შენი სიყვარულით, _ არ გაახურა! _ მსუბუქი ყოფაქცევის ქალის მანერით აქნევს ხელს ქალი, _ სიყვარულის თავი რომ გქონოდა, ამაზე კი არ ილაქლაქებდი ასეთ დროს.

_ როგორ დროს? _ ვერ ხვდება ვაჟი.

_ როგორს და... _ დაცინვით შეჰყურებს ქალი, _ მორჩი ახლა, კიდევ კარგი, შენსავით ტვინდაბნელებული არაა ამ ქვეყანაზე ყველა და მოვიცილებთ კიდევაც მალე რუსეთის უღელს.

_ რათა ქედი უფრო საშინელს წავუშვიროთ, არა? _ სასოწარკვეთით ეშვება მუხლებზე ვაჟი, _ ღმერთო, რა სწორად თქვა ვიღაცამ: «ისტორია გვასწავლის მხოლოდ იმას, რომ ისტორია ვერაფერს გვასწავლის»... თუ, უკაცრავად, ერეკლე მეფეზე და ქეთევან წამებულზე მეტად გიყვართ სამშობლო?

_ მაგ შენმა ერეკლემ დაგვღუპა ერთხელ და მადლობა ღმერთს, გვყავს ახლა მაინც, ჭკვიან ხალხი.

_ მისმინეთ, ორი საქართველო გვაქვს აგერ თვალწინ: ერთი თურქეთის, ერთი რუსეთის. აქვს თურქეთის საქართველოს თავისი სარწმუნოება, ენა, კულტურა, ყველაფერი ის, რითიც ერს ერობა ეთქმის? ჩვენ, რუსეთის საქართველოს?! და რატომ, თუ იცით, ასე თუ ისე, მაინც ერთმორწმუნეობის გამო. და კიდევ იმის გამო, რომ მეფემ, ლამის აკვნიდანვე ხმალს რომ იქნევდა მამულისათვის, ირგვლივ მოჯარულ მტერთაგან ნაკლებ საშიში ამოარჩია მცველად. არც დასავლეთისკენ გაუხედავს და...

_ რუსეთის საქართველოს რაღა ბუს კვერცხები აქვს, ბატონო მონავ? _ ისევ გააფთრებით წივის ქალი, _ ანდა რატომ გგონია ახლა, ამ საუკუნეში, თურქი ან სპარსი საშიში? აი, შედეგი იმისი, მიტინგებზე რომ არ დადიხარ. ამიტომაც არ გაგეგება არაფერი, ჩემი ბიჭი, _ დაცინვით უჩეჩავს იგი ვაჟს ქოჩორს, _ თულქი და სპალსი აღალაა საშიში, ალა! შეუშვი მაგ საწყალ თავში, რომ მეოცე საუკუნის ბოლოა ახლა.

_ ხოლო კუვეიტში მეხუთე საუკუნე, არა?! თანაც ჩვენ რამდენი ხანია გეოგრაფიული გარემო შევიცვალეთ, ვცხოვრობთ ქრისტიანებით გარემოცულ ცივილიზებულ სამყაროში, ირგვლივ ჭაჭანება აღარაა მტრის. მთელი კაცობრიობა ერთმანეთს სიყვარულს ეფიცება, რომ რელიგიებს შორის აღარავითარი ბრძოლა აღარაა... _ უკაცრავად, _ უცებ წითლდება ბიჭი, _ როგორ გელაპარაკებით ლამის დედის ტოლ ქალს, მაგრამ...

_ მონავ, შე მონავ, მართლა! ლაწირაკო! _ საბოლოოდ გამოდის მოთმინებიდან გააფთრებული ქალი, _ განა ერთმორწმუნე რუსეთმა არ დაგინგრია ეკლესიები და არ წაგართვა ის შენი საყვარელი ღმერთი?

_ იმაზეც თუ გიფიქრიათ ოდესმე, თვითონ რუსეთს ვიღამ დაუნგრია ეკლესიები და ვინ წაართვა სარწმუნოება?! _ გაფაციცებით აჰყურებს ბიჭი ქალს, _ ვინ დაუხოცა არისტოკრატია, ინტელიგენცია? არა, ყველაფერი ეს რუსმა, ისევე როგორც აქ ქართველმა, თავისივე ხელით ჩაიდინა, მაგრამ ვისი შთაგონებით?

_ მორჩი, კაცო, ერთი, ჭკუა არა მაქვს მეც, შენ რომ აგყევი, _ ბრაზით ატრიალებს გვერდზე თავს ქალი.

_ ჩვენც დამოუკიდებელნი უნდა ვიყოთ, რუსეთიც და ვიმეგობროთ უნდა, როგორც მართლმადიდებელმა ქვეყნებმა.

_ ისევ ერეკლეს შეცდომა გავიმეოროთ, არა? საცოდავო შენ, რუსმა თუ არ გვიბატონა, ისე ვერ ვიცოცხლებთ, არა?

_ გვიბატონოს კი არა, გვიმეგობროს უნდა, როგორც მართლმადიდებელმა, თორემ ფიზიკურად თუ არა, ეკონომიკურად მაინც დაგვიპყრობს ვინმე უარესი. ვიცოცხლებთ, მაგრამ რა, ჩვენი აღარ გვექნება არაფერი და ასე მოვკვდებით ცოცხლად მეც, თქვენც, პეტრეც, პავლეც და რაც მთავარია, შოთა, ილია, ვაჟა, დავითი... იცით, მე ახლა არ გამიღვიძია, მე მართლა მიყვარს და გული მიგრძნობს ამიტომ, რაცაა უკეთესი. ხუთასი ათას შვიდასი ვიყავით დარჩენილი რიცხობრივად, მეფემ რუსეთთან რომ შეგვაერთა.

_ და საბოლოოდაც დაგვღუპა! _ რატომღაც გვერდზე აფურთხებს ქალი.

_ ღმერთო, რატომ არის თქვენთან საუბარი ასე ძნელი? აბა ახლა პირიქით წარმოიდგინეთ, თქვენ ისტორია იცით კარგად? მიტინგებზე ნასწავლს არ გეკითხებით.

_ არ სჭირდება, ბატონო, მაგას ცოდნა და განათლება და მოკეტე ახლა, თუ ძმა ხარ. შენ რომ გისმინოს კაცმა, მთელი ცხოვრება მტერი თუ არ გვეყოლა...

_ იცით, მაგაზეც რომ მიფიქრია? _ უცებ ალალად ეღიმება ბიჭს, _ უფალმა ჩვენზე უკეთ იცის ჩვენი ბუნება. ჩვენ თუ საერთო მტერი არ გვეყოლა, ჩვენი ხელითვე ამოვჟუჟავთ ერთმანეთს.

_ ჰოო, მონავ? _ ქირქილებს ქალი.

_ ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, თუმცა არც მთლად, _ მხარს იჩეჩავს ბიჭი, _ აი, რომ ვიყოთ მართლა უსაფრთხო, თავისუფალი ქვეყანა და დავითივით გვყავდეს მეფედ ვინმე, მაშინ კი, იცოცხლე, მოუვლიდა გარეწარს, ყველას, სათითაოდ.

_ ააჰ, _ ოხრავს ქალი, _ ვის გადაგეყარე, წავთრეულიყავი მეც მდინარეზე. უიმეე! ძლივს ადამიანი არ გამოჩნდა?! _ მართლა სიხარულით იშვერს ხელს ქალი აღმართზე ამომავალი მკერდგაბანჯგვლული კაცისკენ, _ შენ კიდევ, ლუკა, რას გეტყვი, იცი? მეცოდები მაინც და ამიტომ გაფრთხილებ, ამასთან ასეთი ლაპარაკი არ დაიწყო, თორემ ხომ იცი, რომელი პარტიის წევრიცაა...

_ ვიცი, _ ნაღვლიანად, უილაჯოდ იღიმება ბიჭი, _ ჩემთანაც სწავლობენ მაგ პარტიის წევრები. ამასწინაც ერთმა ცხვირი დააცემინა, _ ეცინება ბიჭს, _ და მეორემ მიაძახა აღტაცებით: სამშობლოს თავისუფლება, მაკუშ! წარმოგიდგენიათ, საკუთარ ცხვირებამდე ჰყავთ დაყვანილი ეს ულამაზესიგრძნობა, პატრიოტიზმი. ეჰ, სძინებოდათ ნეტავი ისევ, რა საშინლად გამოიღვიძეს ბნელში დამწყვდეული ხარებივით და ეტაკნენ მტერს კი არა, მტერი, ხომ გითხარით, არც იციან, ვინაა, _ ვისიც კი რამე შურდათ, და განსაკუთრებით ინტელიგენციას. სიბნელე ხომ სინათლეს ებრძვის ყოველთვის, უჭკუობა _ ინტელექტს, სიმახინჯე _ მშვენიერებას...

ეეჰ, ჩვენი პატარა, საწყალი სამშობლო. დედასავით, მამასავით კი არაა ჩვენთვის, ისე, როგორც დიდი, ძლევამოსილი ქვეყანა თავის მრავალრიცხოვან შვილთათვის, არა, ობოლი, თოთო ბავშვივითაა, მტერთაგან ასე ყოველმხრივ ალყაში მოქცეული და თითოეული ჩვენგანის დამოკიდებულება მისდამი როგორი უნდა იყოს, იცით? როგორც დედის, რომელიც უძლურია თვითონ უპატრონოს შვილს მარტომ, შეჰყურებს შეშფოთებული გარსშემოხვეულ ყაჩაღებს, რომელთაგან ზოგს სულიერადაც და ფიზიკურადაც მთლიანად სურს ბავშვის მოსპობა, ზოგს ოქრომკედით ნაქარგი სამოსელი აინტერესებს მისგან მხოლოდ, სამაგიეროდ კი სიცოცხლეს, საკუთარივე ფესვზე გაზრდას ჰპირდება და ყალბად თუ მართლა, პირჯვარსაც იწერს ამის თავდებად... და თანაც, ხომ არსებობს მართლა ღმერთი, უფალი ჩვენი, იესო.

_ ჩაიგდე ენა ახლა, თორემ მართლა აღარ დაგინდობ, იცოდე! _ სისინებს ქალი და თვალებგაბრწყინებული ეგებება ქოშინით მოახლოებულ მკერდბანჯგვლიანს, _ შენ შემოგევლე, რა კარგ დროს მოხვედი, თემო, მოვკვდი ამასთან რა, ასე მეგონა, მარტო ვიყავი.

_ დედა ვატირე იმათი, _ აბოყინებს თემო და შიშველ მუცელზე ხელს ძალუმად იტყაპუნებს, _ ის ვერ მომინელებია, აქ რომ წამოგყევით და ახლა კიდევ მდინარე და იქ ხეტიალი. მერე კიდევ ის პიჟონი, ნუგზარას წამოყვანილი _ მერაბა მესხის პარტიიდან ყოფილა. კინაღამ ჩავაძაღლე იქვე, ვა, ბიჭო, არ გამიბა ბაზარი?! რაო, ეს რა ტიპია, რამე ხომ არ გაკადრა.

_ მაკადრა კი არა, _ რატომღაც დანანებით ამბობს ქალი, _ ენციკლოპედიაა ცოცხალი. ვიღაც მწერალს ვიღაც ქალი ჰყვარებია ტრაგიკულად და არნახულად, თანაც ნაადრევად მომკვდარა. ორი საათია იმაზე ტირის.

_ შენ, შენც ხომ არ გიყვარს ვინმე, ჩემი ბიჭი, ასევე ტრაგიკულად და ასევე არნახულად? _ რატომღაც პისტოლეტს იღებს ჯიბიდან და ასევე რატომღაც კაკალს უმიზნებს კაცი, _ ნახე, ჩავსვი ტყვია შიგ კაკალ გულში, _ თავისივე ხუმრობაზე თვითონვე ხითხითებს და ასევე პისტოლეტშემართული იშხლართება მოლზე, _ ჰა, გიყვარს? _ ქალის კალთაზე დადებულ თავს მაღლა სწევს და თვალს მკაცრად უსწორებს ბიჭს, _ რომელ პარტიაში ხარ?!

ბიჭი არ პასუხობს. ლოყით ეხუტება ბებერი კაკლის დახავსებულ ტანს, მაგრად ხვევს ორივე ხელს და რატომღაც ცრემლი უდგება ჰორიზონტისკენ მიპყრობილ მეოცნებე, ნაღვლიან თვალებში.

ადიულტერი

«არა, ვატყობდი, ისედაც დიდი ხანია, ვატყობდი.. წითლდება ჩემს დანახვაზე, თვალს ვერ მისწორებს, რცხვენია თანაც... რისი, სიხარულო, რისი... მართალია, ძმაკაცი კია ჩემი, მაგრამ... ისე, ვითომ მე და შენ უფრო არ შევეფერებით ერთმანეთს?! თავიდანვე როგორ ვერ მივხვდი. არა, თუმცა თავიდანვე... ხელი გამომიწოდა თუ არა, გაწითლდა... ერთი ნახვით შეყვარება! ეჰ, ცოტა არ იყოს, არასასიამოვნო კია მაინც, _ ძმაკაცის ცოლი! მაგრამ რას გაიგებს... გაიგებს და გაიგოს; მთავარია, ცოლს უნდა, მე არ დამიწყია... არა, თუმცა რა არ დამიწყია, გგონია, ვერ ხვდება, რატომ დავდივარ ასე ხშირად მათ ოჯახში? კი, ვიყავით და ვართ კიდევაც ძმაკაცები, მაგრამ... ჰმ?! ზნეობა! ღმერთი! კაი, ერთი, თუ ძმა ხარ, გგონია, არსებობს მართლა?! სისულელეა! მღვდლების, ბებიების და ბაბუების და იმათი მონაჭორია, ვინც გემო არ იცის ცხოვრების. ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა, მაიმუნისგან რომ არ წარმოშობილიყო, არც ემსგავსებოდა ასე მაიმუნს, მაიმუნია, აბა რა, როგორ ექცევა ანგელოზივით გოგოს, წესიერად ჩაცმითაც კი არ აცმევს, არათუ... თვითონ იკისრებდა? ჰმ, ერთი გაებედა! ჯერ ერთი, ჩემი ცოლიც არაა ისეთი.... თვითონაც, გიაც, არა მგონია... ერთი იმის! არ იცის, რაა ალბათ, ნამდვილი მოწონება და... ან ჩემი ცოლი რა მოსაწონია ერთი... აი, მანანა კი... აუუ, მარტო მაგისი ათქვირებული მკერდი! რა ჩემი ბრალია, ქალს თვითონ მოვეწონე, თვითონ შემითანხმდა, თვითონ მთხოვა შეხვედრა. ლალის?!.. ლალი ამდენს ვერ გაბედავდა. მე გამომაპარებს რამეს? თანაც ორი შვილის დედაა. კარგია, ამათ შვილი რომ არ ჰყავთ ჯერ... ახიცაა გიაზე. შეიძლება, ქალს ასე ენდო?! ისე, კაცმა რომ თქვას, რა მოხდა, ვითომ, ჯერ ერთი, რას გაიგებს გია, როგორც წესი, ქმრები ან სულ ვერ იგებენ ან ყველაზე გვიან, მანანას ჭირიმე, ისე ითამაშოს... ისე მთხოვს ხოლმე, დარჩი, ცოტა ხანს, დარჩი კიდევო, მეც კი ეჭვი შემეპაროს ლამის, ძმასავით ხომ არ ვუყვარვარ ნეტა და არა სხვანაირად-მეთქი...

ადრე მომივიდა მოსვლა... გოგაც რა კარგად შევკერე: _ «ა, ბატონო, გასაღები, ოღონდ თავი დამანებე და გინდა მთელი წელიწადი ნუღარ გამოყოფთ ცხვირს იმ ჩემი ოხერი ოთახიდან, ნურც შენ და ნურც ის ქალბატონი, ვიღაცის შეყვანას შიგ აპირებო».

გია? მაინც რომ გაიგოს? გაიგოს და გაიგოს, მაგის დედაც! მოვიმწვანილებ ამასობაში და მივუგდებ, როცა იქნება, უკან. ზღვაზე უნდა წავიყვანო, თუ მოვახერხე, ორი კვირით მაინც. რა უნდა ამის მოხერხებას ერთი, წაიყვანს გია, დატოვებს, ჩამოვა ქალაქში, ვესესხები ფულს და ჩავაკითხავ მეორე დღესვე მეც...

რას მეტყვის ნეტა.. საკაიფო რამეა ცხოვრება, აი! ვიფიქრებდი კი ოდესმე, რომ ეს ანგელოზივით ქალი შემიყვარებდა? თანაც ვის? _ ქმრის უახლოეს ძმაკაცს, განუყრელს, განუშორებელს... ათი წუთი დარჩა, ათ წუთში მოვა... ამ გალექებულ, ჩამოკონკილ მაიმახსაც ახლა მოუნდა მაინცდამაინც ამ სკამზე ჩამოჯდომა, ფუი, რა ტურტლიანია თან. რამ უნდა გაიძულოს, ეს ახლოს მიიკარო. თუმცა რა, მოვა თუ არა მანანა, ავიყვან გოგას სახლში, დაღამებამდეც ჯერ ადრეა, იქნებ დავარეკინო კიდევაც გიასთან, _ დედასთან რჩება ვითომ, აუჰ, თუ ეგრე გამოვიდა, რა ღამე მელიის! ეგრე, ძმაო, როცა საქმე ქალს ეხება, მაშინ დასაშვებია ყველაფერი, მით უმეტეს, ქალს უნდიხარ? _ მორჩა ბაზარი! თანაც ქმარია ეგ? რა ცუდად ექცევა. არა, თქმა არ უნდა, ჩემთვის თავგადაკლულია, მანქანაც გიამ დამითმო ჩალის ფასად, ავეჯისთვისაც მაგან მასესხა ფული და ლალის ქურქისთვისაც, ჩუქებითაც რამდენჯერ გვაჩუქა, მაგრამ... ოოჰ, მორჩი, რა! მანქანა, ავეჯი, ქურქი და მაყუთი რა მოსატანია ამ ამბავთან! ადვილი რომ იყოს, კაცობრიობის მთელი ტრაგედია ამაზე კი არ იტრიალებდა... ადიულტერი, არა? ასე ჰქვია მე მგონი, _ ცოლი, ქმარი და საყვარელი. კაი სიტყვაა სა-ყვა-რე-ლი. ე.ი. საძულველი ქმარი და საყვარელი სა-ყვა-რე-ლი! რა დროს გიაა, ერთი, მოვიდეს ოღონდ მანანა... ჩემი შავთვალა, ლამაზი და ნაღვლიანი მანანა...»

შავთვალა, ლამაზმა და ნაღვლიანმა მანანამ ქუჩა გადმოჭრა, ბაღი შესასვლელიდანვე მოათვალიერა, ოდნავ გაიღიმა, ძელსკამს მიუახლოვდა და მორცხვად გაუწოდა ხელი ლადის:

_ ძალიან ხომ არ დავაგვიანე?

_ სიხარულით გავატარებდი ამ სკამზე თუნდაც მთელ სიცოცხლეს, _ შენს მოლოდინში, რაღა თქმა უნდა, _ აღტაცებით გაუწოდა ხელი ფეხზე წამომხტარმა, ღილკილოში ყვავილყვავილგარჭობილმა ლადიმ ქალს და გვერდით ჩამომჯდარ «მაიმახს» ისეთი სახით დახედა ზემოდან, საწყალი მაიმახი იმავე წამს გაჰქრა იქიდან.

მანანამ ფიქრიანი მზერით შეათვალიერა კაცი, რატომღაც წარბი აზიდა და მითითებულ ადგილზე დაჯდა.

_ ცხელა, არა? _ სიხარულისგან ყურებამდე გაღებულ ტუჩებს ძლივს მოუყარა თავი ლადიმ და ხელები მოიფშვნიტა, _ კარგია ახლა ზღვა.

_ კარგია... ზღვა, _ ნაღვლიანად ჩაქინდრა თავი და ამოიოხრა მანანამ, _ კარგი...

მანანა გაჩუმდა, ლადიმ სიგარეტს მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და ღრუბლის ერთ ბეწო ფთილას გააყოლა მზერა. «ერთ თვეს მაინც არ გაწვიმდება, ალბათ, სულ ცოტა... ახ, დასაწყისი ძნელია ყოველთვის.. დასაწყისი, მერე ლოგინამდე მისვლა და... მას მერე დგება ყველაფერი კალაპოტში... დაიწყოს ერთი... თვითონ მინდა თქვას, ასე სჯობია ყოველთვის, საბოლოო ანგარიშისთვის: «მე გითხარი?! გახსოვს, შენ თვითონ მთხოვე შეხვედრა, თვითონ გამომიტყდი... გაგახსენო, როგორ იყო, თუ?!» კატასავით ერთი ილეთი თავისთვის უნდა შემოინახოს ყოველთვის კაცმა... ჰა, დაიწყე, რაღა... ისე, ლამაზად კი აქვს მოწყობილი ოთახი გოგას... თუ კარგად აეწყო, ერთი კვირის შემდეგ კი უნდა ვიყოთ უკვე ზღვაზე. ან კი რატომ უნდა დაელოდოს გიას ჩამოსვლას, გია, თუ არ ვცდები, ორი კვირა დარჩება მივლინებაში, ეს ორი კვირა მეც ჩიტივით თავისუფალი ვარ და ფული თვითონაც ექნება რამე მოტეხილი, მეც მოვახერხებ რაღაცას და სჯობია ხვალ თუ არა, ზეგ მაინც გავუტიოთ... დაიწყე, რა...»

_ მუხლები მიკანკალებდა, აქეთ რომ გადმოვუხვიე, _ დაიწყო მანანამ, _ აკანკალებული მუხლები რატომღაც განზე გასწია, წყნარად ამოიოხრა და ისევ გაჩუმდა.

«უჭირს. _ ჩაეღიმა ლადის, _ ძნელია ისე, წარმოიდგინე აბა შენ თვითონ მაგის ადგილას თავი: ქმარი, ქმრის მეგობარი და უცებ...»

_ არც კი ვიცი, როგორ დაივიწყო, ლადი, _ ცხვირსახოცი ნერვულად მოჭმუჭნა და ძლივს გასაგონად განაგრძო ქალმა, _ ჩემთვის ეს ისე ძნელია, ისე...

«აუჰ, ამაზე ვგიჟდები, აი! მე თუ მკითხავ, სიყვარულის მთელ ამბავში ამ მომენტს არ შეედრება არაფერი, _ გამხელას! _ ლადიმ შორს მოისროლა ნამწვი, ყოველი შემთხვევისათვის თვითონაც ამოიოხრა და იმავე დროს ბასრი და საშინელი მზერა აძგერა მათი სკამსიკენ ჯოხის რაკარუკით წამოსულ ბერიკაცს, რაღაცაზე გამწარებით რომ ებაასებოდა საკუთარ თავს. მოხუცი შეცბა. ერთი პირობა ადგილზევე დატრიალდა, მერე კი იქაურობა მოათვალიერა და მაიმახის ძელსკამისაკენ აიღო გეზი.

_ მთელი ცხოვრება ისე გავატარე... ისე მზრდიდა ბებია... წიგნებშიც კი ასეთ რამეებს ყოველთვის... არ ვიცი, არა, ლადი, როგორ გითხრა, როგორ უნდა გითხრა...

«შენს ბებიასაც კი ვენაცვალე მე, შენს ბებიას!» _ საშინლად აუჩუყდა გული უცებ მანანას ბებიაზე ლადის, ბოლი რგოლებად აუშვა მაღლა და მხარზე ნაზად მოხვია ხელი ქალს.

_ თქვი, გენაცვალე, ნუ გერიდება, თქვი... ვის ეტყვი, თუ არა მე. _ წამით, ლამის იყო, გრძნობა არ დაკარგა, მაგრამ მალევე მოეგო გონს, ნეტარების გასახანგრძლივებლად ხელი აიღო ქალის მხრიდან და რატომღაც ამოიოხრა კაცმა.

_ გეტყვი, იმიტომაც მოვედი სწორედ, რომ გითხრა, მაგრამ ... როგორ? როგორ და ვის მერე? გიას მეგობარს, გიაზე გადამკვდარ ერთგულ მეგობარს... როგორ უნდა გითხრა ლადი, როგორ?! _ ხმამაღლა ასლუკუნდა და თავი ლადის მხარს მიადო უცებ ქალმა. _ შენ იცი,

ჩემთვის ეს რა არის და... თანაც... შენ იცი, ჩემთვის ყველაზე დიდი და უმაღლესი რამ ამქვეყნად რა არის?

_ რა?! _ ნეტარი ჩურჩულით იკითხა მანანას თავზემოთ ყურებამდე გაღიმებულმა ლადიმ, ხარბად შეისუნთქა ქალის თმის საამო სურნელი და ისევ ჩურჩულით იკითხა, ამჯერად უკვე თვალებმინაბულმა, _ რა?

_ ზნეობა! _ თავი ასწია უცებ და წელში გასწორდა ქალი, _ ზნეობა! ხოლო ის, რის შესახებაც მე შენ ახლა უნდა გელაპარაკო, უზნეობაა, ენითაუწერელი და დაუჯერებელი, მაგრამ ვაი, რომ...

_ კარგი ერთი, _ გაეღიმა კაცს და მხარზე ალერსით მოუთათუნა ხელი მანანას, _ ყურით მოთრეულია ყველაფერი ეგ, ჩემო მანანა... ღმერთი, ზნეობა და ეგეთი რაღაცეები, _ თავი ისე გააქნია, თითქოს აბეზარ ბუზანკალს იგერიებსო, _ მღვდლების, ბებიების, ბაბუების და... თვითონ რომ არ შეუძლიათ არაფერი, იმისთანა ვაჟბატონების მოგონილია ეგ. მთავარი.. მთავარი... _ რა, მთავარი?! _ განცვიფრებით შეანათა შავი, ლამაზი თვალები ქალმა, _ რა არის, აბა, მაშ ქვეყანაზე მთავარი?!

_ სიყვარული! არა აქვს მნიშვნელობა, ვინ ხარ და ვინ შეგიყვარდა, _ მესამე სიგარეტს მოუკიდა აცახცახებული ხელებით კაცმა, _ «ნახე, ისე მიჰყავს საქმე, მე უნდა მათქმევინოს მაინცდამაინც პირველს. გამოჯეკილია ჩემსავით, პირველი არ უნდა ვიყო ქმრის შემდეგ... ჯანდაბას, ოღონდაც კი... აუ, რა ქალია, ისე...»

_ შენც... ასე ფიქრობ, ლადი?! _ წამოიწია და ჩუმად ამოიკვნესა ქალმა, _ შენც ასე ფიქრობ, მაშ, ლადი?! მაშ... მაშ თუ დავუშვათ და, ქმრიან ქალს სხვა და თანაც ქმრის მეგობარი... უყვარს, ეს... დასაშვებია, არა?! და... და არც ვალდებულნი, არც პასუხისმგებელნი... არც ღვთის, არც მეგობრის, არც საზოგადოების, არც...

_ გითხარი, სიყვარული ისეთი რამეა... _ ცხარედ, მგზნებარედ აჩურჩულდა უცებ ქალის ყურთან ლადი, _ დედაც გავიწყდება ამ დროს, მამაც, ღმერთიც, ცოლიც, ქმარიც, შვილიც და სხვა ათასი საშინელებაც! გიყვარს და მორჩა! გიყვარს და მორჩა! მორჩა! წყალს წაუღია მის გარდა ყველა და ყველაფერი! გესმის, ყველა და ყველაფერი! შეიძლება კი ამ დროს საღად აზროვნება? შეიძლება, მანანა? _ მხრებზე ისე მოხვია უცებ ორივე ხელი, ძვლებს ჭახა-ჭუხი დააწყებინა სულ, _ ჰოდა, გაჩუმდი, არ მსურს მეტი არაფერი! არ მსურს მეტი არაფრის გაგება მანანა, არ მსურს, ა-რა!

_ მაშ შენ... შენ თანახმა ხარ?! _ თვალები ლამის გადმოსცვივდა განცვიფრებისგან ქალს, _ მაშ შენ... ეტყობა იცოდი, დიდი ხანია იცი, არა?

_ ვიცოდი! ვიცოდი! რა მიხვედრა უნდოდა მაგას. სულელი ხომ არ ვარ, მანანა! _ გიჟივით შეანჯღრია ქალი და გიჟივით გაიცინა აღგზნებულმა კაცმა, _ ანდა რომელი ქაჯი მე მნახე, გოიმი, ეს გამკვირვებოდა?! ადამიანურად, კაცურად რომ შევხედოთ, არის კი რამე ამაში გასაკვირი?!

_ ღმერთო ჩემო! _ ხელახალი განცვიფრებისგან ლამის ყბა მოექცა ქალს, _ ღმერთო ჩემო! _ ფართოდგახელილ თვალებს საერთოდ აღარ ახამხამებდა, ისე მისჩერებოდა კაცს.

_ ზედმეტია! სრულიად ზედმეტია ღმერთი, მე თუ მკითხავ! _ აღფროვანებული ხარხარით შეანჯღრია ისევ ნიბლიასავით ჩაბღუჯული ქალი კაცმა, _ სიამტკბილობის ჩამშლელი რაღაცაა, მეტი კი არაფერი ის შენი ღმერთი, ეჭვიანი ქმარივით თირავს ყველაფერს და არის ერთ ამბავში, _ ეს არ ქნა, ის არ ქნა... გაუშვი, რაღა, თუ მართლა არსებობ და ეს ხალხიც შენ გააჩინე, გაუშვი, გაიხარონ, როგორც უნდათ, გაისწოროს ყველამ თავისი, რას აშინებ ამ ცეცხლით და კუპრით. დაანებე რა, თავი. განა უკეთესი არ იქნება? რას ყოფს ცხვირს...

_ უყურე ერთი შენ ამას, უყურე, როგორ მამა აბრამის ბატკანივით იქცეოდა ყოველთვის, სინამდვილეში კი ვინ ყოფილა?! _ ღრმად ამოისუნთქა და გეგონება, მტვერს იფერთხავსო,

ისე ჩამოიფერთხა კაცის ხელები მხრებიდან ქალმა, ფეხზე წამოდგა და კვლავ განცვიფრებული მიაჩერდა ლადის, _ მე კი... მე მზარავდა იმის გაფიქრებაც, როგორ უნდა მეთქვა შენთვის ეს ყველაფერი. მთელი წელიწადია გიმალავ, მთელი წელიწადია მეცოდები და ვცდილობ, მარტო გავუმკლავდე ამ უბედურებას! მე... მე, ასეთი რამეების წაკითხვაც კი თავზარს მცემდა. თუმცა სად, რომელ რომანსა თუ მოთხრობაში წამიკითხავს მსგავსი უზნეობა, მსგავსი საშინელება, _ ქმარს სასაცილოდაც კი არ ყოფნის, რომ მისი ცოლი, მისი უახლოესი მეგობრის ხასაა და მეტიც, გულწრფელად ლანძღავს ღმერთს იმისათვის, რომ დიახაც, როცა იქნება, ცეცხლითა და კუპრით მიუზღავს იმ ორ გარეწარს მრუშობის სამაგიეროს! ჰმ! თურმე, განა უკეთესი არ იქნება ცხოვრება, უფრო უკეთესი, თუკი არამკითხე ღმერთი ამის ცოლისა და ჩემი ქმრის რომანში არ ჩაყოფს ცხვირს?!

_ რრ... _ რაო?! _ უგონო მთვრალივით აქნევს თავს ფეხზე წამომხტარი ლადი, _ ვისი ცოლისა და ვისი ქმრის?!

_ იცი კი შენ, შე არარაობავ, შენი რომ მრცხვენოდა ყველაზე უფრო უფლის შემდეგ, ჩემი ქმრის არაკაცობის გამო?! იცი?! _ არ უსმენს კაცს სიმწრისგან ათრთოლებული ქალი, _ რისი, ვისი მრცხვენია, კაცი ჭკუაზე არაა თურმე სიხარულისგან! სიყვარული ყოფილა თურმე მთვარი! ფუჰ, სიყვარულსაც რომ ეძახიან ამ გარყვნილებას! ბილეთებიც შენ აუღე, ალბაც, არა? გამოტდი, გააცილე კიდევაც ხომ ორივე, გუშინ საღამოს! ცოლის მაჭანკალო, ბილწო, უგვანო, თვალს ვერ გისწორებდი სირცხვილისაგან, ჩვენთან როცა მოდიოდი, მუხლები მიკანკალებდა დღესაც, ამ ამბის სათქმელად რომ მოვდიოდი, ესეც ხომ უზნეობაა, ცოლზე როგორ ვუთხრა-მეთქი, _ უბრალოდ, ვერ ვნახე სხვა გამოსავალი, ჩვენი ვითომცდა ოჯახების შესანარჩუნებლად. რისი, თურმე, ვისი გრცხვენია! შენ იკითხე, უბედურო, თორემ მე კი შევიტან ხვალვე განცხადებას განქორწინებაზე, დამილოცნია თქვენთვის ის სინდისგარეცხილი; შენც ჩააკითხავ ალბათ ხვალ-ზეგ ზღვაზე და გადაეცი, რომ ჩემგან უკვე სრულიად თავისუფალია და შეუძლია, თუ სურვილი აქვს, ოფიციალურადაც დაისვას ცოლად ის შენი ტურფა, _ ოფიციალურადაც!

* * *

შადრევანის მეორე მხარეს ჩამომჯდარი მთვრალი, ჩამოკონკილი მაიმახი კარგა ხანს უთვალთვალებს მოპირდაპირე სკამზე გაშოტილ, ღილკილოში ყვავილმიმჭკნარ მამაკაცს, რომელსაც ქალის წასვლის შემდეგ სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ეტყობა, გვერდით მჯდომ, თავისთავთან გაუთავებლად მობაასე მოხუცს მრავლისმეტყველად ანიშნებს მამაკაცზე და გაუბედავი ნაბიჯებით მიემართება გაშოტილისკენ.

კაცს ორივე ხელი გულზე აქვს დაკრეფილი, ფერი მიხდია და თვალებდაჭყეტილი და თავზე დაშტერებული მაიმახი ვერაფრით ვერ არკვევს, სუნთქავსღა თუ არა იგი.

მაიმახი შიშით ანჯღრევს კაცს, სიცოცხლის ნიშანწყალს ვერც ახლა ატყობს და ამიტომ გამალებით უქნევს ხელს მოპირდაპირე სკამზე მჯდომ ბერიკაცს. ბერიკაცი იმავე წამს დგება ადგილიდან, ჯოხს გაბრაზებით არაკუნებს ქვაზე და ახალი სკამის საძებრად ბაღის სიღრმისკენ მიემართება.

მაიმახი მრავალსართულიან გინებას აყოლებს თან მიმავალ მოხუცს, ჯიბიდან ჭუჭყისგან გაშავებულ და დაქენცილ ცხვირსახოცს იღებს, ბანცალ-ბანცალით მიემართება შადრევნის აუზისაკენ, რის ვაივაგლახით ასველებს შიგ, მართალია, ძველ, მაგრამ ხალიჩასავით უზარმაზარ ცხვირსახოცს და უკანვე ბრუნდება...

საღამოვდება უკვე, გადასული მზე ჭადრის კენწეროებს ეალერსება ნაზად, მზის სხივებზე არანაკლები სინაზე აქვს ჩამდგარი თვალებში მაიმახსაც, _ თავის თავზეა გულაჩუყებული,

წყნარად ოხრავს, გულის ჯიბიდან ბოთლს იღებს, შიგ ჩარჩენილ ორიოდე ყლუპსაც სვამს და მუხლზე ცარიელ ბოთლდადებული, მშვიდად და კმაყოფილებით ათვალიერებს გვერდით მჯდომ, დამჭკნარი ქინძივით მოშვებულ მამაკაცს.

«არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!» _ ახსენდება მაიმახს სადღაც, ვიღაცისგან მოსმენილი სიტყვები, _ ყოველგვარი ბოროტება ქალისგან რომ მოდის მართლაც. რა უქნა, რა უთხრა იმ ერთმა ციცქნა გოგომ ისეთი, ასე უცებ რომ წააქცია ეს მთასავით კაცი. არა, არა, რა შედარებაა ქალი კაცთან, რასაც ქალი იკადრებს, იკადრებს იმას კაცი? ეხ, ნინა, ნინა... როგორ დამღუპე, როგორ არ მაპატიე, ნინა...»

კიდევ უფრო გულაჩუყებულ მაიმახს ცრემლი ნაკადულივით სწყდება თვალთაგან, წყნარად ქსუტუნებს, თავს ამჯერად უკვე ძეგლივით გაშეშებული მამაკაცის მხარს აყრდნობს და რადგანაც მისი ერთადერთი ცხვირსახოცი სწორედ ამ გაშეშებულ მამაკაცსა აქვს კბილებით საგულდაგულოდ ჩაბღუჯული, თვალებს ისევ ჭუჭყიანი ხელისგულით იმშრალებს.

ბაქო

_ კიდევ მიირთვით კონიაკი, გენაცალეთ, მერე ჩაისაც გავამზადებ. თუ ყავა გირჩევნიათ? _ ქალი ფეხს ფეხზე იდებს, თავს მეუღლის მკერდს აყრდნობს და სათნოდ უღიმის სტუმარს, _ ძალიან გამახარეთ თქვენი მოსვლით და გაცნობით, რაც დავქორწინდით, მას შემდეგ სულ ვეხვეწები ბაქარს, მოიყვანე შენი ამხანაგები, მეგობრები, გამაცანი... აგერ უკვე სამი თვე ხდება, რაც ხელი მოვაწერეთ და პირველი თქვენ ხართ. რატომ არ მოჰყავს არავინ, ვერ გავიგე, სასმელი არ გვაკლია, საჭმელი, ჩაცმით, ხედავთ, როგორ ჩავაცვი, _ სულ დოლარებ-ზეა ნაყიდი, რასაც უყურებთ. თქვენც კარგად გაცვიათ, მაგ ჯემპრში რა მიეცით? იუბკაც რა მაგარიაა!

_ ჩემმა დამ მომიქსოვა, _ პასუხობს სტუმარი, _ ცოცხალი, ეშმაკური თვალების ციმციმით შეჰყურებს ხან უპაუზოდ მოლაპარაკე ქალს, ხან დაღვრემილ ძმობილს, ინტერესით ათვალიერებს იქაურობას, _ ბაქარ, შენ არ სვამ?

_ არა, გენაცალე, მე და ბაქომ მოვილაპარაკეთ, რომ აღარასოდეს დალევს. ეყოფა, რაც სვა. იცით, ის ქალი... _ მასპინძელი ზიზღით იბზუებს ტუჩს და თავს აქნევს, _ არანაირად არ აქცევდა ყურადღებას, არანაირად! ბოდიში მომიხსენებია და გინდ ეჭამა, გინდ ესვა, თუგინდ შიშველს ევლო. გული მიკვდებოდა, ამ საწყალს რომ ვუყურებდი, შემოქმედი კაცია და, ხომ გესმით, სიმყუდროვე თუ არ შეუქმენი, _ თუ არ ჩაცვი, თუ არ აჭამე, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ... თქვენც პოეტი ბრძანდებით, ხომ? საერთოდ, ბაქოსთან სულ ასეთი ხალხი მეგობრობს. ოღონდ ერთი რამ ვერ გავიგე, იმ ქალთან ყველა მიდიოდა, რაც ჩემთან მოაწერა ხელი, იმის შემდეგ კი ამასთან აღარავინ გამოჩენილა. თქვენ ალბათ იცნობთ იმ ქალს, ხელოვნებისმცოდნეა, მაგრამ დედა, დედა, არ მინდა არც იმისი ხელოვნების ცოდნა და არც არაფერი, _ ქალი მოკლე, სქელ მკლავს ნაზად ხვევს კისერზე ქმარს და ენისმოჩლექით ეკითხება: _ ლოგოლ უძლებდი იმისთანა ქალს, გენაცალე, მოგიკვდი სენ, ლა უნდა გექნა, მე ლომ ალ გამოგჩენოდი, ჰა? ან შიმშილი მოგკლავდა, ან ჩაუცმელობა და ან ლოთობა. ყოველდღე გამიგია მეგობრების სტუმრობა?! ის კიდევ, იმის მაგიერ, ამისთვის ხელი შეეწყო, დაინახავდა თუ არა ვინმეს, გახარებული გარბოდა ჩაის დასაყენებლად. უსხდნენ მერე მარტო ჩაის და ყბედობდნენ ათასგვარ სისულელეს. ღმერთო ჩემო, რა მოსაწყენი იყო ყველაფერიი... ამისი სიყვარული რომ არა, იქ რა გამაჩერებდა. ამისი სიახლოვის გამო ვიტანდი ყველაფერს. ვიჯექი ჩემთვის, ვიჯექი, ხმას არ ვიღებდი და მარტო ამაზე ვფიქრობდი. არა, გენაცალე, უმაღლესი მეც კი მაქვს დამთავრებული, მაგრამ ოჯახს ოჯახობა უნდა ეტყობოდეს, ქალს კი ქალობა. ქმარი რომ შემოგივა სახლში, მით უმეტეს შემოქმედი და

მით უმეტეს მეგობრებით, ჩაის დასადგმელად კი არ უნდა გაიქცე გახარებული, პირველ რიგში იმ უსაქმურ მეგობრებს უნდა შეუკრა წარბი, მერე სადილი უნდა გააცხელო და მიართვა მხოლოდ ქმარს. თქვენ ცუდად ნუ გამიგებთ, მე მეგობრების საწინააღმდეგო სულაც არა მაქვს არაფერი, როცა გინდათ, მაშინ მობრძანდით და როცა გინდათ, მაშინ წაბრძანდით, მაგრამ კაცს მუშაობაც ხომ უნდა. ხომ განახეთ, რა კაბინეტი მოვუწყე, ჩემი ბიძაშვილი პოლიციის უფროსი მივუგზავნე იმ ქალბატონს და ამისი ბიბლიები, ენციკლოპედიები, სხვა ძვირფასი წიგნები და საბეჭდი მანქანაც აქ მოვაზიდინე სულ. მეტი რაღა უნდა, დაჯდეს ახლა და წეროს და წეროს ლექსები. რა მოჰქონდა იმ მეგობრობანას კარგი, მე დღემდე არ მესმის. იცით, ერთხელ ამან და იმან, იმ დედაკაცმა, კინაღამ დახოცეს ერთმანეთი გოგის გულისთვის, ღმერთო, რაც მე იმ დღეს განვიცადეე... როგორ მეცოდებოდა ეს უბედურიი... სიგიჟე იყო და სისულელე, აბა რა! არა, გენაცალე, მე არ მესმის და არც მინდა ეგეთი რაღაცეების გაგება. ცოლ-ქმრის ჩხუბის მეტი რა მინახავს, მე და ჩემს პირველ ქმარსაც ბევრჯერ გვიჩხუბია, _ გეცოდინებათ, ხელოვანი იყო ისიც, პიანისტი, მაგრამ გოგის გამო? ღმერთმა დამიფაროს! სულელი კი არ ვარ. ჩვეულებრივ ოჯახურ საქმეებზე, კი ბატონო, ბევრჯერ უყვირია და უთქვამს: მინა, ეს რატომ ქენი, მინა, ის რატომ? მაგრამ გოგების გამო? მითხარი, გენაცალე, ნორმალურია, ცოლ-ქმარმა ერთმანეთს ამის გამო ჟურნალ-გაზეთების სროლა აუტეხოს?! არა და იმ დღესაც ისეთი კაი-კაი საჭმელები მქონდა მიტანილი, მიმქონდა ხოლმე, ხომ იცით, რომ ვიცოდი, ამათი გაჭირვების ამბავი. ერთი სული მქონდა, როდის დაამთავრებდნენ და ჭამდა ბაქო. რისი დამთავრება, მობრძანდნენ ამ დროს ამათი «ჭკვიანი» მეგობრებიც და მაშინ უნდა გენახათ ბრძოლა. მერე კიდე, იმ სულელმა, როგორც იცოდა ხოლმე, მე ჩემთვის ვიკლებდი, რომ ამას არ მოკლებოდა არაფერი, მთელი ჩემი მიტანილი იმათ მიართვა. ნორმალურია ეს ამბავი? იმიტომაც არ მინდა, სიმართლე გითხრა, აქაც იარონ. აქ მაინც დაისვენოს, ეყოფა, რაც უაზროდ იშალა ნერვები. დაჯდეს და იმუშაოს. მე შენ გეტყვი, საჭმელს მოვაკლებ, ჩასაცმელს, მეტი რა უნდა? _ ქალს მოულოდნელად ხველა უტყდება, ჯერ მუჭი მიაქვს პირთან მერე ანანასის წვენით სავსე ჭიქა და თვალებმინაბული სვამს.

_ ბიჭო, ნუ გადამრიე, _ პაუზით იმწამსვე სარგებლობს მისავათებული სტუმარი, _ ლამის თქვენს ოჯახში გავატარე ჩემი სიცოცხლე და პირველად მესმის... ლეილას... ვინმე გოგი ჰყავს?

ბაქარი მხრებში იწურება, შეჭაღარავებულ საფეთქელზე ხელს იდებს და წყნარად ოხრავს.

_ ვინმე გოგი კი არა, ივანზე ჩხუბობდნენ, _ უნმარტავს დიასახლისი, ჭიქას მაგიდაზე დგამს და სველ ტუჩებს ხელის ზურგით იწმენდს.

_ ივანიცო?! _ სულ მთლად სახტად რჩება სტუმარი, _ იცით, ქალბატონო, მართალია, მე ბაქარის მეგობარი ვარ, თქვენც, რადგან ამისი ამჟამინდელი მეუღლე ბრძანდებით, პატივს გცემთ, მაგრამ ლეილაზე ცუდს...

_ თქვენ ვერ გაიგეთ, _ ხითხითი უტყდება უცებ დიასახლისს, _ მხატვარზე ჩხუბობდნენ. ღმერთო, ჩემო, რა სულელები არიან ეს ინტელიგენტები!

_ ვან გოგზე ლაპარაკობს, _ მზერა ჯერ ჭერზე, მერე კი იატაკზე გადააქვს ბაქარს და ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს, _ მოყევი რამე, სალომე, არაფერი იცი ახალი? ბიჭები აღარ მეკარებიან ახლოს, რაც ლეილა და ბავშვი მივატოვე, შენღა ხარ ახლა ჩემი ერთადერთი მეგობარი.

_ მართლა! _ აღტაცებით ამბობს მოულოდნელად დიასახლისი, _ იცით, რა უნდა გაგიმხილოთ? ოღონდ თქვენ არ გეწყინოთ. იმიტომ კი არა, რომ მე ეჭვიანი ვარ, ისე. ჩვენი ხელმოწერის პირველსავე დღეს, უფრო სწორედ ღამეს, ჩვენ დავიფიცეთ, რომ ქუჩაში შემთხვევითაც კი არ გავიაროთ სხვა ქალთან ამან და სხვა კაცთან მე. ხო, ბაქო?

ბაქარს ისევ ჭერზე გადააქვს მზერა, მერე მეგობრის დაჟინებულ, ეშმაკურ მზერას ვეღარ უძლებს და ხელი ჭიქისკენ მიაქვს.

_ არა, ბაქო, ციც! _ ხელზე ხელს არტყამს მეუღლე, _ ჩვენ ხომ ეგეც დავიფიცეთ! ოო, შემოდით, შემოდით, _ კარისკენ იხედება უცებ მინა, _ ესენი ჩემი, ანუ ჩვენი შვილები არიან: ეს მაცაცოა, გაუწოდე ხელი დეიდას, ასე! ეს კი კოკოა. კოკო, შენც გაუწოდე ხელი. ასე! ახლა კი პირდაპირ თქვენს ოთახში! ხომ კარგი, კარგი შვილები გვყავს?

_ ძალიან. თეას თუ ნახულობ? _ მოულოდნელად სიმკაცრე ეღვრება თვალებში სტუმარს, _ ბაქარ, შენ გეკითხები!

_ რა საჭიროა ახლა ამისი აღელვება შვილის გახსენებით? შვილები არ არიან მაცაცოც და კოკოც?! _ წარბს იკრავს მასპინძელი. _ ჩვენ არა ვართ ისეთი ხალხი, რომ უმამო ბავშვი ულუკმაპუროდ დავტოვოთ, ბაქო მუშაობას დაიწყებს თუ არა, ალიმენტსაც გადავუხდით. ჰო, მართლა, ბინა გვინდა გადავცვალოთ ბათუმში, თანაც სასწრაფოდ და ხომ არ გეგულებათ ვინმე, თბილისში რომ უნდოდეს გადმოსვლა?

_ ეს ბინა? _ დაბნეული სტუმარი პირდაღებული შეჰყურებს ძმობილს: _ ბაქარ, ბათუმში გადადიხარ საცხოვრებლად?!

_ ეს ბინა კი არა, თქვენ ვერ გამიგეთ, ბაქარის ბინა, სააგარაკოდ, ზღვაზე.

_ რას ჰქვია ბაქარის ბინა, თეას ბინაზეა ლაპარაკი, ბაქარ?

_ უიმეე, თქვენ ვინ ყოფილხართ?! ასე კი არ შეიძლება სხვის ცხოვრებაში ჩარევა. ან თეასი რატომაა ვითომ ის ბინა. თეას ხომ აქვს თავისი დედის იმხელა ბინა, ვაკეში, რაო, არ ეყოფა?

_ ის ბინა თეას დედისა კი არა, თეას ბაბუის ბინაა და ლეილას გარდა იმ კაცს ჰყავს კიდევ შვილებიც და შვილიშვილებიც, სხვათა შორის, ბაქარ!

_ თქვენ ვერ გამიგეთ. თქვენ გგონიათ თეას სულ ისე ვტოვებთ? გადავცვლით თუ არა, ცოტაოდენ ფულს თეასაც მივცემთ, ხომ, ბაქო? მინა ხომ არ არის ისეთი ქალი, ბავშვს, და მით უმეტეს, თავისი საყვარელი ქმრის ბავშვს რამე წაართვას, ხომ, ბაქო? უიმე, უიმე, ჩემი სიკვდილი, რა სასწრაფო საქმე მქონდა მეზობელთან და სულ გადამავიწყდა. _ ქალი ჯერ თავში იშენს ორივე კოტიტა ხელს, მერე მაგიდას ეყრდნობა, დგება და ცდილობს, რაც შეიძლება მომხიბვლელად გაუღიმოს სტუმარს, _ თქვენ არ მოიწყინოთ, ამ წუთას დავბრუნდები!

_ ბაქო! _ ისტერიული სიცილი უტყდება სალომეს, როგორც კი მინა გარეთ გადის, _ ღმერთო ჩემო, ღმერთო, რა სულელი ხარ. მართლა ბაქო და ნავთობი არ უნდა გერქვას ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩაიდინე? ვაიმეე, ეს რა მოგსვლია, შე უბედურო?!

_ კარგი, რა, სალომე, ლამისაა, გავგიჟდე ისედაც, _ საცოდავად ეღიმება ბაქარს, _ ბაქოს კი არა ტუაფსეს მეძახდეს ვინმე, თუნდაც, აქ არ ვიყო ოღონდ.

_ ოჰო-ჰო, რა თაფლობის თვე გაქვს, შენ გენაცვალე! ნუ გადამრიე, ბიჭო, სიზმარში მგონია თავი. სად იპოვე, სად გამოთხარე, შე საცოდავო?!

_ ლეილას დეიდაშვილს მოჰყვა ერთხელ ჩვენთან, მერე კი ისე აგვეკიდა, ვერც გავიგეთ, და...აი! მიშველე, სალომე, გეხვეწები, მიშველე რამე.

_ მოიცა, მოიცა, მოჰყვა, _ მოჰყვა! აგეკიდათ, _ აგეკიდათ! მაგრამ, მაინც, გამაგებინე ერთი, ასე უცებ ან რამ გადაგრია ან რამ მოგაწონა ეს...ეს... ან ისე უცებ როგორ გააწერე ხელი ლეილასთან ან ასე უცებ როგორ მოაწერე ხელი ამასთან?!

_ ნუ მკითხავ. მე თვითონ სიზმარი მგონია, თანაც კოშმარული, გაწერა _ მოწერა კი... ერთ დღეში მოახერხა ყველაფერი, სანამ გონს მოვიდოდი. გეტყოდა ალბათ ლეილა, ამ ქალის მამა ვინც არის. მიშველე რამე, არ გეხუმრები, მიშველე რამე.

_ რამ შეგაშინა, ბიჭო ასე, ადექი და წამოდი. რა გჭირს უსაშველო?!

_ ასე ადვილი გგონია? ქილერს მომიგზავნის მამამისი. მე ჯანდაბას, ლეილაზე და თეაზე უფრო ვშიშობ, რომ იცოდე. ღმერთო, რა უბედური ვარ.

_ მამა არა, ის კიდე, აბა, პირველი ქმარი როგორ დაუსხლტა?

_ ინფარქტით და კუბოთი. როგორ მოგწონს?

_ აუუ... მართლა არ გაქვს სახუმაროდ საქმე, აი! კი გეუბნებოდა ლეილა, შენ ეგ ლოთობა და ქალებისთვის თვალების ჟუჟუნი, როცა იქნება, ხეირს არ დაგაყრისო, მაგრამ... აი, სეირიი, თაგვმა თხარა, თხარაო და...

_ ვაიი, ვინ ბედნიერი, _ მართლა თაგვი ვყოფილიყავი, მართლა კატა გამომეთხარა!

_ მართალი ხარ, შე უბედურო, მართალი! ერთი, ეს მითხარი, ამ ქალს მინა თუ შუშა რატომ ჰქვია.

_ მინადორას შემოკლებული, საალერსო ფორმა გახლავთ, გენაცალე.

_ ოო... მართლა დაანებე სამსახურს თავი? მე სულ ორი დღეა, რაც პარიზიდან დავბრუნდი და ამიტომ არ ვიცი ბევრი რამ, ბუნებრივია.

_ ნუღარ გამახსენებ.

_ მძიმე ამბავია. რას ფიქრობ, აღარ აპირებ მუშაობას თუ?

_ მამამისი მპირდება... ბაზრის დირექტორად, _ აბა ოცდათხუთმეტი ლარით ხომ არ შეინახავ ცოლ-შვილსო; ვაი, _ ცოლ-შვილში ესენი იგულისხმებიან, რაღა თქმა უნდა. სალომე, მიშველე, თორემ თავს მოვიკლავ, გეფიცები... ვთქვათ და დავაღწიე როგორმე, უმტკივნეულოდ, თავი, რას ფიქრობ, ლეილა შემირიგდება?

_ რად გინდა ლეილა, გოგებზე ჩხუბი მოგენატრა?

_ კარგი, რა, ოღონდ ახლა ნუ დამცინებ და მერე რამდენიც გინდა.

_ ეს ქალი ვაჭარია?

_ თანამედროვე ტერმინოლოგით ბიზნესმენი, რა ეშმაკი ხარ, როგორ მიხვდი?

_ შენსავით ბრმა კი არ ვარ, რა მიხვედრა უნდოდა?

_ ლეილა გეტყოდა.

_ არა, ბიჭო და დამიმალავდა! მაგრამ კიდევაც რომ არ ეთქვა... მითხარი, ერთი, გამოუფხიზლებელი მთვრალი იყავი იმ ხანებში, თუ შეურაცხადი?

_ ერთიც და მეორეც, უნდა გენახა, რა ფრანგულ კონიაკსა და შოტლანდიურ ვისკიზე ვყავდი, სანამ თავისას გაინაღდებდა! სასმელის აკრძალვა ხელისმოწერის შემდეგ დამიწყო... სალომე, გეხვეწები... მერე მოგიყვები დალაგებით, ახლა მთელი აზროვნება დაძაბე და მოიფიქრე, როგორ ვიხსნა თავი ამ ჯოჯოხეთიდან, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ. ლეილა შემირიგდება?

_ მესამედ აპირებ დაქორწინებას?

_ დროს ნუ კარგავ, მოიფიქრე, რითი დავიწყოთ?

_ მოიცა, _ სალომე თვალებს ჭუტავს, თავს აქნევს და თითს მაღლა სწევს, _ მოვიფიქრე, _ ბიბლიით!

_ დამცინი?

_ დაგცინი კი არა, «ბიბლიებიო» წეღან რომ თქვა, გულზე შემომეყარა. შენ კიდევაც რომ დაგიხსნა ამ ქაჯეთის ციხიდან, ბიბლიის ჯავრი გადამიტანს. მოკლედ, ჯერ უნიკალური გამოცემები უნდა გავაპაროთ, ჯანდაბას, საბეჭდი მანქანა და სხვაწიგნები დარჩეს შენს სახსოვრად. სხვა, საბედნიეროდ, ძირი არ გაკავშირებს და შვილი. მამა არა, ისა, ეგრე კი არაა მართლა, ადგები და... ისე, როგორ ფიქრობ, ბიბლია რომ ვთხოვო «ცოტა ხნით», მომცემს?

_ გოგო, ამ ქალს, ბიბლიაში კი არა, გაზეთის ნაგლეჯში არ ჩაუხედავს, ალბათ, რაც სკოლა დაამთავრა.

_ ოხ, თქვა რუქამ არაკი! წამითაც არ მიფიქრია რომ მსოფლიო კულტურის მონაპოვართა შესწავლითაა დაინტერესებული; ბიჭო, ქორვაჭარს რაიმე ღირებულს გამოაპარებ? თუ, გგონია, არ იცის, უძველესი გამოცემების «ფასი?!»

_ იქნებ როგორმე მოვახერხო შენთან შემორბენა, მაგრამ როგორ, სულ კუდში დამდევს, მობილური მიყიდა და მარტო თვითონ იცის ჩემი ნომერი, სხვამ რომ დამირეკოს, დამამხობს თავზე ყველაფერს. ამას ჰქვია, აი, «ვაი ჭკუისაგან!» როგორმე მე თვითონ დაგიკავშირდები ან ვითომ შემთხვევით შემოიარე ცოტა ხანში კიდევ, მოკლედ, რამე მოიფიქრე. სს.. მოდის!

_ მოკლედ, ძალიან კმაყოფილი ვარ, ბაქარ! შენ გონიერი ხარ და ვიცოდი, არჩევანში არ შეცდებოდი, მაგრამ ამ ქალმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გარეგნობით მშვენიერი, კეთილი, სათნო, განათლებული და კულტურული. დააფასე, ძმაო, დააფასე, რომ ასეთი პირობები შეგიქმნა და ასე ყველანაირად ხელს გიწყობს. დაჯექი და წერე, შენ გაქვს ახლა სალექსოდ და სასიმღეროდ საქმე, თორემ მე ან სხვებს რა გვემღერება და გველექსება. ეჰ, ადამიანს ოცდაათი ლარი რომ ექნება ხელფასი... ოი, მოხვედით, უკვე, მინა? წასვლას ვაპირებ უკვე და... ისედაც დიდხანს შევყოვნდი.

_ რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ, _ მეუღლის მკლავს ლოყით ეხუტება მინა, _ როცა კი გაგიხარდებათ, როცა კი სურვილი გექნებათ აქ მოსვლის, _ წელიწადში ერთი-ორჯერ მაინც... მთავარია, იმ დროს ბაქო არ წერდეს, ხომ იცით, შემოქმედი ადამიანისთვის დრო და სიმყუდროვე... ძალიან მესიამოვნა თქვენი გაცნობა, ჩემი მანქანით წაგიყვანდით, მაგრამ ბენზინი ცოტაა და... ერთად გაგაცილებთ და ტაქსით წაბრძანდით. ხომ, ბაქო? ჩაიცვი, გენაცალე, დუბაიში რომ გიყიდე, ის ჯემპრი, წითელი კი არა, ლურჯი.

_ ჰო, მართლა, ბაქარ, თუ არ გჭირდება, ბიბლია მათხოვე რა, რამდენიმე დღით, ბერძნულს მინდა შევუდარო.

_ კი ბატონო, მაგაზე უარს როგორ გეტყვი.

_ არა, გენაცალე, არა! ნუ მაწყენინებ, ხომ იცი ჩემი ნერვიულობა არ შეიძლება. ეს საუნჯეა, ეს უბრალო წიგნი არაა, ნურც თქვენ გეწყინებათ, გთხოვთ, ბიბლიის სახლიდან გატანა როგორ შეიძლება, თანაც უძველესი გამოცემის. ვერც სხვა წიგნებისა და საბეჭდი მანქანის თხოვება წარმომიდგენია, სიმართლე გითხრათ! უი, უი, რა უნდა გითხრათ! მთელი დღეა ვინახავ, როცა დავწვებით, მაშინ გავახარებ ჩემს ბაქოს-მეთქი, მაგრამ მეტის მოთმენა აღარ შემიძლია და ბარემ ერთად გაგახარებთ ორივეს, ახლა! _ დიასახლისი ჯერ ერთს უყურებს მორცხვი, მრავლისმეტყველი ღიმილით, მერე მეორეს და მზერაც და ორივე ხელიც უცებ ერთდროულად გადააქვს საკუთარ მუცელზე:

_ აქ უკვე... პატარა ბაქო...

შემთხვევით

ერთ, არცთუ ისე მშვენიერ დღეს, მშვენიერ გუნებაზე მყოფი დალი ქინქლაძე, (გარეგნობით განსაცვიფრებლად რომ წააგავდა საკუთარ გვარს), გამოვიდა რა **ა** პუნქტიდან, _ გახარებული და ფრთაშესხმული გაექანა პირდაპირ **ბე** პუნქტისაკენ. **ა** პუნქტი ახალი საყვარლის ბინა გახლდათ, **ბე** _ ყოფილის, ხოლო სიხარულის მიზეზი, ახლისგან სრულიად შემთხვევით მიღებული ინფორმაცია _ ყოფილის ცოლ-შვილის ბაკურიანში დასასვენებლად გამგზავრების შესახებ.

ასევე შემთხვევით, თუმცა მავანნი ამტკიცებენ, შემთხვევით ამქვეყნად არაფერიც არ ხდებაო, დალი, გზად, ქეთი დვალაძეს გადაეყარა და ფრიად გაიხარა ამითაც, რადგან ყოფილ მეგობრებს მიზეზთა და მიზეზთა გამო ერთმანეთი დიდი ხანია არ ენახათ. ერთმანეთის მიკითხვ-მოკითხვას ძველის გახსენებაც მოჰყვა, ძველის და მხოლოდ კარგის გახსენებას,

ძველი სითბოც და ქეთიმ, პირველად რატომღაც ძალიან ღირსეულად რომ ეჭირა ნამეგობრალთან თავი, ალალად შესთ

ავაზა, _ მდიდარი ნათესავის გასვენებაზე მივდივარ და დრო თუ გაქვს, შენც წამოდი, ქელეხს რესტორანში იხდიან და ხომ წარმოგიდგენია, რა სუფრაც იქნებაო.

დალის ბავშვები მეზობელთან ჰყავდა დატოვებული, წამში გადაიანგარიშა რამდენი დრო დასჭირდებოდა ყოველივე ამას, პლუს სატრფო გივისთან შევლასაც და სიამოვნებით დათანხმდა მეგობარს. ყოველი შემთხვევისათვის, თუ გივისთან სიამტკბილობას გვიანობამდე შერჩებოდა, ხოლო ამასობაში ქმარიც მასზე ადრე დაბრუნდებოდა შინ, ალიბი მშვენიერი შეიძლებოდა ჰქონოდა, _ ახლობლის გასვენება და ქელეხიდან ჭირისუფალთა მიერ მისი არაფრის გულისთვის არ გაშვება!

რადგან დასაფლავებამდე საკმაო დრო იყო დარჩენილი, ქალებმა მშვიდად მოიოხეს გული ათასგვარი თემით, _ მიწაში რაც შეიძლება ღრმად ჩაფლეს უხერხემლო, უგერგილო, ლოთი, უჟმური და შინ არაფრის შემტანი ქმრები, თავი რაც შეიძლება მოიწონეს ორ-ორი, ფრთებშესხმული ანგელოზივით ლამაზი და ჭკვიანი შვილით, ინტერესით დაათვალიერეს საქელეხო გამოფენის ქურქები, ნახევრადქურქები, პალტოები, ნახევრადპალტოები, ჩექმები, ნახევრადჩექმები. მოიწონეს ვაკის სასაფლაოს მდიდრული პანორამაც, რატომღაც იქვე მიმოიხილეს თანამედროვე ქართული პოლიტიკურ-სოციალური ცხოვრებაც, რაც შეიძლება ადრე და მალე დასამარება უსურვეს დემოკრატიასაც, მის მესვეურებსაც და სასაფლაოდან გამობრუნებულნი გაფაციცებით შეუდგნენ სჯა-ბაასს იმის შესახებ, თუ რა შეიძლება დახვედროდათ საქელეხო სუფრაზე.

თამადა ჯერ არც კი იყო დანიშნული, ქალები გამგელებით რომ ეცნენ საჭმელს. დალის პირდაპირ წითელლოყება, ბუთხუზა კაცი იჯდა, ქეთის პირდაპირ _ წითელცხვირა, მარჯვენა ხელის შუათითზე ბეჭედმოსვირინგებული საშინლად გამხდარი კაცი; აქაო და ცივაო, ორივე მამაკაცი მწუხარე, საქელეხო სუფრის დასაწყისისათვის შესაფერი სახით აძალებდა ჭამით გართულ ქალებს არაყს. ქალებიც ნაღვლიანი სახით იდებდნენ თავპატიჟს, დასაწყისში ცოტა-ცოტას სვამდნენ, მერე კი ცხვირებთან ერთად ლოყებიც რომ აუჭარხლდათ, მთლად სიცილ-კისკისად იქცნენ.

ლოყაწითელი ბუთხუზა დიდი უხიაკი ვინმე გახლდათ და ქალებს სეტყვასავით აყრიდა ზედიზედ უწმაწურზე უწმაწურ პოლიტიკურ თუ ყოფა-ცხოვრებით ანეკდოტებს, წითელცხვირა სვირინგოსანი უფრო სიტყვაძუნწი აღმოჩნდა, სულ ორიოდ ანეკდოტს მოყვა და ისიც ისე უმარილოდ და უგერგილოდ, ქალებმა მხოლოდ ზრდილობის გამო რომ გაიცინეს.

საქელეხო უკიდეგანო სუფრას სულ რამოდენიმე კაციღა იყო შერჩენილი, როცა ლოყაწითელმა კიდევ ერთხელ ასწია ჭიქა, ქალებისდა გასაკვირად, ინტერესით იკითხა განსვენებულის გვარ-სახელი, სადაურობა, პროფესია, ასაკი, მიღებული ინფორმაცია მეგობარ წითელცხვირასაც გაუზიარა, გაღიმებულმა დალია და გაფაციცებით შეუდგა საკუთარი და მეგობრის პალტოს შიდა და გარე ჯიბეების ამოვსებას საჭმელ-სასმლით. მცირე ხნის შემდეგ კაცები ურცხვი ღიმილით დაემშვიდობნენ ქალებს, მორცხვი, მწუხარე სახეებით ჩაუარეს კარებში მდგომ მასპინძელ ჭირისუფლებს და სანამ გავიდოდნენ, ზღურბლიდან კიდევ ერთხელ გამოხედეს თანამეინახეებს.

ქალებმა ჯერ ბევრი იცინეს ამაზე, მერე თავების ბრძნული ქანქარით ესეც ისევ პოლიტიკას დაუკავშირეს, საკუთარი მეუღლეების და განსვენებულის კვალდაკვალ ეს უკვე მერამდენედ პრეზიდენტიც ისევ მიწაში ჩადეს და როგორც იქნა, ბარბაცით წამოდგნენ.

რესტორნის ფანჯრიდან ჩანდა, რომ გარეთ უკვე საკმაოდ ბნელოდა, თეთრი ფანტელები მთვრალი პეპლებივით დაფარფატებდნენ ნეონის შუქზე და დალის უცებ ისე მოუნდა ძველი სატრფოს ნახვა, ცოტა დააკლდა სირბილით არ დაადგა მისკენ მიმავალ გზას. ქეთი რაღაცას

ეთათბირებოდა დაქალს, ხოლო დაქალი გაფაციცებით ცდილობდა გუნებაში ისეთი წინადადების შედგენას, რომლის ხმამაღლა წარმოთქმაც რაც შეიძლება კულტურულად დააცინცლინებდა მეგობრისთვის ტაქსის ფულს, _ ტაქსის გარეშე იგი ვერანაირად ვერ მოახერხებდა ერთდროულად ორი კურდღლის მოკვლას, _ მეტიც, შეიძლება თვითონვე გამხდარიყო მეორე, მმაჩის ბიუროთი დაკანონებული კურდღლის სრულიად კანონიერი მსხვრეპლი.

ქეთის მშვენივრად ახსოვდა, ოდესღაც ორივე ერთად რომ თხზავდა ხოლმე მსგავს გულისამაჩუყებელ ტყუილებს ფულის საშოვნელად და ამიტომ ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე სტკიცა მეგობარს ცივი უარი, ეგ იყო მხოლოდ, რამდენიმე ლარის მაგიერ რამდენიმე თეთრი დაუდო ხელისგულზე, _ მეტროთი შინდასაბრუნებლად. სულ არაფერს მაინც ეს ჯობდა და როცა ქეთისგან მიღებულ თეთრებს ხელისგულზე ითვლიდა, სწორედ მაშინ გაიგონა დალიმ ლამის ზღაპრული ძახილი:

_ ვარკეთილში მივდივარ და თუ ვინმე იქით ცხოვრობს, დავიმგზავრებ! _ ზორბა, ამ სიცივეში გულმკერდგაღეღილი მამაკაცი ჭირისუფლებთან ერთად იდგა გასასვლელში და მანქანის გასაღებს თავზემოთ ნატვრის თვალივით აჩხრიალებდა.

_ ვაიმე, რა ბედნიერებაა?! ამას წავყვები! _ რატომღაც ქეთის ეცა და გიჟივით დაუწყო ორივე ლოყაზე კოცნა დალიმ, _ ვაიმე, რა ბედნიერებაა!

_ ქალო, შენ გაგიჟდი, თუ ისე დათვერი, ისიც აღარ გახსოვს, ვარკეთილში ცხოვრობ თუ ნაძალადევში?! _ მართლა განცვიფრდა ქეთი.

_ დეიდა ცხოვრობს ჩემი ვარკეთილში, თანგადაყოლილია ჩემზე, ავადაა ახლა და დღეს რომ არ ვნახო, არაფრით არ შეიძლება. ეჰ, გაჭირვებას რა ვუთხარი, აქამდეც კი უნდა მენახა, მაგრამ... იმიტომაც გთხოვდი ტაქსის ფულს. _ სხაპასხუპით მიაყარა დალიმ ქეთის და მეგობარს არც კი დამშვიდობებია, თითქმის იმავე წამს ლამის კისერზე ჩამოეკონწიალა ზორბა მამაკაცს, _ ღვთის გულისათვის, მე წამოგყვებით, მე ვცხოვრობ იქით!

_ კი ბატონო, ჩემთვის სულ ერთია, ოჯახის ნათესავი ვარ, ოჯახის ნათესავი ბრძანდებით თქვენც და სხვა რა შეგვიძლია, რითი უნდა ვცეთ მიცვალებულის ხსოვნას აბა, პატივი? _ ხელები ასწია ზორბამ, _ აბა, კარგად იყავით, მაგრად! _ ორივე ლოყა დაუკოცნა შაოსან, მართლა მწუხარე ქალს მამაკაცმა და მის გვერდით მდგომ თავჩაქინდრულ ბიჭსაც გადაეხვია, _ გაუძელი, თენგო, რას ვიზამთ, აბა, ღვთის ნებაა ყველაფერი!

ზორბამ დიდხანს იარა ბუზღუნით და ძუნძულ-ძუნძულით რესტორნის წინ ცხვრის ფარასავით თავმოყრილ მანქანებს შორის, უკან მართლა ქინქლასავით ადევნებული ქალი ერთხელაც არ გახსენებია, ჯერ ერთ შავ მანქანას უჩხიკინა თავისი უამრავი გასაღების ასხმულიდან რიგ-რიგობით თითოეული, მერე მეორე შავ მანქანას, მერე თანამიმდევრულად მესამე შავსაც წიხლი წასცხო იმის სამაგიეროდ, არც მან რომ მოირგო მისი გასაღებებიდან არც ერთი და ბოლოს, როგორც იქნა, მეოთხე შავი მანქანის კარი გამოაღო, დალიმ ძლივს მოასწრო მკლავში ჩაბღაუჭება, ის იყო მანქანის დაძვრას რომ აპირებდა და შეშფოთებით ჩაჰკითხა:

_ მეე, ბატონო?!

კაცმა უაზროდ მოხედა ქალს, დიდხანს ათვალიერა უხმოდ, გაოცებით, მერე თავი გააქნია, ხელი გადასწია და უკანა კარის შიგნიდან ჩასაკეტი ღილაკი ასწია. ქალმა კარი გამოაღო და გახარებული და გაფაციცებული ნებივრად მიესვენა მანქანის საზურგეს.

მანქანის სალონში ნელ-ნელა დათბა, არაყმაც თავისი ქნა და მანამდე ისედაც რომანტიულ ხასიათზე მყოფი ქალი მთლად ოცნების ზღვაში გადაეშვა თავდაუზოგავად: აი, მივიდა უკვე. დარეკა კარზე, გივი მარტოა... აღებს კარს... მისი განცვიფრებული სახე... ენაჩავარდნილი დგას კარგახანს, ვერ დაუჯერებია, ვერ წარმოუდგენია! რამდენი ხანია არ უნახავს, მართალია, თვითონვე კი გამოაგდო ბოლოს, მაგრამ რა? არ ხდება ხოლმე შეყვარებულთა შორის ასეთი რამე? ასე უკეთესია, პირველი ნაბიჯი, დიახაც, მას უნდა გადაედგა, დაე,

დაინახოს საყვარელმა, რომ დალის ისევ ისე უყვარს იგი! გივის სიხარულის ცრემლით ევსება თვალი, ხელში აჰყავს დალი, მკერდზე იხუტებს... შეჰყავს პირდაპირ საძინებელში... ო, საყვარელო, _ რაც შეიძლება ნაზად კვნესის ქალი...

* * *

ქალი სიცივემ გამოაღვიძა, თვალი არ გაუხელია, ხელი ისე გადასწია საბნის წამოსახურად და ისევ ისე ნაზად წაისლუკუნა:

_ მცივა, გივი!

გივი არ გამოხმაურებია.

_ საყვარელო, დაგეძინა, შენც? შენც გადახდილი გექნება და შენც სიცივით იყინები ალბათ, ოღონდ ვერა გრძნობ... მხეცო, საბნის დარდი გექნებოდა?.. გივი... გივიკო... _ საბნისთვის გაწვდილი ხელი რაღაც საშინლად გაყინულ საგანს მოხვდა და ქალი წამსვე გამოაფხიზლა.

_ გივი!

გივი არ გამოხმაურებია!

_ გივი! _ ხელები გიჟივით ააფათურა ქალმა, ასადგომად წამოიწია, მაგრამ თავი ძლიერად აარტყა რაღაცას და ისევ იმ ადგილზე დაეცა, სადაც მანამდე იყო.

_ ვაიმე, ღმერთო, რა ხდება ჩემს თავს, სადა ვარ? ჰაერი, ჰაერიც აღარ მყოფნის... _ უკუნი სიბნელით მთლად გულგახეთქილმა ქალმა ისევ გიჟივით ააფათურა ხელები ამჯერად უკვე ირგვლივ და როდის, როდის მიხვდა, მსუბუქი მანქანის სალონში რომ იყო ჩაკეტილი. ჯერ ერთ კარს დაეძგერა შეშინებული, მერე მეორეს, საბედნიეროდ მეორე გაიღო და დალიმ უკუნი სიბნელიდან ისევ უკუნში ამოყო თავი. საშინლად ციოდა.

_ ვვვ... _ ქალმა ფრთხილად გადადგა ორიოდე ნაბიჯი, შიშისგან ხმა საერთოდ წაერთვა და უცებ თითოეული სანტიმეტრის მოსინჯვას შეუდგა არა მარტო ფეხით, თითქმის გაყინული ხელებითაც კი, _ რა ხდება ჩემს თავს, სადა ვარ... _ ქეთი დვალაძე... ქელეხი... მერე ის დათვივით კაცი... გივისთან მივდიოდი... ნუთუ იმ კაცმა, მერე და... სადმე გადამაგდო? _ და უცებ ოთხზე მცოცავი ქალი საშინელი ხმაურით დაეჯახა რაღაცას: ვაიმე, ეს რაღაა, რკინის ხმა იყო, თავი, ვაი, თავი! _ კედელია, თუ...

და ფეხზე წამომდგარმა ქალმა უცებ ისეთი შიშისმომგრველი ხმა ამოუშვა პირიდან, თვითონვე დაზაფრა საკუთარმა ხმამ.

_ მიშველეეთ! _ ხელის ცეცებით მიხვდა, რკინის კარი რომ იყო და კივილთან ერთად ხელებიც აამუშავა. ისეთი რახარუხი ატყდა, სადაც უნდა ყოფილიყო ჩაკეტილი თუ გადავარდნილი, ცოცხალს კი არა, მკვდარსაც გააღვიძებდა და მართლაც, როცა ხელებგადატყაულმა მცირე ხნით შეისვენა, შემოესმა კიდევაც გარედან ხმები:

_ ლეოს გარაჟიდანაა, ლეოს გარაჟიდან!

_ ჰო, მაგრამ ამ შუაღამის დროს ქალს რაღა უნდა გარაჟში, რა ხდება ერთი, გავგიჟდი კაცი, შინაა ლეო?

_ კი დავინახე, რამდენიმე საათის წინ დაბრუნდა, ისეთი მთვრალი იყო, მანქანა რომ შეაყენა, კიდევაც ვიფიქრე, როგორ მოაღწია ნეტა სახლამდე-მეთქი, ნიკა, აირბინე რა, დარასელიძეებთან, გააღვიძე!

_ გამიღეთ, ღვთის გულისათვის, გამიღეეთ... _ უკვე ღონემიხდილი აქვითინდა ქალი, _ გამიღეთ... _ ისევ მიარახუნა კარზე, ოღონდ ამჯერად სუსტად _ გავიყინე...

_ რაო? ქალიაო? _ გაისმა ვიღაც ქალის შიშისმომგვრელი ხმა ამ დროს გარედან, _ მოვდიოდი უკვე, კიბეზე შემხვდა ნიკა, ლეოც გავაღვიძე, თუ არ დაეძინა ისევ იმ

გათახსირებულს, მთვრალია ისევ, ძლივს გავაგებინე, რაღაც რომ ხდება აქ... დათო, მომინათე ეგ ფარანი აქეთ.

_ ესეც ასეე... _ და იმავე წამს ვიღაც დათვივით დედაკაცმა ღია კარიდან ჯერ გარეთ, მერე კი მაღლა ააფრიალა შიშისა და ყინვისგან მთლად ერთ ციცქნად ქცეული დალი, _ შეხედეთ, მეზობლებო, შეხედეთ, ხომ ხედავთ, ახლა საკუთარ გარაჟშიც რომ დაიწყო იმ დასამიწებელმა კახპების მოთრევა, ჰა? და მჯობია, ხალხო, მეზობლებო, ეს ვითომცდა ქალი, მე? _ ხელი არ გაუშვია, მართლა ქინქლასავით შეატრიალ-შემოატრიალა და მერე თოვლზე დააბერტყა დალი დათვივით ქალმა, _ მითხარით ერთი, როდემდე უნდა მირიონ ცხოვრება ამან და ამნაირებმა, ჰა? ის აღარ იმყოფინე, შენთან რომ დაეთრევა და ახლა გარაჟშიც მოყევი, ხომ? შინ რომ არ ვიყო, შინაც ამოყვები და ჩემს გარეცხილ-გაუთოებულშიც ურცხვად ჩაკოტრიალდები, ქუჩის ქალო, ხომ? მოიცა, მოიცა, სადა ხარ ჯერ, ისიც ჩამოეთრიოს!

_ უდანაშაულო ვარ, ხალხო, უდანაშაულო, არც კი ვიცნობ, _ ოთხზე წამოიწია დალიმ, მაგრამ დოინჯშემოყრილმა ქალმა წიხლით გადააკოტრიალა უკანვე და იმავე წამს ისევ წასწვდა ქეჩოშიც.

_ რაში გჭირდება ცნობა, რაში სჭირდება მაგ საქმეს ცნობა, შე გარეწარო! _ ერთი ნახეთ, ერთი ნახეთ, არყის სუნად როგორ ყარს ესეც, ისაა და ის ხომ მთლად არყის თავახდილი კასრი გეგონებათ ლოგინზე დადებული. ჩამოვიდეს, ჩამოვიდეს ერთი აქ, ერთმანეთს თუ არ წავაკლა ორივე და ქალი ნუ ვყოფილვარ მაშინ, ქალი!

_ კარგი რა, მანანა, კარგი, არ მოკლა ეგ უბედური, მართლა!

_ უდანაშაულო ვარ, ხალხო, უდანაშაულო... დამეძინა და.. დამეძინა და....

_ მაშ დაგეძინა კიდევაც, არა? ისე მშვიდად და კარგად იგრძენი თავი, დაგეძინა კიდევაც, იმის მაგიერ, რომ მელასავით მაინც გაპარულიყავი, შე...

მეზობლებმა ძლივს გააგდებინეს ხელიდან მთლად სისხლსა და ტალახში გათქვეფილი ქალი მანანას და უცებ ყველანი ერთ მხარეს შემოტრიალდნენ.

_ ვინაა უდანაშაულო, ვინ?! ფაქტზე არ წავასწარით? არ გატეხა გარაჟი, არ იპარავდა ჩემს მანქანას? _ უცებ დაეძგერა დალის სახლიდან ამ ყინვაში ტრუსისამარა გამოსული, ისევ უგონოდ მთვრალი ლეო და ბურთივით აისროლა საწყალი ქალი იმანაც მაღლა, _ მაშ, რა გინდოდა ჩემს გარაჟთან ამ შუაღამის დროს, ჰა?

_ მე, შემთხვევით... ქელეხი...

_ ქელეხიც რომ მომინდომა ამ კახპამ?! უქელეხოდ ჩაგდებ მიწაში, უქელეხოდ და უკუბოოდ, მაინც სულ შიშვლად გიყვარს ალბათ გდება, შე ქმრების ქურდო,... შე მართლა მიწაში ჩასადებო! აი, შენ კი, შენ კი ნამდვილად გადაგიხდი ქელეხს და თანაც როგორს: სულ დავლურით, სულ დავლურით და დიმპიტაურ-დამპიტაურით, შე უნამუსოვ, შენ! ეგ კი გაიქცა, მაგრამ შენ სად გამექცევი, შენ!

_ მოიცა, ქალო, ერთი, ერეკები, რა! მომინათე აქეთ, ზურა, ეგ ფარანი, რაიმეს მოპარვა ხომ არ მოასწრო, რაიმე ხომ არ გააყოლა ხელს, მე იმის... ვისია ეს მანქანა?! სადაა ჩემი მანქანა?! სხვისი მომიყვანა და ეს წაიყვანა?! ის წაიყვანა და ეს მოიყვანა?!

თოკი

არდი რევიშვილმა აცახცახებული ტუჩები მაგრად მოკუმა და პიჯაკის სახელოში გაუყარა ხელი. ნახევრადშიშველი ქალი ავაზასავით იყო გააფთრებული. მათი ურთიერთობის მთელი სამი წლის მანძილზე მხოლოდ მესამედ ხედავდა ასეთს და წინა ორი მწარე გამოცდილებით

გრძნობდა ახლაც, _ ძვირად დაუჯდებოდა შერიგება ამ სულისამაფორიაქებელ და თავზარდამცემად მიმზიდველ ქალთან.

არდის არ ესმოდა, უფრო სწორად, არ სურდა გაეგონა საერთოდ მშვენიერ, იმ წუთას კი სიავისაგან დამახინჯებულ ბაგეთაგან წარმოთქმული ენით აუწერელი ბილწი სიტყვები. სამი წლის წინ გამოგლიჯა ბიჭმა ეს ქალი ქუჩას, უკვე სამი გრძელი წელიწადი იყო, ესათუთებოდა და ყოველთვის, როგორც კი ქალი ისევ ქუჩურ მეტყველებას, ანდაც საქციელს იწყებდა, არდის ეჩვენებოდა, რომ იის კონა გაუსხლტა უცებ ხელიდან და უნუგეშოდ გადაუვარდა სადღაც, იქვე დაგუბებულ წუმპეში.

არდიმ სიგარეტს მოუკიდა და ქალს თვალებში შეხედა. ცხადი იყო, _ ქუჩა ეწეოდა ისევ. ისე, როგორც წინა ორი გააფთრებისას, აკი გუშინ სრულიად შემთხვევით ვიღაცის წითელ «რენოში» ჩამჯდარსაც ჰკიდა თვალი.

«იქნებ უკეთესიც იყოს... იქნებ მორჩეს ბოლოს და ბოლოს ეს ტრაგიკომედია!» _ ბაგე მოიკვნიტა და იგრძნო, არ დაეთანხმა, პირიქით, ქვასავითაც კი გაეყინა გული ამის გაფიქრებაზე. საოცარი იყო, როგორც არასდროს, ისე მოუნდა უცებ ხელები მოეხვია ამ ძუ ლომისთვის, მაგრად, მაგრად ჩაეკრა გულში და ისევ ჩვეულებრივ, საყვარელ და თვინიერ ნიბლიად ექცია იგი.

თითქოს განზრახვას მიუხვდაო, ისეთი გააფთრებით ეცა ქალი და ისე დაუშინა მოულოდნელად თავისი პატარა მუშტები ბიჭს სახესა და მკერდზე.

როგორ აღარ ჰგავდა ეს ცემა-ტყეპა იმ ხუმრობით ატეხილ ცემა-ტყეპას, სიყვარულის დროსაც რომ იცოდა ქალმა.

მხარში წაავლო მერე ქალმა ხელი, შეატრიალა და ცოტა ხნის შემდეგ გაოგნებულმა ბიჭმა გაიგონა, უფრო სწორად კი იგრძნო, როგორ შეზანზარდა ჯახუნის შემდეგ ზურგსუკან მძიმე, მასიური კარიც.

უაზროდ, ლასლასით ჩაიარა კიბეები. გრძნობდა, რაც უფროდაბლა ეშვებოდა, მით მაღლა ექაჩებოდა, მით უფრო მოკლდებოდა უხილავი რამ თოკი, აგერ ამდენი ხანია ამ ქალის გულსა თუ ფეხებზე რომ იყო მისდა საუბედუროდ გამობმულ-გამონასკვული.

«აგისრულდა ოცნება! _ დედა გაახსენდა უცებ და უცებვე რატომღაც პატარა ბავშვივით გაეღიმა, _ აგისრულდა, დედიკო, აგისრულდა, მაგრამ მე არ წამოვსულვარ ჩემი ნებით, თვითონ, თვითონ იმ «ქუჩის მისათითებელმა ქალმა», როგორც შენ ეძახი, გამომაგდო მე, _ შენივე თქმით, «მარტო ქუჩის კი არა, მთელი ქალაქის საამაყოც, ჭკუა რომ მქონდეს,» გამომაგდო და... სწორედ ამიტომაც ვარ ახლა ასე უბედური...»

სადარბაზოს წინ წითელი «რენო» შეჩერდა. მძღოლმა, მოდურად თმააკრეჭილმა ბიჭმა ჯერ საათს დახედა, მერე არდის გამოხედა, დაამთქნარა და მუსიკა ჩართო.

«მოვკლავ!» _ გაიფიქრა არდიმ, იგრძნო, როგორ დაესუსხა ათასი ჭინჭრით საწყალი გული, როგორ მოაწვა სისხლი მანამდე ფერმკრთალ სახეზე და როგორ შეეკრა უნებურად ორივე მუშტიც, _ «მოვკლავ! არც მე, არც ამას! რახან ასეა, არც მე, არც ამას!»

მძღოლმა ისევ დაამთქნარა, ისევ მოხედა იმ წუთას მისკენ წაბარბაცებულ არდის და იმ წუთასვე გამოაღო მანქანის კარიც.

_ ცუდად ხომ არა ხართ, მეგობარო? _ ისეთი სითბოთი ჰკითხა, შეცბა თითქმის გონებადაკარგული ბიჭი, _ იცით, რაღაც ფერი გადევთ ისეთი, და... თუ კი მიმსახურებთ, შემიძლია, სადაც გინდათ იქ მიგიყვანოთ.

_ გმადლობთ! _ ძლივს ამოილუღლუღა არდიმ, პირი ჰქონდა უმოწყალოდ გამშრალი. ძლივს აუარა გვერდი მანქანას _ არ ღირს, აქვე ვცხოვრობ ახლოს... «არა, რატომ უნდა მოვკლა, როცა იქნება... როცა იქნება შევხვდები ვინმე წმინდა, ლამაზ გოგოს და... შენთვის დამითმია ქუჩის ქალი... ქუჩის ქალი შენთვის დამითმია, ბიჭო!»

შინ არ უნდოდა ადრე მისვლა, არც ვინმე ახლობლის დანახვა შეეძლო, მთელ დღეს უაზროდ დახეტიალობდა ქუჩაში და როცა იგრძნო, სიარულის თავიც რომ აღარ ჰქონდა, ისევ ფეხით გაუდგა სახლისკენ მიმავალ შორ გზას.

გაზაფხული იყო, ჰყვაოდნენ ალუჩები, ტყემლები, ვაშლები, სიცილ-კისკისით გაჯერებული გაზაფხულის საამო სურნელი ტრიალებდა ირგვლივ და როცა თავისი ქუჩისკენ გამავალ ჩიხში შეუხვია, ბიჭმა იგრძნო, რომ მეტი აღარ შეეძლო. თეთრად შეფეთქილი ერთსართულიანი შენობის წინ შეჩერდა წამით, ღია ფანჯრიდან გადმოღვრილ მუსიკის ხმას დაუგდო ყური და უცებ მოწყვეტით ჩამოჯდა იქვე, ბორდიურზე.

თავდავიწყებით უკრავდა ვიღაც და ტუჩებაცახცახებულ, ხელებში თავჩარგულ ბიჭს ახსენებდა ყველაფერ კარგს, რაც კი იმ ქალთან ჰქონდა დაკავშირებული. მთელ დღეს იმით გადაიტანა თავს დატეხილი უბედურება, გაავებული ცდილობდა გაეხსენებინა ყველაფერი ცუდი, ვულგარული თუ ამორალური, რაც კი ახსოვდა იმ სულისამაფორიაქებელი და თავზარდამცემად მიმზიდველი ქალისაგან, ახლა კი, თითქოს ჯადოსნური კვერთხი გადაექნიოს ვინმეს, პირიქით ხდებოდა, იჯდა ბორდიურზე ხელებში თავჩარგული და ხედავდა ქალს, ქალს რომელიც იყო სრულყოფილი მშვენიერება.

«მე არ შემიძლია უშენობა... მე არ შეიძლია უშენობა, რადგან ეტყობა, ჩემი მწარე ბედისწერა ხარ შენ... არავის, არავის არ დავუთმობ შენს თავს, როგორც ოქროს, ბაჯაღლო ოქროს მინარევისგან, ისე გაგწმენდ სიბილწისაგან და ისე გაქცევ სამუდამოდ ჩემად... გაგწმენდ, როგორც ოქროს მინარევისგან, რადგან მე მხოლოდ სიწმინდე მიზიდავს შენში და არა სხვა რამ, _ მინარევებით დაფარული სიწმინდე... მწარე ბედისწერა ხარ შენ ჩემი... შენს გამო თითქმის დავკარგე დედაც, მამაც, დაც, ძმაც, მეგობრებიც... შენს გამო ავირიე ცხოვრება მთლიანად, მაგრამ ალბათ ასე იყო საჭირო, ტყუილად არ ამბობს ხალხი, «სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო...»

_ შენი ფეხით მოხვედი, ბიჭი, აქ, ამ ადგილას? _ მოესმა უცებ დარდისა და ფიქრისგან მთლად გათანგულ არდის უსიამო, ყრუ ხმა და მის ცხვირწინ შეჩერებულ ჭვინტებაპრეხილ ფეხსაცმელებს ააყოლა მზერა.

_ რა ბრძანეთ? _ დაბნეულმა ჰკითხა.

_ სიგარეტი გაქვს? _ ისევ ყრუდ გამოსცრა.

დაბალი, ჯირკივით გაჯიჯგული, წვერმოშვებული ახალგაზრდა იყო, პასუხისთვის არ დაუცდია, კბილები უსიამოდ გააღრჭიალა და ისე გამოუწოდა ხელი.

არდიმ ჯიბეები მოსინჯა, კოლოფში ჩარჩენილი რამდენიმე ღერიდან ერთი თვითონ ამოიღო, ერთიც თავსწამომდგარს გაუწოდა და სანთებელა აანთო.

ჯირკმაც არდის სანთებელით მოუკიდა სიგარეტს.

მუსიკა შეწყდა, შიგნიდან გოგონას წკრიალა, სასიამოვნო ხმა გაისმა, _ დედას ეკითხებოდა, ახლა რა დავუკრაო და როცა პასუხი მიიღო, როგორც ჩანჩქერმა, მუსიკამ კვლავ ისე იწყო გადმოღვრა ღია, თეთრი ფანჯრიდან.

«ესღა მაკლდა, _ ჯირკის ცხვირაპრეხილ ფეხსაცმელებს დახედა და ამოიოხრა არდიმ, _ წადი რა, ძმაო, ფიქრის უფლება მაინც მომეცით, ხალხი არა ხართ? ხომ აიღე უკვე სიგარეტი, წადი რა, ახლა...»

_ ერთ ქარქაშში ორი ხმალი არ ჩაიგება! _ გამოკვეთილად, მუქარით თქვა უცებ ჯირკმა და ფეხი ფეხზე დააბიჯა არდის.

_ ვერ გავიგე?! _ ფეხი გამოაცალა და მართლა განცვიფრებული წამოდგა არდი, _ ვერ გავიგე! _ ისევ გაუმეორა.

_ მაგრად უკრავს, არა? _ განათებული ფანჯრისკენ გააბოლა წვერმოშვებულმა, თვალები ავად ჰქონდა მოწკურული _ გა-სა-გი-ჟებ-ლად!

_ დიახ!

_ მოგწონს?

_ დიდი ხანია, _ მთელი დღის განმავლობაში პირველად გაეღიმა გულიანად არდის, _ ან კი რა ჩემი დასტური უნდა მოცარტს.

_ ვიის? _ გვერდზე გადააფურთხა და ნამწვიც გვერდზე მოისროლა ჯირკმა.

_ ვის და... მოცარტს.

_ აჰ, მარტო მოცარტს, არა? _ საკინძეში ჩაავლო ხელი და ისე ახლოს მიუტანა ცხვირი ცხვირთან, უცებ კაცის მაგიერ ბუდ მოეჩვენა იგი ბიჭს, _ აქეთ გამოვლილი თუ გნახე კიდევ როდისმე... _ ქშენით წაუსისინა.

_ ყოველდღე მნახავ, _ განზე ბრაზით გასწია და ცივად ახედ-დახედა არდიმ, _ ეს სახლი... _ უკაცრავად, ეს ჩიხი, უმოკლესი გზაა ჩემი სახლისკენ.

_ აჰა, ეს სახლი, არა? მოგკლავ, შენი! _ საზარლად დაიღრიალა უცებ ჯირკმა და უცებვე ჩაარტყა სახეშიც უროსავით მაგარი მუშტი, _ მოგკლავ, შენი, თუ კიდევ ერთხელ მაინც მოგკარი თვალი ამ სახლთან გამოვლილს...

მუსიკა შეწყდა. ეტყობა, შიგნით მყოფნი ფანჯარას მოაწყდნენ და ამიტომ ფანჯრის წინ, ტროტუარზე შედარებით ჩამობნელდა, არ ახსოვს, რამდენ ხან ურტყამდა ჯირკი, ერთი-ორჯერ თვითონაც მოასწრო პასუხის გაცემა, და როცა უკვე მიწაზე დაცემულმა თვალი ჰკიდა კისრისტეხით გაქცეულს, უცებ გაუარა წყენამ და უცებვე გაეღიმა კიდეც რატომღაც: «ყოჩაღ! აი, მესმის სიყვარული, იმას კი არ ჰგავს, დღეს მე «რენოს» პატრონს მადლობა რომ გადავუხადე»,

_ რამე ხომ არ დაგიშავა, შვილო, იმ მხეცმა, რამე ხომ არ დაგიშავა? _ წამოდგომაში მიეხმარა თეთრი სახლიდან გამოვარდნილი საშუალო ტანის ჯერ ისევ ახალგაზრდა ქალი ბიჭს, _ მხეცი ეგ, მხეცი, რა უბედურება გადაგვეკიდა. შენგან რაღა უნდოდა ნეტა...

«ძნელი არს სიყვარული, ვითარცა სიკვდილი! _ გაახსენდა უცებ არდის, ქალის მოწოდებული წყალი მოსვა და უცებვე ისევ გაეღიმა _ კურიოზია პირდაპირ, ვისთვის მკვდარს, ვისთვის მცემეს.»

_ გაუგებრობა იყო რაღაც. _ ქალს ჭიქა დაუბრუნა და პიჯაკი შეისწორა ბიჭმა. _ გმადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ.

მთელი ღამის უძინარს ალიონზე ჩასთვლიმა. ძილშიც კი გრძნობდა, როგორ გაუსაძლისად უღრღნიდა გულს რაღაც, გაიღვიძა თუ არა, ცივწყალგადასხმულივით წამოხტა და ჩაიცვა. თორმეტი საათი იყო უკვე.

«უნდა ვნახო! უნდა ვნახო, იქნებ სულაც არაფერია, იქნებ ის «რენო» იქ ცხოვრობს სულაც, იქნებ გუშინწინაც მომეჩვენა... იქნებ უბრალოდ ხასიათზე არ იყო და იმიტომ წამეჩხუბა... მივალ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება... მივალ და...»

დედამ ხმისამოუღებლად გაუწყო სუფრა. მთელი სამი წელია დედა-შვილს სასაუბროდ და საკამათოდ მხოლოდ ერთადერთი თემა ჰქონდათ: «ის ქალი!» სხვა ყველაფერზე მხოლოდ დუმდნენ.

რაღაც იდუმალი ხალისით გაიარა თავისი ქუჩა, ჩიხისკენ ჩამავალი კიბეები ჩაირბინა, წუხანდელი ღამე არც კი გაახსენდებოდა, არც ის თეთრი სახლი, ისევ მუსიკა რომ არა. ნაბიჯი შეანელა, შეჩერდა და ყური დაუგდო. მისთვის უსაყვარლეს «მთვარის სონატას» უკრავდა ვიღაც და უცებ საშინლად მოუნდა იმ ვიღაცის დანახვა.

«ვნახო მაინც ერთი, ვის გამო მცემეს». _ დალურჯებულ ღაწვზე ხელი მიიდო და ფანჯარას მიუახლოვდა.

სუსტი მხრები, მხრებზე ჩამოშლილი თმა... თეთრი კაბაეცვა, მოკლესახელოებიანი. თავი ოდნავ უკან ჰქონდა გადმოწეული, ეტყობა თვალდახუჭული უკრავდა... უკანასკნელი აკორდი აიღო, თავი წინ გადააქნია, ერთხანს გაილურსა, მერე ღრმად ამოისუნთქა, ხელები

თოლიას ფრთებივით აიქნია მაღლა, წამოდგა, შემოტრიალდა და უცებ შველივით დამფრთხალი მიაჩერდა ფანჯარასთან მდგომ არდის.

ბიჭმა იგრძნო, როგორ შეუფრთხიალდა მანამდე გაყინული გული, _ ჩიტივით.

გოგონამ ღრმად ამოისუნთქა, ხელები ჩამოუშვა და გეგონება, მოცურავსო, ისე წამოვიდა ფანჯრისკენ. ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა, ახალგაღვიძებული ბავშვივით ლამაზი, ოდნავგაღებული ბავშვური, ვარდისფერი ბაგე მოკუმა და არდი შეათვალიერა.

_ შენ გცემა წუხელ იმ... ჯირკმა?! _ უცებ გაეცინა, არდის დალურჯებული ღაწვისკენ წაიღო ხელი, მაგრამ უცებვე გასწია უკან და ამაოდ შეეცადა მარგალიტებივით ჩაწიკწიკებული კბილების დამალვას, _ რა უნდოდა თქვენგან? _ უცებ დასერიოზულდა.

_ არ ვიცი. _ მხარი აიჩეჩა და ღრმად ამოისუნთქა არდიმაც, მონუსხულივით შეჰყურებდა გოგონას, უცებ გაახსენდა და უცებვე ნახა გამოსავალიც, _ მაშ ჯირკს ეძახით თქვენც?

_ თქვენც? _ შემოსცინა გოგონამ _ იცნობთ?!

_ პირველად ვნახე წუხელ... აქ ვიჯექი, მუსიკას ვუსმენდი.. მისი ხმა გავიგონე და თავი ავწიე თუ არა, გულში იმავე წუთას ჯირკი დავარქვი მეც. თქვენ... ხომ არ გეწყინებათ?

_ მე-ე? _ გაეცინა გოგონას, _ მეწყინება კი არა, _ უცებ მოექუფრა სახე, _ რა უბედურებაა, რას გადამეკიდა. ღმერთო, ოღონდ ეგ მომშორდებოდეს!

_ უყვარხართ ალბათ, _ გულში უსიამოდ გაჰკრა რაღაცამ არდის, _ და რადგან უყვარხართ...

_ მე თუკი არ მიყვარს?! _ ნიშნისმოგებით გააქნია თავი გოგონამ _ ფუჰ, მართლა ჯირკი. _ უცებვე გაიცინა და უცებვე დაუსვა კითხვაც:

_ თქვენ რა გქვიათ?

_ არდი.

_ არდი? _ გაკვირვებით აზიდა წარბები გოგონამ, _ სადაურია, უცხოური?

_ არა, _ გაეღიმა არდის, _ მშობლიური, ძველქართული. მზეს ნიშნავს და ამიტომ დაურქმევია დედას ჩემთვის.

_ დედათქვენი ისაა, არა, მაღალი, ჭაღარა ქალი.

_ თქვენ საიდან იცით? _ გაუკვირდა არდის, _ თქვენ რა, მიცნობთ მე?

_ არა, საიდან? _ მხრები აიწურა გოგონამ, _ ისე, ამ გზით არ ადიხართ და ჩადიხართ სუულ... დედასთან ერთადაც მინახიხართ, გეჩხუბებათ სულ გზაში, _ მორცხვად დაამატა.

_ ჰო, _ უხერხულად მოინაცვლა ფეხი ბიჭმა, _ უნდა, უფრო კარგი ვიყო და... უფრო წესიერადაც მოვიქცე.

_ უწესო ხართ?! _ თვალები გაუფართოვდა გოგონას, _ მე კი, რამდენჯერაც დაგინახავთ ხოლმე, იმდენჯერ ვფიქრობ, რომ...

_ რას ფიქრობ ხოლმე? _ გული უცნაურად შეუქანდა არდის.

_ არაფერსაც არ ვფიქრობ ხოლმე... ერთხელ, იცით, როგორ დამეჯახეთ?

_ სად? როდის? _ შეიშმუშნა არდი, _ ხატზე შეეძლო დაეფიცა, რომ ცხოვრებაში პირველად ხედავდა ამ გოგონას.

_ ეჰ, ისეთი არაფერი, _ ხელი ჩაიქნია გოგონამ, _ აღარც კი მახსოვს, სად და როდის. შემთხვევით იყო, ნასვამი იყავით მგონი და...

_ მერე... მერე, კიდევ ხომ არ დაგჯახებივართ სხვა დროსაც, _ გული აუჩქროლდა, თავის თავს ვეღარ ცნობდა.

_ აღარ მახსოვს. რატომ უნდა დამჯახებოდით? _ მხრები გულუბრყვილოდ აიჩეჩა გოგონამ და უცებ გაიცინა, _ არდი... აბა თუ მიხვდები, მე რა მქვია?

_ რა ვიცი, აბა? _ გაეღიმა არდის.

_ მაინც? მაინც?

_ თეა!

_ არა!

_ ეკა!

_ არა!

_ ნინო!

_ ა-რა!

_ სალომე!

_ ა-რა!

_ ლია! თამთა! მარიამი!

_ არა! არა! არა!

«ოღონდ იმისი სახელი ნუ ერქმევა, ოღონ იმისი სახელი ნუ ერქმევა...»

_ მედეა!

_ აჰ, ვერ ვიტან საერთოდ მაგ სახელს, _ გაიცინა გოგონამ, _ რა იყო, შენ რაღატომ გეცინება, ვერც შენ იტან?

_ არა, რატომ? _ უხერხულად შეიშმუშნა ბიჭი, _ მითხარი, რა, ხომ ხედავ, ვერ ვხვდები!

_ ძალიან ახლოსაა შენს სახელთან. თითქმის შენი სახელია, ოღონდ ქალის და ოღონდ მშობლიური ახალქართული, _ ხელები ზურგზე დაიწყო, თითისწვერებზე აიწია და ლამაზი, ენით უთქმელად ლამაზი და კრიალა თვალებით მიაჩერდა გოგონა არდის.

_ მზი-ა! _ ლამის იყვირა, როგორც იქნა, თავისი მიხვედრით გახარებულმა არდიმ, _ ესე იგი მზე და მზია!

_ დიახ, დიახ, ესე იგი, ერთი და იგივე ვართ, ოღონდ... _ უცებ დაიბნა და შუბლზე ჩამოშლილი თმა გვერდზე თავის გაქნევით გადაიყარა უკან, _ იცი, მე სახლში რა მყავს?

_ რა?! _ ღიმილით ჰკითხა არდიმ, რაღაც უცნაური სიხარულისგან გული ებჯინებოდა ყელში, _ ფისო?

_ იადონი. შენ გიყვარს ცხოველები და ფრინველები?

_ აბა! რა თქმა უნდა!

_ მაინც, მაინც, ყველაზე ძალიან?

_ ცხენი.

_ ო, ეგ მეც ძალიან, ძაალიან. მუსიკიდან ყველაზე უფრო?

_ «მთვარის სონატა».

_ ლექსებიდან?

_ «თოვლი». გალაკტიონის «თოვლი!» _ ისევ გაეცინა არდის.

_ მე «ქარი ქრის...» როცა მოგინდება ხოლმე, მითხარი და დაგიკრავ «მთვარის სონატას».

_ კარგი, _ ლამის ცრემლი მოაწვა თვალებში არდის, _ რამდენი წლისა ხარ?

_ თვრამეტის, შენ?

_ ოცდახუთის.

_ ჯირკი რომ დაინახო, მოერიდე ხოლმე, კარგი? _ სახე მოუნაღვლიანდა მზიას.

_ მოვერიდო კი არა, _ თავი გაიქნია არდიმ, _ ერთი, არ მინდა კიდევ გამოჩნდეს სადმე ახლო-მახლო.

_ შენ არა, რა! _ შეეხვეწა გოგონა, _ მე თვითონ მოვიშორებ, კარგი, არდი?

_ შენ კი არ მოიშორებ, მე მოგაშორებ. ვანახებ მაგას სეირს! _ მუქარით გაიცინა არდიმ, _ წუხელ ცოტა ცუდად ვიყავი, თორემ...

_ წუხელ? _ შეშფოთდა გოგონა, _ რატომ?

_ რა ვიცი, _ თავი გააქნია არდიმ, _ რაღაც სისულელის გამო, ახლა უკეთესად ვხვდები, სისულელე რომ იყო და მეტი არაფერი. არ ღირს ამაზე ლაპარაკი. სწავლობ?

_ კონსერვატორიაში. შენ?

_ დავამთავრე უკვე უნივერსიტეტი. გინდა, კვირას ზოოპარკში წავიდეთ?

_ საად?

_ ზოოპარკში. ხომ გიყვარს ცხოველები.

_ ვეტყვი დედას და... დედაც გიცნობს სახეზე. კვირამდე აღარ აივლი და ჩაივლი?

_ რას ვიზამ აბა? _ გაეცინა არდის, _ ახლა კი წავალ, ერთს კარგად წავუძინებ და... მთელ ღამეს არ მიძინია წუხელ.

_ მე მეგონა შინიდან მოდიოდი, თურმე შინ მიდიხარ.

_ შინიდან მოვდიოდი, მაგრამ გადავიფიქრე.

_ კარგი, აბა, _ სიფრიფანა, ნაზი ხელი გამოუწოდა ფანჯრიდან გოგონამ, _ ხვალაც შინა ვარ მთელ დღეს.

_ გნახავ, _ ხელზე ხელი ოდნავ მოუჭირა და სიყვარულით ახედა ბიჭმა, _ ნახვამდის!

თავისი ქუჩისკენ ამავალი კიბეები ხალისით აათავა, ბაქანზე შედგა და უცებ იგრძნო, ისე შეუღონდა გული, თითქოს ათასი ხანჯალი ემგერებინოს ვინმეს ერთბაშად. თვალები დაებინდა, ყელში ისევ გაებჯინა ის რაღაც, მწარე და ცხელი, სახელიც რომ ვერ მოუძებნა ვერასდროს. შეტრიალდა და ლასლასით დაუყვა კიბეს უკანვე.

«იქნებ ვაჭარბებ... იქნებ სულაც იქ ცხოვრობს «რენოს» პატრონი, იქნებ მომეჩვენა გუშინწინაც, რომ ის იჯდა იმ მანქანაში... იქნებ ქალის უბრალო კაპრიზი იყო ჩხუბიც და მეტი არაფერი...»

ისევ მოსჩქეფდა მუსიკა უმშვენიერესი თეთრი სახლის თეთრი ფანჯრიდან...

არც გაუხედავს იქითკენ, თითქოს თოკის ბოლო უჭირავს ხელშიო, ისე ეწეოდა სულისამაფორიაქებელი, თავზარდამცემად მიმზიდველი და ავაზასავით გააფთრებული ქალი თავისკენ.

უწვერულვაშო მეფისტოფელი

ტელეფონ-ავტომატთან გოგო და ბიჭი დგანან ხელიხელჩაკიდებულნი და მოუთმენლად, გაფაციცებით აკვირდებიან კანტი-კუნტად გამოჩენილ გამვლელ-გამომვლელს.

_ რაც არის, არის, დილამდე აქ ხომ არ ვიდგებით, მართალია, ახალგაზრდა არაა, მაგრამ ამას ვთხოვ...

ბიჭი გაუბედავად უჭრის გზას მამაკაცთან ერთად მომავალ ქალს, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, უწვერულვაშო მეფისტოფელს ჰგავს და რომელიც ხელების შლით ეკამათება რაღაცაზე გვერდით მიმავალ მოღუშულ მამაკაცს.

_ ბოდიში, როგორც დას... როგორც დედას, ისე გთხოვთ... ქალი გვჭირდება...

ქალი ჩერდება და გაოცებით აჭყეტს თვალებს.

_ დასარეკად, _ გასამხნევებლად კაცისკენ იყურება ბიჭი, _ ჩვენ... სამეცადინო გვაქვს ამაღამ, ამისი მამა ძალიან ეჭვიანია და არ გამოუშვებს ჩვენთან. არა და ძალიან რთული გამოცდა გვაქვს ჩასაბარებელი. გთხოვთ, ეს რომ დარეკავს და ეტყვის, თქვენც დაუდასტუროთ. აი... უთხარით, რომ თქვენთან რჩება. ესე იგი... ქალიან ოჯახში... ამხანაგის დედაც იქ არის... მამაც... _ აღარ იცის წინადადებას როგორ მოაბას თავი ბიჭმა, ქალის სახეს ათვალიერებს და შეცბუნებული ამატებს, _ დედაჩემი შორს ცხოვრობს, ტელეფონი კი არა გვაქვს.

_ აა... _ ტუჩს იბზუებს ქალი და კაცისკენ მრავლისმეტყველად იყურება, _ ესე იგი, ამაღამ ეს გოგონა ჩვენთან რჩება, ხომ?

_ დიახ, დიახ! _ გახარებული იშმუშნება ბიჭი, _ თქვენს გარდა სხვა არავინ გამოჩნდა... უფრო ახალგაზრდა და თქვენ შეგაწუხეთ, მაპატიეთ.

_ თქვენი აზრით, მე ბებერი ვარ?

_ როგორ გეკადრებათ! _ უხერხულად იფხანს ბიჭი ქეჩოს, _ რა გიგავთ ბებერს, უბრალოდ ახალგაზრდას უფრო... ეტყოდა, ამხანაგი ვარო...

_ ჰმ! კი ბატონო, წამობრძანდით!

წინ ბიჭი მიდის, უკან ქალი მისდევს. მამაკაციც მათ მიჰყვება ბუზღუნ-ბუზღუნით.

გოგო ბიჭს უღიმის, ქალსა და კაცს თვალს არიდებს, ავტომატში მონეტას აგდებს და ნომერს კრეფს.

_ ალო... მამა, მამიკო, ხვალ ასტრონომია გვაქვს ჩასაბარებელი და მთელი ღამე უნდა ვიმეცადინოთ. რუსუდანთან ვრჩებით ჯგუფელი გოგოები... რა-ა? აი, რუსუდანის დედას ელაპარაკე. ტელეფონი არა აქვთ და მეზობლისგან გირეკავთ.

გოგო ბაგეზე კბილს იჭერს, შეთქმულის სახით აჩეჩებს ყურმილს ქალს და ცერებზე აწეული, სუნთქვაშეკრული უსმენს.

_ ალო! _ ხაფი ხმით ჩაჰკივის ქალი _ ...დიახ, დიახ, ოღონდ ასტრონომიაში კი არა, ფიზიოლოგიაში... აბაა, სულ მერკურისა და იუპიტერის დარდი არა აქვს ახლა თქვენს ქალიშვილს?!... რუსუდანის დედა არა, ის კიდევ, _ ვიღაც პიჟონთან ერთადაა ქუჩაში და მშვენივრად ეტყობა, რის ჩასაბარებლადაც ემზადება. ვიდრე სულ არ წაგსვლიათ ხელიდან, მიხედეთ, ბატონო, თორემ ვეღარ უშველის მერე ვეღარც ასტრონომია, ვეღარც გინეკოლოგია და ვეღარც სამართალმცოდნეობა... მაცადეთ, მაცადეთ, თქვენთვის ვამბობ, თორემ მე კი მაქვს იმდენი ჭკუა-გონება, დარეკილ-დაბარებულს არ დავუჯერო და მშვიდ ძილს არ მივცე თავი... მეტრო «თავისუფლების მოედანთან»... ჩემი მეუღლე აკავებს ახლა იმ პიჟონს, შეგახედათ ნეტა, ერთი, რას ჰგავს, _ ჩემთვის უნდოდა ჩაერტყა... ვაი! თქვენმა სასახელო ასულმა ისეთი, ვირივით წიხლი ამომარტყა ამ წუთს და ჩანთაც ისე ჩამიხათქუნა... რა უდევს მაგ ოხერს ჩანთაში ამისთანა, შეამოწმე ერთი, თუ კაცი ხარ, როცა მოეთრევა... გაიქცნენ უკვე, ბატონო, აქ გამიჩერდებოდნენ?!... არაფრის, ბატონო, არაფრის, მე ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობა მოვიხადე მხოლოდ!

ქალი მგზნებარედ კიდებს ყურმილს. გაქცეულ, გაცეცხლებულ წყვილს ამრეზით გაჰყურებს, ნატკენ ადგილებს ისრესს და ცოტა ხნის შემდეგ ისევ ცხვირწინ უფრიალებს ხელებს გზადაგზა შარვლის ფერთხვით დაკავებულ, ადრინდელზე უფრო მეტად მოღუშულ თანამგზავრს.

_ კი, ბატონო, მჯერა, რომ წლიური ანგარიში გქონდა გასაკეთებელი და იმიტომ ვერ მოხვედი შინ წუხელ. მჯერა, რომ წლიური ანგარიში გაქვს ამაღამაც დასამთავრებელი და ისევ სამსახურში უნდა გაათიო... კი, ბატონო, კი, ბატონო! დავჯდები მეც შენთან, ბოლოს და ბოლოს ჩემი, როგორც მეუღლის, მოვალეობაა, არ მიგატოვო მარტო ძნელბედობის ჟამს. თანაც, ვინმემ რომ დარეკოს, ყურმილს მაინც ავიღებ, თორემ, ამ წუთამდე გიმალავდი და რაც მე მთელ ღამეს შენთან სამსახურში ვრეკე, შენ კი, შე საწყალო, მუშაობით გართულმა, ერთხელაც ვერ მოახერხე ყურმილის აღება... ისე, ყურის ექიმთანაც მყავხარ ხვალ-ზეგ წასაყვანი, ხომ არ მითქვამს დღეს არაფერი, ამ წუთას გეუბნები ამასაც, _ რაც მე, თენგომ და შენი სამსახურის დარაჯმა ღამის სამ საათზე შენი კაბინეტის კარზე ვარახუნეთ...

სხვათა შორის, მშვენიერი რომანი მომაქვს წასაკითხად. აბა, ისე რა გაძლებს მთელ ღამეს დამჯდარი. შენ იკითხე, გათენებამდე ციფრებს ჩაჩერებულმა, თანაც წუხანდელმა უძილომ, თორემ... ჩემი პირველი ქმარიც ასე დარჩა ერთხელ ღამე სამსახურში. არ მითქვამს მეორე დღეს არაფერი, საღამოს მეუბნება, ამაღამაც სპორტდარბაზში მივდივარ, რაღაც ფორმაში ვერა ვარ და უნდა ვივარჯიშოო. მწვრთნელი იყო, ხომ იცი, ჩაიცვა, გამოიპრანჭა და ჩავიცვი მეც, _ იმხელა დარბაზში მარტო ხომ არ უნდა იყო, ცოდო ხარ-მეთქი. იმწუთას გადაიფიქრა, არა, არა, ჯობია ამაღამ დავრჩე, წუხელაც არ მიძინია და ძალიან დაღლილი ვარო, მაგრამ მე არ მოვეშვი, _ მართლა აღარ ხარ ფორმაში და ჯობია ივარჯიშო, თანაც ღამე, თორემ ხომ ხედავ, დღე სხვები არ გაცდიან-მეთქი... მე რა მიჭირდა, ვიწექი არხეინად საჭიდაო ლეიბზე

და ვკითხულობდი, სხვათა შორის, მაშინაც ამ რომანს, ის ცხონებული უნდა გენახა, რა ოფლს ღვრიდა დილამდე, _ რა ორძელზე და რა შტანგის აწევაში!

მეუღლის პალტო

_ იცი შენ, პატივს გცემ, მაგრამ ამ ბოლო დროს ისე ხშირად აგვიანებ და ისე საეჭვოდ დადიხარ! _ მკაცრად შემოტრიალდა ფანჯარასთან მდგომი ლერი, როგორც კი ნონამ ოთახში ფეხი შედგა, _ რა არის, ბოლოს და ბოლოს?

_ ვაიმე, ისე ცუდად იყო ლია, რომ არ მიმეცილებინა სახლამდე... _ მუდარით გამოიწია ყელი ქალმა, _ ხომ იცი, მარტოხელაა, სანამ წამლები, სანამ სასწრაფო...

_ კარგი ერთი, კარგი, მიზეზი რომ არ დაგელევა, _ ყველას ამ ბოლო დროს როგორ გაუჭირდა და ყველაფერი ასე როგორ აეწყო, _ გაცეცხლდა უცებ კაცი, _ უკანასკნელად გიცხადებ, იცოდე, დააგვიანებ სახლში მოსვლას ერთხელ კიდევ და... რა არის მართლა და მართლა, რა ყველას ჩხიკვი-ყვავის მამიდა შენა ხარ. გეუბნები, სადაცაა მართლა შემეპარება ეჭვი, რომ ვიღაც გაიჩინე და მერე ხომ იცი...

_ არა გრცხვენია, ლერი? _ წყენისგან სახეზე წამოწითლდა ნონა, _ ღმერთო კი მომკალი, შენ თუ მაგას ჩემზე იფიქრებდი და..

_ შენ კი არა ანგელოზივით პატიოსანი ქალები გაუსულელებიათ ვიღაც ვიგინდარებს, იმ ქალებს მერე კიდევ ქმრები. მე რა გარანტია მაქვს ვითომ? _ წიგნი გვერდზე მიაგდო წარბშეკრულმა ქმარმა და ტელევიზორს მიუჯდა, _ ვაა, არ გადამრია კაცი?!

ნონამ ტანსაცმელი გამოიცვალა, სასწრაფოდ მიალაგ-მოალაგა სახლი, გააკეთა საჭმელი, ცოტა ხანს საკერავსაც ჩაუჯდა და ბოლოს მთქნარებით წავიდა საძინებელში. გაბუტულ, გაბრაზებულ ქმარს უკვე ღრმა ძილით ეძინა. ის იყო ნონამ ხალათის ღილები შეიხსნა, გაახსენდა: აუცილებლად უნდა დაერეკა ამ საღამოს ლილისთვის და გადაეცა, მოუწერა ხელი დირექტორმა საშვებულებო განცხადებაზე თუ არა.

«ჩემი სიკვდილი! არა და ამაზეა დამოკიდებული, წავიდეს ლილი ხვალ დილის ექვს საათზე სოფელში, თუ მოვიდეს ისევ სამსახურში». ქალმა ყოყმანით გადახედა მეუღლეს. ხალათის ღილები ისევ შეიკრა, ფეხაკრეფით გამოვიდა საძინებლიდან და საათს შეხედა. თორმეტი სრულდებოდა. «ვაიმე, ხაიკაშვილებსაც სძინავთ ალბათ უკვე და პეტროსიანებსაც. ვისგან დავრეკო. მეტი გზა არაა, ჩავირბენ ისევ ქუჩაში. რა უნდა, ახლოა, სუპერმარკეტის კუთხეში. ლერი ვერც გაიგებს».

ქალმა ჩანთა მოჩხრიკა, ერთადერთი ათთეთრიანი იპოვა, მხრებზე ჟაკეტი მოირგო და ფრთხილად გაიხურა გასასვლელის კარი.

გარეთ ციოდა, ირიბად, ძლივსშესამჩნევად თოვდა, ნონამ სირბილით გადაჭრა უკაცრიელი ქუჩა, ჯიხურის კარი სწრაფად გამოაღო და აძაგძაგებულმა ჩაუშვა აპარატში ათთეთრიანი. «რა სულელივით ვუცდი. არ გადის». ნომერი ხელახლა აკრიფა, კარი მჭიდროდ მიიხურა და სიცივისგან შეაჟრჟოლა. მონეტამ გაიჩხაკუნა მერე კი ჯერ წყვეტილი, შემდეგ გაბმული ზუმერი გაისმა. «ჩაყლაპა, _ წყენით გაიფიქრა ქალმა _ რა ვქნა, მთავარია, შენს თავთან იყო მართალი, ... ვურეკავდი და არ გავიდა. გინდა დაიჯეროს, გინდ ნუ დაიჯერებს» _ ყურმილი დაკიდა, შეციებული ხელები დაიორთქლა და კარს მიაწვა. კარი არ გაიღო. ქალმა გაკვირვებით შეათვალიერა კარი და უფრო მაგრად მიაწვა. უშედეგოდ!

«გავგიჟდები ახლა» _ ნონა ჯერ მხრით მიაწვა კარს, მერე მიიხედ-მოიხედა და თავისდა სასიხარულოდ ახლო-მახლო რომ ვერავინ დალანდა, მთელი ძალით ჰკრა კარს ფეხი. კარი არც ახლა შერხეულა. «ღმერთო, ნუ გამაგიჟებ, ღმერთო, ნუ გამაგიჟებ!» _ გაბმით აზუზუნდა ქალი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ერთხელ კიდევ ძლიერად გამოუქანა კარს ჩუსტიანი

ფეხი. კარი არც ახლა შერხეულა, სამაგიეროდ თვითონ ქალი ხტოდა რამდენიმე წუთს შეშლილივით ცალ ფეხზე, ღაპა-ღუპით სდიოდა ცრემლი და გამალებით ცდილობდა ნატკენი თითების დაამებას დაზელვით.

«რაღა ვქნა, პირველის ნახევარი იქნება უკვე. გაგიჟდება ლერი... ვაიმე, რომ არც გამოჩნდა არავინ ჩემს ბედზე».

ქალი თანდათან აიტანა სიცივემ. განუწყვეტლივ მოძრაობდა და ფართოდ გახელილი თვალებით გაჰყურებდა ჯიხურის სქელი მინიდან ტროტუარს.

«ძაღლური ამინდია, ვინ გამოჩნდება. ფეხსაცმელი მაინც მეცვას, ჩავამტვრევდი მინას... ვაიმე, ვაიმე... ოღონდ ახლა გამოჩნდებოდეს ვინმე»...

სადღაც შორს უცებ მართლა გამოჩნდა ვიღაც, ლანდისმაგვარი, თანდათან მოახლოვდა და მინაზე ცხვირპირით აკრულმა ქალმა ახლა უფრო კარგად გაარჩია ლომივით ფაფარაყრილი, გოლიათური აღნაგობის მამაკაცი. მამაკაცი ნელა მოდიოდა, დროდადრო ჩერდებოდა, თავისთავს ხელებით უხსნიდა რაღაცას და მერე ისევ ბორძიკ-ბორძიკით აგრძელებდა გზას.

«მთვრალია. დავუძახო ნეტა? ეგ მინდა, ამიტეხოს ახლა აქ ბღლაძუნი?! ეჰ, რას მიზამს ნეტა, გამათავისუფლოს ოღონდ აქედან და ისე მოვკურცხლავ, მე შენ გითხრა და შორს ვარ წასასვლელი».

ნონამ ჯერ ნაზად დააკაკუნა მინაზე, მერე მუშტების რახარუხი ატეხა და ბოლოს კივილიც მიაყოლა ზედ. კაცი შეჩერდა და გაკვირვებით მიმოიხედა. ნონამ უმატა რახა-რუხსაც და კივილსაც, როგორც იქნა, კაცმა თავი ჯიხურისკენ შემოატრიალა და გაოცებული მიაჩერდა ქალს, თავისკენ რომ იხმობდა.

_ მე-ე? _ ანიშნა კაცმა.

_ ჰო, ჰო! _ ცხარედ დაუქნია თავი ქალმა, _ კარი გამიღეთ.

კაცმა ვერ გაიგონა, რას სთხოვდა ქალი, მაგრამ მაინც წამოვიდა ჯიხურისკენ ბანცალ-ბანცალით და სახელურს წაავლო ხელი, უკეთ რომ გაეგო, რა სურდა მისგან ქალს.

კარი არ გაიღო.

_ გამიღეთ! გამიღეთ! _ მინას კვლავ მუშტები დაუშინა და კვლავ ორმოში ჩავარდნილივით აკივლდა ნონა.

კაცი მაინცდამაინც ვერც ახლა მიხვდა, რას მოითხოვდნენ მისგან, მაგრამ კარი მაინც მოზიდა ისევ თავისკენ. კარი მტკიცედ იდგა უარზე. კაცმა გაიხედ-გამოიხედა, უცებ პირადი მოსისხლე მტერივით მიაჩერდა ჯიხურს, ხელებზე დაიფურთხა, ცალი ფეხით კედელს მიაწვა და ორივე ხელით დაეჭიდა კარს. კარი არ გაღებულა. სამაგიეროდ ჯიხური ძირფესვიანად მოსწყდა ადგილიდან და კაცისკენ დაქანდა.

_ დამდგი! დამდგი! _ უაზროდ აწივლდა ნონა და მუშტები გამალებით დაუშინა მინას _ მკლაავ?!

გაბრაზებულმა კაცმა ისევ ადგილზე დადგა ჯიხური, შეიგინა, ერთხანს თვალებდაჭყეტილმა ათვალიერა ქალი, მერე ხელი ჩაიქნია და ისევ ბორძიკით განაგრძო გზა.

_ როგორ დამტოვა ამ უნამუსომ, როგორ?! _ ატირდა ნონა და თავში ხელები წაიშინა, _ პირველი საათი იქნება უკვე!

კარგა დიდი ხანი იქნებოდა გასული, ჯიხურთან მოტოციკლი შეჩერდა. ახალგაზრდა პოლიციელი სწრაფად ჩამოხტა, ჯიბიდან მონეტა ამოიღო და სტვენა-სტვენით მიადგა ჯიხუ-რის კარს.

ჩაყუნცულ, მისავათებულ ქალს უკვე ადგომის თავიც აღარ ჰქონდა, იჯდა და უბედური სახით ამოჰყურებდა პოლიციელს.

პოლიციელმა კარი მოსწია, ერთხელ, ორჯერ, მერე შიგნით ქალიც დალანდა და გვერდზე გახტა მოულოდნელობისგან.

ნონა ხელახლა ატირდა და ხმამაღლა, მოთქმით ამცნო ბიჭს თავისი გასაჭირი. ბიჭმა უცებ გაიცინა. ხელით ანიშნა, ნუღარ გეშინიაო და უკანვე გატრიალდა. მინაზე აწებებული ნონა ბუნდოვნად ხედავდა, როგორ ფათურობდა პოლიციელი მოტოციკლთან, მალევე გამობრუნდა და ერთი წამის შემდეგ კარიც გააღო.

_ ვვვ... _ ღვარად მოსკდა ცრემლი სიცივისგან აძაგძაგებულ ქალს, _ მობუზული უხმოდ შეაჩერდა თვალებში მხიარულ ღიმილშეკავებულ ბიჭს და მადლობა არც გახსენებია, ისე წახანხალდა სახლისკენ.

მეუღლე შუაგულ ოთახში იჯდა კოსტიუმში გამოწყობილი, ფეხიფეხზე შემოდებული, კუშტი და მრისხანებისგან ფერდაკარგული.

_ ლილი ხვალ ექვს საათზე... _ გაურკვევლად ალაპარაკდა ნონა და მთელი ტანით აეკრა გათბობის მილს _ კარი, კარმა... კარს!

_ კარის, კარით, კარად, კარო! შენ რა, გრამატიკის გაკვეთილს მიტარებ დილის ხუთ საათზე, თუ?! დიახ! დიახ! ხუთი ხდება უკვე, ვისთან და სად ბრძანდებოდი, ქალბატონო, მთელ ღამეს?

_ ჯერ ლომივით კაცი... მაგრამ იმან ვერ... პოლიციელმა, ახლახანს... _ გაყინული ყბები გამალებით მოისრისა ნონამ და უცებ თავზარდაცემულმა დაიწია უკან.

_ აჰ! ჯერ ლომივით კაცმა, მაგრამ იმან ვერ და მერე პოლიციელმა, ხომ? _ ჰალსტუხი შემოიგლიჯა და გააფთრებული წამოვიდა ქალისკენ კაცი.

_ კარი... _ ხმამაღლა ატირდა უცებ შეშინებული ნონა და კედელს აკრულმა როგორც იქნა ჯერ დაულაგებლად, შემდეგ კი ალაგ-ალაგ დალაგებით მოუთხრო მთელი თავისი თავგადასავალი მეუღლეს, რომელიც მთელ ამ ხნის მანძილზე მარყუჟმომარჯვებული ჯალათივით ადგა ქალს თავზე.

_ ესე იგი, შენ გინდა მითხრა, რომ ჯიხურის კარი არ გაიღო, ხომ?! _ ჰალსტუხი ისევ კისერზე გადაიცვა ლერიმ.

_ ჰო, ჰო, _ თავი დაუქნია გახარებულმა ნონამ, _ ჯერ დაიხურა, შემდეგ არ გაიღო.

_ აბა, წამოდი!

ნონა ისევ ფლოსტებითა და ხალათზე წამოსხმული ჟაკეტით გაჰყვა პალტომოხურულ მეუღლეს.

კაცი ჯიხურთან მივიდა, კარი გამოაღო და დახურა.

_ აბა ახლა... _ ამოილუღლუღა ნონამ.

_ გამოვაღო? _ კბილებში გამოსცრა კაცმა, _ ა, ბატონო! _ გამოაღო და დახურა. გამოაღო და დახურა.

ნონა შიგნით შევიდა. კარი მჭიდროდ შეიხურა, მერე რატომღაც ძლიერად ეტაკა მხრით და უცებ ბურთივით გამოხტა გარეთ.

_ პოლიციელმა. _ ისევ ასლუკუნდა ნონა, _ დედას გეფიცები, პოლიციელმა...

_ აა, პოლიციელმა, არა? კი ბატონო. კი ბატონო და შენ გგონია, მე მეშინია შენი პოლიციელის?

_ თავი არ მომაკვლევინო, ლერი. _ ახლა კი ხმამაღლა ატირდა ქალი, _ გითხარი, ლომივით კაცმა ვერ გააღო, პოლიციელმა გააღო მხოლოდ რაღაც იარაღით. რატომ არ გჯერა, რატომ? აი, აი, გესმის? მოტოციკლი! დაუძახე, გეხვეწები, დაუძახე!

უთენია ქუჩაში საეჭვოდ ატუზული ორი მოქალაქე შენიშნა თუ არა, პოლიციელი თვითონვე შემობრუნდა, მოტოციკლი პირდაპირ მათ ცხვირწინ შეაჩერა და ხელი საფეთქლისკენ წაიღო:

_ უმცროსი ლეიტენანტი დგებუაძე. თქვენი საბუთები!

ნონამ ჯერ წინიდან ათვალიერა უხმოდ, მერე გვერდიდან შემოუარა და ისე ჩააშტერდა სახეში უმცროს ლეიტენანტს, შეცბუნებულმა კაცმა განზე გასწია თავი.

_ ქალბატონო!

_ თქვენ იყავით წუხელის... ამ დილას ჩემთან?

_ რას ბრძანებთ, სად ვიყავი?! _ ჯერ ქალს შეხედა გაოცებით, შემდეგ კი მდუმარე მამაკაცს პოლიციელმა, _ თქვენ, შემთხვევით, მთვრალები ხომ არა ხართ?

_ კარი ჩაიკეტა და... _ ნესტოები აუთრთოლდა ქალს, _ სად უნდა ვყოფილიყავი, ლერი, სად?

_ საბუთები! _ მკაცრად გაიმეორა პოლიციელმა.

_ რაო, ვითომ არ შეიძლება განთიადისას ცოლ-ქმარი თავის სახლის წინ იდგეს?! _ გააფთრდა უცებ კაცი. _ იქნებ მივდივარ სადმე და მაცილებს, ბატონო! აკრძალულია?

_ უკაცრავად, უკაცრავად. მე რა ვიცი. ისე იდექით, რაღაც... ა, ხომ ხედავთ, მეორეც მოდის. დაგვინახა და იფიქრა იმანაც რაღაც. რას ვიზამთ, სამსახურია! _ კვლავ ქუდისკენ წაიღო ხელი დგებუაძემ და იქვე შეჩერებულ მოტოციკლს მიუტრიალდა, _ არაფერია, გიო, ცოლ-ქმარი აცილებს თურმე ერთმანეთს და.

_ არა, მაგიტომ არა, _ გაიცინა და მოტოციკლიდან ჩამოხტა ახალგაზრდა პოლიციელი, _ სატეხი დამრჩა წეღან აქ და... ქალი იყო ხომ იცი, ჩაკეტილი.

_ მეე... _ სიხარულისგან ხელახლა ატირდა ნონა, უცებ გააფთრებით ეცა მკლავში პოლიციელს და ხელი ხელზე მოჰკიდა, _ ხომ ვიყავი, ხომ ვიყავი მართლა!

_ ააჰ, ისევ თქვენა ხართ?! _ მხიარულად გაიცინა ბიჭმა და ქალის გვერდით ატუზულ კუშტ კაცს გაღიმებული მიუტრიალდა, _ რა არ ხდება, არა?

_ აბა?! _ უცებ ყურებამდე, შვებით გაიღიმა კაცმაც და ხელი გაუწოდა ბიჭს, _ გმადლობთ!

_ არაფრის, _ სატეხი მეორე ხელში გადაიტანა და ხელი ჩამოართვა ბიჭმაც, _ კარგად ბრძანდებოდეთ!

კაცმა ჯერ ჯიხურს გახედა, მერე ქალს, თავი გადააქნია, შვებით ისევ, ისევ ყურებამდე გაიღიმა და მზრუნველად მოახურა თავისი დიდი, თბილი პალტო სიცივისგან აცახცახებულ მეუღლეს.

ლეო

_ მიყვარხარ, მიყვარხარ, რითი დაგარწმუნო, ვინ დაგიფიცო, მეტი აღარ შემიძლია, კაცო, ეს ვინ ყოფილხარ. აი, მტა-მტა-მტა! _ მთელი სახე გიჟივით დაუკოცნა ლამზირამ ბუდუს, _ რას შემჭამე ეჭვიანობით.

_ რატო მეუბნებოდი, აბა უარს ცოლობაზე, ჰა? _ თვალები მოწკურა ბუდუმ, _ თანაც ათი წელი.

_ ვაიმეე, ეს ვინა ყოფილა, კაცო, რატო გეუბნებოდი და იმიტომა, რომ...

_ ლეო რო გიყვარდა, ხო?

_ ხომ გითხარი, არ მიყვარდა-მეთქი, კაცო, ლეო არა, კიდე, ისა, ლეოს შევიყვარებდი? შენა გჯობია ლეო?

_ ჩემზე მაღალი ხოა?

_ შენ რა, დაბალი ხარ?

_ შენთან შედარებითაც კი რა დაბალი ვარ და ლეოსთან ხო რაღა ვიქნები. იმიტო არ მოგწონდი, ხო?

_ ვაიმეე, რაღა ვქნა, გითხარი, ათასჯერ მაინც გითხარი, მომწონდი-მეთქი. მეტი რაღა სიკვდილი ვქნა, აღარ ვიცი, ხატზე დაგიფიცო?

_ მა რაღას მაწვალებდი ათი წელიწადი, სუ მაჯებს ვიღრღნიდი ხოლმე, ლეოსთან რო გხედავდი. რაკი ჩემზე განათლებული იყო, იმიტომა?

_ რა განათლებული, კაცო, ლეოს განათლება ვიღამ თქვა, ბუდუ, არ გამაცინო ეხლა.

_ მა ტყუილად სწავლობდა ქალაქში ხუთ წელიწადს, მა ტყუილად მუშაობს ეხლა ეგეთ ადგილზე და ხვეტავს და ხვეტავს ფულებსა, ჰა?

_ რაში მჭირდება, კაი, რა ბუდუ, ლეოს ფულები მე, ჰა? არ იცი, რა კურკაწონიაცაა, მე კი არა, ქვეყანამ იცის ეგა.

_ არაფერს არ ყიდულობდა ხოლმე შენთვის?

_ კაი რა, ბუდუ. შენა, ან ეს ტანსაცმელი, ან ეს ფეხსაცმელი, ან ეს ბეჭდები, სიცილით არ მომკლა და ლეოს ნაყიდი ხო არა გგონია, ჰა? ლეოს, როგორც ძმასა, ეგრე ვცემდი პატივსა, როგორც ძუნწ ძმასა, რა, მეტი არაფერი.

_ მანქანით არ დაყვებოდი ხოლმე?

_ რა მანქანითა, კაცო, ერთი-ორჯერ დავემგზავრე ქალაქამდე, ავტობუსის ფული არ მქონდა, და... მანქანითა... თუ ეგრე ფიქრობ, ვეღარ გავიგე, რაღას მიტაცებდი, კაცი ყოფილხარ მაშ, შენა? რაღას დამავლე ხელი და რაღას მომარბენინე სახლში, თუ ეგრე ფიქრობდი, ჰა?!

_ მიყვარხარ და იმიტომ.

_ თუ გიყვარვარ, მა რაღას ეჭვიანობ, შენთან არა ვარ, შენს გვერდზე? შენა, რა, არ მენდობი?

_ ეხლა კი, ეხლა ცხვირსაც აღარ გაგაყოფინებინებ გარეთა, მაგრამ უწინდელი? ლეოს რო დავინახავ, არა? სისხლი აი, აქედან რო ამასხამს... მართლა არაფერი გქონდა ლეოსთან?

_ კი მაგრამ, შენი თვალით არ უყურებდი ამ ათ წელიწადსა, მქონდა თუ არ მქონდა? თუ მქონდა, რაღას მიტაცებდი, ბუდუ?

_ მიყვარდი და იმიტომა. ეხლაც მიყვარხარ და სულაც მეყვარები, იმიტომა.

_ მე რა, არ მიყვარხარ? აი, მტა-მტა-მტა! მტუ-მტუ-მტუ! _ მგზნებარედ უკოცნის ლამზირა ბუდუს სახეს.

_ ულამაზო ცხვირი მაქვს, არა? _ რატომღაც იმორცხვებს ბუდუ.

_ არა, რათა, მშვენიერი, გრძელი, კეხიანი. რათა, ძაან კარქია, ძაან.

_ ტუჩები?

_ რა, ტუჩები.

_ ტუჩებიც კარგია?

_ მააშ, მაშ, ტუჩებიც!

_ ჰოო... _ რატო მეუბნებოდი უარს, აბა, მთელი ეს ათი წელიწადი. შვილებიც ხო გვეყოლებოდა აქამდე, სულ ცოტა, ერთი დუჟინი მაინცა, ჰა?

_ კაცო, მეცა ვნანობ ეხლა, მაგრამ რა ვქნა, უკან ხო ვეღარ დავაბრუნებ დროსა.

_ მართლა ნანობ, ლამზირ?

_ გეფიცები!

_ ვისა, ლეოსა?

_ ვაიმეე, რა გინდა, ჩემგან, ბუდუ. რა ლეოსა, რის ლეოსა. ნუ შემჭამე ამ ლეოთი, რა-ა, გეფიცები, არაფერი გვქონდა-მეთქი.

_ მტყუვნის!

_ რიღათი დაგაჯერო, რიღათი დაგარწმუნო. ვაიმეე, ვაიმეე, რა ლეო-მეთქი, კაცო, რის ლეო. ერთი თვეა, რაც მომიტაცე და ეხლა რას აპირებ, ასე ვიცხოვროთ მთელი სიცოცხლე, ლეო-ლეოთი?! მეჯავრება ის ლეო, მეზიზღება-მეთქი, ის ლეო!

_ რათა, ცოლად რო არ წაგიყვანა?

_ არ ვუყვარდი-მეთქი, კაცო!

_ ეგ მეც ვიცი.

_ არც მე მიყვარდა-მეთქი, კაცო!

_ მა რაღას დაძვრებოდი ხოლმე იმასთან ტყეში, ვიდრე მანქანას იყიდდა. რა, ხუთი წლისები იყავით და სოკოს კრეფითა ტკბებოდით? მეც ხო მოგყვებოდით ხოლმე და ვერც მამჩნევდით, ჩახუტებულები?

_ სად მოგვყვებოდი ხოლმე, კაცო.

_ სადა და ტყეში.

_ როდისა, კაცო?

_ ყოველთვისა, როცა კი სოფელში ვიყავი და როცა კი ტყეში მიდიოდით.

_ მერე?

_ მერე არაფერი.

_ ჰო და თუ არაფერი, მა რაღა გინდა ჩემგანა.

_ სოკოებს კრეფდით ხოლმე?

_ დიახ, სოკოებსა ვკრეფდით ხოლმე, ბუდუ! _ ქალს ცოტა აკლია უკვე, რომ ატირდეს.

_ სოკოები რო არ გეჭირათ ხოლმე ხელში, ტყიდან როცა გამოდიოდით?

_ მა რა გვეჭირა ხოლმე?

_ აბა მე რავი, მეც მაგისი გაგება არ მინდა?

_ კარგი რა, ბუდუ, ვერაფერსაც ვერ გაიგებ, ასი წელიც რო ვიცხოვროთ ერთად, იმიტომა, რომ არაფერიც არ ყოფილა.

_ მა სოფელი რაღას ჭორაობდა.

_ სოფლისა უფრო გჯერა, თუ ჩემი?

_ შენ რა, იმას მეტყვი, ლეო მიყვარდაო?

_ არ მიყვარდა და რაღა ვთქვა მეტი, თუ ეგრე ფიქრობდა, რაღას მომიტაცე, ბუდუ.

_ მიყვარდი და იმიტომა.

_ ეხლა რაღა ვქნათ, როგორ ვიცხოვროთ, სულ ამ ლეო-ლეოთი?

_ ძაან ხშირად კი ახსენებ, აი, მოგენატრა?

_ მე ვახსენებ და მე მომენატრა, კაცო?

_ აბა, მე მომენატრა, ქალო, ლეო?

_ ვაიმეე...

_ ლამზირ, რაც იყო, იყო, ხო ყველაფერი გაპატიე და... ეხლა მაინც არ გიყვარვარ? ეხლა, რაც ჩემი ცოლი გახდი, ვერ დაგავიწყე ლეო?

_ ვაიმეე, ხო გითხარი, ეგ ლეოს ბრალი არ იყო, ტყეში ვიღაცამ დამიჭირა და სოფელში სირცხვილით ვერა ვთქვი-მეთქი.

_ ტყეში მარტო რას მიდიოდი, რაღა იმ დღეს დატოვე შინა ლეო, დაგიცავდა მაინცა, სხვა თუ არაფერი. აი, აქ არ იქნები, ცხოვრებაში მე თუ გაგიშვებ სადმე მარტოსა?

_ ქალაქში იყო-მეთქი წასული, იმ უბედურ დღესა. რამდენჯერ გითხრა, ველარ გაიგე?

_ ოხ, მე მაგის... რაღა იმ დღეს მოუნდა წათრევა მაგ კამეჩსა მაგას.

_ ჰო და იმის შემდეგ დამყვებოდა ხოლმე სწორედა ტყეში, კიდევ ვინმეს არ გადაეყაროო. ძმასავით მპატრონობდა. მადლობის მაგიერია? _ საბნის პირს აწვალებს ლამზირა, _ არ ავდგეთ, ბუდუ, შუადღეა უკვე.

_ რა გეჩქარება, ლეოსთან გაქვს დათქმული საათი?

_ რა ლეოსთანა, რის ლეოსთანა. ერთი თვეა, შენი ცოლი ვარ და ცხვირი არ გამიყვია გარეთ, რო აკაკუნებენ კარზე და არც კი მაძლევ გახედვის უფლებასა, ალბათ ფიქრობენ, მოიტაცა და ერთი თვეა, რაც ქალაქში ჰყავსო. ვის ვუთხრა სირცხვილითა, კიდეც რო გააღო, რო ერთი, თვეა მარტო საჭმელადა და დასაბანად ვდგები, იმიტომ მოგიწყვია აქაურობა ციხე-სიმაგრესავითა და ისე, რომ არც წყალზე დაგვჭირდეს გასვლა, არც პურზე და არც მარილზე?

_ ათი წელი მენატრებოდი, ლამზირ, ცხოვრებაში კიდე ცხვირს გაგაყოფინებ გარეთა? თანაც სადა, აქვე, სოფლის ბოლოში არ ცხოვრობს ლეო? ისე, ჩავაგდე თუ არა, ნოკაუტში,

მოვტაცე თუ არა შენი თავი. ნეტა რას ვუყურებდი ისედაცა ამ ათ წელსა? მორჩა, ლამზირ, მორჩა, ცხოვრებაში ვეღარ ნახავ მაგ შენს ლეოსა!

_ ვაიმეე, ერთი თვეა, ბუდუ, კაჭკაჭივით სუ ერთსა და იმავეს იმეორებ, რაზე დაგიფიცო, როგორ დაგარწმუნო, რო არაფერი საქმე მაგ ლეოსთან არა მქონია, ერთი მარტოხელა ქალი ვიყავი და მპატრონობდა ძმასავითა. არა გჯერა, ხო? აჰა მტა-მტა-მტა... მტუ-მტუ-მტუ... აი, ხო გკოცნი, ხო გკოცნი ეს ერთი თვეა გიჟივთა. მეტი რიღათი დაგარწმუნო, კაცო!

_ ლეოსაც ეგრე კოცნიდი ხოლმე?

ქალი საბანს იძრობს, პერანგისამარა დგება საწოლზე და უცებ კივის:

_ ლეოო!.. შენ არ გაიხარე, ლეოო! ლეოო... შენ ამოწყდი ძირ-ფესვიანად, ლეოო! დაიქცა შენი დაბადების დღე, ლე-ო! არ გეღირსა ცხოვრებაში კარგი არაფერი, ლე-ო!

_ კარგი ქალო, მჯერა, მჯერა, მჯერა! _ კაციც საწოლზე დგება და მხრებზე ეკონწიალება, სახეშეშლილ, თმაგაფოფრილ ქალს, _ კარგი, ქალო, მჯერა, მჯერა, რო არაფერი ყოფილა!

_ ლეოო... _ ხელის კვრით იშორებს ქალი კაცს, _ შენ არ გეღირსოს, შე არგასახარებელო, ცოლი, შენ არ გეღირსოს შვილი, ლეოო! ისე გამწარდი, როგორც ეს ერთი თვეა მე ვარ გამწარებული...

_ ლამზირ, გეხვეწები, ლამზირ, აბა თუ კიდე ვახსენო, ოღონდ ეხლა მაპატიე, უკანასკნელად მაპატიე, _ ფეხებზე ხელებს ხვევს და წვივებს მტლაშა-მტლუშით უკოცნის კაცი, _ ახლა კი ნამდვილად მჯერა, რო გულით წყევლი და გეჯავრება, აბა ერთი დაწყნარდი, დაწყნარდი და მაპატიე, ლამზირ.

_ შენ არ გეღირსა არაფერი ცხოვრებაში, შე არაკაცო, შენ არ მოგცა ღმერთმა ერთი წუთიც კი მოსვენების!

_ ჩუმად, ლამზირ, ჩუმად, თორემ მეზობლები რას იფიქრებენ, აქ ყოფილან ეს ერთი თვეა და გარეთ ცხვირს არა ყოფენო... ბოლო იყოს, ლამზირ, ბოლო, ვინც კიდევ ის ახსენოს და მე იმის... _ ფეხებიდან წელისკენ ისევ მტლაშა-მტლუშით მიცოცავს კაცი, მაგრამ ქალი ვეღარც გრძნობს და აღარც ესმის:

_ მოდი და გამომიხსენი ამ ციხიდანა, როგორც შემომაგდე, შე მიწადასაყრელო ლეო... სამი თვე რომ მეხვეწებოდი, ცოლი მყავს მოსაყვანი, შენც ხო გინდა ოჯახი, მაგ ჩანჩურას თავი ვითომ მოატაცებინე და მერე სულ ერთად არ ვიქნებით მაინცაო... ჩანჩურა გგონია ეს წურბელა შენა, ლეო? მა ოჯახი გგონია შენა ესა, ლეო? ეგრე ვაარ ეს ერთი თვეა, როგორც გაღადღადებულ თონეში ჩაკრული უკვე დამწვარი პური, შე მზეგასაქრობო, ლეო... მოდი და როგორც გინდა, ისე დამიხსენი ამ ციხიდანა, თორე ხო უსმენ, როგო პანტა-პუნტით გარბიან პატიმრები სახელმწიფო ციხეებიდანა და იცოდე, არც მე გამიჭირდება, _ გამოვთხრი მეცა, სუ ფრჩხილებით გამოვთხრი გვირაბსა და სად წამიხვალ მერე ციხიდან გამოსულსა, ლეო!.. გინდა ცოლითა და გინდა უცოლოდა... ათი წელი მათრიე და ეს რა მიქენი, ბიჭოო... ამისთვის მაინც როგო გამიმეტე, ამ წურბელასთვის... ლეოო, სადაც გინდა მათრიე, როგორც გინდა მათრიე, ოღონდ აქედან გამათრიე როგორმე, ლეო, ჩემო ლეოო... ჩემო ლეოო...

ვაშლი

«ყველაზე ლამაზი ვაშლი ამოარჩია და მე გამომიწოდა. როგორ შეუფაკლდა ღაწვები, ღმერთო, რა დიდებული, ამაყი და ამავე დროს რა სათნო გამოხედვა აქვს. თითები, თითები ხომ მთლად მაგიჟებს, გრძელი, თითქოს ოდნავ შესიებული... ახ, მაგის სავსე მკერდზე დამაკონა! როგორ კისკისებს... გადავირევი... ღარიბი ვარო, რა საყვარლად დასცინის თავის სიღარიბეს. მეტი რა სიმდიდრე გინდა, გამოცხადებული ღვთაება ხარ, მშვენიერი, როგორც...

როგორც... პოეტი მაინც ვიყო, რომ ღირსეული ხოტბა შემესხა შენი მშვენებისათვის. ეეხ, პოეტი! პოეტი კი არა, ნეტა, უბრალოდ გარეგნობა მაინც მივარგოდეს, რომ იმით მაინც მოვხიბლო. ქონება კი მაქვს, მაგრამ რა თავში იხლის ამ ქონებას, როგორც ცა და დედამიწა, ისე განვსხვავდებით ერთმანეთისგან. გამორიცხულია, რომ შემიყვაროს, სად ის და სად მე. რა განათლებულია, რა საინტერესო რამეებს ყვება. როგორ ერკვევა პოლიტიკაში. ღმერთო, რას ნიშნავს სული _ მდიდარი სული! ამ ვაშლს როგორ შევჭამ. შევჭამ კი არა, მთელი სიცოცხლე შევინახავ. ბიოლოგს უნდა ვკითხო, ვინმეს, რა მოვუხერხო, რომ კი არ დალპეს, უბრალოდ დაჭკნეს. მაშინ მართლა მთელი სოცოცხლე შეინახება... მღერის, ღმერთო, რა კისერი აქვს, მთვარესავით სავსე. ნეტა სწორი შედარება გამომივიდა? მთვარეს ხომ საერთოდ არა აქვს კისერი, მაგრამ რა მენაღვლება. როგორ მოიღერა ყელი, რა ხმა აქვს _ სირინოზივით! მოხიბლავს კი არა, გადარევს კაცს. არა, არა, სად ის, სად მე... ალბათ უამრავს უყვარს, ბედნიერნი! ვინ იცის, რამდენია მათ შორის ლამაზი, ახოვანი, ღირსეული, ყველა სიკეთით შემკული. მე კი, მე ვინ ვარ, ალბათ უბრალოდ, დაუფიქრებლად გამომიწოდა ეს ვაშლიც... მორჩა ჩემი წყნარი, უზრუნველი ცხოვრება. დღეიდან ამ ანგელოზის მონა ვარ. შემიყვარებს თუ არ შემიყვარებს _ ჩრდილივით უნდა ვდიო, ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ თავი შევაყვარო. ვინ იცის, ქვეყანაზე რა არ ხდება... ო, იზა, იზა, რა მადლობელი ვარ შენი, რომ ამ სუფრაზე მომიპატიჟე, რა მადლობელი! თანაც როგორი უარი გტკიცეე... კიდევ კარგი, არ მომეშვი, კიდევ კარგი, ყველაფერი გააკეთე იმისათვის, რომ აქ მოგეყვანე. ან კი როგორ მეპარებოდა შენს კეთილგანწყობაში ეჭვი, მაპატიე, მეგობარო, მთელი სიცოცხლე შენი მადლობელი ვიქნები, თუნდაც მარტო ამ დღისათვის! ახ, წარმოდგენაც კი არ შემიძლია, რა ბედნიერი ვიქნები, სასწაული რომ მოხდეს და ეგ ჩემი ცოლი გახდეს... ოხ, ღმერთო, ღმერთო, ძვირფასო, საყვარელო! რა მოხდება, რომ... სახელიც რა ლამაზი ჰქვია, აქამდე კი არ მიმიქცევია ყურადღება. პირიქით, ულამაზო სახელიც კი მეგონა. არა და ახლა ვგიჟდები, ისე მომწონს. _ ლულუ! ახლა გვარი! მშვენიერი ჟღერადობა აქვს ორივეს ერთად _ ლულუ ბალანაშვილი...

ლულუ, ლულუ, მიყვარხარ! ერთი ნახვით შემიყვარდი უკვე და თუ ცოლობაზე უარს მეტყვი, თავს არ ვიცოცხლებ, იცოდე, არ ვიცოცხლებ, იმიტომ, რომ ვიცი, ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთი იქნება უშენოდ!»

* * *

«დამღუპა, ადამივით, ვაშლმა! ხუთი წელი გავიდა უკვე! იმ წუთასვე როგორ ვერ მივხვდი, ვისთან მქონდა საქმე. ჭარხალივით გაუწითლდა გაფიჟვინებული ლოყები: «მიირთვით, ძალიან გემრიელია!» ძალიან, ძალიან რომ მეტი არ იქნება»... ოხ, იზა, იზა, შე გველო!... ჰმ, თითები! სოსისივით თითებმა მაინც როგორ ვერ მიმახვედრეს... მტაცებელივით ფრჩხილებმა მაინც როგორ ვერ დამანახეს, ვისთან მქონდა საქმე. ეს თამთამა მკერდიც ნიკაპიდან ეწყებოდა მაშინვე... საზიზღარი სიცილი, _ ვითომ კისკისი, მაგისი ჭკუით.

გემოვნება კი ჰქონია, ქალბატონს, _ პრესტიჟული უბანი, თანამდებობა და ფულით სავსე ტომარა!

გოჭს რომ თავსაფარი წააკრა, ასეთი სახე ექნება ზუსტად. იმთავითვე ბუსავით მედიდურად იყურებოდა, მე კიდევ, საწყალი, _ «რა დიდებული გამოხედვა აქვს, რა ამაყი და ამავე დროს სათნო»... ჰმ, «განათლებული!» _ რომ ვუთხრა, დღეს ვახტანგ გორგასალის გასვენებაა-მეთქი», შეიცხადებს, _ უი, ახალგაზრდა იყოო?

მოსამსახურე არ ამყავდა ისე, წესიერად თუ არ გავიგებდი, ზედმიწევნით თუ არ გამოვიკითხავდი მის ამბავს. ამაზე რამ ამატროკა ასე. ოხ, იზა, იზა, მე შენი... მართლა

ლულუა ამის... ახლა გვარი? მაგის ბეწვიც და მაგის ბალანიც! მთელი დღე ჭამის და მობილურზე ლაქლაქის მეტს არ აკეთებს არაფერს, მერე უკვირს კასრივით რომაა, _ რა გინდა, ბატონო, პურს ხომ არ ვატანო, გეგონება, ღორს ცალ ფეხში ყველი ეჭიროს, მეორეთი პურს მიირთმევდეს და იმიტომ სუქდებოდეს. ათ კილო სანოვაგეს რომ დანთქავ ერთდროულად, გინდა მიგიყოლებია მერე კიდევ პური და გინდა არა. ეს ბავშვები არ მეცოდებოდეს! ო, ღმერთო, ღმერთო, რა ბედნიერი ვყოფილვარ თურმე, სანამ ამას გავიცნობდი... თავისუფლება დამაკარგვინა, სიმდიდრე დამაკარგვინა, სამსახური დამაკარგვინა, სასახლესავით ბინა დამაკარგვინა, ახლა კიდევ, _ ამერიკაში წავიდეთ საცხოვრებლად, თორემ გაგეყრებიო. წავალ, _ სამშობლოს დავკარგავ, არ წავალ, _ შვილებს.

ღმერთო, ღმერთო, რატომ გამიმეტე ასე, შენ ხომ იცოდი, იზას რაც ედო გულში, როცა თავგადაკლული მეპატიჟებოდა თავისთან. შენ ხომ იცოდი, რაც მოჰყვებოდა ჩვენს შეხვედრას. რატომ არ მომამტვრიე ფეხი, რომელიც იზასკენ გადავდგი, რატომ არ მომამტვრიე ხელი, რომელიც ვაშლისთვის გავიწოდე!

ო, იზა, იზა, შე გველო, როგორ წააქეზე? _ ახლავე შეაჭამე, გოგო, ახლავე, ხომ ხედავ არ ჭამსო?»

არ შემეჭამა მაინც, იქნებ გადავრჩენილიყავი.

ოხ, ადამ, ადამ, რაღა ზუსტად შენნაირად, რაღა მეც ვაშლით... ვინ ვინ და შენ მაინც არ უნდა გამხსენებოდი, როცა ვაშლი პირისკენ გავაქანე? რა რა და შენი დაკარგული სამოთხე არ უნდა გამხსენებოდა, ადამ?!»

ოცდამეთექვსმეტე

ხელებში თავჩაგრულმა შიომ მძიმედ ამოიოხრა, გადაშალა მერე უბის წიგნაკი, უყურა კარგა ხანს დანანებით ნომერ ოცდამეთხუთმეტეს, გაუკეთა ბოლოს შავი არშია, გადააქნია თავი ერთხელ კიდევ გულდაწყვეტით და ყურადღებით ჩაიკითხა ნომერი ოცდამეთექვსმეტე: «ვარ 31 წლის, ქერა, ცისფერთვალება, სიმპათიური ქალიშვილი. სიმაღლე 169 სმ. კარგი ხასიათის. განათლება უმაღლესი. ვმუშაობ შემნახველ სალაროში. ვცხოვრობ ერთოთახიან ბინაში. ვეძებ საქმროს: მაღალს, კარგი გარეგნობისას, ვაჟკაცური ხასიათისას. უმაღლესი განათლებით. დარეკეთ ნომერზე: 28-21-11. ია.»

შიომ თავი მარცხნივ შეატრიალა, თქვა: «ფუი, ფუი, ფუი», გადაიწერა პირჯვარი და ყურმილს დასწვდა.

_ გისმენთ! _ უპასუხა 28-21-11-მა.

_ ია ბრძანდებით?

_ დიახ.

_ მე... მე.. _ ენა დაება შიოს.

_ გისმენთ.

_ მე... მე... _ ისევ გაჩუმდა შიო.

იამ კარგა ხანს უსმინა გაჩუმებულ შიოს და მერე ისევ თვითონ ამოიღო ხმა:

_ ვინ ლაპარაკობს?

_ ერთ-ერთი... მე... _ ვეღარ მოაბა წინადადებას თავი შიომ და ჭერისკენ უმწეოდ თვალაპყრობილმა სუნთქვა მთლად შეწყვიტა.

_ სახელ-გვარი არა გაქვს, შე კაი კაცო?! _ გაცხარდა უცებ ია.

_ მაქვს... შიო... ოდიკაშვილი, _ ამოისუნთქა და ნეკზე წამოზრდილ ფრჩხილს დახედა შიომ.

_ მერე, რა საკითხზე რეკავთ?

_ იმის... აი... გაცნობის! _ როგორც იქნა თქვა სათქმელი შიომ და ასე თუ ისე დამშვიდდა.

_ მონაცემები?

_ თქვენი? _ დაიბნა შიო

_ თქვენი. ჩემი ხომ ისედაც ვიცი, _ გაიცინა იამ.

_ ჩემი... ამ რამდენიმე თვის წინათ დაიბეჭდა ხელახლა, მაგრამ შეიძლება არ გახსოვდეთ. დეკემბრის ათში.

_ გვარი? _ ჰო, თუმცა, ხომ მითხარით უკვე. მოითმინეთ, ერთი წუთით, მიწერია წიგნაკში და მე თვითონ ვნახავ... ო... ო... ოდიკაშვილი შიო. ვიპოვე: ოცდათვრამეტი წლის, მაღალი, სიმპათიური, შავგვრემანი, ხელოვანი, ეძებთ ოცდარვა წლამდე ქალიშვილს. პირ. მოწმობა №011687578911 ფოსტა №2 მოკითხვამდე.

_ შევხვდეთ? _ ამოილუღლუღა შიომ.

_ კი, ბატონო!

_ სად და როდის?

_ დღესვე, მეტრო «რუსთაველის» წინ, ზუსტად ექვსზე.

_ როგორ ვიცნოთ ერთმანეთი... თუმცა განცხადებაში ხომ არის ჩემი აღწერილობაც და თქვენიც.

_ არა, არა, _ რატომღაც შეეშინდა უცებ იას, _ სად ვდიო ახლა, რამდენი მაღალი და სიმპათიური ხელოვანი გაივლის. ხელში რაიმე დაიკავეთ. მაგალითად, წიგნი.

_ თქვენ?

_ მე მეცმევა ყვითელი კაბა, ყვითელი ფეხსაცმელი, მწვანე ქამარი, ხელში მეკავება ასევე მწვანე ჩანთა. მე მგონი, საკმარისია, არა?

_ დიახ.

_ ნახვამდის, აბა.

_ ნახვამდის.

შიომ ყურმილი დადო, ხელები კმაყოფილებით მოიფშვნიტა, წამოდგა და უცებ ცხვირი კინაღამ ცხვირზე წაარტყა მის წინ ჯალათივით ასვეტილ, დოინჯშემოყრილ და სიბრაზისაგან წარბებაჯაგრულ შინაბერა დას.

_ ორმოცდამეცხრამეტეს ურეკავ, არა?!

_ ოცდამეთექვსმეტეს, _ დაიბნა და უკან დაიწია შიომ.

_ რა მნიშვნელობა აქვს. იმასაც მოვესწრები, ცხრაასოთხმოცდამეცხრამეტე ნომერს კრეფდე! _ ხმამაღლა აწიკვინდა და ხელი შიოს მაგიერ ტელეფონს წაჰკრა ქალმა, _ აღარ შემიძლია მეტი, რა ყველა უბედურება მე უნდა მჭირდეს, მე ვარ და ასეთი, ძმა არის და ასეთი. რაო, რაო, ოცდამეთხუთმეტემაც დაგიწუნა? დაგიწუნებდა, აბა რას იზამდა: უბედურო! დაბდურო! ღმერთო! ვინც ეს გასაცნობი განცხადებები გამოიგონა, ის არ გაახარო და იმას არ აღირსო ქვეყანაზე არავისი გაცნობა და არც ცნობა. ქე მაინც, თუ არავის მოათრევდი, შენთვის მაინც ეგდებოდი და არ იწანწალებდი გზირივითკარიდან კარზე, მისამართიდან მისამართზე. მაგ მელოტი თავით გინდა მოხიბლო ვინმე, მაგ სტვირივით ცხვირით, მაგ მოქარგული ენა-პირით, თუ რითი, რითი? წაბრძანდი, ბატონო, სოფელში, რომ მიაგდე იმხელა სახლ-კარი ორი გასაცოდავებული მოხუცის იმედზე და აქ რომ დაეძებ ახლა სხვისი დედ-მამის სახლ-კარს. დაგდებულიყავი, სადაც დაიბადე და სადაც გაიზარდე, შე არდასაბადებელო და არგასაზრდელო, აქამდე ხომ ცოლიც გეყოლებოდა და ჭიანჭველასავით დახვეული წვრილშვილიც, უჯიშო! დეგენერატო! რეგვენო! ეს კიდევ, მეორედ აღარ დავინახო ამ ოთახში შემოტანილი, თორემ თავზე გადაგასხამ ყველანაირ და ყველაფერის საღებავს, ამათმა სუნმა ხომ მთლად ბოლო მომიღო. ეგ კირში ამოთხვრილი შარვალ-ხალათიც გაათრიე გარეთ, სანამ სულ ნაკუწებად არ მიქცევია. _ დამ უცებ თვითონვე დასტაცა ხელი წითელი საღებავით სავსე ვედროს, კირიანი შარვალ-ხალათიც ზედ მიაყოლა

და სულ წყევლა-კრულვით გააქანა შემოსასვლელისაკენ. უკან შემობრუნებულმა მზაკვრული იერით გახსნა ჩანთა, ამოიღო იქიდან ფული, გადათვალა და მაგიდაზე დაუტყიპა დამნაშავე მოწაფესავით ხელებჩამოშვებულ და გაშეშებულ შიოს, _ დიასახლისი ბრძანდებოდა დღეს, _ ქირა გადაიხადეთო! აი ჩემი ორმოცდაათი, დაამატე შენი ასი ლარიც და დღესვე მიუტანე. დაიქცეს ჩემი დაბადების დღე, დაიქცეს, როდის შენ ბინიან ქალს იშოვი, როდის შენ შვილს გააჩენ, ყოველი განცხადების გამოქვეყნებისას თითო წელს რომ იკლებ კახპა ქალივით, ფუჰ! _ ხორცშესხმული შორისდებულით დააგვირგვინა მონოლოგი დამ. კიდევ ერთხელ წაჰკრა ხელი ტელეფონს, რატომღაც ფეხი ამოუქნია ისედაც გაუბედურებულ-დაფეხვილ სკამსაც და თავზე ხილაბანდის წაკვრის შემდეგ ძმისკენ ზურგშექცეული, საკერავს ჩაუჯდა.

შიომ უხმოდ მოიწმინდა ცხვირ-პირზე მიშხეფებული შორისდებული, ფეხსაცმელზე დაიხედა, გაიხადა, თითისწვერებზე აწეული მიუახლოვდა საწოლს და ქვემოდან შედარებით მაღალქუსლიანი და სქელლანჩიანი ფეხსაცმელი გამოაჩოჩა.

_ შენმა მზემ, ყარამან ყანთელის სიმაღლე არ გაგხადოს უცებ სამი სანტიმეტრით მაღალმა ქუსლმა, _ დაგესლა დამ ისე, რომ თავი არ შემოუტრიალებია, _ ფეხსაცმელსაც რომ განცხადებების მიხედვით იცვამს ეს საცოდავი?! _ «ვარ მეტრა სამოცი», _ მიცუნცულებს ეს უბედური ჩვეულებრივი ქუსლით, «ვარ მეტრა სამოცდაათი-» მიკუნკულებს ეს საწყალი ბაკა-ბუკით... აი, აი, მიწა კი დავაყარე იმ განმცხადებელ მეტრასამოციანებსაც, სამოცდაათიანებსაც და რაც მთავარია, შენც, _ მეტრანახევრიანო! ნეტა სად მიდიხარ, რომ მიდიხარ, ერთბაშად ვიღაცაა, უკან არ გამოგეკიდოს, გაგიცნობს თუ არა.

შიომ კვლავ უხმოდ, გმირულად გაუძლო მეტრასამოცდარვიანი დის მორიგ თავდასხმას, გავიდა სამზარეულოში, ჩაიცვა იქ ქუსლიანი ფეხსაცმელი, საგარეო კოსტიუმი და გახა-რებულმა, რომ ოთახში შებრუნება აღარ დასჭირდებოდა, ზედ არც დაუხედავს, ისე დაავლო ხელი იქვე, მაგიდაზე მიგდებულ სქელტანიან, ფართოფორმატიან წიგნს.

მეტრო «რუსთაველის» წინ შეჩერებულმა შიომ საათი შეამოწმა, გაიარ-გამოიარა და მერეღა დახედა უჩვეულოდ მძიმე წიგნს: «ტორტები», ელდა ეცა შიოს.

«ღმერთო, ოღონდაც დღეს არ შეუკვეთოს ვინმემ ნაირას ტორტის გამოცხობა. ოღონდ ისე მიმატანინა სახლში, ნაირამ ვერ გაიგოს წამოღებული რომ მქონდა... რა დღეა დღეს? პარასკევი! ვაიმე, შაბათ-კვირისთვის თითქმის ყოველთვის უკვეთენ... ვაიმე! _ ხელახლა შემოეყარა უცებ გულზე შიოს და წიგნს ისევ ელდანაცემი დააჩერდა, _ რას იფიქრებს ის გოგო, «ტორტებით» ხელში რომ დამინახავს, თუ იფიქრა, რომ მე ვაცხობ»...

_ უკაცრავად, თქვენ შიო ხომ არ ბრძანდებით? _ ჯერ წიგნს შეხედა, მერე შიოს დაქნეულ თავს, მერე ისევ წიგნზე გადაიტანა მზერა და უცებ აღფრთოვანებით გაშალა ხელები ქალმა, _ ღმერთო ჩემო, რასაც მე ამ წიგნზე ვოცნებობდი, რას ვიფიქრებდი, თუ პირველი შეხვედრისთანავე ასე გამახარებდით!

«ოცდათვრამეტის ისე იქნება, როგორც არაფერი, _ უაზროდ მიაყოლა იღლიიდან ართმეულ წიგნს თვალი შიომ, _ ქერა კი არა მთლად ცეცხლისფერი... ვაიმე ცხვი-რი!.. იელის ბუჩქს ჰგავს, იას კი არა... საწყალი, ფარნაოზის ხარი, იელის მსხვერპლი გახდა, _ სრულად უადგილო ადგილას გაახსენდა უცებ შიოს ფარნაოზის ხარი და წიგნის თვალიერებით გართული ქალისთვის თვალი არ მოუცილებია, ისე დაამთავრა იელთან დაკავშირებული მჭვუნვარე ფიქრი, _ შეხედავ, ერთი ყვითელი ბუჩქია, ვითომ უვნებელი, არა და რას უშვრება ეს იელი საცოდავ, სულელ საქონელს».

_ გეგონებათ ჩემს გულში იჯექით, რომ იცოდეთ, რა მადლობელი ვარ! _ ქალმა წიგნი დახურა, მკერდზე მიიხუტა და დაკვირვებით შეათვალიერა აწითლებული, ნირწამხდარი და ენაჩავარდნილი შიო, _ რა ვქნათ ახლა ჩვენ, ბატონო ხელოვანო?

«რა ვქნათ და არაფერი. თქვენ თქვენი გზით წადით, მე ჩემი გზით წავალ», _ შვებით გაიფიქრა და თანაც ამოიოხრა შიომ, _ გაახსენდა, სწორედ ასე რომ უთხრა გუშინ

ოცდამეთხუთმეტემ. ნაბიჯი არ გადაუდგამთ იქიდან, სადაც შეხვდნენ, თავაზიანად მოუხადა ბოდიში შიოს, შეტრიალდა და წავიდა. «აი, ვინ ჰგავდა მართლაც იას!».

_ კარგი, _ უპასუხა შიოს დუმილს ქალმა და რატომღაც გაიცინა, _ გავიაროთ, აბა, ვნახოთ...

შიომ ქალის იღლიაში მყარად ამოდებულ «ტორტებს» შეხედა და თავზარდაცემულს ახლაღა გაახსენდა დოინჯშემოყრილი, თავწაკრული და.

_ ძალიან მძიმეა, _ გაუღიმა ქალმა და წიგნი კეკლუცად გაუწოდა შიოს, _ რადგან მაჩუქეთ, ბარემ წამოღებაშიც ხომ არ მომეხმარებოდით?

წელმოწყვეტილმა შიომ წიგნი გამოართვა, დაკარგული ახლობლის პორტრეტივით სასოებით მიიხუტა გულზე და თავჩაქინდრული, უხმოდ გაჰყვა გვერდით ქალს.

ქალმა მწვანე ქამარში გარჭობილი წითელი ცხვირსახოცი ამოიღო, ცხვირი მოიწმინდა და შიოს გაუცინა.

_ მშვენიერი ამინდია, არა?

_ დიახ, _ თავი დაუქნია შიომ,

_ შიოს სალამი! _ ხელი გაუწოდა ამ დროს მოპირდაპირე მხრიდან მომავალი ორი კაციდან ერთ-ერთმა შიოს, _ ე, ბიჭო, რა ბედზე შეგხვდი; აი ვახო, _ მიუტრიალდა იგი ზორბა მეგობარს, _ ამაზე გეუბნებოდი, ოქროს მარჯვენა აქვს, ამისთანა ხელოსანს მთელ ქალაქში ვერ ნახავ, ტყუილია! რემონტი აქვს გასაკეთებელი, _ მოუბრუნდა კაცი ისევ შიოს და მის გვერდით მდგომ ქალს თავაზიანად დაუკრა თავი, _ უკაცრავად, სულ ერთი წამით წაგართმევთ, მეტით არა, ქალბატონო. ნუ ეტყვი უარს, არ გაწყენინებს, ფული ჩეჩქივით აქვს, შენთვისაც კარგია, _ ამისთვისაც. დაიმახსოვრე, ვახო, ამისი მისამართი, _ მოსკოვის ხუთი _ მოსკოვს რა დაგავიწყებს, _ რატომღაც ამოიოხრა მან, _ და ეს კიდევ, სულ მთლად იოლად დასამახსოვრებელია, შემომხედე, ა! _ და კაცმა ისე გაფარჩხა ხუთივე თითი, ლამის თვალები წამოაყრევინა ნაზად თავაღერილ იას, _ უკაცრავად, ქალბატონო, _ მორცხვად მოიხადა მან ბოდიში და ამჯერად ვახოს თვალებისკენ წაიღო გაფარჩხული ხუთეული. _ ოღონდ ნომრის გასახსენებლად ორივე ხელი არ ასწიო, ერთიც გეყოფა, _ ჩაბჟირდა იგი თავისივე ხუმრობაზე და უცებ კვლავ დასერიოზულებულმა ისე ჩამოჰკრა ტორი შიოს ისედაც გალეულ ბეჭს, «ტორტებმა» ასფალტზე მოიღო ზღართანი, _ კარგად, აბა, მასალის საშოვნელად მივდივართ ახლა და თუ გავახერხეთ, მოგაკითხავს ვახო ამ დღეებში.

_ საძაგელი, _ ცხვირი დამანჭა იამ და წიგნის ფერთხვით გართულ შიოს ხელი წააშველა, _ ზოგი მაინც რა ველურია, არა? ისე, ღმერთო ჩემო და რა ყველა ტყუის. წაიკითხავ განცხადებას, ალენ დელონობას აღარ უკლია აღარავის არაფერი: ყველა ლამაზი, ყველა განათლებული... სიმაღლეზე აღარაფერი გითხარი წეღან და... ეს კიდევ მეორე, _ აკი, ხელოვანი ვარო?

_ ჩემი ბრალი არ არის ეგ, _ ჩაიბუტბუტა შიომ.

_ რა არ არის შენი ბრალი? _ მკაცრად ჩაჰკითხა ქალმა.

_ ვ.

_ რა ვ, რის ვ? _ განერვიულდა ქალი, _ ვერაფრით ვერ გავიგე, რას ამბობ. რას ნიშნავს ვ?

_ ს მივუტანე, იმათ კიდევ ვ _ უო.

_ ღმერთო, ნუ გადამრევ, კარგად გამაგებინე, რა გინდა!

_ მე არაფერი... ხელოსანი მივუტანე, იმათ კიდევ ხელოვანი დაბეჭდეს განცხადებაში.

_ აა... _ კისკისი აუტყდა უცებ ქალს, _ მეც არა ვთქვი, რას ამბობს? გეთქვა მერე, შე კაი კაცო, კორექტურის ბრალია-თქო, რომ აგიჩემებია ეს ვ-ვ! კორექტურული შეცდომა ჰქვია მაგას, _ შიოს გადახედა და რატომღაც ძალიან ამაყად დასერიოზულდა ქალი, _ განათლება სულ არა გაქვს?

_ ტექნიკური.

_ ოო, არა უშავს, _ ჩაფიქრდა ქალი, _ ჰო, მართლა, რაო, რა თქვი, რამდენი ქალი გყავს ამ განცხადებით ჩემამდე გაცნობილი? თუ, არ მიკითხავს ჯერ?

შიომ პასუხად თავი დასწია და მხარი ასწია.

_ რაო, რატომ გიწუნებენ?

შიომ ისევ უხმოდ აიჩეჩა მხარი.

_ არ იტყვი?

_ უბინაო ხარო, ფული კი მაქვს, მართალია, მაგრამ...

_ ფული?! გაქვს?! _ მთქნარება შუაზე გაუწყდა და უცებ გამოცოცხლდა ქალი, _ ფული თუ გაქვს, ბინის შოვნას რაღა უნდა?

_ არ მყოფნის ბინისთვის.

_ ოო... არ გყოფნის და დაამატებ, არც ეგაა დიდი პრობლემა, ბოლოს და ბოლოს თუ ვერ აიშენებ, იყიდი მაინც, კერძოს. კერძო, მე მგონი, უკეთესიცაა, პატარა ეზოთი, ბაღით... ისე, ბევრს გიხდიან ხელობაში?

_ საკმაოდ, _ «ტორტები» მეორე იღლიაში გადაიტანა და ამოიოხრა შიომ.

_ ეგ ვახოა თუ რაღაც ჯანდაბა, ფულიანი ჩანს. მე მგონია, არ წააგებ, თუ...

_ ვნახოთ, _ ჩაიბუტბუტა შიომ, _ ჯერ სადაც ვმუშაობ, ის ხომ უნდა დავამთავრო.

_ აბა, დღესვე ვახოსთან გაიქეცი-მეთქი, არც მე მითქვამს. ნაყინი ვჭამოთ, გინდა? _ შესთავაზა უცებ ქალმა და პასუხისათვის არც დაუცდია, ისე შეაღო კაფეს კარი.

კარგა ხნის რიგში დგომის შემდეგ შიომ ნაყინი და ჭიქა კოკტეილი მიართვა ქალს, თვითონაც ჩამოჯდა, მაგიდიდან «ტორტები» აიღო და რატომღაც საგულდაგულოდ დაიდო მუხლებზე.

_ შენ?! _ გაოცებით ჰკითხა ქალმა, პირში კოკტეილის საწრუპი ჩაიდო და თვალით მოსუფთავებულ ადგილზე ანიშნა შიოს.

_ მე არ მინდა, _ მხარი აიჩეჩა შიომ, _ არ მიყვარს და...

_ გიყვარს თუ არა, წესია, ზრდილობის. _ ქალმა კოვზს მოჰკიდა ხელი და ერთხელ კიდევ დაკვირვებით შეათვალიერა აწითლებული შიო, _ არა უშავს, ისწავლი ნელ-ნელა, ეგ არაფერი.

შიო კიდევ უფრო მეტად გაწითლდა და რატომღაც თავი დაუქნია.

_ გემრიელია! _ ტუჩები გააწკლაპუნა ქალმა, _ რა უნდა მეკითხა, ბავშვობაშიც ასეთი იყავი? აი, წყნარი?

შიომ თვალები დახარა და უხმოდ დაუქნია თავი.

_ უიმეე, _ თავშეუკავებლად აკისკისდა უცებ ქალი და გაშლილი ხელი გულიანად დაიტყაპუნა მუხლზე, _ ბავშვობაშიც, კაცო?!

შიომ ტუჩები მაგრად მოკუმა, მუხლებზე დადებული წიგნი გადაფურცლა და უაზროდ შეუდგა ფერადი, ნაირ-ნაირად მორთული ტორტების სახელწოდებათა კითხვას: «კუნძი ჭოტით», «შავი ღამე», «ქორი და წიწილა»... «როგორ აცხობენ ნეტა ამისთანა რამეებს, ან ამ სახელებს ვინ იგონებს... ვაიმე, ნაირა!..»

_ კარგი ახლა, საწყენად კი არ მითქვამს, მერე რა, მე იცი, რა საძაგელი ბავშვი ვიყავი? ნამდვილი ყაჩაღი.

შიომ ერთხელ კიდევ დახედა ფრთებგაშლილ ქორსა და აბუზულ წიწილას, ამოიოხრა და თვალი უჩუმრად გააპარა საათისკენ.

კაფედან გამოსვლის შემდეგ იამ კინოში შესვლა მოინდომა, კისკისით, მთელი სულით და გულით ჩაერთო ფილმის მდინარეებაში, აღტაცების გამოსახატად რამდენიმეჯერ შიოსაც დაუტყაპუნა ხელი მუხლზე და ყოველივე ამით დაამტკიცა, ხასიათი მართლაც რომ კარგი ჰქონია.

უკვე კარგა გვიანი იყო, შიომ სახლამდე რომ მიაცილა ია.

_ ზემოთ ვერ აგიყვან, _ რვა სული ვცხოვრობთ ერთ ოთახში, _ თქვა ქალმა, თითი პირში ჩაიდო და უცებ მისი გარეგნობისათვის სრულიად შეუფერებელი ნაზი ხმითა და რხევა-რხევით დაამატა, _ როდის შევხვდეთ?

შიომ მოსისხლესავით შეხედა იას ცეცხლმოკიდებულ თმას, კაკადუს ნისკარტივით ცხვირს, ყოველგვარ ზომიერებას გადაცილებულ გულ-მკერდს და ქვასავით დადუმდა.

_ შენ გგონია, მე მელოტზე ვოცნებობდი? _ პასუხად წარბი ამაყად აწკიპა და ჩუმად ჩაილაპარაკა ქალმა, _ ან ხელოსანი მინდოდა?

_ მე... მე არაფერი მითქვამს, _ «ტორტები» შეისწორა და თავი გააქნია შეცბუნებულმა შიომ, _ როგორ გეკადრებათ.

_ მაშინ... მაშინ არც მე მითქვამს არაფერი, _ მოულოდნელად ისევ კარგ ხასიათზე დადგა ია, _ შაბათამდე თუ არც დამირეკე და არც მოხვედი, ესე იგი სამუშაო გაქვს და მაშინ მე მოგაკითხავ თვითონ. ნახვამდის, _ ქალმა ხელი გაუწოდა შიოს, ჩამორთმევისას ოდნავ მოუჭირა, წასვლამდე პერანგის საყელოც გაუსწორა, იღლიიდან «ტორტები» გამოუღო, კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ძვირფასი საჩუქრისათვის და რამდენადაც მის სავსე სხეულს შეესაბამებოდა, კეკლუცი ბაკა-ბუკით შეუყვა სადარბაზოს კიბეებს.

«გადავრჩი», პირველი რამაც თავში გაუელვა სიხარულისაგან ანთებულ შიოს, ეს სიტყვა იყო. «დიდი-დიდი, ნაირამ რამე ჩამარტყას წიგნის გაქრობისათვის. რა ბედნიერებაა, რომ განცხადებაში არც ტელეფონის ნომერი მიწერია და არც მისამართი. ფოსტაში ხომ არ დაჯდება «მოკითხვამდე».

შიომ ნიავივით თავისუფლად აიქროლა აღმართი, თექვსმეტი წლის ბიჭივით ლაღად შეახტა ახლადდაძრულ ტროლეიბუსს და მგზავრთა გასაოცრად ხმამაღლა და მოურიდებლად აღიღინდა.

* * *

შაბათს, შიო ოდიკაშვილის კარზე ორჯერ დარეკეს ზარი, _ პირველად ზორბა ვახომ, _ დოლბანდით თავშეხვეული ხელოსნის დანახვაზე ყურებამდე გაიღიმა და რაც შეიძლება ფართოდ გაფარჩხა ხუთი თითი: «სულ ადვილად მოგაგენი, რა დამავიწყებდა!»

ის იყო, შიომ კარი ჩაკეტა, კვლავ გაისმა ზარის ხმა. შიომ კარი გამოაღო და ელდანაცემს რატომღაც კვლავ ფარნაოზის საბრალო ხარი გაახსენდა, ასე უღვთოდ რომ იმსხვრეპლა იელის ყვითლად თუ ცეცხლისფრად გადაბიბინებულმა საზიზღარმა ბუჩქმა.

სინდიოფალა

ცირამ არტახები გადაუჭირა უკვე ჩაძინებულ ზურას, აკოცა, აკვანი საწოლის ახლოს მიდგა და მხიარულად აციცინებულ ლელას მიეფერა.

_ დაიძინე, დედა გენაცვალოს, ხომ ხედავ ზურასაც სძინავს უკვე, მე ცოტა საქმე მაქვს სამზარეულოში და მალე შემოვალ.

ლელამ ორივე ხელი გაუწოდა დედას, მიეხუტა, ყელთან აკოცა და დასაძინებლად მოეწყო.

ცირამ საძინებლის კარი გამოიხურა, ის იყო სამზარეულოსკენ გაუხვია, რომ კარზე ჯერ კაკუნი, შემდეგ კი ზარის ხმა გაისმა.

«ვინაა ნეტა», _ უკმაყოფილოდ გაიფიქრა ცირამ, _ «ქვეყნის საქმე მაქვს, სტუმრისთვის მცალია?»

ზარი განმეორდა. ცირამ სათვალთვალოდან გაიხედა, მოხუცი ქალი და ბავშვი დაინახა, იფიქრა, ალბათ შეცდომით რეკავენო და კარი გამოაღო.

_ მშვიდობა ოჯახს, მშვიდობაააა, _ გაღიმებული წამოვიდა მოხუცი, _ შემოდი გოგო, ჰა, ნუ გაჩიჩინდი კარში. _ წამოარტყა ქალმა თავში კაბის ბოლოზე ჩაბღაუჭებულ ერთ ციცქნა, ალბინოსივით უფერულ თმა-წარბ-წამწამიან გოგონას და კარი თვითონვე მიხურა მჭიდროდ, _ სახლშია ანიჩქა? შენ რძალი ხარ ალბათ მისი, არა? რეზოს ცოლი.

_ კი ბატონო, კი... _ გზა დაუთმო დაბნეულმა ცირამ სტუმრებს, _ არა, სახლში არაა დედა. სოფელში არიან ის და რეზო წასული.

_ დიდუუ... რამხელა გზა გამევიარე, რატო თავი არ მომიკვდება. როდის წევიდნენ?

_ ამ დილას, ორი კვირით. თუმც, დედა შემოდგომამდე დარჩება ალბათ. მობრძანდით.

_ მე და ანიჩქა ერთად ვსწავლობდით კლასში, _ ტახტზე კვნესა-კვნესით შესკუპდა ქალი, _ ვერიჩქა ვარ მე, ანიჩქას დეიდაშვილის შვილი. არ გეხსომება ახლა, კი ვიყავით თქვენს ქორწილში მე და ჩემი ბიჭი. საათი მოგიტანეთ, კედლის, საჩუქრად. ეს შვილიშვილია ჩემი, მაკო. მოდი, აქ დაჯექი გოგო, ნუ ხარ შენ მავნე, _ გაუწყრა უცებ ვერიჩქა შვილიშვილს, რომელიცამასობაში გაფაციცებით მოედო ყველა კუთხე-კუნჭულს, _ დადე ეგ «ბუდილნიკი» მანდ.

გოგომ საათი უფრო მაგრად ჩაბღუჯა, ფეხსაცმლიანად აძვრა ტახტზე, თავი ბებიის მხარს მიაყრდნო და ინტერესით ამოხედა ცირას.

«სინდიოფალას ჰგავს», _ თავისდაუნებურად გაიფიქრა ცირამ, _ «რაღა ვქნა, არ გატეხოს საათი».

_ ყოჩაღი იყო ანიჩქა ბავშვობიდანვე, ყოჩაღი! _ ოთახი მოათვალიერა ვერიჩქამ, ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა და ისევ ცირას ახედა, _ ერთი, წყალი მომიტანე, შენს გახარებას.

ცირა სამზარეულოში გავიდა, ჭიქა წყლით გაავსო და უკან გამოტრიალდა. ვერიჩქა თვალგაშტერებული იყურებოდა სადღაც, ბავშვი საწერ მაგიდასთან იდგა, ცალ ხელში გულზე მაგრად მიხუტებული საათი ეჭირა, მეორეთი გააფთრებით შლიდა წიგნს, რომელიც რეზომ ცოდვა-ჭირით ინათხოვრა სადღაც.

_ ინებეთ! _ წყალი ვერიჩქას გაუწოდა და მაკოსკენ შემოტრიალდა ცირა, _ ეგ წიგნი დადე და სხვას მოგცემ, შვილო, სურათებიანს, აბა, მომეცი, მომეცი.

მაკომ გაშმაგებით ჩაიხუტა წიგნი გულში საათთან ერთად და შეშფოთებით გამოხედა ბებიას.

_ ნუ უშლი ბოვშვს წიგნის თვალიერებას, ჩავა ბოლომდე და დადებს, კი არ შეჭამს. არ შეგეფერება ანიჩქას რძალს ეგ, _ მკაცრად უთხრა ვერიჩქამ ცირას, წყალი დალია და შვილი-შვილს გაუღიმა, _ გადაშალე, გადაშალე, ბებია გენაცვალოს. ინტერესიანია, რა ქნას, ყველაფერი აინტერესებს, ყველაფერი.

ცირამ წყენა არ შეიმჩნია, ხელი მექანიკურად გადაუსვა თავზე ბავშვს და თვითონაც ტახტზე დაჯდა.

_ ჰო და იმას ვამბობდი: დეიდაშვილის შვილები ვართ ჩვენ, კლასშიც ერთად ვიყავით, ნეტა გენახა, რა კარგა სწავლობდა ანიჩქა, მე დიდი ზარმაცი ვიყავი, _ ეშმაკურად ჩაიხით-ხითა უცებ ვერიჩქამ, _ რასაც გინდა, გავაკეთებდი, წიგნი არ ამეღო ოღონდ ხელში.

«ვაიმე, სანამ ესენი სკოლას დაამთავრებენ, სანამ დაქალიშვილდებიან, სანამ დათხოვდებიან, სანამ აქამდე მოვლენ... სარეცხი მაინც არ ჩამეყარა იმდენი».

_ ერთ სახლში დევიზარდეთ. ისე გვიყვარდა ერთმანეთი, თვალში რომ ჩავვარდნოდით, თითს არ ამევისმევდით. დამალევინე ერთი, თუ ქალი ხარ, ჩაი. ანიჩქასგან გამიგია, რომ კარგი ჩაის დაყენება იცი.

ცირა წამოდგა, სამზარეულოში გავიდა, ჩაიდანი წყლით გაავსო, ქურაზე დადგა, ჭიქებიც გაამზადა და ოთახში შემობრუნებული უცებ ელდანაცემი მიაჩერდა წიგნის ფურცლებით მოფენილ მთელ იატაკს.

_ რატომ დახიე შე სასიკვდილე, რატომ, _ თავში მსუბუქად წაარტყა ვერიჩქამ მაკოს და ცირას მოუტრიალდა, _ რას გეუბნებოდი... დამავიწყდა. ჰო, მართლა, სად არიან შენი ბაღნები. ორი გყავთ, არა?

_ დიახ, _ ფურცლების აკრეფას შეუდგა ლამის აქვითინებული ცირა, _ სძინავთ იმ ოთახში.

_ ბაღნები არიან, აქ? _ ისე უცებ ამოიდგა ენა მაკომ, ცირა მოულოდნელობისგან შეხტა და თავი უხმოდ დაუქნია ბავშვს.

_ იქ? _ ხელი ზუსტად საძინებლისკენ გაიშვირა პაწაწინა, თვალებდაჭყეტილმა სტუმარმა და როცა თანხმობის ნიშნად კვლავ დაქნეული თავი დაინახა, რატომღაც პირდაღებული და ჩაფიქრებული მიაჩერდა საძინებლის კარს.

_ კი იქნება ახლა ჩაი ადუღებული და ალუბლის მურაბაც გექნება. ეხ, ახლა ვიღამ იცის ნათესავი და მეგობარი. _ რაც ჩვენ დრო გვიტარებია ჩაიზე... იმ წლებიდან გამომყვა ჩაის სიყვარული. გოგო, ახლა მაინც დაანებე მაგ წიგნს თავი, შე მოსასპობო. ასეთია სახლშიც, აპა-პა, ამის გოუფუჭებელი, ამის დასახევ-დასამტვრევი აღარაფერი რჩება.

ცირა უხმოდ გატრიალდა სამზარეულოში, სუფრა გააწყო და ქალბატონი ვერიჩქა მიიპატიჟა.

_ სად დაიკარგა ის ბოვში ნეტა, _ სამზარეულოში შემოვიდა თეძოზე ხელშემოდებული ვერიჩქა, _ მომსპო ამ სახსრების ტკივილმა, მომსპო. ანიჩქას როგორ აქვს ამ მხრივ საქმე, პანაშვიდზე ვნახე შარშან, კისერს უჩიოდა. რავაა ახლა, ატრიალებს ქე მაინც ასე თუ ისე, თუ აქვს გაშეშებული მგელივით.

_ ატრიალებს... მგელივით... უკაცრავად. _ გამოასწორა უცებ ცირამ _ ატრიალებს კარგად, მკურნალობს და... _ სად იქნება ნეტა მაკო, აივნიდან არ გადავარდეს, მეშინია.

_ ეჰ, _ ხელი ხითხითით ჩაიქნია ვერიჩქამ, _ არაა მასე უტვინო, არ მეიწევს სათავისოდ არაფერს ცუდს, სადაც გინდა გოუშვა. მაკოო! მაკოკოო!.. მაკუკიი!.. ჩუ, ბაღანეს ტირილი ისმის, შენმა გეიღვიძა ალბათ.

ცირამ ჩაიდანი დადგა და შეშფოთებით გაიქცა საძინებლისკენ. საძინებლის კარი შეაღო თუ არა, მოულოდნელობისგან გაშრა, არტახებიდან გამოხსნილი ზურა იატაკზე იწვა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჩხაოდა, ხოლო მის ადგილას ჩაწოლილი მაკო, ასევე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ირწევდა თავს და მღეროდა ყელმოღერებული:

_ ნანინა მაკოს.. ნანუნი მაკუკიის..

თავგზააბნეული ქალი გაცეცხლებული ეცა მაკოს, ამოათრია აკვნიდან, ცალი ხელით ზურა მიიხუტა, მეორეთი კი ლოგინში წამომჯდარ, გაოცებისგან პირდაბჩენილ ლელას ეძგერა.

_ ასე უნდა დააჩაგვრინო შენი ძმა ამ ყაჩაღს? ასე უნდა დააჩაგვრინო?!

_ რატომ ამაყენეე... _ აბღავლდა უცებ მაკო.

_ რატომ ჩამარტყიი, _ ბანი მისცა ლელამ.

_ ააა! _ უფრო მოუმატა ჩხავილს ზურამ.

_ ვაიმე, რა დღეში ჩავვარდი, გავგიჟდები, სადაცაა გავგიჟდები! _ აკივლდა ცირა და ფეხი იატაკზე დააბაკუნა, _ გაჩუმდით, თქვენი ხმა არ გავიგონო, თორემ არ ვიცი, რას გიზამთ.

_ რა უქენი ამ ანგელოზივით ბაღანას, რა ყოფილხარ, ქალო, შენ, _ წამოადგა უცებ დოინჯშემოყრილი ვერიჩქა თავს ცირას და მაკოს დახედა, _ ადექი, ბებია გენაცვალოს, ადექი, უპატრონო კი არ ხარ. უყურე ერთი შენ ამას.

_ ქალბატონო, იცით რა... _ ზურა აკვანში ჩააწვინა და თავის მართლებას მოჰყვა ცირა, _ მძინარე ბავშვი ამოუყვანია აკვნიდან, თვითონ ჩაწოლილა...

_ ამას? _ ხელი მაკოსკენ გაიშვირა და უცებ გადაფიჩინდა ვერიჩქა, _ უი, ამას ენაცვალოს ბებია, რასაც ეს არ მეიფიქრებს _ ასეთი საყვარელი და სასაცილო ბოვშვია, ა! ეგ რა არის, ამასწინათ მამამისს ოინი უყოო... სად იპოვა ამ სასიკვდილემ, არ ვიცი და უცებ სუპიან ჯამში მკვდარი თაგვი არ ჩაუდო ჭამით გართულს?!.. უი, შენ რა გითხარი, შენ! ვაიმე, ეს ლა კალგი ბიჭი გყოლიათ, რა მშვენიერი. დიდუუ, გოგოს ხომ ნუღარ იკითხავ, კალმით ნახატი: რა თვალ-წარბი, რა წამწამი, თმები! ხშირი, ხვეული. ნამდვილია გოგო, თუ ოქლოსი, _ ლოყაზე უჩქმიტა ვერიჩქამ ლოგინში წამომჯდარ გაბუსუნებულ ლელას, _ რა ლამაზია, რა ლამაზი, ბოვშის უნახავს გაგხდის. თმა და წარბ-წამწამი ღირს მარტო ამისი ერთ რამედ!

_ არაფერი, რა, ჩვეულებრივი ბავშვია ერთი, _ გაბრაზებით ჩაილაპარაკა დაღლილ-დაქანცულმა ცირამ, _ უკაცრავად, ქალბატონო, ახლავე ისევ დავაძინებ და...

_ ჰო, დააძინე დააძინე და მოგიყვები კიდევ რამეებს. ანიჩქას პირველი სიყვარულის ამბავი უნდა მოგიყვე. დომენტი რომ ყვარობდა რეხვიაშვილი. იცი შენ ეგ? _ ჩაიხითხითა ვერიჩქამ და მაკო ხელში აიყვანა, _ წამო, ბებია, გენაცვალოს, მურაბა უნდა გაჭამო და გამოვა ამასობაში ბიცოლაც იქით.

ბავშვები ჩააძინა თუ არა, ცირამ ფეხაკრეფით გამოიხურა საძინებლის კარი და სამზარეულოში გავიდა. ვერიჩქა ყვინთავდა, მაკო არსად ჩანდა. შეშინებული ცირა ფეხაკრეფითვე გამობრუნდა უკან და სააბაზანოში შეიხედა. მაკო არ იყო სააბაზანოში. ცირა ელდანაცემი გაიქცა უცებ საძინებლისკენ, მაგრამ ბავშვი არც იქ ჩანდა... არაქათგამოცლილმა ქალმა თვალისდახამხამებაში შემოირბინა ყველა ოთახი, ბოლოს მეუღლის კაბინეტის კარიც შეაღო და კინაღამ გული შეუღონდა: მთელი იატაკი მეუღლის დისერტაციის ნახევებით იყო მოფენილი.

_ ახლა კი მოგივლი, სინდიოფალა, მართლა შენ! _ წაისისინა გააფთრებულმა ცირამ, კარი მჭიდროდ მიხურა და კუთხეში მიყუჟულ, სახეზე ხელებაფარებულ მაკოს ეცა, _ აი, გიჩქმიტე თუ არა! გიჩქმიტე თუ არა! გიჩქმიტე თუ არა!

_ აა..! _ აბღავლდა მაკო, _ აა...

_ გაჩერდი, შე... _ კიდევ ერთხელ მწარედ უჩქმიტა ცირამ, მერე კარს მიაყურა და შეშინებულმა დასტაცა ხელი ბავშვს, _ გაჩუმდი, ჩემო კარგო, რა მოგივიდა? ბუამ გიჩქმიტა, ხომ, ბუამ, იმ საძაგელმა. აი შენ დედოფალა! ხომ კარგია? სულ შენი იყოს, ოღონდ გაჩუმდი, კარგი?

მაკომ მაგრად ჩაიხუტა თოჯინა და უფრო უმატა ბღავილს.

_ აი, ესეც შენ, თვითმფრინავი. მოგიკვდეს, ზურა, დედაშენი... ახლა ხომ გაჩუმდები?

_ აა... _ დათუნიას გაუშტერა თვალი და ბღავილი განაგრძო მაკომ.

_ დათუნია გინდა და იმიტომ ტირი?! აი, შენ დათუნია და გაჩუმდი ახლა, კარგი? _ ბაგეზე სიმწრით იკბინა ცირამ, _ გაჩუმდი ხომ? მოდი ახლა მოგწმინდო ცრემლი... ასე... რატომ დახიე ეს ფურცლები, ჰა?

_ ააა... _ ისევ წამოიწყო მაკომ.

_ კარგი, კარგი, _ შიშით დაუყვავა ცირამ, _ ოღონდ აღარ იტირო და...

ცოტა ხნის შემდეგ ცირამ სამზარეულოში შეიყვანა მკერდზე ნაზად მიხუტებული მაკო და ვერიჩქას გაუღიმა.

_ უყურე ერთი შენ, მთელი დღეა აქ ვარ და კი არ მაქცევ ყურადღებას, რომ რაცხა-რაცხეები მოგიყვე მე და ანიჩქაზე. რა გაქვს ამდენი საქმე, ვერ გავიგე. გააცხელე ერთი თუ ქალი ხარ, ჩაი.

_ აი, დედოფალა, დათუნია, თვითმფრინავი და აი... _ ნაჩქმეტებზე დაიხედა უცებ მაკომ.

_ უყურე, რამდენი სათამაშოები უჩუქებია შენთვის ბიცოლას! _ ნაჩქმეტები ვერ შენიშნა ვერიჩქამ, _ უთხარი მადლობა? ისე რა ბედი აქვს ამ მამაძაღლს, სადაც გინდა მივიყვანო, საჩუქრებით დატვირთულს მატანენ უკან. კაი ბაღანაა ნამეტანი. ნამეტანი აყვარებს ხალხს თავს.

_ ჰო, დიახ, დიახ. საყვარელი ბავშვია ძალიან, _ ძირს დასვა ბავშვი ცირამ, ჩაი გააცხელა და ხელახლა მიუჯდა სუფრას ვერიჩქასთან ერთად. დიდხანს უქნია თავი სტუმარს ყალბად გაღიმებულმა, იცინა ვითომ გულიანად დომენტიასა და ანიჩქას სიყვარულზე, მოწმინდა მაგიდაზე მაკოს მიერ ამოყირავებული მურაბა, გადმოფერთხა ასევე მაკოს მიერ მაგიდაზე აკოკოლავებული შაქრის პირამიდები, დალია ჩაი თვითონაც და ერთი წუთით ბოდიშის მოხდით გავიდა კაბინეტში. გულშემოყრილმა აკრიფა დისერტაციის დახეული ფურცლები. წაიტირა, ამოიოხრა, პირჯვარი გადაისახა და სამზარეულოსკენ გამობრუნდა.

ვერიჩქას თავი დათუნიასა და თვითმფრინავზე დაედო და ფშვინავდა. მაკო თავის დედოფალიანად იყო ისევ გადაკარგული. შეშინებული ცირა კაბინეტისკენ გავარდა კვლავ. კაბინეტში არავინ იყო. გავიდა სასტუმრო ოთახში, _ ამაოდ, ლოჯში... სააბაზანოში... შევარდა საძინებელში და მეხდაცემულივით შედგა.

ლოგინზე მაკრატლით ხელში იდგა სინდიოფალა, ხოლო ლოგინში იწვა და ეძინა რაღაც საოცარ არსებას. ამ არსებას არც წარბი ჰქონდა, არც წამწამი ხოლო თავზე თმის მაგიერ ერთ ადგილას ჰქონდა რაღაც ბოლოკის ფოჩივით გადაშლილი, _ ეგ იყო და ეგ.

_ ლელა! _ ამოიხავლა ცირამ და მაკოს ეცა. არ ახსოვს, როგორ და როდის გამოგლიჯა ხელიდან აჩხავლებული მაკო ვერიჩქამ. ვერიჩქა გულზე იხუტებდა მაკოს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წყევლიდა და ლანძღავდა ცირას:

_ ბოვშვმა რაცხა წეითამაშა, ამის გამო უნდა ცემო? რა გეგონა, აბა, რომ იჯექი და ერთი საათი აქებდი შენი შვილის თვალ-წარბსა და თმას. შეიძლებოდა უწარბო და უთმო ბოვშისთვის გული ასე გეტკინა?

_ მე ვაქებდი, ქალბატონო, მე? _ სიმწრისგან ხმამაღლა ატირდა ცირა.

_ უსინდისო ეს, უსინდისო... ეიღე, მაკუკი, შენი სათამაშოები და წამოდი... კაი რძალი კი მოუყვანიხარ საცოდავ ანიჩქას, კაი დაგემართოს. შეიძლება ასე დაჩქმიტო უდანაშაულო ბოვში? ამას მოუკვდა ბებია. _ სათამაშოებიანად ჩაიხუტა გულში ანიჩქამ მაკო და კარი გამოაღო, _ ნახავ აგერ, თუ კიდევ მოვალთ აქ, ნახავ. მისასვლელის და მასპინძლის მეტი რა მყავს, გრიშასთან მივალთ აგერ, ცუცასთან, ჟორასთან... არ გეიხარებენ ჩვენი სტუმრობით, თუ? დიდუ, არ მომიკლა ბოვში?!

ცირამ გასაღები გადაატრიალა, კარი ჯაჭვითაც ჩაკეტა რატომღაც და ღონემიხდილი ძლივს წალასლასდა საძინებლისკენ.

ლელიანში, გამთენიისას

შუაღამე იქნებოდა, არჩილას კარზე ისეთი ბრახა-ბრუხი ატეხა ვიღაცამ, შიშისგან დაფეთებულმა ნუცამ საწოლიდან პირდაპირ იატაკზე მოადინა ზღართანი.

არჩილა ჯერ გაისუსა, მერე წამოჯდა და იატაკზე წამოყუნცულ და ვერხვის ფოთოლივით აცახცახებულ ნუცას მიაჩერდა კითხვის თვალით.

ბრახუნი არ წყდებოდა, არც ხმას იღებდა ის ვიღაც უტიფრად მობრახუნე და როგორც იქნა, ისევ ნუცამ ამოიკნავლა:

_ ვინ არის?

_ ვინ არის? _ არც თუ ომახიანად გაიმეორა არჩილამაც.

_ მე! _ ბრახუნი შეწყდა და მოისმა გარედან ახალგაზრდული, სმისგან ჩახლეჩილი ხმა.

_ რომელი «მეა», ეგ ოხერი. _ ჩაიჩურჩულა ნუცამ, წამოდგა და იქვე მიგდებულ ხალათს მისწვდა გაბრაზებული, _ რომელი მე ხარ, რომელი?! _ უკვე ხმამაღლაც გასძახა, სინათლის ანთებაზე არც უფიქრია, ისე ანათებდა იქაურობას ქათქათა, ბადრი მთვარე.

_ გამოდით და გაიგებთ! _ რისხვით უპასუხა მობრახუნემ, აღარ აბრახუნებდა.

_ კარლოა მგონი, მე მაგის... _ ჩაიბუტბუტა არჩილამაც და შარვალში გაუყარა ფეხი.

კარის წინ მართლაც კარლო იდგა: იმ სიცივეში საკინძემოღეღილი, თავშიშველი და კარგა მაგრად მთვრალი.

_ ჩაიცვით ახლავე და წამომყევით! _ თვალები დააბრიალა კარლომ, შეტრიალდა და უკან მოუხედავად გაიმეორა, _ ჩაიცვით ახლავე და წამომყევით!

_ სად?! _ გაოცებით იკითხა ცოლ-ქმარმა, _ სად, კაცო, ამ შუაღამისას?

_ გერონტისთან! _ კბილები გააღრჭიალა კარლომ, _ საქმე მაქვს! არ მალაპარაკოთ ახლა ბევრი, თორემ ხომ იცით! _ თითი დაუქნია და ისეთი მუქარით გამოხედა ორივეს, შიშისგან ორივეს გაჰბურძგლა, _ საქმე მაქვს და მინდა თქვენც იყოთ იმ დროს იქ.

_ კი, მაგრამ? _ სიცივისგან გააკანკალა ნუცას, _ აღარ გათენდება?

_ მოდიხართ, თუ?! _ გააფთრებული შემოტრიალდა კარლო, _ მოდიხარ, არჩილა, თუ დაგიდო ახლავე ფეხქვეშ?! _ არჩილას დაუკონკრეტა.

_ მოვდივართ, ჩემო კარლო, მოვდივართ, აბა არ მოვდივართ?! _ შეეშინდა ნუცას, _ რაღას უდგეხარ, კაცო? _ დაუტატანა უცებ უდანაშაულო არჩილას, _ შემოდი, ჩავიცვათ.

ფიქრში წასულმა კარლომ ხმამაღლა ამოიქშინა ჩაცმულ-დახურული ცოლ-ქმრის დანახვაზე და წინ წავიდა.

_ გიჟია ოხერი, არ წაიღო ტვინი? არ შეაწუხა მთელი სოფელი? მორიდება ამან არ იცის და... _ წაიბუტბუტა ნუცამ, შალში თბილად გაეხვია და ქიმუნჯი წაჰკრა მთქნარებით მიმავალ არჩილას, _ რა სიკვდილი უნდა ნეტა, გერონტისგან, არ აუტეხოს რამე შარი და გაგვახვიოს ჩვენც უბედურებაში. რო მოკლას? არჩილა, კაცო, დაგეძინა? რო მოკლას?

არჩილამ თვალები გადმოუბრიალა ნუცას და ნაბიჯს აუჩქარა.

კარლომ ბაკურაშვილების უბნისკენ გადაუხვია, გელას ჭიშკრის წინ შეჩერდა, ხელი ჭრილში შეყო, კარი შეაღო და ბანცალ-ბანცალით ავიდა პირმაღზე.

_ ვინ არის? _ კარზე ხმამაღალ ბრახუნს იმავე წამს მოყვა ნუნუს გაოცებული და თან გაცეცხლებული ხმა.

_ კარლო! _ ბრახუნს მიაყოლა კარლომ და რატომღაც ბადრ მთვარეს გახედა დაღონებით.

_ კარლო შენ და სიკვდილი! _ არ დააყოვნა ნუნუმ, _ აღარც დღე უნდა მოგვასვენო და აღარც ღამე? მთელი დღე ერთად არ ეყარეთ შენც და გელაც? ეგღა მაკლდა ახლა, შუაღამის დროს დაგეწყო წანწალი! _ კარი ლამის ცხვირში მიარტყა პერანგის ამარა გამოვარდნილმა ქალმა და არჩილასა და ნუცას დანახვაზე ცოტა არ იყოს, დაიბნა, _ ვაიმე, მოხდა რამე, ნუცა?

_ არ ვიცი, _ მხარი აიჩეჩა ნუცას მაგიერ არჩილამ, _ გაგვაღვიძა ჩვენც და... აქ წამოგვიყვანა.

_ რაო? რაო? ქეიფი მოგინდა? _ ისევ კარლოს მიუტრიალდა ნუნუ _ უყურე ერთი ამის თავხედობას?! თუ მაინც და მაინც... აღარ გათენდებოდა?!

_ შენ გელა გააღვიძე! _ ოთახში შესვლა დააპირა კარლომ.

_ ეყოფა უკვე, რაც ჩხამა დღეს! კაცია, კასრი ხომ არაა, სადღა უნდა ჩაეტიოს ბოლოსდაბოლოს!

_ რა უნდა ჩაეტიოს ქალო! ჩაიცვით ორივემ! _ საქმეზე მჭირდებით! _ ისევ დააპირა ქალისთვის გვერდის ავლა კარლომ.

_ რა საქმეზე, კაცო, ხომ არ გაგიჟებულხარ, ამ შუაღამის დროს, შენ! _ ცოტა დააკლდა მართლა არ გაგიჟდა ნუნუ.

_ გერონტისთან მაქვს რაღაც საქმეო და... _ გაახსენდა უცებ ქათამივით ცალ ფეხზე შემდგარ და აბუზულ ნუცას, _ ეტყობა რაღაცა საქმე აქვს გასარჩევი და იმიტომ გაგაღვიძათ თქვენც.

_ ვისთანო? გერონტისთანო? _ მთლად გაწიწმატდა ნუნუ, _ გაქვს და გქონდეს, შენ ვიღაცასთან რაღაცა ანგარიში გაქვს გასასწორებელი, ჩვენ რა შუაში ვართ ვითომ? უფროსი ამან არ იცის და უმცროსი. რა გინდა გერონტისთან, ჩვენ ვართ, ვართ, შენი ტოლები, რა ვუთხრათ, გერონტის, რომ მივალთ, რა საქმე გვაქვსო?

_ ეგ მე ვიცი. ჰა, აღვიძებ თუ არა გელას? _ პარმაღზე დადებულ ფქვილით სავსე ტომარას ხელი დაავლო კარლომ _ თუ, მოვფანტო ეზოში?

_ გაუშვი, კაცო, ხელი, გაუშვი, _ შეეშინდა ნუნუს, _ ჭკუა დაგიშლის შენ, თუ გონება, _ ვაღვიძებ, ბატონო!

ის იყო მამალმა იყივლა, კარლომ, არჩილამ, გელამ, ნუცამ და ნუნუმ კვალიაშვილების უბნისკენ ჩაუხვიეს და გივიას ჭიშკარსაც მიადგნენ.

_ მანამ არ აგიდგა გვერდები, მაყვალა გივიას არ გააღვიძებდეს. ნახავ შენ, რა დღესაც დაგაყრის! _ ჩაიქირქილა ნუნუმ, _ გიჟი ეს!

_ რომელი ხარ? _ ამაყი გაოცებით გამოსძახა მაყვალამ გარედან დამბრახუნებელს შიგნიდან.

_ კარლო! _ იღრიალა უცებ კარლომ, _ გივია გააღვიძე და შენც ჩაიცვი. ერთ ადგილას უნდა გამყვეთ საქმეზე.

_ საქმე შენ და ჭირი, ხულიგანო მამაძაღლო, შენ! _ სიბრაზისაგან ეტყობა სკამი დააბერტყა იატაკზე მაყვალამ, _ ბიჭოს, არ შეჭამა გული ამ უსაქმურმა და დარმაედმა! ახლა აქედან მოუსვი, თორემ...

_ ჰა, იცვამთ, თუ მოვუკიდო უკვე, თქვენს საბძელს ცეცხლი? _ ჯერ გააჩხაკუნა, მერე აანთო და ფარდებგადაწეულ ფანჯარასთან ააციმციმა ასანთი კარლომ, _ ჭკუა დამიშლის, თუ არ დამიწვია ჯერაც?

_ არ გაგიჟდე, კაცო და არ მოუკიდო მართლა! _ შიშისაგან აწივლდა მაყვალა, _ გივი! გივი! ადექი, ადექი შე სულძაღლო, როცა ამ ოხერს უძმაკაცდებოდი, მაშინ უნდა გეფიქრა, რაც დაგემართებოდა ბოლო-ბოლო.

_ ესეც ასეე... _ გადათვალა თავისი საპატიო ესკორტი ცოტა ხნის შემდეგ ნასიამოვნებმა კარლომ და გოგინაშვილების ფოლორცისაკენ გადაუხვია.

_ მანდ ვიღა ნახე შენი ტოლი და სწორი ვითომ? _ ეჭვით იკითხა მაყვალამ და უცებ ისეთი ჩასცხო სრულიად უდანაშაულო, ღვინისა და ძილისაგან ჯერ ისევ გამოუფხიზლებელ გივიას, კინაღამ წააქცია, _ კიდევ დალევ ამ ოხერთან, შე ვირო, შენა, ჰა? ცოლი ამას არ აწუხებს და შვილი, სინდისი ამას არ აწუხებს და სირცხვილი, ახლა რო შარში გაგვხვევს და ციხეშიაც ამოგვაყოფინებს თავებს, მაშინ რაღას იტყვი, ჰა?

კარლო უკვე სერაპიონ გოგინაშვილის კარწინ იდგა და აბრახუნებდა.

_ ვინ ბრძანდებით? _ მოისმა ინტელიგენტ სერაპიონის ზრდილობიანი ხმა შიგნიდან.

_ კარლო! _ არც თუ ზრდილობიანად უპასუხა კარლომ და ისევ დააბრახუნა... _ კარლო ვარ, ბატონო სერაპიონ!

_ რა გაგჭირვებია, შვილო, კარლო, ამ შუაღამისას? _ მაგიდის ნათურა აინთო, ეტყობა, წამოდგა სერაპიონი.

_ ერთ კაცთან სამკვდრო-სასიცოცხლო საქმე მაქვს გასარჩევი და მინდა იმ დროს თქვენც იყოთ იქ, ბატონო სერაპიონ! _ დაასლოკინა კარლომ და კბილი კბილს დააჭირა სიმწრით.

_ კი, მაგრამ, ამ დროს, შვილო კარლო? _ კარი გამოაღო გაოცებულმა სერაპიონმა და კიდევ უფრო გაოცდა, როცა პირმაღზე კარლოს გარდა ბარე კიდევ ექვს ადამიანს მოჰკრა თვალი. _ რა მოხდა, მეზობლებო?

ექვსივემ მორცხვად და უხმოდ აიჩეჩა მხარი.

_ ეტყობა, რაღაცა აწყენინა გერონტიმ, მე იმის!... _ უცებ ისე დაიღრიალა გივიამ, სერაპიონის მამალს შუაზე გააწყვეტინა ყივილი, _ მივიდეთ ერთი, მივიდეთ.

_ კი, მაგრამ, ისეთი რა, რომ... ამ დროს... _ ჩაიბუტბუტა ნირწამხდარმა სერაპიონმა, ჯერ ჩაფიქრდა, მერე თავი გადააქნია და უცებვე შეტრიალდა შინ, ჩასაცმელად.

ცისკრის ვარსკვლავი უკვე კარგად იყო ამოწვერილი, კარლო, არჩილა, გელა, გივია, სერაპიონი, თედო, მალხაზა, დავითი, ნუცა, ნუნუ, მაყვალა, ლილი, თათულა, _ მოკლედ, ნახევარი სოფელი გერონტის ეზოში რომ შეჩერდა.

_ დაუძახეთ! _ წელში უცნაურად გასწორდა კარლო და თვალები გადაუბრიალა უკლებლივ ყველას: არჩილას, გელას, გივიას, სერაპიონს, თედოს, მალხაზას, დავითს, ნუცას, ნუნუს, მაყვალას, ლილის, თათულას...

სერაპიონმა, თედომ, დავითმა, რატომღაც ფეხი მოინაცვლეს და შეთანხმებულებივით ასევე რატომღაც ჩაახველეს კიდევაც ერთდროულად.

არჩილამ, გელამ, გივიამ, მალხაზამ ასევე შეთანხმებულებივით ერთხმად იყვირეს:

_ გერონტი!

ხოლო ქალებმა ბუტბუტ-ჩურჩულით ერთმანეთს გადახედეს და ისე მიეწებნენ ერთიმეორეს, გეგონება, ვინმემ უხილავად ერთი თოკით შეკრა და თანაც რაც შეიძლება მჭიდროდო.

პირველ «გერონტის» მხოლოდ გერონტის მურია გამოეპასუხა და ამიტომ გაბრაზებულმა ოთხეულმა კიდევ ერთხელ და თანაც უფრო ომახიანად იყვირა:

_ გე-რონ-ტი!

ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო, აივანზე გერონტი გამოვიდა, დაუტატანა მურიას, ეზო მოათვალიერა, გაშრა, ცას ახედა, თვალები მოიფშვნიტა, ისევ ეზოს გადმოხედა და ისევ გაშრა.

გერონტის მამალმა ფრთა ფრთას შემოჰკრა, იყივლა და დადუმდა.

სოფელიც დუმილით აჰყურებდა გერონტის, გერონტიც დუმილით ჩამოჰყურებდა სოფელს.

მერე სოფელი კარლოსკენ შემოტრიალდა უკლებლივ და გერონტიმაც, რაღა თქმა უნდა, კარლოს მიაპყრო მზერა.

კარლომ თვალი აარიდა სოფელსაც, გერონტისაც და რატომღაც ბადრ მთვარეს მიაჩერდა გალენჩებული.

გივიამ ქიმუნჯი წაჰკრა მთვარეს მიჩერებულ კარლოს და გაბრაზებით დაასლოკინა.

_ რაშია საქმე, ხალხო? _ როგორც იქნა ამოღერღა გერონტიმ, ისე იყო განცვიფრებული, პერანგის ამარა გადმოჰყურებდა იმ სიცივეში გასუსულ ხალხს.

_ თქვი! _ დაუსისინა მაყვალამ კარლოს.

კარლომ მთვარიდან მაყვალაზე გადაიტანა მზერა, მაყვალადან სერაპიონზე, სერაპიონიდან გერონტიზე, გერონტიდან მიწაზე და თავჩაქინდრულმა მოინაცვლა ფეხი.

_ თქვი, შე ოხერო, რა დაგიშავა, რაზე დააყენე მთელი სოფელი ამ შუაღამისას თავზე! _ გვერდში ისე მწარედ უჩქმიტა ნუნუმ, სხვა კარლოს ადგილზე წივილს მორთავდა, კარლო კი არც შენძრეულა.

_ შვილო, კარლო, _ გვერდით ამოუდგა ხანში შესული სერაპიონი გაშეშებულ კარლოს და მუდარით გადახედა თედოს და დავითს, _ თქვი, უთხარი, აბა, ეს დროული ხალხი აქ ამ შუაღამის დროს...

_ დედა გაგინა ალბათ, მე მაგის! _ კბილებშუა გამოსცრა გივიამ და ის იყო ხმამაღლა დაღრიალებისთვისაც მოემზადა, კარლოს ენერგიულად გამოქანებულმა ხუთმა თითმა მოუმუწა პირი.

_ ამ კაცს შენთან საქმე აქვს... სათქმელი აქვს... და... _ ისე ამოღერღა სერაპიონმა, ძლივს გაიგო აივნიდან ლამის სანახევროდ გადმოყუდებულმა გერონტიმ.

_ ვის? _ იკითხა გერონტიმ.

_ კარლოს!

_ კარლოს? _ გაუკვირდა გერონტის, _ რა საქმე გაქვს და რა სათქმელი, კარლო?! _ წელში მუხასავით გასწორდა და უცებ გადმოკარკლა თვალებიც.

კარლომ ბადრ მთვარეს გახედა ისევ და ისევ ამოიქშინა.

_ თქვი, კაცო, უთხარი! _ გაწიწმატდა უცებ თათულა და უცებვე შეხტა გიჟივით, _ გერონტის მურიამ ხაოიანი ენა აუსვა სიცივისაგან ისედაც ახორკლილ წვივზე _ გაქრი აქედან, _ დაუტატანა ძაღლს, _ თქვი ახლა! _ ისევ კარლოს მიუბრუნდა, _ ოხერო შენ, ჩაცმაც რომ არ მაცადე!

კარლომ ისევ ამოიოხრა და ისევ თავი ჩაქინდრა.

_ ნორმალური არცერთი არა ხართ, ამდენ ხალხში?! _ შეაკანკალა სიცივისა თუ სიბრაზისაგან გერონტის, _ ამ შუაღამისას თავს რო მესხმით შარაგზის ყაჩაღებივით, მიზეზი მაინც არ უნდა იცოდეთ, თქვე კაი ხალხო?

_ დედა, იქ ვიტყვიო, იმას ვეტყვიო და... _ ხელები გადაშალა ნუცამ, _ გგონია, ჩვენ ვიცით რაზე წამოვყევით?!

_ მაშ არ იცით, არა?! _ პირდაპირ აივნიდან გადმოაფურთხა მოთმინებადაკარგულმა გერონტიმ, _ მაშ, ჯერ არ გაგი

გიათ, რატომ წამოხტით ლოგინებიდან და რატომ მოგროვდით აქ, ამ შუაღამისას გიჟებივით, არა? იდექით, აბა, მანამ არ გაიგებთ და როცა გაიგებთ, გამაღვიძეთ და გამაგებინეთ მეც, თუ ხალხი ხართ! არ არი ახლა ახი, ე ძაღლი მოგისიოთ? ეს სამი დროული კაცი არ გერიოთ, კი ვიცი, რასაც გიზამდით დანარჩენ ჩიტირეკიებსა, მაგრამ... ამ გიჟს რაღაცა მოელანდა, თქვენც გაგიჟდით, თქვე უბედურებო?! დაგიშავე მე შენ რამე, კარლო? შვილო, დაგიშავე მე შენ რამე?! _ უცებ გააფთრებულმა გადმოხედა კარლოს.

_ არა. _ ჩაიჩურჩულა კარლომ და თავჩაქინდრულმავე გააქნია თავიც, _ სრულიად იყო უკვე გამოფხიზლებული, ფეხით ხაზავდა მიწაზე რაღაცას.

_ არა, ხომ?! _ გაუხარდა უცებ გერონტის _ არაფერი დამიშავებია! აბა, რა გინდათ, თქვე უნამუსოებო, თუ კი არაფერი დამიშავებია, მითხარით, რას იგიჟებთ თავს, რას ექომაგებით და რას მივარდებით აქ ამ შუაღამის დროს მოსაკლავად, ჰა? ახი არ არი ახლა, დავუძახო პოლიციას?

_ როგორ გეკადრებათ, ბატონო გერონტი, _ კისერი ისე მოიღერა აივნისაკენ სერაპიონმა, ცოტა დააკლდა შლაპა არ მოსძვრა თავიდან, _ რა მოსაკლავად, რის მოსაკლავად...

_ აბა?! _ ისევ გადმოაფურთხა აივნიდან გერონტიმ.

_ თქვა... ისაო, საქმე მააქვსო და... სათქმელი მააქვსო და... ასე არ იყო? _ მიუბრუნდა ნერვებაშლილი სერაპიონი კარლოს.

კარლომ უხმოდ დააქნია თავი.

_ მერე და გაქვს მართლა რამე საქმე? გაქვს მართლა რაიმე სათქმელი? _ ისევ დაიღრინა ზემოდან გერონტიმ, _ შენ გეკითხები, კარლო!

კარლომ უხმოდ გააქნია თავი.

_ ა, ბატონო! _ ამაყად აიწურა მხრები გერონტიმ, _ ვინ ტყუის ახლა და ვინაა დამნაშავე, მე თუ დანარჩენი თქვენ ერთად ყველა, ბატონო სერაპიონ? ამ უტიფარს, ამ უზრდელს, მოურიდებელს და ხულიგანს შუაღამისას კაცი სადმე რომ გაყვება, მითხარით, ის კაცი არის ნორმალური, ჰა?! არ შეჭამა თავისი ხულიგნობით მთელი სოფელი? ვინაა კაცო, ეს კაცი, არაფრის რომ ამას არ რცხვენია? _ გააჭენა და გააჭენა უცებ გათამამებულმა გერონტიმ, _ თქვენ შეიძლება გეშინიათ ამისი, მაგრამ მე, მე, გერონტი კაწარაშვილს არ მეშინია, გაიგეთ

ერთხელ და სამუდამოდ, გაიგეთ, თუ არა და ხედავთ აგერ! ვის მოგითმენდათ ამდენს, ვის მოგცემდათ ამდენის უფლებას, გულები რომ გისკდებათ მაგის თითო სიტყვაზე შიშისაგან! ახლა კი მარშ აქედან!

პირველი შეურაცხყოფისაგან მთლად გათეთრებული სერაპიონი შეტრიალდა, მეორე თედო, მესამე დავითი, თავისი განუყრელი ხელჯოხით.

_ ე ბიჯო, რა ყოფილხარ მართლა შენ, _ დაასლოკინა უცებ გივიამ და თვალებჩასისხლიანებული მოუტრიალდა კარლოს, _ მარტო ჩვენთან გაქვს ხომ, დიდი გული, კაცმა ამდენი დაგიშავა და ხმა ვერ ამოიღე ხომ, შიშისაგან?!

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, გივიამ მურიას წინ გაჭიმა ყირა. გივიას ცოლი მაყვალა წამოეშველა, მაყვალას ნუნუ, ნუნუს გელა, გელას მალხაზა, მალხაზას თათულა, თათულას არჩილა, არჩილას ნუცა და ატყდა ერთი აყალმაყალი, რომელსაც თან მოჰყვა ზედახორა, მურიას გაცხარებული სირბილი და ყეფა ზედახორის ირგვლივ და პერანგისამარა გერონტის ჩამორბენა კიბეზე.

კარლომ არეული სახით შეხედა გერონტის, მოწაფესავით ჩამოუშვა ხელები და როცა გააფთრებული კაცი მის ლოყებსა და გულ-მკერდზე ტყაპა-ტყუპს მორჩა და როცა გერონტის შეშინებული ცოლ-შვილიც გამოჩნდა აივანზე, მორჩილი სახით დატოვა ეზო.

_ ეს ხულიგანი, ეს! მგელი ეს, მგელი!

_ ეს გიჟი, ეს!

_ კი ყოფილა მაგისი მომრევი ამ სოფელში, უყურე შენ, ყოჩაღ, გერონტი! ეტყობა, მანამდეც ჰყავს ნაჟეჟი კარგად, იმიტომაც ვერ გაბედა საცოდავმა მარტო მობრძანება აქ. ჩვენი გულით რომ მოდიოდა, ჩვენი გულით და იმედით! _ ლანძღვა-გინებით ჩაუარეს ალიონზე ნაცემ-ნატყეპმა ყოფილმა მეგობრებმა კარლოს, რომელიც ლელიანში იწვა პირქვედამხობილი.

კარლომ ღრმად ამოიგმინა, პირაღმა ამოტრიალდა და უცებ როგორც ნაცემმა ეულმა მგელმა, ისე შეჰყმუვლა მთვარეს:

_ მიყვარს... გერონტის შვილი ეკა მიყვარს, მთვარევ!

ტკბილი ლირიკა

სამნი მისდევდნენ. იცოდა, ორ მათგანს იარაღიც ეჭირა ხელში, რომელიღაც ქუჩის რომელიღაც ჩიხში ტყვიამაც ჩაუქროლა გვერდზე წუილით და შვებით გაიფიქრა, რომ ამჯერად გადარჩა; თვითონვე გაუკვირდა, ისეთი ნახტომი გააკეთა უცებ: «ნეტა ნორმალურ ვითარებაში თუ შევძლებდი?!» მესრისკენ მიხედვის დრო აღარც ჰქონდა, წამით შეჩერდა, ყოყმანით გახედა უზარმაზარი კორპუსის განათებულ, წყნარად ჩარიგებულ სადარბაზოებს, მოპირდაპირე კორპუსისკენ შებრუნდა, სიხარულით აღმოაჩინა იქ რამდენიმე ჩაბნელებული შესასვლელი, გეზი ერთ-ერთისაკენ აიღო და იმავე წამს ტყვიამაც ჩაუქროლა კვლავ წუილით.

ბედად, რაღაც სასწაულებრივად, ლიფტის კარიც გაიღო უცებ, ქალს, რომელსაც ცალი ფეხი შედგმული ჰქონდა უკვე კაბინაში, ხელით უბიძგა სიღრმისკენ, თვითონაც შეჰყვა, თითი ყველაზე მაღალ სართულზე ამავალ ღილაკს დააჭირა და არაქათგამოცლილმა, აქოშინებულმა ძლივს ჩაილაპარაკა:

_ მაპატიეთ, მოსაკლავად მომდევდნენ! _ ქალისკენ შემობრუნდა და უცებ გაშრა...

ქალიც დაიბნა. ჯერ გაოცებით, გაკვირვებით გაუფართოვდა თვალები, მერე რატომღაც შვებით ამოისუნთქა. მკერდზე აქამდე შიშისგან მაგრად მიხუტებული ხელები ძირს ჩამოუცვივდა და შემკრთალი, შვლის ნუკრივით დამფრთხალი მზერა კითხვით მიაპყრო ბიჭს.

ბიჭს სიზმარში ეგონა თავი: «ჯერ კოშმარული თავგადასავალი, მერე კი უცებ... უცებ...»

ლიფტის კაბინა მაღლა ავიდა და გაჩერდა. დაბნეულმა ბიჭმა ჯერ ქალს შეხედა, მერე გასვლა დააპირა, კვლავ შეჩერდა, აქამდე ყელში გაჩხერილი რაღაც გადაყლაპა და ძლივს გასაგონად თქვა:

_ მაპატიეთ, ზემოთ რომ ამოგიყვანეთ... _ და თითი ღილაკისკენ წაიღო.

_ მეოთხე, _ თქვა ქალმა, ლიფტის დაკეტილ კარს შეხედა და ყოყმანით დაამატა, _ თქვენ?

_ სულ ერთია... ალბათ, _ თვალი აარიდა ბიჭმა, _ მოვიფიქრებ... მერე...

კაბინა მეოთხეზე გაიღო, ქალმა ისევ ყოყმანით მოხედა ბიჭს და ამ დროს გაისმა კიდევაც ღამის მყუდროებაში სადარბაზოში შემოსულთა ხმებიც:

_ გეუბნები, დავინახე, აქეთ გამოიქცა ნამდვილად.

_ შენ ადი, მე ლიფტთან დავდგები.

_ მე გარეთ გავალ!

ქალს აღარ უფიქრია ბევრი, ბიჭს ხელი ჩაავლო, აკანკალებულმა მოიძია გასაღები, ფრთხილად მოარგო, ფრთხილად გადაატრიალა და უცებ ორივე ჩაბნელებულ ჰოლში აღმოჩნდა. ქალმა ფრთხილადვე დაკეტა კარი და მღელვარებისგან კედელს მიეყრდნო სუნთქვაშეკრული.

მძიმე, უსიამოვნო ნაბიჯებით ამოვიდა ვიღაც კიბის ბაქანზე, იწრიალა ერთხანს იქვე და მერე მეხუთისკენ წავიდა.

ქალმა ბიჭს წაავლო ხელი და ფეხაკრეფით წაიყვანა ოთახისაკენ.

_ სინათლე ავანთო?

_ ჯერ არა, _ რატომღაც გაეღიმა ბიჭს, _ ის მესამე, სწორედ მაგ მიზნითაა ახლა გასული გარეთ, _ სად აინთება შუქი! _ სკამს წამოედო სიბნელეში და გადააყირავა.

და უცებ შუქი აინთო, ოღონდ გვერდითა ოთახში.

ბიჭმა სასოწარკვეთით მოხედა ქალს.

_ მოხვედი, ირმა? _ გაისმა მოხუცი ქალის ხმა ოთახიდან, _ ორჯერ დარეკა თამაზმა. მოვკვდი ნერვიულობით.

_ სად წავიდოდი, დედა? _ ზომაზე მეტად ხმამაღლა გაეპასუხა ქალი, _ ხომ გითხარი, მერისთან მივდივარ დაბადების დღეზე-მეთქი.

_ ჰო, კარგი, კარგი! მე კი ვიცი, მე მჯერა, მაგრამ გავაგებინე რამე შენს ქმარს? ქურქი უყიდია შენთვის, ამისი ხარება უნდოდა ალბათ, მაგრამ... ჩამოდიან ზეგ უკვე. მომკლა ამ წელის ტკივილმა!

ისევ ჩაქრა სინათლე.

_ დაჯექი, _ ჩურჩულით თქვა ქალმა. _ ბიჭს ხელზე წაავლო ხელი და ფრთხილად წაიყვანა სავარძლისაკენ, _ დაჯექი, მოვიფიქრებთ რამეს, ნუ გეშინია.

_ არ მეშინია, _ მღელვარედ, ჩურჩულითვე უპასუხა ბიჭმაც, სავარძელში ჩაეშვა, ფრთხილად, ფრთხილად წაიღო სიბნელეში ხელი იმ ხელისაკენ, წამის წინ ქალს რომ ჰქონდა ჩაბღუჯული და უცნაურად გაბრუებულმა, როგორც ნაღვერ

დალს, უკანასკნელ ნაღვერდალს უკაცრიელ კუნძულზე, ისე მოუჩრდილა რატომღაც.

ვიღაცამ ჩაირბინა კიბეები ბრახა-ბრუხით, გინებით, ერთხანს ქუჩიდანაც მოისმა ხმამაღალი ლაპარაკი, მერე ხმაურით ჩაიქროლა რაღაცა უზარმაზარმა, ალბათ სამხედრო მანქანამ და კვლავ გაყუჩდა ყველაფერი.

ბიჭს საკუთარი გულის ბაგა-ბუგი მოესმა უცებ და რატომღაც შეეშინდა, ქალსაც არ გაეგო იგი. ხელი მკერდზე მიიდო, მორიდებით შეათვალიერა ტახტზე ჩამომჯდარი თავჩახრილი ქალის სილუეტი და წამოიწია:

_ შეგაწუხეთ... წავალ ახლა, აღარ იქნებიან ალბათ აქ...

_ იქნებიან! _ უცებ წამოდგა და მკლავზე ხელი წაავლო შეშფოთებულმა ქალმა, _ იქნებიან, მოგკლავენ, ჯარჯი!

დაბნეულმა, მოულოდნელობისაგან თავბრუდახვეულმა ბიჭმა გარედან შემოსული სინათლისაკენ შეატრიალა ქალი და სახეში ჩააჩერდა სიხარულისაგან ლამის გონმიხდილი.

_ საიდან იცით?

_ რა?! _ ჩურჩულით ჰკითხა ქალმა და გაფართოებული თვალებით შეათვალიერა ბიჭი, _ რა საიდან ვიცი?

_ ეგ... ეგ სახელი რომ მქვია?…

_ ჰოო... _ ღრმად ამოისუნთქა ქალმა, _ ვიცი და ისიც ვიცი, რომ... დაჯექი, დაჯექი... _ აწრიალდა უცებ და თითქმის ძალით დასვა ბიჭი ადგილზე.

_ რა, შენი სურათებით რომ მაქვს მოფენილი მთელი კედლები? _ შენობითზე გადავიდა უცებ აფორიაქებულ-აღელვებული ბიჭი, _ და... რომ...

_ ეგ არ ვიცოდი, _ წყნარად ჟრუანტელმომგვრელად გაიცინა ქალმა და თვითონაც დაჯდა, _ თუმცა უნდა მეფიქრა, იმდენჯერ შეგასწარი თვალი.

_ მაგრამ მე ყოველთვის ისე მალულად ვიღებდი! _ ცხარედ აჩურჩულდა ბიჭი, _ თანაც ისე, გგონებოდა, თითქოს სხვას ვიღებ.

_ ასეც მეგონა კარგა ხანს, შენ წარმოიდგინე, _ ისევ წყნარად გაიცინა ქალმა, _ მაგრამ ერთხელ... როცა ერთხელ სრულიად მარტოს შემხვდი ქუჩაში და დაბნეულს ყველა წიგნი გაგივარდა ხელიდან...

_ და მეორედ... მეორედ, როცა კინაღამ მანქანამ გამიტანა... _ გული ყელთან მიებჯინა სიხარულისაგან და წყნარად გაიცინა ბიჭმაც.

_ და მესამედ, როცა...

_ მესამედაც და ყოველთვისაც, როცა კი ვიღაც მამაკაცთან ერთად შემხვდი... _ ცივწყალგადასხმულივით ჩამოყარა ყურები და მძიმედ ამოიოხრა ბიჭმა, _ ქმარია შენი?

ქალმა არ უპასუხა.

_ ირმა, ქმარია ის კაცი შენი? _ ქალისკენ გადაიწია და ისევ ამოიოხრა ბიჭმა, _ ქმარია, ირმა?

_ ჰო, _ თავი ასწია ქალმა, _ არ იცოდი, მართლა?

_ არ მინდოდა მცოდნოდა, _ ყრუდ ჩაილაპარაკა ბიჭმა. _ ვინ იყო, რომელი იყო, სახეზედაც კი არ შემიხედავს წესიერად... ის ვიცოდი, გათხოვილი რომ ხარ.

_ ის თუ იცი, რამდენი წლით ხარ პატარა ჩემზე? _ მოულოდნელად ჰკითხა ქალმა, _ ეგ თუ იცი, რაც მთავარია?

_ ის... პირველი... არაა მთავარი? _ პატარა ბავშვივით შეატრიალა თავი ბიჭმა ქალისკენ, _ არ არის?! _ სუნთქვა შეეკრა უცებ.

_ ვერ იტყვი, რომელია უფრო მთავარი, _ მხარი აიჩეჩა და პატარა გოგოსავით ახედა უცებ ქალმაც, _ და შვილი?! და... ყველაზე მთავარი?!

_ შეიძლება, ფარდები ბოლომდე გადაწიო? _ იკითხა კარგა ხნის დუმილის შემდეგ ბიჭმა, _ ცოტა ხნით, თუნდაც ცოტა ხნით.

_ რა თქვი? _ თავი ასწია ქალმა.

_ ჩემს სიცოცხლეში არ მინახიხარ ასე ახლოს... ახლაც ისე ბნელა... მთვარე გადმოვიდა აქეთ, იქნებ უფრო განათდეს, კარგად რომ... _ აღელდა ბიჭი.

_ სამზარეულოში რომ გავიდეთ, ან აქ რომ ავანთოთ... დედამთილი... მეტი კი არ უნდა...

_ ეს ორი ოთახი გაქვთ მხოლოდ?

_ და კიდევაც რომ გვქონდეს? _ ისევ პატარა გოგოსავით ანცად გააქნია ქალმა თავი სიბნელეში, _ მიდი, შენ გადაწიე ფარდები, ფრთხილად ოღონდ, რა გაცვია ფეხზე?

_ ბოტასი! _ ფანჯრისკენ თითისწვერებზე შემდგარი წავიდა ბიჭი, _ ფარდები ფრთხილად გადაწია და ქუჩას გახედა.

«ათი წელია, მინდა _ არ მინდა ამ ქუჩისაკენ მოვყავარ ფეხებს, წეღან როგორ ვერ ვიცანი... ან იქნებ იმიტომაც, სწორედ აქეთკენ გამოვიქეცი...» _ ეზო ფრთხილად მოათვალიერა ფარდას ამოფარებულმა, საეჭვო ვერაფერი შენიშნა, შემობრუნდა და უცებ ქალს შეეფეთა ფანჯარასთან მიახლოებულს.

ლამაზი იყო ქალი, ისეთი ლამაზი, სუნთქვა შეეკრა უცებ ბიჭს. სასა გაუშრა, გულმა გამალებით უწყო ცემა, და როგორც ადრე, მოულოდნელი შეხვედრის თუ თავისგან დაგეგმილი «ვითომ შემთხვევითი» შემხვედრების დროს, გაოგნდა, წამში დაკარგა ყოველგვარი გამბედაობა, საშინელი მოწიწება იგრძნო კვლავ, მთვარის შუქით განათებულ სახეს თვალი აარიდა და ძლივს დაიჩურჩულა დაბნეულმა:

_ თქვენ თუ გახსოვთ, როგორ გავიცანით ერთიმეორე... არა, გაცნობით ახლა გავიცანით, მე ის მინდოდა მეკითხა, თუ გახსოვთ, როდის და სად ვნახეთ ერთმანეთი?

_ სურათებს იღებდი ეკლესიის ეზოში.

_ ჰმ! _ რატომღაც ნიშნისმოგებით, ბავშვურად გაიცინა ბიჭმა, _ თურმე რა გვიან შეგინიშნივარ! ფოტოაპარატი ერთი წლის შემდეგ ვიყიდე, მას შემდეგ რაც... და იმიტომ, რომ... მანამდე, კი, ათი წლის წინათ, სიონში შემოვედი. წირვა მიდიოდა, ჭედვა იყო ტაძარში, «მამაო ჩვენო» რომ დაიწყო, წვალებით, მაგრამ, მაინც თითქმის ყველამ დაიწყო დაჩოქება, ჩემს გარდა. სადაც კი, ვის გვერდითაც კი მუხლის მოყრა დავაპირე, ყველგან მრისხანება ხვდა წილად ჩემს ყოველგვარ ცდას. ბოლოს თავზარდაცემულმა აღმოვაჩინე, რომ მხოლოდ მე ვდგავარ ტაძარში ფეხზე, ეს კი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უხერხულიცაა საკმაოდ... და უცებ თქვენ გამომიწოდეთ ხელი, წვალებით გამიყავით თქვენი წილი ადგილი, მომეხმარეთ დაჩოქებაში და ისევ გაირინდეთ ლოცვისკენ ყურმიპყრობილი... შავები გეცვათ... გაცვეთილი სიტყვებია, მაგრამ მაინც უნდა გაგიმეოროთ, მართლა ანგელოზს ჰგავდით, ციდან ჩამოსულს და ახლაც... ამდენი ხნის შემდეგაც ყველაზე მეტად მაშინ მიყვარხართ, როცა ლოცულობთ, დაჩოქილი და ხელაპყრობილი...

ქალმა რატომღაც ტუჩებზე დააფარა ხელი, გააჟრჟოლა და თვალები დახუჭა.

ბიჭმაც დახუჭა თვალები და ქალის თითებს, წყნარად, წყნარად ეამბორა სუნთქვაშეკრული.

_ არა! _ ჩუმად, მკაცრად თქვა ქალმა, თითები სწრაფად გამოსტაცა და აკანკალებულმა ჩარგო სახე ხელებში. _ ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ჩვენ აქამდეც... აქამდეც ხომ... სწორედ იმიტომაც არ მოგეცით საშუალება.

_ მაგრამ არც მე...

_ იმიტომაც, იმიტომაც, რომ ეს შენც იცოდი.

_ მაგრამ, მე ხომ თავიდან...

_ მერე ხომ გაიგე, ხომ გამოიკითხე ყველაფერი და გაიგე, მეც გამოვიკითხე, თუმცა ვიცოდი, რომ ჩემი მხრიდან არაფერი, მაგრამ მეც გამოვიკითხე შენს შესახებ. ისიც ვიცი, სად ცხოვრობ, ისიც, სად მუშაობ, ისიც, ვინ გყავს სახლში, ზაფხულობით სად ატარებ ხოლმე დროს... შენი სოფელიც კი ვიცი, სადაა, შარშან სწორედ შენს სოფელს მიახლოებული გავხდი «შეუძლოდ» და ჩემი მეუღლე იძულებული გახდა ღამე იქ გაგვეტარებინა. შენი სახლის მეზობლად დავბინავდით «შემთხვევით», მერე კი «უკვე მომჯობინებული» აივანზე ვიჯექი მთელი ღამე, ვუყურებდი მთვარით განათებულ მწვერვალებს და მიხაროდა, რომ სწორედ იმას ვუყურებდი, რისთვისაც შენ არაერთხელ გიყურებია გატაცებით... ვუსმენდი მდინარეს და მიხაროდა, რომ იმ მდინარეს ვუსმენდი სწორედ, რომლისთვისაც შენც არაერთხელ გისმენია ფიქრებში წასულს...

_ კი მაგრამ, _ მღელვარებისაგან ძლივს დაიმორჩილა ენა ბიჭმა, _ რა იცით თქვენ, მე რომ მართლაც...

_ მართლაც ასეთი რომ ხარ? _ ისევ შენობითზე გადავიდა და გაიღიმა ქალმა. _ თვალებზე გეტყობა, ჯარჯი, შენს პოეზიას კარგად ვიცნობ და თანაც, სხვანაირი რომ ყოფილიყავი, მაშინ ხომ იმასაც მოახერხებდი, აქამდე გაგეცანი, ყოველი შემთხვევისათვის ცდით ხომ ცდიდი მაინც, მაჯნუნივით რომ გამირბიხარ გან-გან, მომკრავ თუ არა თვალს, და თანაც უკან რომ დამდევ სულ, ჩრდილივით მოუშორებელი.

_ საოცარია, _ ღრმად ამოისუნთქა და თავი გააქნია ბიჭმა, _ და რომ ეს უცნაური შემთხვევა არა, ვერც გაგიცნობდი ალბათ ვერასდროს.

_ იმიტომ რომ, არც ჰქონდა ალბათ არავითარი აზრი. _ დედამთილის ხვრინვას მიაყურადა ქალმა და ამოიოხრა, _ თუმცა..

_ რა თუმცა? _ თავბრუდახვეული იყო რაღაც უცნაური ბედნიერებისაგან ბიჭი, _ რა თუმცა?! _ მთვრალივით არეული თვალები ხვეწნით მიაშტერა.

_ მაინც ჯოჯოხეთში ამოვყოფ თავს ალბათ, შენი გულისთვის, _ საწყლად გაეცინა ქალს.

_ რატომ? _ თავშეუკავებელი სიხარულით გაეღიმა და გული ყელში ამოუჯდა ბიჭს, _ რატომ?!

_ იმიტომ, რომ გაფიქრებაც ცოდვაა... მე კი... მე უკვე ორი ცხოვრებით ვცხოვრობ შენს გამო, დიდი ხანია.

_ ზღაპარივითაა, არა? _ ნიავივით დაიჩურჩულა უცებ ბიჭმა, _ ზღაპარივითაა, არა? კიდევ კარგი, არ მომკლეს შენს გაცნობამდე!

_ ჯვარი გწერია! _ შეშფოთებით გადასახა ჯვარი ქალმა და უნებურად კანკალით ჩაბღუჯა ბიჭის ხელი, _ რატომ მოგდევდნენ მართლა?! ხედავ ქალის ბუნებას? ვიდრე ყველაფერი არ გათქმევინე, ვიდრე მეც არ გითხარი, მანამდე არ დავინტერესებულვარ სიკვდილ-სიცოცხლით. რატომ მოგდევდნენ, ჯარჯი?

_ გრძელი ამბავია. მართალი ვარ, ნუ გეშინია, _ ლოყა მიადო საფეთქელთან და უცებ უკანვე დაიწია ბიჭმა, _ მართალი და უდანაშაულო. გაუგებრობაა რაღაც.

_ ეჭვიც არ მეპარება, შენ არ იქნები დამნაშავე, მაგრამ...

_ ნუ გეშინია, არ შეგეშინდეს, კარგი? ხომ არ შეგეშინდება არასოდეს ჩემს გამო? _ ბავშვივით გულუბრყვილოდ, ჟინიანად ჰკითხა და უცებ თვითონვე გაეცინა სიმწრით, _ თუმცა, მე ვინ ვარ შენთვის?

_ იქნებ... იქნებ... _ ენა დაება და სახე აარიდა ქალმა, _ ჰო, მართლა, შენ სცემე შარშან ჩემი განყოფილების გამგეს, შემცირებაში რომ მომაყოლა?

ბიჭმა მხარი აიჩეჩა და გაიღიმა.

_ საიდან გაიგე, მაინც?

_ ქურდებსაც შენ მოატანინე ყველაფერი ის, რაც კი წაიღეს?

ბიჭმა თავზე გადაუსვა ხელი და ისევ გაიღიმა.

_ და რამდენი სხვა რამ... თენდება; _ თქვა უცებ შემკრთალმა ქალმა და შეშფოთებით შეხედა ბიჭს, _ თენდება ჯარჯი!

_ ჰო, ამოიოხრა ბიჭმა _ წავალ ახლა... მაგრამ... როდის...

_ არასოდეს! აღარასოდეს, ჯარჯი... იმიტომ, რომ... იმიტომ რომ... მაგრამ თავს ხომ გაუფრთხილდები? _ და უცებ შიშისგან გაუფართოვდა თვალები, _ ისევ რომ იქ იყონ?

გაბმული ხვრინვის შემდეგ დედამთილმა გრძლად, საზარლად ამოიხროტინა და გაყუჩდა. ჯერ საწოლი აჭრიალდა, მერე რაღაცა გადავარდა, ეტყობა მაგიდიდან. მოხუცმა ხმამაღლა მიაწყევლა გადავარდნილ რაღაცას, ხმამაღლავე დაამთქნარა და ბრა აანთო.

ქალმა ხელი ჩაჰკიდა ჯარჯის, თითისწვერებზე გადაჭრა ორივემ ოთახი; ჰოლში ისევ ბნელოდა, წამით, მხოლოდ წამით დაკარგა ორივემ გონება და როცა ქალმა, როგორც იქნა,

აკანკალებული ხელით კარი გააღო, ჯარჯიმ გაიფიქრა, რომ თუნდაც მხოლოდ ამ ღამისათვის, ამ ერთი წამისათვის ღირდა მთელი მისი სიცოცხლე.

სადარბაზოში ახლა უკვე რატომღაც ენთო სინათლე, რამდენიმე საფეხური ჩაიარა და შემობრუნებულმა ისევ ახედა მოაჯირთან მომდგარ ქალს.

«რა იყო ეს, სიზმარი, ზღაპარი, თუ... მწარე ბედის ტკბილი ლირიკა...»

ქალმა წინ წამოდგა უცებ ნაბიჯი, ხელი გამოიწოდა ბიჭისკენ, კიბეზე ჩამორბენა თუ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, იქვე ჩაიჩოქა მერე და ხელები ვედრებით აღაპყრო ცისკენ.

«ღმერთო ჩემო, რა იყო ეს, სიზმარი, ზღაპარი, თუ... ბედისწერის ტკბილი ლირიკა...» მართლა ლამაზსიზმარნანახივით შეჰღიმა აისს სადარბაზოდან გამოსულმა, თვალი ააყოლა სართულებს, დედამთილის ფანჯარაში ანთებული სინათლიდან გვერდითა, ფარდებგადაწეულ ფანჯრებზე გადაიტანა მზერა და უცებ ჩაიჩოქა შეცბუნებულმა.

არ გაუგია სროლის ხმა, არც პირველი, არც მეორე...

ქალის კივილის ხმა მოესმა მხოლოდ მცირე ხნის შემდეგ, ხმა ახლობელი ასე და ასე შორეული.

«რა ტკბილად მივიძინებდი, თუკი შენ მოგიკვდებოდი...» მზის სხივივით გადაუსერეს საყვარელი ლექსის საყვარელმა სტრიქონებმა ჩაბნელებული, თითქმის უკვე მიხდილი ცნობიერება, ხელები უსასოოდ გადაშალა განზე და საყვარელ ფანჯრებს მიაყინა მზერა სამუდამოდ გაღიმებული.

სულთამხუთავი

არსენას მუხლი მოუკეცავს, ცალ ხელში საპარსი მაკრატელი უჭირავს, მეორე გვერდზე წაწოლილი ცხვრის თავისთვის დაუბჯენია მსუბუქად და დინჯად, სათუთად პარსავს. ორი ნაბიჯის მოშორებით არსენას ახალი სიძე გოგია ეჯაჯგურება ცხვარს.

არსენა თავს მაღლა სწევს და სიძეს აკვირდება: გოგიამ ჯერ წიხლი უთავაზა გაურჩებულ შიშაქს, მერე გულაღმა დაახეთქა, მუცელზე მუხლი დააჭირა, გაუკრა ორივე ფეხი და პარსვას შეუდგა. სწრაფად პარსავს, პანტა-პუნტით გადაუდის მატყლი: კრაჭ-კრუჭ... კრაჭ-კრუჭ...

არსენა ჩაფიქრებული აქნევს თავს, ისევ თავის საპარსს უბრუნდება. კარგა ხანს პარსავს, ბოლოს გასუფთავებულ ცხვარს ალერსით ურტყამს გვერდში ხელს და ისევ სიძისკენ გაურბის თვალი.

სიძეს უკვე მოუმთავრებია შიშაქის პარსვა, ამჯერად მეორეს ეჯაჯგურება. მეორეც პირველივით უძალიანდება გოგიას, დაფეთებული და აცახცახებული აწყდება აქეთ-იქით. გოგია წიხლს ურტყამს ცხვარს, ორივე ხელით ახეთქებს მიწაზე, დათვივით ბუბნის, ფეხებს უკრავს და ისევ გამალებით აკრაჭუნებს მაკრატელს.

არსენა ფარისკენ ბრუნდება და თვალით გოგიას გაპარსულ ცხვარს ეძებს. სიძის გაპარსული ცხვარი კუთხეში მიყუჟულა, ახლაც შეშინებული ძიგძიგებს და ისეთი სანახავია, მტერს მოუკვდება გული: სისხლშია ერთიანად მოთხვრილი, შორიდან დიდ, წითელხალებიან რაღაც უცნობ ცხოველს წააგავს, _ სიძეს მატყლისთვის ტყავიც ბლომად მიუყოლებია და ახლა ამ დიდ-დიდ, ამოგლეჯილ ადგილებზე ბუზი ესევა ჯგროდ.

არსენა სიძეს უახლოვდება მწარედ დაღონებული. სიძე გამარჯვებულის სახით ამოჰყურებს სიმამრს და ცხვარს ფეხებს უხსნის სხარტად. აძაგძაგებული, წითლად აჭრელებული ცხვარი ძლივს დგამს წინ ნაბიჯს, ეცემა, ისევ დგება და დაფეთებული მირბის ფარისკენ.

_ აა, სიმამრო, როგორი სიძე გყავ?! ხუთი წუთი არ მჭირდება თითოს გასაპარსადა. შენ თუ გინდა, დაისვენე, საღამომდე ერთიც აღარ დარჩება.

_ ცოცხალი?! _ ეშმაკურად ეკითხება და წელზე ხელს იკიდებს არსენა.

_ ცოცხალი კი არა, გასაპარსი, კაცო! _ გულღიად იცინის სიძე, _ აბა, თოხლო მოდი ჩემთანა!

თოხლი, გეგონება გული უგრძნობდეს საშინელებას, ისე იხევს უკან, თავს ავად ხრის და ნერვიულად აქსუტუნებული წამახულ რქებს უჩვენებს სიძეს.

_ ამას უყურე ერთი და, _ ეცინება სიძეს, _ ეტყობა, ხელზე გაჩვეულია, არა?

_ ჰო, მაგას თავი დაანებე, სულ ერთია, არ მიგიკარებს, მოდი, ჩემო ნებიერავ ჩემთანა, მოდი, _ არსენა თოხლს ხელს უწვდის. თოხლი თამამად უვლის გვერდს სიძეს და არსენას მიჰყვება.

_ აბა, დაწევ, ნებიერო, _ მაკრატელს უსინჯავს ფხას არსენა, თოხლს ყბაზე ეალერსება და კვნესა-კვნესით იჩოქებს _ ესეე... აბა თავაიც გადასწიე... ოო... აბა ფეხაი გაასწორე... ესეე...

სიძე ღიმილით დაჰყურებს სიმამრს და თავს აქნევს.

_ მაგრა გაგიჩვევია, აი! თორმეტი წელია ცხორჩი დავდივარ და ვერცერთი ვერ შავიჩვიე ეგრე, ერთი დოლაი თხის მეტი.

_ ჰო, თხა არ იპარსება და ეტყობა იმიტომაცა, _ თავისთვის ბუტბუტებს არსენა და ისე ფრთხილად მიიკვლევს ნებიერას ტყავზე გზას, გეგონება საყვარელ შვილს აკრეჭდეს თმას.

_ აბა ეხლა აქათკე გადმაბრუნდი, ნებიერო!

ნებიერა ფეხებს ასხმარტალებს, თვალმინაბული ბრუნდება მეორე გვერდზე.

სიძეს ამასობაში ერთი უზარმაზარი ყოჩი დაუთრევია რქებით და რაც ძალი და ღონე აქვს, იმის წაქცევას ცდილობს.

_ ეე... გონჯაა, ნებიერო, ჩვენი თოლშავის საქმე, _ ნებიერას ედუდუნება სიძეს მიჩერებული არსენა და ღრმად, ბებრულად ოხრავს, _ გონჯა!

სიძე ბრაგვანით ახეთქებს ყოჩს, მუცელზე ორივე მუხლს აჭერს, ფეხებს სწრაფად უკრავს და კრაჭ-კრუჭ... კრაჭ-კრუჭ... გამალებით მიაგელვებს მაკრატელს.

_ ესეც ესეე! კაცო, ჯერ არ დაგიმთავრებია მაგ შენი ნებიერაის კრეჭა?! _ უკვირს მცირე ხნის შემდეგ ფეხზე წამომდგარ სიძეს და გაუბედურებულ, ათახთახებულ ყოჩს წიხლისკვრით აგდებს ფარისკენ, _ კიდევ კარგი ამოვე მასახმარებლადა, თორო რაი გეშველებოდა, ერთი კვირა მაინც დაგჭირდებოდა ამ ცხვრის გასაპარსადა... ეს დედაცხორი როგორღაც გონჯა მიყურებს, აი, უნდა დავიჭირა. რამოდენაია, ე! _ გაქცეულ ცხვარს მისდევს ფეხდაფეხ სიძე.

_ თავისუფალი ხარ, ნებიერო. _ არსენა სათუთად ახვევს მატყლს, შუბლიდან ოფლს იწმენდს, ჩაფიქრებული აჰყურებს მზეს, გაჰყურებს სახლს, მერე ტუჩებთან მიაქვს ორივე ხელი და რაც ძალი და ღონე აქვს ყვირის:

_ დედაკაცო!

შუშაბანდის კარი იღება და იქიდან წელში მოხრილი დედაბერი იყურება.

_ სუფრა გაშალე, სუფრა!

ქალი ჯერ გაკვირვებული უყურებს ქმარს, მერე თავს უქნევს და ისევ შიგნით უჩინარდება.

_ სუფრაო? _ გაოცებას ვერ მალავს სიძე, _ რა დროს სუფრაა შე კაი კაცო, ეხლაღა არ ვჭამეთ?!

_ ეხლაღა კი არა, აღარც მახსონ, როდის იყო.

_ არა, სწორთ მოვშორდე, ლუკმას ვერ შავშჭამ, რო მამკლა, მიდი შენა, ჭამე და თუ მე ამასობაჩი ნახევარზე მეტი არ გაგიპარსა, კაცი არ ვიყო.

_ აბა, აბა, ეგ სადაურიღაა, მასპინძელი შჭამდეს, სტუმარი შრომობდეს. გაუშვი, ესა, გაუშვი! _ ძალით აშვებინებს არსენა ცხვარს სიძეს და თითქმის ძალით მიჰყავს სახლისკენ, _ ცოტაი რაიმე წავიხემსათ, კაცო, მე ბებერი ვარ, შენოდენაი გაძლება კი არა მაქვ, _ წამდაუწუმ მშივდება.

სუფრა უკვე გაშლილია. ცუცა ღიმილით შეჰყურებს სიძეს და ახალ პირსახოცს იღებს კარადიდან.

_ აჰა, ამით დაიწმინდე, შვილო.

სიძე ხელებს იწმენდს, სუფრას ათვალიერებს და ისევ ძალიანდება.

_ აბა რა დროს ჭამაა, კაცო. დროს დაკარგვა ღირს ეხლა? დაღამდება და მემრე?

_ დაჯე, დაჯე შენა, ჩემი საქმე მე უკეთესად ვიცი. _ მხარზე ხელს კიდებს და ძალით სვამს არსენა სიძეს, _ არაყი, დედაკაცო?

_ ვაიმე, ზამთარჩი არცა გაგხსენებია არაყი და ამ პაპანაქებაჩი გადაირიე, არსენავ? _ უკვირს ცუცას, მაგრამ მეუღლის აპილპილებული სახის დანახვაზე ჩუმდება და ციმ-ციმ მიემართება საკუჭნაოსკენ.

_ აიღე... ამ ჭიქითა გაუმარჯოს ნამდვილ მწყემსსა და ცხვრის ნამდვილ... ნამდვილ... _ ველარ იგონებს არსენა, ერთხანს ჭერს აჰყურებს, და მერე ამთავრებს, _ მეგობარსა.

_ მეგობარსაო? _ ეცინება სიძეს, _ ცხორთან მეგობრობა აღარ გამიგია და... არ გეწყინას-კი.

_ ჰო და დალიე ეგ ჭიქა ბოლომდე, თუ არ გინდა რო მეწყინას. _ ბოთლს კიდებს ხელს არსენა, _ არცრას არ გიზამს ერთაი _ ორაი ჭიქიაი, უფრო კარგ ხასიათზე მახოლ და ბევრსაც გაჰპარსავ უფრო.

სიძეს არ შია, ამიტომ არაყს არაფერს აყოლებს, სიმამრი კი ყოველწუთას ახალ-ახალ სადღეგრძელოს ამბობს. სიძეს აძალებს, თვითონ, _ სად გაგონილა ბებრის სმაო და წვეთსაც არ სვამს.

_ არსენავ, გაჰგიჟდი? რას აძალებ ამ კაცსა, რო არ გინდა, გაალოთა, _ თან მატყლს ართავს, თან სუფრისკენ იყურება ცუცა, _ იმდენი ცხორი გასაპარსი! ღვთის მადლითა, მშველელი მაგივიდა და იმის მაგივრად, დეეშურა, ამდენ დროს აკარგვინებ.

_ მე უკეთესად ვიცი ჩემი საქმისა და შენ შენსას მოუარე მანდა, _ თავს აქნევს არსენა, _ მოვასწრობთ, ნუ გეშინიან, წინაა მთელი დღე. კაცი პატივს მცემს?! _ მეც მინდა პატივი ვსცა! დალიე? ყოჩაღ! ეს გაუმარჯოს...

_ მოვასწრობთ, სიდედრო, ნუ გეშინიან. არა ვარ ცეცხლივითა, თუ?! _ აიმედებს სიდედრს სიძეც, ახალ წარმოთქმულ სადღეგრძელოსაც ბოლომდე სვამს და მოულოდნელად მჭექარე ხმით იწყებს სიმღერას გვერდზე ყელმოღერებული: «ჰარალალეე... ჰარი და ჰარალეე»... სახე ასჭარხლებია, თვალები ასწითლებია, კარტუზი გვერდზე აქვს მოქცეული...

_ ეგრეე! _ დაკვირვებით ათვალიერებს არსენა სიძეს, _ აბა, ეს ერთი ჭიქაც დამილიე და გავიდეთ მემრე კი საპარსავადა.

სიძეს თავი ჩაუქინდრავს და არაფერს პასუხობს სიმამრს. სამაგიეროდ ცუცა ატრიალებს ენას თითისტარივით:

_ ა, უგუნურო, უგუნურო! ჩემმა მტერმა გაპარსა ეხლა ეგრე, როგორც ეგ გაჰპარსავს რასმე, ჩემმა მტერმა! ერთი ბეწო ჭკო აღარ შაგრჩა, ერთი! მარტო დღეს შეეძლა შენთვი შველა, განა ხვალაც აქ რჩება. იყავ და პარსე ეხლა მთელი კვირა მარტუამა, ახია შენზე! არ გინდოდა, არა, ერთ დღეჩი მამრჩალიყავ და დეგესვენა?

_ გოგიავ, ბალღო! _ ცოლს ყურადღებას არ აქცევს, ისე ანჯღრევს არსენა სიძეს, _ ჰა, წავიდეთ? გავპარსათ?

_ ჰა? _ გახელისთანავე თვალს ისევ ხუჭავს სიძე და თავს პირდაპირ თეფშში რგავს, _ ეხლავნე... ჰო... _ და ტკბილად ფშვინავს.

_ როგორც გინდა, ისრი მიიყვანე ეხლა ეგ ბალღი ლოგინამდე და ისრი დააწვინე, თორო არ ვიცი, რას ვიზამ, _ თითისტარს მახვილით უმიზმნებს წყობიდან საბოლოოდ გამოსული და სასოწარკვეთილი ცუცა არსენას და ლოყას სიმწრით იჩქმეტს, _ ვაიმე, ვაიმე, რაი ჰქენ, შეგეძლას მაინცა, შეგეძლას, ვინ მამაძაღლი! არა და ვინ გყავ ცხო მშველელი, ამის მეტი, ესაც რო ესრე გაატიალე. იყავ და პარსე ეხლა მაგ შენი აკანკალებული ხელითა მთელი კვირა. იყავ და პარსე!

არსენა სიძეს თავს უწევს, ჯერ ხვეწნა-ხვეწნით აღვიძებს, მერე კი მხარში შედგომით მიჰყავს საწოლისაკენ.

_ აბა ჭრელავ, მოდი ჩემთანა! _ არსენა ალერსით უთათუნებს ხელს თვალჭრელ ცხვარს და თავის პატარა ფარას გაღიმებული ათვალიერებს, _ ნუღარ გეშინიანთ ეხლა, დავაძინე თქვენი სულთამხუთავი...

ბანდიტი, ბანდიტზე უარესი და...

ნახევრადჩაბნელებულ ქუჩაში დარო წინწკალაშვილი, მეთერთმეტე საავადმყოფოს უმცროსი სანიტარი, მოდის და ჩუმი ბუტბუტით წყევლის თავისი დედისა და მამის პირველი შეხვედრის დღეს, თავის გაჩენას, გაზრდას, რვა კლასის დამთავრებას, მუშაობის დაწყებას, შინაბერად დარჩენას და განსაკუთრებით საავადმყოფოს მთავარ ექიმს, რომლის ლოთობისა და სამსახურში დაგვიანებით გამოცხადების გამოც ასე დააგვიანა მოლარემ ხელფასის გაცემა და რომლის ბრალიცაა ახლა ის, რომ დარო, დღისითაც და მზისითაც კი შიშით მოკანკალე, ასე გვიან აღმოჩნდა ქუჩაში.

მტკვარზე გადასასვლელი ხიდი მკრთალადაა განათებული. ზარდაცემული, დაფეთებული დარო შორიდანვე ამჩნევს მოპირდაპირე მხრიდან მომავალი ჯან-ღონით სავსე მამაკაცის ფიგურას, ორივე ფეხს რაც შეიძლება გვერდულად ფარჩხავს, იყუნცება და ცალთვალდახუჭული ისეთი ბაყაყურით აგრძელებს გზას წვალება-წვალებით, თუ კარგად არ დააკვირდი, ქალი კი არა, მართლა ხმელეთზე მოსიარულე მოზრდილი ბაყაყი გეგონება. შემხვედრ მამაკაცს ლამისაა თვალზე ცრემლი ადგება ასეთი საბრალო ხეიბრის დამხედვარეს, ქალ-ბაყაყადან მზერა რატომღაც ცაზე გადააქვს და რაღაც არასასიამოვნოსაც ბუტბუტებს სრულიად უდანაშაულო ღმერთის მისამართით.

«ახლა შეიძლება უკნიდან დამეძგეროს და პირდაპირ მტკვარში გადამიძახოს, ღმერთო, მიხსენი, ღმერთო, დამიფარე! _ კვნესის დარო _ დაიქცა ამ პერესტროიკის მომგონი, დაიქცა ამ დემოკრატიის მომგონი. ქაა, რა ყოფილა ეს დემოკრატია, შენ გენაცვალე! სად იყო ჩემს ახალგაზრდობაში ასეთი რამე, ვისაც მოეპრიანება, ქურდობს, ვისაც მოეპრიანება, კლავს. გაზეთს გადაშლი და ამან მოკლა, იმან მოკლა; რადიოს ჩართავ, _ იმან მოკლა, ამან მოკლა, ტელევიზორია და ამან ამას ყელი გამოღადრა, იმან იმას მუცელი გამოფატრა. მარტო რაც ჩვენს საავადმყოფოში ყოველდღე თუ ყოველღამ სახლსა თუ ქუჩაში დაჭრილ-დაჩეხილი მოყავთ... ვაიმეე,.. ღმერთო, დავიღალე, რაც მე, შებინდდება თუ არა, ამ ბაყაყურით დავდივარ, ერთხელაც იქნება, ვეღარ გავსწორდები და... ნეტა, გაიარა თუ მომდევს? _ ორივე თვალგახელილი დარო ფრთხილად იხედება უკან. ზორბა მამაკაცი უკვე ხიდის ყურთანაა მისული, დარო ძლივს ახერხებს წელში გასწორებას და ქარივით სწრაფად ფარავს ხიდის დარჩენილ ნაწილს.

«ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, იმას კი გადავრჩი, ღმერთო, ნუ გააკეთებ, ისეთი ვინმე შემახვედრო, ვინც მთელ ცხოვრებას დამიღუპავს! გაგიგონიათ, კაცო, ადამიანს ადამიანთან შეხვედრისა ეშინოდეს?! რატომ არ არის ყველა ჩემნაირი. აბა, ჩემნაირი იყოს ყველა, თუ საშიში იქნებოდა ამ ქვეყანაზე რამე? გინდა დღისით გევლო მერე და გინდა ღამით, გინდ

ფულიანს და გინდ უფულოს. ბალახივით ვარ, უენო, უვნებელი. ჭიანჭველა რა არის, ჭიანჭველა, იმის ცოდვაც კი არ დამიდია. დიდი რამე იქნებოდა, ყველა ჩემნაირი გაგეჩინა? _ შეჩერდა და, ხიდზე მიმავალი კაცისა არ იყოს, ცას საყვედურით ახედა დარომ, _ მაშინ ხომ შენც უფრო მოსვენებული იქნებოდი და ჩვენცა, ჰა?!»

დაროს საცხოვრებელ კორპუსამდე ოციოდე მეტრიღაა დარჩენილი, ქუჩაც უფრო მეტადაა განათებული, ოდნავ დამშვიდებული ქალი გზას აგრძელებს და უცებ თვალთ უბნელდება: მის წინ ორიოდ ნაბიჯზე, არც მეტი, არც ნაკლები, ორმეტრიანი, წვერ-ულვაშგაბურძგნული მამაკაცი დგას და თავს აქნევს.

_ მო-ვი-დეე? _ ელდისგან კატასავით კნავის დარო.

მამაკაცი ისევ თავს აქნევს.

_ რატომ? უნდა მომკლა?! _ სივის ქალი.

მამაკაცს ფეხი უსხლტება და ორივე ხელით ებღაუჭება ხეს.

_ ვაი, ჩემი ბედის დამწვარო ვარსკვლავოო... _ უცრემლო ზუზუნით, მონუსხულივით უახლოვდება ქალი კაცს.

კაცი თავს გვერდზე ატრიალებს და ისე ჩამოჰყურებს ქალს.

_ რატო უნდა მომკლა, ზარში წამაგე? _ ჩანთას მკერდში იხუტებს დარო.

მამაკაცი ფრუტუნებს და პირს აწკლაპუნებს.

_ და მერე ხიდიდან უნდა გადამაგდო?

კაცს რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ თავს ვერ აბამს. ცალ ხელს, როგორც იქნა, აცილებს ხეს და ქალის მიმართულებით იშვერს.

_ უფრო ახლოს მოვიდე? _ ტირის დარო, _ ვაი ჩემ დღეს, ფულიც უნდა წამართვა? ახია ჩემზე, რა მინდოდა მეტროთი, _ წამოვთრეულიყავი სამარშრუტოთი, ოცდაათი თეთრის ეკონომიას დავეხარბე და... თუმცა გუშინ არ იყო, ნუცას სამარშრუტოში რომ წაართვეს მთელი ჩანთა?

რატომღაც თვალებგაბრწყინებული კაცი ენერგიულად უქნევს თავს და ლუღლუღით იწვდის ხელს დაროსკენ.

_ და, ფულს რომ წამართმევ, მაინც უნდა მომკლა? _ უკვე ხმამაღლა ტირის ქალი.

კაცი ჯერ თვალებდაჭყეტილი უყურებს, მერე ისევ თავს უქნევს.

_ რითი უნდა მომკლა, რევოლვერითა თუ დანითა? ვაი, ჩემო მზეო, დანისა უფრო მეშინია, რევოლვერით მომკალი, შენ გენაცვალე! _ და რადგან ჩანთას ხელში ვერ აჭერინებს, გაშლილ მკლავზე ჰკიდებს კაცს. _ ივლიანეს ქალიშვილი ვარ ჭოპორტიდანა; შენ შემოგევლე, რო მომკლავ, ბარემ დაუბარე კიდევაც მამაჩემსა, ივლიანე ჰქვია, მონადირე იყო-თქო, ადვილად იპოვნი... აბა, უპატრონოდ ხო არ ვეგდები აქა!

კაცი ისევ ენეგრიულად უქნევს თავს და ახლა უკვე მკლავზე ჩანთაჩამოკიდებული ხელითაც ებღაუჭება ხეს.

პოლიციის მანქანა მუხრუჭების ღრჭიალით ჩერდება შორიახლოს, უფროსი ლეიტენანტი, მხარბეჭიანი, მრისხანე გამომეტყველების მამაკაცი ჯერ გამოღებული კარიდან გამოჰყურებს ხესთან მდგომ საეჭვო წყვილს, მერე მანქანიდან გადმოდის.

_ აი... ეესა... ისა... აი, ამან, _ ჯერ მთვარეულივით წრიალებს ადგილზე უმცროსი სანიტარი და სასოებით შესცქერის მისკენ მიმავალ ლეიტენანტს, მერე კი ორივე ხელს იწვდის მისკენ, _ მიშველე, კარგო პოლიციელო, მიშველე, გზაზე გამომიხტა, ზარში წაგაგეო, ფული მომეო, ეგე, ჩემი ჩანთა მკლავზე აქვს ჩამოკიდებული. რო მოგკლავ, ხიდიდან გადაგაგდებ მერეო... რევოლვერით მოგკლავ, მამაშენსაც დავუბარებ, ივლიანესაო. კიდევ კარგი, მოხვედი, შენ გენაცვალე, შენს ვაჟკაცობას ვენაცვალე... ვაიმეე, რა ჩემდა ჭირად დამაგვიანდა, ვაიმეე, რა ჩემდა ჭირად შემხვდა!

_ დაწყნარდით, ქალბატონო, დაწყნარდით, უკვე ნუღარაფრის გეშინიათ! _ ამშვიდებს უფროსი ლეიტენანტი და იარაღშემართული, ცალი ხელით მანქანისაკენ უბიძგებს ქალს, _ თქვენ მანქანაში დაბრძანდით, ქალბატონო...

«ვაი, რა ჩემდა ჭირად შემხვდა, ვაი, რა ჩემდა ჭირადა! _ მანქანისაკენ რატომღაც ისევ მიბაყაყურობს რატომღაც ისევ ცალთვალდახუჭული დარო, _ ეგ ბანდიტი, ეგა... მაგრამ ეხლა რო ბანდიტზე უარესს გადავეყარე? რასაც ტელევიზორი და რასაც ხალხი ამ პოლიციელების ავკაცობაზე ლაპარაკობს, რასაც გაზეთები მაგათზე წერენ... რატომ მითხრა, მანქანაში ჩაჯექი, ქალბატონოვო... ეხლა, ეტყობა ეგ იმ ყაჩაღისგან ფულს აიღებს და გაუშვებს, ანდაც შეიძლება ჯერ ყასიდად თანაც წამოიყვანოს, მერე კი მე წამიყვანს ამ მანქანითა და... ვაი, ჩემო დღევ და მოსწრებავ, კიდეც რო არ მომკლას, სადღა გამოვყო თავი მერე ამ სიბერეში ნამუსახდილმა... არაფერსაც არ ჩავჯდები ამ მანქანაში... ღმერთო, მიშველე და ღმერთო, დამეხმარე, ერთი-ორი მართალი ჟურნალისტი გამომიგზავნე... კივილი ეხლავე ხო არ დავიწყო, რო ხალხმა ძალით წაჰგლიჯოს ჩემი თავი ამ გათახსირებულ პოლიციელსა? როგორი კურკურით მითხრა «ქალბატონოვო», როგორ მომიჭირა ხელი, «მანქანაში დაბრძანდიო.» დაგაბრძანებ, გაოხრებულო შენა, კიდევ კარგი, ჩემი კორპუსის ახლოს ვდგავართ, ხალხი გამოვარდება, ხალხი გაარჩევს მტყუანსაცა და მართალსაცა, სუყველამ იცის, რა პატიოსანიცა ვარ და რა ალალიცა. ეგე, ბედზე ჯიხურის წინა გოგიჩაანთ ბიჭი, გივი და გიგა არა დგანან? ხალხსაც ეხლავე მოჰყრიან აქა და ქვეყანასაც გააგებინებენ»...

_ მი-შვე-ლეეეთ!

გადაუღებელი წვიმების შემდეგ

გვიანი შემოდგომის ისედაც უკვე ძალადაკარგულმა მზემ სამკვირიანი გადაუღებელი წვიმების შემდეგ, როგორც იქნა, გამოაღწია ღრუბლებიდან და მთის ფერდობზე შეფენილ თითქმის ცარიელ სოფელს ჩამოხედა.

ჯერ კატოს ჭიშკარი გაიღო და კატო ჩამოჯდა სკამზე თითისტარითა და დასართავი მატყლის ფთილებით ხელში, მერე ყამარას ეზოს კარი და ყამარა ჩამოჯდა თავისი სახლის წინ თითისტარითა და ფთილებით.

კატოც ძაფს ართავს და ყამარაც ძაფს ართავს. არც კატო ელაპარაკება ყამარას და არც ყამარა კატოს. ახალი ამბავი არაა, არც მანამდე ეხატებოდათ გულზე ერთმანეთი, ეს რამდენიმე წელიწადი კი, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, სულ დანასისხლად არიან გადამტერებულნი, ჭამენ, ფლეთენ და გლეჯენ ერთმანეთს. შემოდგომის დასაწყისშიც მოუსინჯეს ერთმანეთს კბილი, თუმცა, კაცმა რომ თქვას, სადღა აქვს კბილი ან ერთს ან მეორეს; სულო ცოდვილო, არც წათაქუნ-წამოთაქუნება ჰკლებია კბილის ამ მოსინჯვას თან, არც წყევლა და არც კრულვა, რაღა თქმა უნდა, მერე კი შეიყუჟნენ მელიებივით სამი კვირა, წვიმების გამო და ახლაა, პირველად დღეს, საშემოდგომო სამუშაოების, უფრო ზუსტად კი კარტოფილის ამოღების, დაბინავებისა და წვიმების შემდეგ, ასე ხანგრძლივად რომ უყურებენ ერთმანეთს.

კატოს კარგად, კარგად კი არა, ლამის ზეპირად ახსოვს ის ბოლოდროინდელი ჩხუბი, ყამარა კი ახლა იხსენებს დაწვრილებით, იხსენებს და დუღდება ნელ-ნელა.

«დაიწყე ერთი, დაიწყე... _ ბუტბუტებს ყამარა, _ მე მაგივლი შენა. კი არ დამვიწყებია, უროსავით რო ჩამცხე, ზურგიდან რო ჩამცხე... როგორ მაკუნტულა საცოდავაი, კარტოხაის დამჭკნარ ყარტს არ დაღმსგავსებია სულა, რაც თოლი არ მამიკრია?!»

«რაი მასვლია, შენ გენაცვალე, ქალის ჩირს არა გავ?! _ თვალს ყამარასკენ აპარებს კატოც, _ რამდენი ხანია, ესრე კარგა არ დამითორიალებია».

«დაიწყე ერთი, დაიწყე, როგორ მათორიელებს, ნახე, ეს ბრუტიანაი», _ კატოს თითისტარისა არ იყოს, ბზრიალს უმატებს ყამარას თითისტარიც.

რაც უფრო ვერ ახერხებენ დაწყებას, მით უფრო ილესებიან.

ზემოდან ღორი მოძუგძუგებს კბილების კაპუნითა და უკმაყოფილო ქოთქოთით. ღორის კვალზე ლელა მოჭყაპუნობს ტალახში, მუხლამდე ბოტებითა და მწუხარე სახით. ისეა ჩაფიქ-რებული, ისეა დაღონებული, დანა არ უხსნის პირს.

ძალიან არ დაგიდევს კატო ლელას დაღონებას, პირსა თუ დანას? გახარებული ისწორებს თავშალს, გახარებული იდებს თითისტარს კალთაში და მთელი ხმით გასძახის ლელას წელში გამართული:

_ სამახარებლო რაი იქნება, ლელავ, სამახარებლო!

ლელა, მანამდე რომ არც კატო შეუმჩნევია და ჯერჯერობით ვერც ყამარას ამჩნევს, შეშინებული ჩერდება მოულოდნელობისგან და შეშინებულივე შეჰყურებს კატოს.

_ სამახარებლო რაი იქნება-მეთქი, ლელავ, სამახარებლო!

_ ვაიმე, რაი უნდა მახარა, ნეტარა, კატო ბაბო? კახაისი ხო არა გაიგე რა, კახაისი, აგრემც დაგირჩება, თუკი ვინმე გყავ. რამდენი ხანია აღარა ვიცი რა, მოუკვდა და, სადაა, ისრაელჩი, საბერძნეთჩი, ავსტრალიაჩი, ამერიკაჩი, ნორვეგიაჩი... იქნება ფული რაიმე ვიშოვნა, რო შენც გაგამზითვა და ცოლიც მოვიყვანა როგორმე მემრეო და ეგაი, გაქრა და გაქრა, რამდენი ხანია, ეგრე უგზო-უკვლოდა! ოცის წლისაა, ოცისა, მეტისა კი არა, მაგას მოუკვდა თავისი დიაი, აქ ვერცა იშოვნა სამუშაო და...

_ მოდისო, მოდისო, ქალავ, გაიხარე და გაგიჟდი სიხარულითა!

_ ვაიმე, კახაიო?! _ სიხარულისგან კინაღამ მართლა ჭკუიდან იშლება ლელა, _ ჩემი კახაიო, კატო ბაბო, აგრემც შემეგევლები, ჩემაი ობლად გაზრდილაი ძმიაიო?!

_ რაის კახაიო? _ ბრაზდება მოულოდნელად კატო და ყამარასკენ აპარებს მზერას, _ ის მოდისო, ქალო, ისაო, ვინც სუყველაზე მეტად გჭირდება ეხლა. ვინც სუყველაზე მეტად უშველს შენს გაჭირვებასა!

_ ვაიმეე, ვინაო, კატო ბაბო, ვეღარ მოვდივარ აზრზე... ვინ მჭირდება ეხლა მე კახაზე ძრიალა? _ საშინლად იბნევა და წამში იფერფლება წუთის წინ ასე ამაოდ გახარებული ლელა.

_ ბეჩავ, შენ რაიღა მაგივიდა?! _ ცეცხლდება კატო, _ ვინაო? ვინაო და ვინ იქნება, ვის ელოდება დღესდღეობით მთელი საქართველო?!

_ ვაიმე, რაიღა ვქნა? ვის ელოდება მთელი საქართველო? _ მზერა თითისტარის ბზრიალ-ტრიალით გართულ ყამარაზე გადააქვს და ტალახში უმწეოდ ირწევა ლელა, _ ძმიაის მზემა, განა ვტყუი, ვეღარ მოვდივარ აზრზე, ვის ელოდება მთელი საქართველო?

_ ვისა და მხსნელსა, ვისა და გადამრჩენელსა, ვისა და ნაციონალ-დემოკრატების პარტიასა! ეგ იქნებაო, დილას ცოტა ხნით მოვიდა დენი და ტელევიზორჩი გადმასცეს, წინასწარი გამათვლით, ეგ იქნებაო. ეგრეა, ეგ მოვა სათავეჩი ზოგ-ზოგების გულის გასახეთქადაო! - დაბეჯითებით არაკუნებს კატო თითისტარს სკამის კიდეზე, _ მააშ, რაიღა დარჩა არჩევნებამდე, რამდენიმე დღეღა და ეგ მოვაო, ეგ გავა სათავეჩიო!

_ ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ი! რამდენიმე დღეჩი კი არა, რამდენიმე მინუტჩი, ლელავ, რამდენიმე მინუტჩი გავა სათავეჩიო! _ სიცილით ბჟირდება უცებ ყამარა, თითისტარს თეძოზე იბზრიალებს და მაღლა აწეული თითებით ნელ-ნელა უშვებს ფთილიდან ძაფს, _ შე ჩემთავმკვდარო, არ დაიჯერა, ლელავ!

_ მითამ რაისთვი არ უნდა დაიჯერა, ლელავ? _ თითისტარს თვითონაც გამალებით აბზრიალებს და საწყალ, სრულიად უდანაშაულო ლელას აცხრება კატო რისხვად თავს, _ მითამ რაისთვი არ უნდა დაიჯერა, ლელავ?

_ ვაიმეე, რაიღა ვქნა? _ კვნესის ლელა. ათი წლისა იყო, როცა პირველი პრეზიდენტის მოწინააღმდეგე მის გამზრდელ ბებია ანას პირველი პრეზიდენტის მომხრე ფეფელამ ტაფა

ჩაარტყა თავში და იქიდან მოყოლებული დღემდე, სწორედ დღეს კი ოცდასამი წლისა შეიქმნა, _ მეხივით ეშინია პოლიტიკაზე ლაპარაკის. ახლაც, ერთი სული აქვს, მოსწყდეს აქედან და გაჰყვეს უკან უკვე სადღაც გადაკარგულ თავისივე ბედნიერ ღორს, მაგრამ ერიდება წასვლის და დგას ასე, ტალახში დაწებებულივით, ხან კატოს შეჰყურებს გაოგნებული, ხან ყამარას.

_ დაუჯერებელი ისაა, ჩემო ლელავ, _ თითისტარს მახვილივით უქნევს ყამარა უბედურ ლელას, _ რო იმ ქათმებსა ეგეთი მამლები მტრობენ და ეგრე ურაკუნებენ თავჩი თავის მაგარ-მაგარი ნისკარტებითა, ეგენი იმათ ვერ ამჯობნებენ!

_ მაინც რაი მამლები არიან ეგეთი მაგარ-მაგარ ნისკარტიანები? _ ყამარასკენ ისევ არ იხედება და ისევ ლელას აცხრება თავს კატოც, _ და ქათმები ვინებიღა არიან, ჩემო ლელავ?!

_ მე... მე როდის ვთქვი, ჩემო კატო ბაბო... _ ატირებამდე ცოტა უკლია ლელას, უმწეოდ იხედება აქეთ-იქით, ზუსტად შუაშიც რომ დგას საბრალო, _ ხუთი ნაბიჯი ლელადან კატომდე იქნება, ხუთი ყამარადან ლელამდე. თანაც იმათ რა ენაღვლებათ, სხედან უტალახოში.

_ ვინები და ეგ შენი ნაციონალ-დემოკრატები, ლელავ, _ ძაფს გამალებით ახვევს წარბაწკიპული ყამარა, _ კაკანით აქ რო კაკანებენ ბევრსა და სინამდვილეჩი კი, თუ კი რაიმე ნაციონალური გვქონდა, სუ იმ ამერიკას დაუდვეს კვერცხივითა შასათქვლეფადა, არ შაარგას ღმერთმა! ხკითხე ერთი, ხკითხე მაგ ბატისტვინასა, ეგენი არ იყვნენ, შენს შვილიშვილებს ქართველობა რო აღარ ჩაუწერეს პასპორტჩი, სამსახურები რო გაუუქმეს და ლუკმა-პურის საშოვრადა და გასაბახებლად სტამბულის გზას რომ გაუყენეს-თქო. ხკითხე ერთი, ხკითხე, ან შენი ცირაი სად არის ეხლა, ან შენი იაი სად დაწრწის სამშობლო დაკარგული-თქო, ვის დარჩა, რომელ უცხოტომელსა თუ იეღოველსა ჩალისფასად გაყიდული შენი ქრისტიანი შვილის ნაოფლარი ოთხოთახიანი ქალაქსა-თქო... როცა ეგ უბედური ქალები გადაიკარგნენ, მაში ვინები ისხდენ მთავრობაჩი, შე ყუმო, გიჟო-თქო! ეხლა მე რო ყამარაის მაგივრად ყარამანაი დავიქვინა, ყარამანაი ვიქნები-თქო? სახელწოდება რო შეიცვალეს, ეგ სიმსუქნისაგა დასიებული თავ-ყბა და ღიპები მაინც აღარ გახსონ-თქო? მთავრობაჩი ხელახლა მასასვლელები კი არა, ამ მიწაზე არ არიან გასაშობები, საჩეჩქველაით არიან დასაჩეჩქვები, საჩეჩქველაითა-თქო!

_ ვაიმეე... _ ისევ აკვანივით ირწევა ლელა წვივამდე ტალახში.

_ შენი შვილები სადღა არიან, შენი პედაგოგი შვილები, რომელ ქვეყანაჩი ათრევენ კურტანსა და სად სჭრიან ყინულებსა-თქო? _ სულ წკაპა-წკუპი გაუდის კატოს თითებში თითისტარზე ჩამოშვებულ ძაფს, _ შენი ექიმი რძლები, კუდები ყავარზე რო ჰქონდათ ერთ დროსა გაწყობილი, სადა, რომელ ქვეყანაჩი შრომობენ ხელჩი გარშოკებითა-თქო? დამმარხვე-ლიც რო აღარ დაგრჩა აქა, იმიტომ, რომ სუ მაგ მთავრობაჩი მსხდომმა ყაჩაღმა მამლებმა აუკენკეს ყველაფერი იმ თავისი მაგარ-მაგარი ნისკარტებითა-თქო. მაიცა, მაიცა, გაიმარჯვან ამათა, სუ ხმლებით წაასხეპენ თავებსა მაგ ამასაწყვეტ შენს მამლებსა, ციხეებს დაავსებენ მაგათითა და სუ უკან წაართმენ ხალხის ოფლზე და სისხლზე ნაშოვნ ქონებასა-თქო! _ თითისტარიდან უკვე ბურთივით მრგვალად და გამალებით ახვევს ძაფს კატო, _ შენ სადღა აპირობ წასვლასა, ქალავ, მე შენ გელაპარაკები თუ ეშმაკებსა?

_ არცად არ მივდივარ, როდის მივდივარ, კატო ბაბო, _ ამჯერად გარდიგარდმო კი არა, რატომღაც წინ და უკან ირწევა ლელა და თანაც ძალიან უცნაურად, _ აქ არა ვარ?!

_ ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰაი, _ თითისტარიდან ცალკე გადახვეული ძაფი მარცხენაში გადააქვს და მუხლზე იტყაპუნებს მარჯვენას ყამარა, _ მაშა, მაშა, სუ თქვენ არ ჩამაგირიგებენთ, თუ კი რასმე იმ ყაჩაღებს წაართმენ. თითო ლარსაც კი არ დაიგდებენ თავისთვი, თითოს ლარსა. ან კი რად უნდათ ბეჩავათ ქათამათა, ჩვენსავით შაჩვეულები არ არიან ეგენიცა გაჭირვებასა? ფულები მაგათ არა, გასანსალებული სახლ-კარი და ფერად-ფერადი მაშინები მაგათ არა,

რესტორნები და ცხო რაიმე მაგათ არა, ექიმი და წამალი მაგათ არა, დუნიაის შამავლა მაგათ არა, სუ ხალხისთვი მეცადინობენ, სუ თქვენთვი, მაა. მაგ ცუცქნას კი ექნება უჟე გამზადებული, რაკი ეგრე ელოდება და შენც გაამზადე, ლელავ, შენცა, შემეგევლას ყამარა ბაბო: კიდობნები, ყუთები, ამბრები, ქობები, ვედრები, ქოთნები... იმდენს დაგირიგებენთ, იმდენსა, ვეღარ გაიგებთ, სად რაი წაიღათ და სად რაი ჩასტიათ... ნუ, დოლარებს ბალიშებჩი და ბანკებჩი შაინახავთ და ეგ იქნება... ჰა-ჰა-ჰა-ჰაი! მაშიც ეგრე გეგონა, კომუნისტობა რო გადავარდა და შენ შენი საყორელი პრეზიდენტის გულისთვი კიდაღარ თავ-ყბა დოგომტვრიე მე და ცხონებულ გივარგისა-თქო!

_ აცალეთ მემრე, თქვე ამასაწყვეტებო, ჩემს საყორელ პრეზიდენტსა? _ ლელას თავი დაანება და უცებ გიჟივით აკივლდა კატო, მოზრდილი, ბურთივით დამრგვალებული ნართი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოიქნია და ბადროს მტყორცნელივით ცალფეხაწეულმა ესროლა ყამარას, _ აცალეთ ჩემს პრეზიდენტსა?!

_ რაი უნდა გვეცლია, შე მართლა გაკრულო და შე მართლა ქათმისტვინავ, შენა, ჰა? რაიც ჯოხარას აცალეს უბედურმა ჩაჩნებმა, ისა? რაი უნდა გვეცლია, როგორ ამოგვწყვეტდით იმის მომხრეები ჩვენა, ვინც იმის მხარზე არ ვიყავით და როგორ ამაჰბუგავდა რუსეთი მთელ საქართველოს გროზნასავითა, ისა? _ გასროლილი ნართის ხურდა ნართითვე დაუბრუნა გაალმასებულმა ყამარამ კატოს და ორლესულივით შემართა უძაფო თითისტარი, _ კიდავ არ იშლი უგონთ-მაგონთ რატრატსა, კიდავა, არა?!

_ ვერ გაიხარე, ჩემო ღორო, შენა, აჰა, _ რადგან კატოს ნართმორტყმულ თეძოს ცალი ხელით ისრესდა, ყამარას ნანართალ თავზე მეორე ხელი შემოიდო და ტირილის ხმაზე აზუზუნდა ლელა, _ რაისთვი ფეხი არ მაგტყდა, როცა აქათკე წამასძუნძულდი, შე ვერგასახარებო, ან მე მამტეხიყო ფეხი და მე არ გამაგყვალიყავ. რას მაგდევდი, რო მაგდევდი, რამ ბედისწერამ ამაგდა, რას წემევეხირე, რო წემევეხირე, სად ამოვყავ თავი, ღმერთო, შენ მიშველე... ვაიმე, ჩემო დედავ! _ იყვირა უცებ შეშინებულმა, რადგან წინიდან კატო ეცა და კატომ აიფარა საცოდავი, უკნიდან ყამარა ეცა და ყამარამ აიფარა საბრალო.

_ აბა, მოდი, შე ერის მოღალატევ, შენა, აბა მოდი! შენს სანაქებო პრეზიდენტს კარგა აცალეთ ქვეყნის დაქცევა და განადგურება, შე ამერიკის შპიონო, შენ! _ ლელას მარჯვენა გვერდიდან უსწორა ყამარას კატომ თავისი მახვილი, მაგრამ ყამარამ ცქაფად აარიდა ტანი და ცქაფადვე მიაყენა ჩხვლეტაც კატოს ლელას მარცხენა მხრიდან.

_ კატო, მაგკლავ, შე რუსის შპიონო, მაგკლავ, შე თვითონ ერის მოღალატევ!.

_ ჰაე, ჰაეე! რაი ამბავია აქა, კაცო, ეს რა პარლამენტარებსავით დაღრევიხართ ერთმანერთსა, სირცხვილი აღარ იცით და ნამუსი, თქვენ რამღა შაგშალათ, ხალხნო, თქვენ რაიღა ვერ გაიყავით, მე თქვენი დედა კი ვატირე, თქვენი! _ ორღობეში გაჩხირულ სამეულს უცებ მოადგა გზად მომავალი სამეული: წინ ხბო, შუაში მონტიორი გუჯა არყის ბოთლ «შაიტანკა»-თი ხელში, უკან კი ძაღლი ბროლია, წამოცქვეტილი ყურებითა და ცნობისმოყვარედ დაღებული, ენაგადმოგდებული პირით.

გუჯამ ბოთლში დარჩენილი არაყი შეაჯანჯღარა, რუსული ბოთლის ეტიკეტზე გამოსახულ, ეშხიანად მომღიმარ ნახევრადშიშველ ქალს შიგ მადლიანად გადაშლილ გულ-მკერდზე ეამბორა და ამღვრეული მზერით შეათვალიერა ტალახში ჩაფლულ ქალთა კრებული.

_ აბაა, ადგი-ლებ-ზეე! _ ჯერ ყამარასკენ დაიძრა და ყამარა მიაცუხცუხა თავის სკამთან, მერე კატოს სტაცა გაჩხინკულ მხრებში ხელი და კატო დასვა თავის ადგილას, _ აბა, მითხარით ეხლა, რაი ვერ გაიყავით ემოდენას სოფელჩი?! _ არაყი კვლავ შეაჯანჯღარა, კვლავ მოსვა და დაასლოკინა, _ სოფო ბაბო როგორ გოგიბიზნესმენდა, სოფო ბაბო, ორმოცდაათ თეთრობაზე ნაყიდ აემ საწამლავ არაყსა ლარადა და ოც თეთრად ხყიდის, კაცოო... აქამდე კიდავ ჰო, კანტი-კუნტად ზაფხულჩი სტუმრებიც გვყვანდა სოფელსა და ეხლა რაიღა

ეშველება, ეხლა, დაიწყა უკვე ზამთარი და ჩვენით აპირობს აშენებასა? _ მუხლში ხელი ჩაირტყა და უცებ ჩაბჟირდა, _ ცხოვრებას აუწყო ფეხი თავის ჭკვითა, ცხოვრებასა, კაპიტალისტობა მამინდომა დედაბერმა... ან კი რაი ქნას ბეჩავმა, რაც მეცხორეებს ცხვრის ყვალის საშუალება მოუსპეს, მაგის მეცხორე შვილები ბანანსა და ანანასს ხყიდიან ქალაქჩი და... აჰუჰ, ამ ცხოვრების დედა ვატირე, ამ ცხოვრებისა... _ თავი გადააქნია და ისევ ამღვრეული მზერა მოავლო სამივეს, _ ჰო, რაიო, რაზე ვჩხუბობდით, რაი ვერ გავიყავითო? კენჭს ხო არ იყრით თქვენცა? ან კი რაიღაა გასაკვირი ამ ქვეყანაზე... მთავრობის სამდურავი კი არვინ გამაგონათ, თორო, აბა-ბა-ბა-ბა! არ გაპატიებთ! მაგათ იზრუნეს ჩვენზე, თუ იზრუნეს... აბა შახედეთ, რამდენნი ვართ სულა მთელ სოფელჩი: მე, დედაჩემი, სამნი თქვენა, სოფო ბიზნესმენი, ზევით სოფრომაი, თუ არ მაკვდა უკვე, გუში ძრიალ გონჯა იყო... ჰო, ქოით კიდავ ნუცაი და ნუცასავით უკვე დავარდნილი იმის მულიი... _ თითებზე ჩამოთვლა დაამთავრა გუჯამ და სოფელს მოავლო მზერა, _ რამდენი სახლი იქნება აქა?... სულ ცოტა, ასი მაინც, ხო? რვა ადამიანს რო ასი სახლი ექნება, იმათ კიდავ გაჭირვებაზეღა უნდა ამაიღან ხმა და იმათ კიდავ მთავრობა უნდა ლანძღან, ჰა? ერთი პრობლემა კი ნაღდად გვექნება გადასაჭრელი და ეგ ჩვენ თვითონ უნდა გადავსჭრათ: სუყველამ იცით, ეს რამდენიმე წელიწადია დანარჩენ ოთხმოცდათოთხმეტ სახლჩი თავისი წვრილ-შვილით უკანონოდ შასახლდნენ კაცობრიობის დაუძინებელი მტრები _ თაგვები და უსვინდისოდ და უნამუსოდ ეწევიან შიგ მშვიდ და ბედნიერ ცხოვრებას. თავის ნებით ეგენი მაგ სახლებს არ დაგვითმობენ და ჩვენი მოვალეობაა, მივღმართათ ოპერატიულ ზომებს, შავქმნათ კატების ჯარი! მე მთავარსარდალი ვიქნები. ჯარის შაქმნა გენერლებსა, კატოსა და ყამარას ევალებათ და დავიწყათ კიდეცა ომიი. მაიცა, შენ რაი ზვანიაი მაგცა, ლელავ? ჰო, პატარაი ხარ ჯერა, ლეიტენატობაც გეყოფა. კარგა იყავით, კარგა! ჰოო, მოვიგებთ ამ ომსა და აშენდება კიდეცა სოფელიი... ერთ ღამეს ერთ სახლჩი დავიძინებთ, მეორე ღამეს მეორეჩი და... _ არაყი კიდევ შეანჯღრია, «შაიტანკას» კიდევ ემთხვია და რატომღაც დადარდიანებულ ბროლიას გადახედა, _ წავიდეთ, ბროლიავ, ხბუას კი გაუგია სახლის გზა და წავიდეთ ჩვენცა, არას გორგებს ამ ქალების აყვალა.

_ გუჯავ! _ თავისთვის ჩუმჩუმად აბუტბუტებულ მოხუცებს გადახედა და მორიდებით გასძახა წინწასულ გუჯას კისერმოღრეცილმა ლელამ.

_ რაი გინდა, ქალავ? _ თავი შემოატრიალა გუჯამ.

_ გეხვეწები, არ დამტოვა აქა. ამამაძვერ როგორმე აქათითა!

_ ჰა?! _ მთლიანად შემოტრიალდა გუჯა, _ რაი მითხარ?!

_ ტალახჩი ეგრე დევეწებე, ვეღარ ვსდგამ ნაბიჯსა და გეხვეწები, ამამაძვერ როგორმე აქათითა! _ თვალზე ცრემლი მოადგა ლელას.

_ რაიო? _ გადაიხარხარა უცებ გუჯამ, ლელასკენ წავიდა და უცებ ისევ ჩაბჟირდა, _ დაწებებული ხარ მართლა?

_ როგორმე უნდა მიშველა, გუჯავ, არ დამტოვა ტალახჩი... იმდენხანს დამაყენეს... _ ატირდა სიცივისა და სიმწრისგან უკვე აკანკალებული ლელა, _ ვეღარ ვიძრები ადგილიდანა.

_ კარგი ერთი, რას მასხარობ, ქალავ?

_ არცრას არ ვმასხარობ, მართლა დევეწებე, რამდენჯერ ვსცადე და...

_ დიდება, შენ და, ღმერთო! _ პირჯვარი გადაისახა და ისევ მხიარულად გადაიხარხარა გუჯამ, _ მართლა ვეღარ იძრი?

_ მართლა.

_ ჰო და ძრიალაც კარგი, იყავ მანდა, მანდიდან ამაგაძრობ ეხლა მე შენა? მშობლიურ მიწაჩი გაგიდგია ფესვი, როგორც იქნა, შენ მაინცა. ჰმ, ამამაძვერო! ამაგაძრო და ერთიც ვნახათ, დახკარ ფეხი და გაღვარდი შენცა ან ქალაქსა და ან უცხოეთჩი! აარა, ჩემო ლელავ, ამაგაძრობ კი არა, ყოველდღე წყალს დაგისხამ, ყოველდღე მოვალ და ყოველდღე მაგივლი,

რო შენ მაინც მეგულებოდე ხმის გამცემადა მე უბედურსა ამოდენას სოფელჩი, თორო, აბა შახედე ამ ბებრუხანებსა, სადამდე მეყვალებიან მე ესენი ხმის გამცემადა შენი აზრითა, ჰა? წასვლით მე ვერცა წავალ, ჩემო ლელავ, რაი ვქნა, გიჟი ვარ, ეტყობა, ეგრე მიყორს აქაურობა, აქ შიმშილით სიკვდილი მირჩევნია ცხოგა ტკბობა-ლაღობასა... შიმშილზე გამახსენდა, წავალ ეხლა, დედაჩემს რასმე გავაკეთებინებ და მაგიტან საჭმელსა შენცა, შენ ოღონდ აქ იყავ, აქ იყავ!

_ რას მასხარობ, შე გაალღეშებულო შენა, ჰა? აქაო და მთელ სოფელჩი ერთი კაციღა ვარო, სუ კი ნუ წახვე თავსა, _ თითისტარს დაეყრდნო და სკამიდან წამოხანხალდა ყამარა, _ კაცი არა ხარ? შუადღისას ჩამაიარა და აგაი, შამამგლისფერდა უჟე, მთელი დღეა მანდაა დაშჭობილი აგრა იმ გაკრულაის გამაისობითა.

_ ამააძვერ, გუჯავ, ამააძვერ, ბაბო გენაცვალას, ცოდვაა. ზოგიერთმა კი ენა დააყენას, მე არვინ დამიშჭვია ძალითა, რაი, წასვლა უნდოდა და მე არ გავუშვი? _ მახვილი ხელში შეატრიალა კრუსუნით წამომდგარმა კატომ.

_ რო არ ამოვაძრო? აი, რო არ ამოვაძრო, რაი მემრე? _ სიცილისგან ფეხზე ვეღარ დადგა და ლელას ფეხებთან ჩაცუცქდა გუჯა.

_ ამამაძვერ, გუჯავ, გეხვეწები. ფეხიშველაი ხო არ გადმოვალ ბოტებიდანა ამ ტალახჩი, _ მუდარით ჩამოხედა ლელამ გუჯას, _ რო გავცივდე, ვინაა ჩემი პატრონი?

_ ამააძვერ, ამააძვერ! ბოტებიანად ამააძვერ! _ აკივლდა ორივე დედაბერი ერთდროულად.

_ ეე... _ ქვემოდან აათვალიერა ლელა გუჯამ, _ ამას უყურეთ ერთი... ე... რამოდენაი გაზრდილა ის პატარიაი ქალაი?! შენ ჩემზე ხუთი წლით უკან არ სწავლობდი სკოლაჩი?... შენ არ იყავ, ჩემს ლურჯას ფაფარს რო უწნავდიკე და შენ არ სტიროდი მაშიცა ჩემთან ერთადა, ბეჩავაი ჩემაი ცხენაი რო მამიკლეს?!... ოოხ-მე, ჩემო ლურჯავ, ოოხ-მე, ცხენავ კი არა, ძმიავ, როგორ მენატრებიი!... _ თვალზე ცრემლი მოადგა გუჯას.

_ ეეხ, ჩემო გუჯავ, აბა, რაიღა ეშველება ეხლა ლურჯასა, ეხლა მე ვარ საშველი... დროზე, შენ შემოგევლე, მცივა.

_ მაიცაა... _ ეგრევე მჯდომმა და თან რატომღაც ძალიან ჩაფიქრებულმა გუჯამ ქურთუკის შიდა ჯიბიდან არყის ბოთლი ამოიღო, ეტიკეტის ქალი საფუძვლიანად დაათვალიერა, ოღონდ მისი გულ-მკერდისათვის ამბორი აღარ უქმნია და ლელას ახედა.

_ ეე, ამაზე ლამაზი ხყოფილხარ შენა, ლელავ, განა... აბა დახედე, _ წამოდგა და განცვიფრებულმა ბოთლზე გაკრული ეშხიანი ნახევრადშიშველი ქალი თვალებთან ახლოს მიუტანა ლელას, _ აბა დახედე, ერთხალ კი არა, მილიარდჯერ სჯობიხარ, მილიარდჯერა! _ შემოტრიალდა და ჯერ მახვილოსან ყამარასთან მიარბენინა «შაიტანკა», მერე მახვილოსან კატოსთან, _ აბა დახედეთ, ხო სჯობია მილიარდჯერა ლელაი ამ ქალსა?!

_ ფუი, ეშმაკსა! ფუი, ეშმაკსა! სირცხვილი აღარ გაქვ და ნამუსი, ტიტველას ქალს რო გოჩვენებ, წესი აღარ იცი და რიდი?! არ გცხვენიან, რაი გიდევს ჯიბაჩი ვაშკაცსა, აღარ ხარ გონთა, ბალღო?! მააშორე ეგ ეშმაკის საცთური აქათითა! ღმერთო, შენ გვიშველე და შენ დოგიფარე, _ ორივე მოხუცმა ცალ-ცალკე აძგერა მახვილი «შაიტანკას», _ კარგს არას მაგიტანს შენა ეგა, მააშორე ეხლავნე აქათითა!

_ ეხლავნეე... ემწუთჩი... _ ბოთლისთვის აღარ დაუხედავს, გაბრწყინებული თვალები ლელას მიაპყრო გუჯამ, _ ამაგაძრობ კი არა, თავს შამაგავლებ, თავსა! _ ბოთლი შორს მოისროლა უცებ და ღონიერი მკლავებით უცებვე აიტაცა ლელაც ადგილიდან, _ თავს შამაგავლებ, გენაცვალას გუჯაი შენა, თავს შამაგავლებ!

_ რას შვრები, შე ყაჩაღო შენა, რას შვრები?! _ ორივე დედაბერი ისევ ერთდროულად ეცა გუჯას და ერთდროულადვე დაეკონწიალა აქეთ-იქიდან.

_ ცოლს ვირთავ, ცოლსა, ვერ ხედავთ?! _ შიშველფეხებასხმარტალებული ლელა მკერდზე სათუთად მიიხუტა გუჯამ და ყამარას და კატოს ჩამოხედა, _ ნათესავად ეს არ მერგება, ნაღდად ვიცი, შვიდ თაობამდე არცრაი არ გოკავშირებს. ცხო რაიღა? ამაზე კარგს მირჩევთ ვისმე თუ... ჩემზე კარგი ვინმე გეგულებათ ამისთვი? აბა, მზადა ხართ, წამამყვეთ მაყარჩი? პირდაპირ შინ მივდივართ, პირდაპირ ჩვენსა, დედამიწის მადლმა, გაგიჟდება დედაიცა სიხარულითა!

_ ქალს აღარას ეკითხები, ქალსა?! _ ორივე თითისტარი ერთდრულად ეძგერა აქეთ-იქიდან გუჯას, _ ხმა ამაიღე, ქალო, ხმა!

_ გამიშვი, გუჯავ, გაღგიჟდი შენა? _ კისერზე მკლავები მაგრად შემოაჭდო ლელამ გუჯას, _ გაღგიჟდი, გუჯავ?

_ აქამდე ვყოფილვარ გიჟი, აქამდე, თორო ეხლა რაიღა მიჭირს, ეხლა კი ვარ გონთა, _ ძლიერად მიიხუტა მკერდზე ლელა გუჯამ და აქეთ-იქით დაკონწიალებულ ბებრებს სიცილით ჩამოხედა უკვე გადაწმენდილი, ცასავით ლურჯი თვალებით, _ აბაა, წავედით! ჯვარული იმღერეთ, ჯვარული, მაყრები ხართ ბოლო-ბოლო. ბროლიავ, ერთგულო, შენც აუწყე ხმა... ბროლიავ, კაცო, რაი ხდება, ვეღარ გავიგე, მამაცალე ეგ ქალები!

ბროლია მხიარული ყეფით ეცა ჯერ ერთ დედაბერს, მერე მეორეს, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოაცილა გუჯას.

_ ეგრე არაა წესი, ეგრე არაა!

_ ვიტაცებ, ხალხო, რაი გინდათ თქვენა. როცა იტაცებენ, ესრეა, თორო წესი მეც ვიცი, შინ უნდა მივიდე შუაკაცებითა და ხელი ვითხოვა. აჰა, თუ გინდა, გავაკეთათ წესითა, შუაკაცები თქვენ იქნებით, მაგრამ ხელი ვისღა ვსთხოვათ ლელაისი, კახაი ამერიკაჩია თუ სადღაცა და ქათმებს ვეახლათ ქედმადრეკილები თუ ძროხასა, ჰა? მიდით, მიდით, თუ ხართ ჩემი ძმაკაცები, შარიგდით, გადახვიეთ ეგ ხანჯლიანი ხელები ერთმანერთსა და მიშველეთ მატაცება. ჰა, მაზდიხართ, თუ?

დედაბრებმა ერთმანეთს გადახედეს და განცვიფრებულები «დიდება შენდა, ღმერთო,» «დიდება შენდა, ღმერთოს» ხმადაბალი ბუტბუტით თითისტარებს დაყრდნობილები, ხუსხუსით გაეკიდნენ მეფე-პატარძალსა და მხიარული ყეფით მიმავალ პირველ მაყარს.

ნოე

თმაშევერცხლილი, გრძელცხვირა, კაფანდარა ნოე მამაცაშვილი მაგიდასთან ზის, წინ ჩართული კომპიუტერი უდგას, გვერდზე კომპიუტერში შესატანი მასალით დახუნძლული საქაღალდე და იდაყვდაყრდნობილი თვალგაშტერებული გაჰყურებს ორ მაღლივ კორპუსს შუა სარეცხის თოკივით გაბმულ ჰორიზონტს.

განათლებით ფილოლოგი, წლების განმავლობაში მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობაში რედაქტორად ნამუშევარი, ცხოვრების ბედუკუღმართობის გამო აწ უკვე პროფესიაშეცვლილი, ბუხჰალტრად გადამზადებული და შპს «ჯი-ჯუ-ჯი»-ში ძლივს ნორმალურხელფასიან ადგილნაშოვნი ნოე ორი კვირაა უგონოდაა შეყვარებული, ანუ ზუსტად მას შემდეგ, რაც ბუხჰალტრობას შეუდგა. ნოეს ტრფობის საგანს წარმოადგენს მისივე თანამშრომელი მენეჯერ-იურისტი ტატა, რომელიც არის ახალგაზრდა, ახალგათხოვილი, ტურფა და კეკლუცი. დღეს ტატა სამსახურში მოსვლას რატომღაც აგვიანებს და არც კი იცის, თუ რამხელა ტკივილს აყენებს ამით გადამზადებულ და სერტიფიცირებულ ნოეს.

მოგეხსენებათ, ქვეყანაზე არავის ისე არ უყვარს ოცნება, როგორც უიმედოდ შეყვარებულებს და აი, ახლაც, იმის მაგიერ, ჯერ ასაკს შორის სხვაობა დაიანგარიშოს კალკულატორზე, მერე სარკეში ჩაიხედოს, მერე მენეჯერ-იურისტის სახე წარმოიდგინოს პლუს მისი წარმოსადეგი ქმრის სახესთან ერთად, მერე ცხვირზე ხელდაფარებულმა მწარედ ამოიოხროს, ყოველივე ამის მერე კი მისთვის საზიზღარ სამუშაოს ჩაუჯდეს ან იფიქროს, რა საშუალებით მოახერხოს ხელფასის აღებამდე მეუღლისა და ორი სტუდენტი შვილის გამოკვება, ჩვენი ნარედაქტორალი ბუხჰალტერი ღია კარიდან გაჰყურებს ჯერ მენეჯერ-იურისტის დაკეტილ კარს, მერე ოხრავს, მერე ხუჭავს თვალებს და ამის მერე სახეზე ნეტარებადაფენილი, პირდაპირ თავისი სამუშაო მაგიდიდან მიაგელვებს ცხენს ტყით დაბურული უმშვენიერესი ხეობისაკენ.

ჭიკჭიკებენ ფრთოსნები, სიმღერასავით ისმის მორაკრაკე ნაკადულების ხმა და ჩვენი გმირიც, ამჯერად ისევ ცხვირა და კაფანდარა კი არა, უკვე მაღალი, მოხდენილი, ახალგაზრდა, ლურჯთვალა, შავგვრემანი, მხრებზე ნაბადმოგდებული და საქამრეში დამბაჩაგაჩრილი ვაჟკაცი, იწყებს ქართულ ხალხურ საგმირო სიმღერას.

ცხენი ჯერ ჩორთზე გადადის, მერე თანდათან უნელებს ნაბიჯს და ყურებდაცქვეტილი, წყნარი ფრუტუნით მიჰყვება ბილიკს, ხოლო დავითი, დიახ, დიახ, ნოე ახლა დავითად იწოდება, მომღერალი, ამაყად კისერმოღერებული, ლაღად და ამოდ ირწევა უნაგირზე.

რა სასიამოვნო სიგრილეა ტყეში, რა დიადია ბუნება! მზე უკვე ზენიტზეა და მისი თვალისმომჭრელი სხივები ჯადოსნური ნაირფერობით ქარგავენ ფოთოლთა ნაირგვარ თაღებს, რაღაც ღვთაებრივი სურნელითაა გაჟღენთილი მთელი გარემო...

დავითი მზეს აჰყურებს და შეშფოთებული ამჩნევს, რომ თუ არ იჩქარა, შეიძლება გამოუსწორებელი რამ მოხდეს. მასზე ბევრია დამოკიდებული, _ ზემოთ, გამოქვაბულში, მთელი რაზმი სულმოუთქმელად ელოდება მის გამოჩენას და მისგან მიტანილ ამბავს. მეომრები მხოლოდ მას ენდნენ, რადგან იციან, როგორი ჭეშმარიტი სიყვარულით უყვარს სამშობლო, როგორ ენდობა თვით მეფეც კი... დავითი შეშფოთებით ურტყამს დეზს საყვარელ საღარს, მაგრამ იმწამსვე ეწევა სადავეს თავისკენ... ჩუ, საიდანღაც ქალის სასოწარკვეთილი კივილი ისმის. დავითი მხოლოდ ერთ წამს ყოყმანობს, თავის გზას ეწიოს თუ... არა, კვლავ აყურადებს. ახლა უფრო გარკვევით ესმის კივილი... საიდანღაც, მარჯვენა მხრიდან. ყალყზე შემდგარი ცხენი ჯერ მოშვებულ, მერე კი მარჯვნივ დაჭიმულ აღვირს გრძნობს და ისარივით წყდება ადგილიდან... კივილი უკვე სულ ახლოდან ისმის, სიფრთხილეა საჭირო, რა იცი რა ხდება! დავითი ფიცხლად ხტება ცხენიდან, ნაბადს იძრობს, ცხენს ანიშნებს, ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოო და ხეებს ამოფარებული, სწრაფი ნახტომებით იმოკლებს გზას ქალის მიმართულებით. ერთი ნახტომი კიდევ და დავითი მუხას ეფარება. ცალ ხელში დამბაჩა უჭირავს, მეორე ხმლის ვადაზე უდევს. ფრთხილად იხედება მოპირდაპირე მხარეს და... ჰოი, საშინელებავ! ალვას მენეჯერ-იურისტი ტატა აჰკვრია ტანსაცმელშემოძარცული, ფერმიხდილი, ვითარცა ანგელოსი, ხოლო მისკენ ნელი, ამაზრზენი ნაბიჯით მიემართება ექვსი ბაჯაჯღანა, კბილებდაკრეჭილი და ხელებგაფარჩხული ლეკი, რომელთაგანაც ერთ-ერთი თვითონ ტატასქმარია. ქალი სადაცაა გრძნობას დაკარგავს შიშისგან, უკვე ძლივსღა ისმის მისი მილეული ხმა, რომელიც შველას ითხოვს. აი, ერთი მიუახლოვდა უკვე, სტაცა კიდევაც თავისი ბანჯგვლიანი ხელი ტატას, მაგრამ იგრიალა ამ დროს დავითის დამბაჩამ და ზნედაცემული მოძალადე გულაღმა გაიშოტა ტატას ფეხებთან. ტატა ჯერ კიდევ ვერ მოსულა გონს, ვერც დანარჩენი ლეკები ასწრებენ გონს მოსვლას, ისე ცხრილავს მათ დავითის დამბაჩა. მეექვსე მოძალადე, თვით ტატას ქმარი, დაჭრილი, ღონეს იკრეფს და დაზაფრული მიჰქრის ხეებს შორის.

ტატა გაოგნებული იხედება ირგვლივ. მისი ლამაზი, შველივით დამფრთხალი თვალები მშველელს დაეძებენ, მაგრამ დავითი არ ჩქარობს, _ ტატას ქმარი ხომ ჯერ ცოცხალია!

დავითი დაკვირვებით ათვალიერებს იქაურობას და უცებ თავზარდაცემული ამჩნევს, ხეს ამოფარებული ავაზაკი როგორ უმიზნებს პირდაპირ ტატას!

დავითი ელვის სისწრაფით წყდება ადგილიდან, ავაზასავით ნახტომს აკეთებს და მთელი სხეულით ფარავს ტატას. ისმის სროლის ხმა, მაგრამ არა, წაქცევა არ შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ უკვე წითლად გადაიფერა დავითის მკერდი, მან უნდა იხსნას სატრფო, საკუთარი სხეული შეაგებოს ყველა ტყვიას, მისკენ გასროლილს... მაგრამ ეს რა ხდება... დაბინდული თვალებით ხედავს დავითი, როგორ აგდებს ტატას ქმარი ხელიდან იარაღს და როგორი ხუსხუსით გარბის უღრანი ტყისკენ... «მხოლოდ ერთი ტყვია ჰქონია!» სიხარულით ფიქრობს დავითი და ტატას ფეხებთან ნელ-ნელა იშოტება.

_ ნოე!... არა, არა, დავით! დავით! _ ჩასძახის მუხლებზე დამხობილი, მწუხარებისგან ლამის შეშლილი ტატა ნოეს, _ ჩემო ერთგულო, ჩემო ერთადერთო... _ ათრთოლებული თითებით უხსნის საკინძეს და გოდებს ფრთაშესხმული ანგელოსი, ო, რა ტკბილ ქართულით გოდებს, _ არ მიმატოვო, დავით... საწუთრო დამიბნელდება უშენოდ, მზეო... ძალა წამერთმევა უშენოდ, ლომო...

_ ძლივს... _ ჩურჩულებს ნეტარებით ნოე, _ ძლივს, ჩემო სულისდგმავ.

ო, რა ბედნიერია, ტატას ცხელი ცრემლი რომ ალტობს მის მხურვალე, სისხლით ყაყაჩოსფრად გადაღებილ მკერდს.

_ ტატა! _ უკანასკნელ ძალას იკრეფს ნოე, _ ტატა, შენ როგორმე უნდა გააღწიო აქედან... მდინარესთან ჩემი საღარია... უნაგირზე, ხურჯინში, ბუკია, როგორმე, რაც ძალი და ღონე გაქვს, ისე ჩაჰბერე, ჩემო სიყვარულო... ჩემი ძმადნაფიცები შენთან გაჩნდებიან მაშინვე. გადაეცი, რომ მეფის უსტარი უნაგირშია ჩაკერებული... უთხარი, რომ მე შენ ჭეშმარიტი სიყვარულით მიყვარდი და... რომ მოგიფრთხილდნენ, რადგან ის... ის ჯერ კიდევ ცოცხალია!

_ ახვარი ეგ!

ნოე შეშინებული ახელს თვალს და დაჭყეტილი შეჰყურებს მოპირდაპირე კაბინეტის წინ შეჩერებულ ტატა მენეჯერ-იურისტს, რომელიც წიხლს გაბრაზებით ურტყამს დაკეტილ კარს და კიდევ ერთხელ ჩასძახის ვიღაცას მობილურ ტელეფონში: _ ახვარი!

ტატა პირდაპირ ნოეს ღია კარისკენ მოეშურება, ნოეს იოტისოდენა ყურადღებასაც კი არ აქცევს, ისე ჯდება ნოეს მოპირდაპირე მაგიდაზე, გაფაციცებით უსმენს ვიღაცას და ცალი ხელით წვალებით უკიდებს სიგარეტს.

_ ქმარი, არა, ტ..კი! _ რაც ძალი და ღონე აქვს, ისე ჩაჰყვირის უცებ ტატა, ფეხს ფეხზე იდებს და ფეხსაცმლის ჭვინტს ითვალიერებს _ ტვარი!

_ ...

_ ფაიზაღი, _ ამბობს და ბოლს რგოლებად უშვებს მაღლა ტატა.

_ ...

_ ნუ მაგოიმებ! _ წარბს იკრავს ტატა.

_ ...

_ ტრუხა ბაზარი! _ ხითხითებს ტატა.

_ ...

_ ნუ გამიხურე! _ ისევ წარბს იკრავს ტატა, _ მევასება!

_ ...

_ ბაბოჩკა და ბაიანი! _ წარბს ამჯერად მაღლა სწევს ტატა, _ სუბუ?

_ ...

_ გააიასნე! _ ჭერისკენ აბოლებს ტატა.

_ ...

_ ბაითი. _ იზმორება და ამთქნარებს ტატა.

_ ...

_ მოქესტე! _ იატაკზე აფერფლებს ტატა, _ მე ვარ ატვეჩაი!

_ ...
_ ნუ მაბოლებ! _ ხმას უმაღლებს ტატა.
_ ...
_ აახვიე! _ უფრო უმაღლებს ხმას ტატა.
_ ...
_ დურა! _ მინი კაბას კიდევ უფრო იმინებს ტატა და თეძოს იფხანს.
_ ...
_ მაზიანი! _ შიშველი ჭიპის მოფხანაზე გადადის ტატა, _ მარიაჟი!
_ ...
_ მურტალი როჟა! _ დევივით ხმამაღლა და უზრდელად აცხიკვებს ტატა.
_ ...
_ აჩმახებ, ტვარო! _ ბრაზობს ტატა.
_ ...
_ სუბუ! _ სულელივით თვალებდაჭყეტილ ნოეს უყურებს, სიგარეტს კბილით იჭერს და იღლიას იფხანს ტატა.
_ ...
_ გაასწორა! _ რაღაც უხარია და ნოედან მზერა კომპიუტერზე გადააქვს ტატას.
_ ...
_ ლომკა! _ იხრება, ფეხსაცმელს იძრობს და თითებს დაჰყურებს ტატა.
_ ...
_ ბაქსი, _ ფეხსაცმელს ისევ იცვამს და ამთქნარებს ტატა, _ დაკრიშა!
_ ...
_ პუტანკა! _ საჯდომს იქექავს ტატა, _ ზატო... ვაფშეე...
_ ...
_ კაიფი, _ ანთებული სიგარეტის ნამწვს პირდაპირ ღია ფანჯრიდან ისვრის ტატა, _ მაყუთი და ბაითი.
_ ...
_ მოვაყომარებ! _ სისხლისფერ, მტაცებელივით წამახვილებულ ფრჩხილებს დაკვირვებით ითვალიერებს ტატა, _ ასიანი!
_ ...
_ მე მაგის დედის... მ _ ნ! _ მოულოდნელად ყვირის და თვალებს გიჟივით აბრიალებს ტატა, _ მე მაგის დედა მ... _ ნ!
_ ...
_ ნუ დამგრუზე, ავითხარე ნერვებზე, მე მაგას გავაფარჩაკეებ! _ გიჟივით აბრიალებული მზერა კომპიუტერზე გადააქვს ტატას.
_ ...
_ დავბრიდავ მაგ ჩემის გ...-ს! _ ამჯერად მუმიასავით გაშეშებული ნოეს მკერდს ბურღავს და ისე ყვირის ტატა, _ მე მაგის დედის მ...-ნ! ჩათვალე, ტრუპია!
_ ...
_ ბეზ პრაბლემ! _ რატომღაც მშვიდდება და ამთქნარებს ტატა, _ ბაი, ნუ, პაკა, პაკა!
ის იყო, ტატამ საუბარი მოამთავრა და მაგიდიდან ჩამოხტომაც დააპირა, როომ...

* * *

ბრძენი იყო, რომ ბრძანა, ვინც, _ «კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო!»

რა ეგონა, აბა, ნოეს როკაპ ცოლს, ნაზიბროლას, ფილოლოგი კაცი რომ ლანძღვა-გინებით აიძულა, გაბუხჰალტრებულიყო?! ერთადერთხელ გამოიყენა გულიანად, ძლივ-ძლივობით ნასწავლი კალკულატორი და ასევე ძლივ-ძლივობით ნასწავლი კომპიუტერის თაგუნა და ისიც იმისათვის, ცხვირ-პირი მშობლიური ყაყაჩოსფერით გადაეღებ-გადმოეღება ტატა მენეჯერისთვის.

აი, რა შესძლებია ჭეშმარიტ სიყვარულს!

ყულფი

მაგიდასთან ახალგაზრდა ქალი ზის და წინ დადებულ, გაურკვეველი ხელით ნაწერ წერილს ფაქიზად ათვალიერებს:

«გიგი!

როცა ამ წერილს მიიღებ, მე ცოცხალი აღარ ვიქნები. ძვირფასო, მინდოდა, გუშინვე მეთქვა ეს შენთვის, მაგრამ შემოგხედე დაღლილ, ფიქრიან თვალებში და შემეცოდე. მაპატიე, მაპატიე, რომ თავს ვიკლავ, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია, «ეს არის ერთადერთი გამოსავალი!» _ ვუთხარი ჩემს თავს გაღვიძებისთანავე და იმ წუთსვე შევუდექი სამზადისსაც.

დიახ, მე თავს ვიკლავ და ამით მორჩება ყველაფერი. ამით დაესმება წერტილი ჩვენს ტანჯვას _ ჩემსას, შენსას, შენი ცოლისას!

საყვარელო, მე არ ვნანობ! თუნდაც იმიტომ ღირდა ჩემი მოსვლა ამქვეყნად, რომ შენ მენახე და არა მარტო მენახე, შემეყვარებინე კიდეც.

ოთხი თვე! ვინ რა იცის, რა ოთხი თვე იყო ეს ოთხი თვე ჩემთვის! 120 დღე, 2880 უბედნიერესი საათი! მოლოდინით, მღელვარებით, სიყვარულითა თუ სიხარულით გაჯერებული წუთები, წამები... «როგორც იქნა, გიპოვე, ჩემო დაკარგულო ნახევარო, როგორც იქნა, გიპოვე, მაგრამ რა გვიან!». _ ახლაც ჩამესმის შენი ტკბილი ხმა, შენი ნაღვლიანი ხმა. ჩამესმის და ვტირი, ვტირი ჩემს უბედურებასაც, შენს უბედურებასაც... რატომ არიან ადამიანები ასე გულქვანი, რატომ არ აძლევენ ერთად შეყრის უფლებას ერთმანეთის მპოვნელ ნახევრებს... რატომ გადაეღობა ჩვენს სიყვარულს შენი ცოლი, _ ადამიანი, რომელიც მხოლოდ შემთხვევის წყალობით გახდა შენი შვილების დედა?! მე არ მინდა, სიკვდილის წინ მაინც, ცუდი რამე ვთქვა მასზე, მაგრამ რატომ არის ასე შეუგნებელი, რატომ არ გაუფრთხილდა შენს სიმშვიდეს, რატომ არ მოგცა შესაძლებლობა ყოფილიყავი ბედნიერი, გეცხოვრა მშვიდად და ადამიანურად? არა, არ მესმის, რად უნდა, გვერდით ჰყავდეს ადამიანი, რომელიც მხოლოდ ხორცით იქნება მასთან და არა სულით...

ვკვდები, მაგრამ, მაინც ბედნიერ ადამიანად ვთვლი თავს, იმიტომ, რომ არა მარტო ერთხორც, ერთსულადაც ვიყავი შენთან.

ჩემო კეთილშობილო ვაჟკაცო... «ბავშვები, ბავშვები მეცოდებიან, ვერ მივატოვებო,» _ მითხარი, მითხარი და თანაც შიშით შემომხედე. ო, ნუთუ იფიქრე, რომ ამის გამო რისხვას დაგატეხდი თავს? ან კი თუ ჩემთან იცხოვრებდი, ნუთუ გეეჭვებოდა, რომ ღვიძლი შვილებივით შევიყვარებდი მათაც?! მე მესმის შენი. მესმის შენი კეთილი გულის და ამიტომ კიდევ უფრო მეტად მიყვარხარ. ნუ მიატოვებ ბავშვებს, გაზარდე ისინი შენნაირ კარგ ადამიანებად და ზოგჯერ-ზოგჯერ მოუყევი ლამაზი ზღაპარი შეყვარებულ ქალ-ვაჟზე, რომელთა ბედნიერებასაც ქვეყანა გადაეღობა წინ. მოუყევი, როგორ ვერ გადაიტანა ქალმა ვაჟთან განშორება და როგორ წავიდა სულების სამეფოში, რომ იქიდან ელოცა საყვარელი ადამიანისთვის.

ძვირფასო, დამპირდი, რომ ვაჟკაცურად გადაიტან ამ ამბავს. დამპირდი, რომ არაფერს აუტეხ თავს, არაფერს აგრძნობინებ ცოლს, საწყალ, გაუნათლებელ დედაკაცს, რომელსაც არ ესმის და ვერც გაიგებს, რანი ვიყავით ჩვენ ერთმანეთისთვის... ღმერთმა შემინდოს... მივდივარ მშვიდი და ბედნიერი... ვიცი, დაცარიელდება შენთვის სამყარო, ვიცი, ხშირად მოხვალ ჩემს საფლავთან...»

«საფლავთან» ქალი წამით შეჩერდა, წამიერადვე წაიქვითინა კიდევაც და კვლავ განაგრძო წერილის ფაქიზად გადათეთრება: *«მოხვალ და ატირდები, მაგრამ ჩემი სული, ჩემი ლოცვა მოგცემს ძალას, შეგმატებს რწმენას და გაგაბრუნებს უკან, შენი შვილებისაკენ. ღმერთი იყოს შენი მფარველი. მშვიდობით, ჩემო სიყვარულო. მარად შენი ლილი».*

ქალმა კიდევ ერთხელ გადაიკითხა გადათეთრებული ბარათი, შავი პირი უჯრაში ჩადო, ფაქიზი _ კონვერტში, წააწერა კონვერტს მისამართი, ადრესატის სახელი, დაადო ზედ ხუთლარიანი და მეზობლის უმუშევარ ბიჭს გასძახა. ხუთლარიანით სახეგაბრწყინებულმა ბიჭმა ყურადღებით მოისმინა, სად უნდა მიეტანა ბარათი, რა დროს და რა ვითარებაში გადაეცა იგი ადრესატისთვის.

* * *

თმაგაწეწილი, კისერზე ყულფჩამოცმული ქალი იატაკზეა გაშხლართული, აბრეშუმის სქელი თოკის ბოლოც იქვე გდია, იატაკზე, გველივითაა გაკლაკნული. არეულ-დარეული მაგიდაც სასიკვდილო იარაღებითაა სავსე: ბასრი დანით, დაობებული კონსერვით, გამწვანებული ძეხვით, აგურით, ელექტროდენში შესაერთებელი გაშიშვლებული მავთულებით და რაღაც აბებით.

კარზე გააფთრებით არახუნებს ვიღაც, მერე ფანერის ძველი კარი ანჯამებიანად წყდება ჩარჩოს, საშინელი რახუნით ეცემა ქალის სიახლოვეს და ზედ კლინიკური შეშლილის ქანდაკებასავით ისვეტება ზორბა, საკინძემოღეღილი და ბუღასავით თვალებაბრიალებული ახალგაზრდა კაცი.

კარის დაცემისაგან შეშინებული, კისერზე ყულფგამობმული ქალი თვალებდაჭყეტილი შეჰყურებს კაცს, რომელიც მეყსეულად იმუხლება და ქალის დაჭყეტილი თვალების დანახვაზე თვითონაც არანაკლებ აჭყეტს ისედაც საცრისხელა თვალებს.

_ მაშ, ცოცხალი ხარ, ცოცხალი?!

_ ეტყობა... თოკი... _ ძლივგასაგონად კვნესის ქალი.

_ მაშ, ცოცხალი ხარ, არა? ცოცხალი! _ ჯერ შვებით იცინის, მერე ისევ შუბლს იკრავს კაცი და თითქოს უნდა უფრო ნათლად დარწმუნდესო, ყბაზე წავლებული ხელით უხმოდ უტრიალებს თავს აქეთ-იქით.

_ ჩემო... _ კვნესის თვალებმილულული ქალი.

_ მაშ ცოცხალი ხარ, არა? ცოცხალი! მე შენი დედა კი.. შენი! _ უცებ ღრიალებს კაცი, _ რაო, რაებს ბოდიალობდი იმ წერილში?! შენ თუ თავის მოკვლა გინდა, მე რა შუაში ვარ, მე რაზე მხვევ შარში, შენი მკვდარიც... და შენი ცოცხალიც... მე შენი, ჰა? რაო, რაო?! _ უკვე ფეხზე დგება და წაქცეულ კარზე, ამჯერად უკვე დოინჯშემოყრილი დგება კაცი, _ რაებს არახუნებ? რა ნახევარი, რის მეოთხედიო?! ჯერ ერთი, მე ეგეთი ლამაზ-ლამაზი სიტყვები ცხოვრებაში არ მითქვამს შენთვის და მეორეც, ჩემს ცოლს რომ ლანძღავ, გაუნათლებელიო, შენ მყავხარ განათლებული?! რაო, რაო, რა ზღაპრები მოუყევი შენს შვილებსაო? რა შეყვარებულებიო, რის შეყვარებულებიო? ბელაია გარიაჩკა ხო არ გჭირს, შე უბედურო, შენნაირი ოცდათხუთმეტი მყავს გამოცვლილი და ვიდრე დავბერდები, სამასოთხმოცდათხუთმეტზეც ავა ალბათ, ყველამ შენსავით თუ დაიკონწიალა თავი ჭერზე, საღოლ მე, კი ვიქნები მაშინ გინესის წიგნში

შესატანი ჩემი ორფეხა ჩურჩხელებით, თქვენი დედა... თქვენი, ყოფილისაც, ახლანდელისაც და მომავლისაც! აი _ ეხლა მაგ თოკით რომ აგითრევ და სოლოლაკიდან მოედნამდე ხათქა-ხუთქით ჩაგარიხინებ, მერე დაიმახსოვრებ კარგად, როგორ უნდა ახსენო ჩემი ცოლი. ვინაა გაუნათლებელი, შე ახვარო, ორი დისერტაცია აქვს უკვე ჯერ კიდევ ამ ასაკში დაცული. ჩემი ცოლი რომაა, ჩემნაირი ხო არ გგოგნია, კაპუეტო, ძალით მყავს მოტაცებული, შვილები არ უნდა უმამოდ გაზარდოს, თორემ აქამდე ცხრაასჯერ მიმატოვებდა, ისეა ჩემგან და შენნაირი ქუჩის ქალებისგან გაწამებული. რა გინდოდა, ხომ გიხდიდი პატიოსნად საფასურს, მეტი რა, ქალიშვილი ჩამბარდი, შეგაცდინე თუ ცოლობას გპირდებოდი? ეს რაები მოგიჩმახავს, შენი! დაგესიზმრა ეგეთი რამეები თუ?! რა ვიცი, სიყვარული მეც გამომივლია, მაგრამ შენ ვერ შეგატყვე ეგეთი რამეები?! _ კაცი კარის პიედესტალიდან ჩამოდის, ოთახში იწყებს ბოლთის ცემას ღრმადჩაფიქრებული და ზურგზე ხელებდაწყობილი, თოკის ბოლოსთან ჩერდება მოულოდნელად, _ მაშ თავის მოკვლა გინდოდა სიყვარულის გამო, არა? კაცმა რომ თქვას, მითხარი ერთი, რამ შეგიშალა ხელი? თოკი გაწყდა? ამ თოკს რა გაწყვეტდა, _ კაცი ჭერს აჰყურებს თვალებმოჭუტული, მერე თოკის სიგრძეს ზომავს თვალით _ სამი მეტრის სიმაღლე მაინც აქვს ამ ჭერს, ან ჩამობმით სად ჩამოაბი ეს მეტრანახევრიანი, ან დარჩენილი მეტრანახევრიდან როგორ გაიშოტე ძირს ეგრე ნარნარად, ჰა? აა.. აა.. _ თავს აქნევს ღრმადჩაფიქრებული კაცი, _ გეგონა, მეჩვიდმეტე საუკუნის მეთოდით შემაბამდი, არა?! _ რაც ძალი და ღონე აქვს, ურახუნებს წიხლს ჯერ ისევ გაშოტილ ქალს კაცი, _ თვალებიც რომ მართლა მკვდარივით აქვს დახუჭული?! ეხლა, მე შენ მართლა თუ არ ჩამოგაკონწიალე მაგ თოკით, კაცი არ ვიყო! _ გაცეცხლებული კაცი თოკის ბოლოს იღებს და ნელ-ნელა იხვევს მკლავზე. თოკი თანდათან მოკლდება და თმაგაწეწილ და შიშისგან ხელახლა თვალებდაჭყეტილ ქალს ყულფი უკვე მჭიდროდ ეკვრის ყელზე. ქალი მექანიკურად მიჰყვება ზემოთ აწეულ თოკს და უკვე ფეხზე დამდგარი, ახრიალებული ამაოდ ცდილობს თავიდან ყულფის გადაძრობას.

_ ფუჰ, შენი! ბოზიც რომ აღარ ჰგავს ბოზს?! ისიც ვეღარ ეტევა თავის ადგილას. ყველაფრით როგორ სპეკულიანტობენ, რა საუკუნეა, მე ამათი! აღარ ახსენო ჩემი სახელი და მით უმეტეს ჩემი ცოლის, თორემ... _ კაცმა ღონივრად წაჰკრა ხელი ქალს, კუთხეში კისერზე წამოცმულ ყულფიანად მიაგდო, კარს გადააბიჯა და კიბეზე გინება-გინებით დაეშვა.

ქალმა კვნესით წამოსწია წელი, ყულფი წვალებით გადაიძრო კისრიდან და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ წყევლა-კრულვით ეცა მობილურ ტელეფონს:

_ რა მიქენი, შე გაოხრებულო, შენ, ეგაა, რომ მპირდებოდი, ერთ დღეში აგიწყობ ცხოვრებასო? ასე აწყობილმა იარეთ მთელი ცხოვრება შენც და შენმა მონაგარმაც!... დიახ, დიახ, ბატონო, შენი დაწერილი წერილიც სიტყვა-სიტყვით გადავწერე და ყველაფერიც ისე გავაკეთე, როგორც მითხარი... ყულფიც, აბებიც, დანაც, კონსერვიც, ჭირიც და სიკვდილიც! _ წივილ-კივილს უმატა ქალმა, _ არაფერი არ დამვიწყებია და რა მივიღე სანაცვლოდ, კინაღამ თავისი ხელით ჩამომაკონწიალა იმ გასიებულმა ღორმა... გაწეწილიც ვიყავი და გაშოტილიც... ყულფი კი არა, ქალო, ბედი ჩემი, გადმონგრეული კარი არ დამეცა ზედ, - წიხლით შემოლეწა, ვიდრე მართალი ეგონა... ძალიან კარგად ვითამაშე, მაგრამ ეგრევე იყიდა იმ ახვარმა და რა მექნა, გითხარი, კინაღამ საკუთარი ხელით დამახრჩო-მეთქი... რა-ა?! შენ რა გენაღვლებოდა, ასედაც მოგებული რჩებოდი და ისედაც! მე არ ვიცი, სადაც გინდა და როგორც გინდა, ისე იშოვე ჩემი სამასი დოლარი და დამიბრუნე პროცენტიანად, ორი თვეა ბინის ქირა არ გადამიხდია, მე რა, სამსახური მაქვს, თუ?.. კი ბატონო, გჩუქნიდი, თუკი შენი ნასწავლი ხერხი გაჭრიდა, მაგრამ... არა, არა, ვერ მოგართვი... რაო, რაო? გოგასთვის გადავწერო? გიჟი ხომ არა ხარ, გოგას მასწავლი შენ? ეგრევე ჭირიანი ქათამივით წამაძრობს თავს, თუ, გინდა, ახლა გოგაც დამაკარგინო! გითხარი და გავათავე, _ ორ დღეში დამიბრუნებ, თანაც პროცენტით! ... რაო, რაო? ოთხჯერ შენ გათხოვდი ამ ხერხით და ხუთი სხვა

გაათხოვე?... არ ვიცი, ბატონო, მე შენი ჟურნალისტობა, დამიბრუნე ჩემი ცოდვა-ჭირით ნაშოვნი ფული... ხომ გითხარი, ვიცი, რომ ჟურნალისტი ხარ, მჯერა, როგორ არ მჯერა, «სარკესაც» ვკითხულობ და «სავარცხელსაც», «თბილისელებსაც» და «წალენჯიხელებსაც», «გზასაც» და «ხრამსაც», მაგრამ... რაო? ყველაზე დიდი ბიზნესი სწორედაც რომ სიტყვით კეთდება?!... პრეზიდენტებიც და პარლამენტარებიც ლამაზ-ლამაზი სიტყვებითა და გრძნობებზე თამაშით?.. მერე ნორმალურები უჯერებენ ხოლმე?!.. ბრიყვი და უტვინოა უფრო მეტი?.. რაა? აჩი?! აჩი ვიღაა, ქალო, რა აჩი, რის ბაჩი, ცხოვრებაში არ მცნობია ეგეთი ვინმე... თვალით არ მინახავს და ეგეთები მივწერო?!... ახალს დამიწერ და დამანახებ კიდევაც? ვინაა, რას წარმოადგენს?... მაღალი კი ბატონო, მაგრამ გამხდარ-გამხმარი და კაცის ჩირი მინდა ახლა მე, თვითონაც ძლივს ვდგავარ ფეხზე?.. აა, ბინა აქვს, პატრონი არ ჰყავს და ბანკში მუშაობს? რაც მთავარია, ბრიყვია და ნაღდად წაებმება?... ცხვირს ვჩივი, შე ქალო? ოცდამეერთე საუკუნეში ცხვირი რაღა პრობლემაა, ვითომ... აჰა, ესე იგი, თითქოს ხუთი წელია უნუგეშო სიყვარულით ვიტანჯები, ხომ? რა ვიცი, აბა, კარგად დამიკონკრეტე მაგისი ხუთი წლის ისტორია... სურათიც მინდა და ნახვაც. ჯერ შორიდან დამანახე, ხუთი წელია, რაც გიჟივით მიყვარს თურმე და გარეგნობით ხომ მაინც უნდა ვიცოდე, რანაირია, რას წარმოადგენს და რამსიგრძეა ბოლოსდაბოლოს ის ოხერი ცხვირიც... კაი, კაი, ხვალ ორ საათზე პარლამენტის წინ... მოხსენებაც, ფუჰ, მოხსენება კი არა, წერილიც გამზადებული გქონდეს ბარემ, ჩაო!

ქალმა საწოლზე მიაგდო ტელეფონი. რატომღაც გახალისებულმა წყნარად წაიღიღინა: «აჩი, აჩუუ... აჩი, აჩუუ...» და უცებ ძირს გართხმულ კარს და ზედ მიგდებულ ყულფს ჰკიდა თვალი. მცირე ფიქრის შემდეგ ქალმა სათუთად აახვია ყულფგამონასკული თოკი, უჯრაში შეინახა და კართან უიმედო ჭიდილის შემდეგ ჩანთიდან ლარიანი ამოიღო.

_ რაფოო! _ გასძახა მეზობელ უმუშევარ ბიჭს.

მეცამეტე მგზავრი

საქალაქთაშორისო სამარშრუტო მიკროავტობუსში სულ თორმეტი მგზავრია, ის-ისაა, უნდა დაიძრას, მეცამეტეც ამოდის, _ შუახნის, ჯირკუტანა, მწითური, ქაჩალი და წითლად სახეალაპლაპებული, აქოშინებული მამაკაცი. ავტობუსი ის-ისაა კვლავ უნდა დაიძრას, რომ კარს შემოდგომის აბეზარი ბუზივით ასკდება მეთოთხმეტე მგზავრიც, _ შავტუხა, სუსტი აღნაგობის ჩვიდმეტ-თვრამეტიოდე წლის ყმაწვილი. კარი იხურება, ორივე მგზავრი სალონისაკენ შეტრიალებულ სკამზე თავსდება გვერდიგვერდ, ორივეს პოლიეთილენის პარკი უჭირავს ხელში, მწითური ღიპსა და მუხლისთავებს შუა იბინავებს თავის შავ, საკმაოდ შელახულ პარკს, შავტუხა ფეხებს შუა იდებს, თეთრსა და მთლად ახალთ-ახალს. მანქანა დედაქალაქიდან ერთ-ერთი, ძვირფასი საბადოებითა და მოსახლეობის უკიდურესი სიღატაკით ცნობილი ქალაქისაკენ იღებს გეზს.

მწითური მამაკაცი ქოშინს ამთავრებს, დიდი შავი ცხვირსახოცით თავ-პირს იწმენდს და რატომღაც ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი იერით რიგ-რიგობით ათვალიერებს თითოეულ მგზავრს. მისი მოჭუტული მზერა შუა სკამზე მჯდომ, შუახანს მიტანებულ, ფერმკრთალ, ჯერ ისევ ძალიან ლამაზ, თავჩაქინდრულ და ღრმადჩაფიქრებულ ქალზე ჩერდება.

კაცი თითს იშვერს ქალისკენ და მოულონელად ყვირის:

_ მერი... ხომ?!

ქალი შეშინებული წევს თავს მაღლა, დაბნეული შეჰყურებს მამაკაცს.

_ მერი... ამაღლობელი! აი, ხომ ხედავ, გვარიც გამახსენდა! _ ყურებამდე გაღიმებული მამაკაცი თვალებს ეშმაკურად წკურავს, _ არ მითხრა ახლა, ვერ გიცანიო!

ქალი უხერხულად იშმუშნება და მისკენ შემოტრიალებულ უკლებლივ ყველა მგზავრს მორცხვად არიდებს მზერას.

_ როგორ ვერ გიცანით, მით უმეტეს, სახელმწიფო გარდაქმნის შემდეგ თითქმის ყოველდღე ტელეეკრანზე არ გხედავთ? _ მხრებს იჩეჩავს ქალი, _ გამარჯობა, ნოდარ!

_ ოჰო-ჰო, რა იყო; უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი... სამოცდაათიანი წლები... _ ხმამაღლა ხითხითებს მამაკაცი, _ რას შვრები, ახლა, როგორ ხარ?

_ არამიშავს, _ კვლავ უხერხულად იშმუშნება ქალი.

_ მე კარგად. _ მგზავრებს ათვალიერებს კაცი, _ გათხოვდი?

_ არა. _ ყაყაჩოსავით წითლდება ქალი.

_ რა-ა? _ არ ესმის მამაკაცს ქალის პასუხი, _ ვერ გავიგე, გათხოვდი? _ კითხვას უფრო ხმამაღლა უმეორებს.

_ არა! _ უანგარიშოდ უწევს ხმას ქალიც.

_ ეეჰ, აბა შენა ყოფილხარ! რატომ არ გაყევი იმ ბიჭს, დარეხვილივით რომ უყვარდი, იცი, რა თანამდებობაზეა ახლა? რესპუბლიკის გენპროკურორია კაცი, _ თავს დანანებით აქნევს მამაკაცი, _ სიმართლე გითხრა, გამიკვირდა, აქ რომ დაგინახე, მეგონა, შენ ჰყავდი ცოლად და სწორედ ამ დღეებში ვაპირებდი ტელეფონით შენთან შეხმიანებას. ლამის თავს იკლავდა შენი სიყვარულის გამო კაცი და..

_ მე... მე არ მიყვარდა და... _ იშმუშნება უფრო გაწითლებული ქალი, უხერხულობისგან აღარ იცის რა ქნას.

_ ისიც ყოფილა, რა! _ ცხვირს ზიზღით იბზუებს ჯირკუტანა, _ არც მე ვუყვარდი ჩემს ქალს, მაგრამ იმას ვკითხავდი? დავტაცე ხელი და მოვიტაცე, როგორც კი დავამთავრეთ. ოჰო-ჰო, რა იყო... მამამისი აღმასკომის მდივანი, მილიონერი, თბილისელი... _ მამაკაცი ხითხითებს, ისე ხითხითებს, ლამისაა დაიხრჩოს, ღიპიც ყიპყიპით ხტის ადგილზე, გაძალებული შავ, პოლიეთილენის გატიკნულ პარკს უჯიკავებს გადასაგდებად, ხომ ხედავ, ერთად ვერ ვეტევითო, _ მე, ერთი გაძვალტყავებული სოფლელი, უსახლკარო და უმუშევარი... მამა უცხონდა, ჩემზე კაი ბიჭს იშოვიდა, თუ... აგერ, დაიწუნე და ქე ზიხარ გაუთხოვარი. სამი ბიჭი გვყავს, ორი იურისტია, ერთი ეკონომისტი. ლონდონსა და ჩიკაგოში მიიღეს განათლება, მაგარ ადგილებზე არიან გაჩითულები, აბაა! რას შვრები შენ, მუშაობ?

_ დიახ. _ ლუღლუღებს ქალი.

_ სად?

_ სკოლაში.

_ აუჰ! შენსავით ნიჭიერი არავინ იყო ჯგუფში, ასპირანტურაც დაამთავრე, დისერტაციაც დაიცავი და სკოლისთვის? ან რაღა დროს ფილოლოგობაა, ამ გაქანებული გლობალიზაციის დროს. ვერ აუღე ალღო თავის დროზევე, რაც ხდებოდა? ვერ შეიცვალე პროფესია, ინგლისური მაინც გესწავლა, შექალო და კომპიუტერი, სხვა თუ არაფერი. პერესტროიკა დაიწყო თუ არა, მე ჯერ პარტბილეთი დავხიე, მერე ეროვნულ მოძრაობაში გადავედი, გაზეთი დავაარსე, პოლიტიკური პარტია შევქმენი... მცირე ბიზნესსაც მოვკიდე ხელი. პარლამენტის წევრი გავხდი, სოროსის ფონდი, წილები მინერალურ წყალში, ხე-ტყეში, ნავთობში... რამე, რუმე... _ ღაბაბი ლამის მკერდზე ეფინება სიამაყისგან ინდაურივით გაფუყულ მწითურს, _ ქალს აღარც უყურებს, მგზავრებს ათვალიერებს სათითაოდ, აქაოდა, კარგად შემომხედეთ, ეს ვინა ვყოფილვარო! უკლებლივ ყველა მგზავრი დუმს, უკლებლივ ყველა ძონძების მაღაზიის მანეკენივითაა შემოსილი, მასავით კუშტი და მზერაგაყინულია და მწითური ისევ თანაკურსელი ქალისაკენ იხედება, _ მდაა... და, რამდენი გაქვს ხელფასი?

_ ოცდათვრამეტი ლარი, _ ლამისაა ატირდეს ქალი.

_ აუჰ... მე შენთან შედარებით... _ ბჟირდება კაცი, მოკლე მკლავებს ერთმანეთზე აჭდობს, უკვე თავისუფლად აყიპყიპებულ ღიპზე იწყობს და ისევ სათითაოდ, ოღონდ ამჯერად შეფარვით ათვალიერებს მგზავრებს, _ სად ცხოვრობ?

_ ვაკეში... ვცხოვრობდი... გავყიდე გაჭირვების გამო და ახლა აქ... ერთოთახიანი... _ უანგარიშოდ აბარებს ანგარიშს მთლად ოფლადგაღვრილი ქალი და მისკენ შემოტრიალებულ დამწუხრებულ მგზავრებს კვლავ არიდებს მზერას, _ საკუთარი, მრავალგზის დაკერებული ფეხსაცმლის ჭვინტს ითვალიერებს.

_ მე ვცხოვრობ ახლა ვაკეში. ექვსოთახიანი ვიყიდე ჭავჭავაძეზე, ახალი სტანდარტებით აშენებულში. _ ღირსეული სიდინჯით ამბობს უცებ კაცი, _ გახსოვს, სტუდენტობისას სოლოლაკში რა სორო მქონდა ნაქირავები?.. შენი მშობლები პროფესორები იყვნენ, არა? თანაც, თუ არ ვცდები, რეპრესირებულების შვილები.

_ დიახ. _ მოწაფესავით უქნევს თავს ქალი.

_ ცოცხლები არიან?

_ არა.

_ ჩემები ცოცხლები არიან. ჩამოვიყვანე სოფლიდან. ვაკეში ვუყიდე იმათაც. მოსამსახურეები, რამე, რუმე... წყლები, კურორტები.. ჰოო... შვილებიც ცალ-ცალკე ცხოვრობენ, ვაკეში, ისინიც... მანქანები, კომფორტი, რამე... ერთი შვილიშვილიც მყავს უკვე...

_ ღმერთმა გაგიზარდოს. _ წყნარად ამბობს ქალი.

_ გმადლობ... ახლა, რა მინდა გითხრა, იცი? მოიცა, სად ცხოვრობ ამჟამად?

_ იქ, სადაც ეს ავტობუსი მიდის! _ რატომღაც უკვე წარბს იკრავს ქალი. ახსენდება, სტუდენტობისას როგორ ხედავდა ამ, უნივერსიტეტში მხოლოდ სიწითლით, მეტი არაფრით გამორჩეულ კაცს ყოველთვის ლექტორების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს კი ყოველთვის ლიდერების უკან ფინიასავით ატუზულს და საკუთარ თავზე ერევა ბრაზი: «თანაც დამნაშავე მოსწავლესავით რომ ვპასუხობ?!»

_ ჰო, და ჩემო მერი, ბედი გქონია, რომ შემხვდი... ამდენი წლების შემდეგ პირველად ჩავჯექი საზოგადოებრივ ტრანსპორტში და... რას მეჯახები, ბიჭო, ვერ ეტევი შენს ადგილზე?! _ მოულოდნელად გაალმასებული უტატანებს გვერდით მჯდომ გალეულ შავტუხას მწითური და მძღოლისკენაც ასევე გაალმასებული ცდილობს უკისრო თავის შეტრიალებას, _ შენ კიდევ, წესიერად ვერ წაიყვან?! ვაა, ესენი ვინ ყოფილან!.. ჰო, რას ვამბობდი? რას ვამბობდი და ბედი გქონია, ჩემო მერი, რაღაი დღეს შემხვდი. მოდი და ნუ დაიჯერებ მართლა ღმერთის არსებობას! გადმოგიყვან დღესვე იმ შენი უბადრუკი სკოლიდან ჩვენი პარტიის ოფისში და დაგაკისრებ კიდეც საპატიო მოვალეობას, ჩემთვისაც კარგი იქნება და შენთვის ხომ იქნება და იქნება! თქვენს ქალაქში მინდა ვიყარო კენჭი ხელახლა, მაჟორიტარ დეპუტატად და ვის ვნახავ არჩევნების დროს შენზე უფრო საიმედოს და ერთგულს. ხელფასსაც გემრიელს დაგინიშნავ და რომ გავიმარჯვებ, სტაბილურ სამსახურსაც ისეთს გაგიჩითავ, რომ... ჰა, რას იტყვი?

ქალი ისევ თავჩაქინდრული ზის და დუმს.

შავტუხა ყმაწვილი მძღოლს მხარზე ხელის დადებით ანიშნებს, გააჩერეო, მგზავრობის საფასურს უხმოდ და სწრაფად იხდის და უხმოდვე ჩასული საშინელი ხმაურით აჯახუნებს კარს გარედან.

«გიჟია ეს ოხერი, სად ჩავიდა, ახლო-მახლო რაიმე დასახლება კი არა, ხე რომ ხეა, ისიც არსადა ჩანს, რა არი რო, ამ პაპანაქებაში თავი მაინც შააფაროს კაცმა. ეტყობა, რაიმე დაავიწყდა თბილისში და უკან გადაწყვიტა დაბრუნება,» _ ზარმაცად ფიქრობს მძღოლი, რატომღაც საშინელ ხასიათზეა და გაავებული გაჰყურებს გზატკეცილზე ჭიანჭველების ქარავანივით გაბმულ აქეთ-იქით მქროლავ მანქანებს. _ ბოლოს და ბოლოს ეს შენი მოქალაქეობრივი მოვალეობაცაა. _ მანქანის დაძვრისთანავე აგრძელებს ქალთან საუბარს

კარის მოჯახუნების გამო მცირე ხნით აღშფოთებული მწითური, _ არ გეგონოს, გამარჯვებაში იოტისოდენად მაინც მეპარებოდეს ეჭვი, უბრალოდ, მინდა, რომ ჩვენ ყველამ ერთად ვიზრუნოთ ჩვენი სამშობლოს მომავლისათვის, _ კაცი მამულის ჭირ-ვარამით შეწუხებული ადამიანის სახეს იღებს, თითოეულ მგზავრს სათნოდ უღიმის და ოხრავს, _ ვისაც როგორ შეგვიძლია, ისე უნდა მივიღოთ არჩევნებში მონაწილეობა, _ ვინ დეპუტატად, ვინ დამხმარედ, ვინ ხმის მიმცემად. ჩვენ-ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი უნდა მოვიხადოთ ყველამ; ყველამ ერთად უნდა ავაშენოთ ეს დანგრეული ქვეყანა, თორემ სანამდე დაგვეხმარება ან ამერიკა და ან სოროსი. კი ბატონო, ფულს გვაძლევენ, იმასაც გვასწავლიან, რა როგორ გავაკეთოთ, მაგრამ მარტო ფული და მარტო სწავლებაა? ხომ უნდა გამოვიღოთ ჩვენც ხელი და ყველაფერი ისე გავაკეთოთ, როგორც ეს ჩვენს კეთილ მეგობრებს სურთ და როგორც ქვეყანას აწყობს? ჰო... აფხაზეთია დასაბრუნებელი, სამაჩაბლოა შემოსაერთებელი... ვინ უნდა შეასრულოს ეს მოქალაქეობრივი ვალდებულება... თქვენ, თქვენმა შვილებმა, ჩვენი დახმარებით, რაღა თქმა უნდა. თქვენია, ბატონებო, ეს ქვეყანა, თქვენ უნდა მოუაროთ უპირველეს ყოვლისა, რაღა თქმა უნდა, ჩვენი დახმარებით. მოკლედ, ჩემო მერიკო, დღესვე გადმოხვალ ჩვენს ოფისში!

კორიდისათვის გამზადებული გაცოფებული ხარების თვალები მონაგონია, იმისთანა თვალების ბრიალით მისჩერებია თორმეტივე მდუმარე მგზავრი სიცხისა თუ წინასაარჩევნო გამოსვლის გამო მთლად წითლად აპარპალებულ ჯირკუტანას.

ჯირკუტანა კი მხოლოდ ერთს შეჰყურებს და ფრიად განცვიფრებულია მისი გამომეტყველების გამო:

_ ქალო, გაჭირვებიდან მინდა ამოგიყვანო და.. ოჰო-ჰო, რას გავახარებ იმ შენს მარადიულ თაყვანისმცემელსაც! _ კოტიტა ხელებს უცებ სიამოვნებით იფშვნეტს კაცი, _ საცოდავმა, ალბათ, ასავალ-დასავალიც კი აღარ იცის შენი და უცეებ... მოიცა ერთი, ჩამაწერინე შენი ტელეფონი, ერთი ერთზე უკეთესად აგიხსნი ყველაფერს, _ კაცი ჯერ ჯიბეებს ისინჯავს, მერე ეცინება და ამჯერად უკვე მუხლების მაგიერ მუხლს ქვემოთ დადებულ პოლიეთილენის პარკს იმარჯვებს, _ აქ ჩავაწყე ყველაფერი, მობილურიც, საბუთებიც და... და, რა არის ეს?!.. ეს რა არის?! რა არის ეს... ეეს! _ კაცი შეშლილივით ყრის თეთრი პარკიდან ჭუჭყიან საცვლებს, დახეულ წინდებს, გასარეცხ ბალიშისპირს, ზეწარს, პირისსაპარს, იაფფასიანი პაპიროსის ორ კოლოფს, კბილის ჯაგრისს... ცარიელ პარკში ჯერ შიგნით იხედება, მერე გარედან ათვალიერებს, _ თეთრია! თეთრი კი არა, შავი იყო ჩემი... სპეციალურად ძველი, გახუნებული... _ ჩიკორივით ტრიალებს ადგილზე, სკამის ქვეშაც იხედება მუხლებზე წვალებით დაცემული, _ ჩემი შავი იყო, შავი! _ ყვირის და მოულოდნელად წინ მჯდომი დედაბრის შავ, პირთამდე გავსებულ პარკს აფრინდება. პანტა-პუნტით ცვივიან დედაბრის პარკიდან დაკერებული თუ დაუკერავი ფეხსაცმელები: დიდი ზომის, საშუალო ზომის, მცირე ზომის...

_ მომეცი, გაოხრებულო, ჩემი პარკი აქ, სამადლოდ მოუცია თავისი გამონაცვალი ნათესავს, რას აფათურებ შიგ ხელებს, არდასაცალებელო შენ! _ მკერდზე ბუზის საკლავივით უტყაპუნებს თავის გამხმარ ხელს გაცეცხლებული დედაბერი და პარკსა და ცალ, ლანჩაამძვრალ ფეხსაცმელს ძალით გლეჯს გაოგნებულ კაცს ხელიდან, _ რაც შენ აქ შენი სიმდიდრით იტრაბახე, არა მგონია, ამაზე გრჩებოდეს თვალი...

_ საბუთებიც... ასი ათასი! ღმერთო ჩემო! ასი ათასი დოლარი! განგებ... ჩემი ჯიპითაც კი არა, არავინ დამაყაჩაღოს-მეთქი... სპეციალურდ ძველი პარკით! _ ისევ ჩიკორივით ბზრიალებს კაცი, წითელი ჭორფლით გადაპენტილ სახეზე ღვარად ჩამოსდის ოფლი, უცებ თავში იცემს ხელს და გვერდითა ადგილს აკვირდება შლეგივით, _ აქ რომ მღილი... შავი, პატარა... ახალგაზრდა... სად, რა ადგილას?... გააჩერე! მობილური! ჰო, მობილურიც პარკში... ვინმემ, მობილური... რაცია... გააჩერე!

მძღოლი, ახალგაზრდა, ჯმუხი მამაკაცი სარკიდან ათვალიერებს ერთბაშად და თავშეუკავებლად ახარხარებულ მგზავრებს და თვითონაც ეშმაკურად თვალებაციმციმებული, მეყსეულად აჩერებს მანქანას.

_ მა აქამდე არ უნდა გცოდნოდა, რო ქარის მოტანილი ისევ ქარს მიაქვს ხოლმე? ა, ბატონო, ჩაბრძანდი ახლა და ეძებე ქარი მინდორში!

_ არ შეგარჩენთ! მოგსპობთ! გაგანადგურებთ ყველას! მაცადეთ, დედას გიტირებთ, დედას! _ უკისრო თავს მოულოდნელად ისევ სალონში რგავს ძირს ჩასული ჯირკუტანა და ბოლოს გინებით ახათქუნებს კარს.

_ აბა, ერთი თუ თავიდანვე წამოსცდეთ ხოლმე, რაც გულში უდევთ და რასაც მართლა გვიკეთებენ მერე. აი, მარტო ამანა თქვა სიმართლე წინასაარჩევნოდა და სიცილი დააყარეთ იმასაცა, ხალხი ხართ ეხლა თქვენა? _ ისე ხარხარებს მძღოლი, ლამისაა გზის იქით გადაუვარდეს მანქანა.

_ ეე, დედაშვილობას, სასაცილოდა გვაქვს საქმე, მართლა მოგვსპეს და მართლა გაგვანადგურეს უკვე, ამ სატანის მოციქულებმა ამათა... _ მძიმედ ოხრავს და მკერდზე სასოებით იხუტებს გამონაცვალი ფეხსაცმლით სავსე პარკს დედაბერი, _ მეტი რაღა უნდა გვიქნან... თუმცა ესენი ისეთი ღვთის პირიდან გადავარდნილები არიან და ისეთი ქამელეონ-გველხოკერებიი... აი, აქ იქნებით, მეტსაც გვიზამენ და უარესსაცა!

წუთის წინ გაცისკროვნებული თვალები ხელახლა უქრება ყველას.

მძღოლი სარკიდან ათვალიერებს მკვდარივით ფერდაკარგული მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ირგვლივ უნუგეშო ჭირისუფლებივით თავჩამოქინდრულ მგზავრებს, ჯერ თავს აქნევს თვითონაც უკვე ნაღველშეპარული, მერე კი უცებ მიკროფონს იღებს და ლაღი, ვაჟკაცური ხმით დასძახის:

_ «არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედაააა!..» რამ შეგაშინა დედი, არ გაგიგია, «წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო?!» სულ ეგრე არ იყო საქართველოს თავსა მთელი ცხოვ-რება? თურქიო, არაბიო, მონღოლიო, სპარსელიო, რუსიო, რა ვიცი, ვიღა არა, მაგრამ წავიდნენ და წაჰყვნენ წყლებსა. ეგენიცა რა, იფაფხურებენ, იფაფხურებენ და...

_ ეგრე როგორ იყო შვილო, იარაღით მოდიოდნენ ხოლმე კაცურადა და იარაღით ვხვდებოდით ხოლმე ჩვენცა; მწვანე დოლარებითა, თეთრი კბილებითა და შავი გულით მოსული უიარაღო მტერი რო უფრო საშიშია, მა მე უნდა გასწავლიდე ამხელა კაცსა?

_ ქრისტე ღმერთი რომ იმ ხვლიკისფერ დოლარებსაცა, იმ თეთრ კბილებსაცა, იმ შავგულებსაცა, ი შავგულების მსტოვრების ჭრელ გულებსაცა, როცა იქნება ფეხქვეშ რო გაიგებს და ისე გააყოლებს გამდინარ შავ წყალსა, მა შენ არ უნდა იცოდე და მე უნდა გასწავლიდე ამხელა ქალსა?! _ ისევ იცინის მძღოლი.

_ ღმერთმა გისმინოს შვილო, ღმერთმა და სულ წაღმა გატაროს შენი ქვეყნიანადა! _ ჯვარს სახავს და გულიანად ლოცავს მოხუცი მძღოლს.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს სახეზე სიცოცხლის ნიშანი ედება, თავს ახლად წყალდასხმული, მანამდე თითქმის მიმჭკნარი შროშანივით ნელ-ნელა სწევს და თვალზე ცრემლმომდგარი, ღიმილით გაჰყურებს გზას.

სიკო, მთავარი ფრონტის ჯერჯერობით რიგითი

ვახტანგი, ბებერ, მართალია, გამხდარს, ბუმბულშემოძარცულს, მაგრამ მაინც, არწივს ჰგავს; ყარამანი, ყარამანის გარდა ყველაფერს, უფრო ზუსტად, გაქუცულ ძერას წააგავს, სიკოს თვალებიდან კი პირწავარდნილი ეშმაკი ვირთხა იყურება გაფაციცებით.

სამივე სადილობს.

ვახტანგი მამაა ყარამანის, სიკო _ ძე ყარამანისა.

ბებერი არწივი ორიოდ ლუკმით კმაყოფილდება, თვალს არიდებს მწირ სუფრას და ისევ ტელეეკრანზე გადააქვს მზერა. სიკო და ყარამანი ისეთი გააფთრებით ატრიალებენ ყბებს, გეგონება, ერთმანეთი შეჯიბრში ჰყავდეთ გამოწვეული. ფინიშთან სიკო მიდის პირველი, ბოლო ლუკმასაც ის ეუფლება და ტრაპეზიც მთავრდება.

ეკრანზე ომს უჩვენებენ. ღმუილით დაჰქრიან ცაში უახლესი ტიპის ამერიკული ბომბდამშენები, ცეცხლი და კვამლი ასდის დაჭრილ და დაზაფრულ მიწას.

ვახტანგი გმინავს, ახსენდება მეორე მსოფლიო ომი, რომლის მონაწილეც თვითონაა. ლევანი ახსენდება, ოციოდე წლის თვალებმერცხალა შვილი, მამის დაბრუნებას რომ არ დაუცადა და ისე გავარდა თვითონაც ფაშიზმის წინააღმდეგ საომრად. სულხანი ახსენდება, უნიჭიერესი შვილიშვილი, ისიც ბიძასავით უკვე მარად ოცი წლის, აგერ, სულ ახლახანს რომ დაეცა ტამიშთან საყვარელი სამშობლოსათვის.

_ არ გევასება ჩემი ნაშოვნი მაყუთით ნაყიდი კაი თოხლი და იცმუცნე აბა თაგვივით, ასე. შენ იკითხე, თორემ, მე კი დავგაზავ ისედაც აქედანვე რესტორანში, _ ესისინება მხოლოდშობილი ძე ყარამანს, _ შენ კიდე, აღარ მოგწყინდა ამ ბათქა-ბუთქის ყურება, ტო?! ახლებურად შეხედე ცხოვრებას, დატკბი, რა, დატკბი, სანამ კიდევ გაქვს დრო: კინო, მუსიკა, რამე... დაიწყნარე, რა, ნერვები! _ თავზე ადგება ვახტანგს და ტელევიზორს უბოდიშოდ რთავს რომელიღაც არხზე, შიშველი ქალი და კაცი მრუშობენ კვნესა-გმინვით როკმუსიკის ფონზე, _ აი, ეს მესმის, ჯობია, რამე ამის ცქერას?! გამოდი, რა, გამოიბერტყე ყურები, რომელი საუკუნეა, ჩემი!

ყარამანს, ერთ დროს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების თავგადაკლულ დამცველს, რომელიც დემონსტრაციებისა თუ დროშის ფრიალისგან მოცლილობის ჟამს აღტაცებით უყურებდა ხოლმე უცხოეთიდან მოზღვავებულ ფილმებში გადმოფრქვეულ თავისუფალი ცხოვრების ამბებს, ამჟამად ჭირისდღესავით სძულს არა მარტო ასეთი ფილმები, არამედ მთლიანად ტელევიზორიც მის ეკრანზე გამობღენძილ თავისუფლად მოაზროვნე პოლიტიკოსებიანად და აქვს კიდევაც საამისო მიზეზი: საკუთარ თავზე გამოსცადა დემოკრატიისა და ადამიანისათვის მინიჭებული უსაზღვრო უფლებების ძალა. ქმრის იდეებით ფრთაშესხმულმა ცოლმან ყარამანისამ, ფილმებიდანაც და ჟურნალ-გაზეთებიდანაც კარგად შეისისხლხორცა თანამედროვე ცხოვრების ანი და ჰოე და ერთ, თავისთვის ჯერ-ჯერობით დიახაც რომ მშვენიერ, ყარამანისთვის კი ძალიანაც არამშვენიერ დღეს, ცოლად დაუჯდა თავისზე სულ რაღაც ოცდახუთიოდე წლით უმცროს, საუნა «პანდორას» მეპატრონე ვინმე ჰარი ხირიმაშვილს. ხოლო ჰარიმ, დაბადების მოწმობით გოჩა რომ გახლდათ, იმის მაგიერ, ოდნავ მაინც ეგრძნო სინდისის ქენჯნა, დასტურ, არა მარტო დაიცვა თავისი უფლება, ყარამანის ფეხიც ზედ მიაყოლა შენაძენს. ფეხი, რაღა თქმა უნდა, თან არ წაუღია, პატრონსვე დაუმაგრეს ექიმებმა თაბაშირით, მაგრამ ამას საყარამანო სხვა უბედურებაც დაერთო თან. გუდამშიერი სიკო, აქაოდა, გოიმი კი არა, თანამედროვე ახალგაზრდა ვაარ, ახალი იდეებით აღზრდილიო, მეორე დღესვე ეწვია ფულით სავსე თანატოლ მამინაცვალს, სიხარულით გაეცნო და ისეთი ჟინით შეუდგა მეგობრობის გაჩაღებას მასთან ერთადერთი სიმდიდრით, ვერცხლის ცალი საყურით, ყარამანი კი არა, ახლა უკვე მთავარი მოქმედი გმირი, დედა მირაშკაც შეჩქვიფდა და თანაც კარგა გვარიანად.

სამზარეულოდან მისაღებ ოთახში გასულ, ტელევიზორს განრიდებულ ვახტანგს არც შეუხედავს, რომელ ტალღაზე იყო მაჩვენებელი დაყენებული, ისე ჩართო რადიო და მოულოდნელობისგან გაშეშდა. ენით უთქმელ, უწმაწურ, ბილწ და ლირწ სიტყვებს სეტყვასავით აფრქვევდა ვიღაც კაცუნა... წუთში, ღორივით და თანაც ქილიკ-ქილიკით გადაუარ-გადმოუარა ყველაფერ ქართულს, ყველაფერ ტრადიციულს და უცებ აკისკისდა, ატკარცალდა, ათქართქარდა, აქსუტუნდა, ჩაბჟირდა შეურაცხადივით. ის იყო, ვახტანგმა

გაიფიქრა, ალბათ მომეჩვენა, როგორ შეიძლება ასეთი რამე რეალურად ხდებოდეს და ამას ნორმალური საზოგადოება ეგუებოდესო, რომ ვიღაც მეორემ დასჭექა საზეიმოდ და ხაზგასმით: «მეგობრობის რადიო! სიყვარულის რადიო! თქვენი ოჯახის რადიო! ანტიოც-ნებების რადიო! ჩემი ჩუმი ჩათლახური ჩანაფიქრის რადიო! რადიო 606» და ამჯერად უკვე ერთი კი არა, რამდენიმე კაცუნა აკისკისდ-ატკარცალდ-ათქართქარდ-აქსუტუნდ-ჩაბჟირდა ერთდროულად!

ვახტანგმა პირჯვარი გადაისახა, ახლოს აღარ მისულა, შორიდან ხელის კანკალით გამორთო რადიო და ჰაერის გასაწმენდად ფანჯარა გამოაღო.

ყარამანი ჯოხს დაყრდნობილი წამოდგა და ცალი ხელით წამოკრეფილი თეფშები ცალი ხელითვე მიაჩხარუნა ნიჟარასთან.

ეკრანზე ქალისა და კაცის ეროტიკული ოფლისღვრა დამთავრდა, ზედიზედ რამდენიმე რეკლამაც მიჰყვა ერთმანეთს: საქორწინო კაბების, ბალზამირების, ლიტერატურული კონკურსის, ფეხის ფრჩხილების სოკოვანი დაავადების საწინააღმდეგო მალამოს შესახებ და სამზარეულოში შემობრუნებული, ჯერ ისევ დაზაფრული ვახტანგი, ღვაწლმოსილი მეცნიერ-აკადემიკოსი კვლავ ტელევიზორს მიუჯდა. მორიგი გადაცემა დაიწყო, _ თეფშების რეცხვით გართული ყარამანის გულის გასახეთქად, ისევ ადამიანის, ამჯერად მწერლის, ხელოვანის უფლებებზე.

თანამედროვე, თითქოსდა ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით უცებ სახელგანთქმული ახალგაზრდა მწერალი ტანჯული სახით, გულისმომკვლელი ხმით ჩიოდა: თქვენ გგონიათ, მხოლოდ კომუნისტების დროს იყო ცენზურაო? არაო, მწარედ ცდებითო, _ მე რომ ქართველი ერისგან წმიდანად შერაცხული მეფე ქალის გარეგნობა და ინტიმური ამბები აღვწერე ჩემს რომანში, უნდა გენახათ, ამ გაქანებული დემოკრატიის დროსაც კი, რა რეაქცია მოჰყვა ძველი მენტალიტეტით აღზრდილ ზნეობის დამცველთაგან და ეკლესიისგანო. იქამდე მიმიყვანეს, კინაღამ უდიდესი უბედურება დამემართა, კინაღამ თვითონ ჩემს სულში დაიბადა შინაგანი ცენზორი, რომელიც რამეზე ან ვინმეზე, რაც მომესურვება, იმის დაწერას ამიკრძალავდაო. ამ საშიშროებას კი თავი იმით დავაღწიე, რომ ავდექი და გაბრაზებულმა, ახალი მოთხრობა სულ უწმაწური და უხამსი სიტყვებით გავავსეო! ეს, დემოკრატიისგან ნაჩუქარი ჩემი უფლებაა და ამისი წართმევის ნებას არავის მივცემო!

_ ფუი, ეშმაკს, ფუი, ეშმაკს! მწერლობაზე თავს დებ და შინაგან ცენზორს სინდისი რომ ჰქვია, ისიც კი არ იცი, იქედნეს ნაშობო?! რას მიედ-მოედები, შე უდღეურო არარაობავ, რას?! ველურები რომ იყვნენ, ველურები, იმათ მოიფიქრეს ტაბუ. ისინი მიხვდნენ, რომ ყველა თემაზე არ შეიძლებოდა ხმამაღლა რატრატი და იქიდან ჩაეყარა კიდევაც, სწორედ, საფუძველი ჯოგის საზოგადოებად გარდაქმნას! _ თავისთვის გააფთრდა ბებერი არწივი. თავისთვის, იმიტომ, რომ არც შვილს და არც შვილიშვილს ხმას არ სცემდა. ცხოვრობდა ასე, დიდი ხანია, ჩუმად, გეგონება, გამოქვაბულივით საკუთარ დაფანჩულ წარბებს შეფარებული, _ თუმცა რა, მტერსაც ეგ არ უნდა სწორედ? ეს უდიდესი კულტურის ერი ჯოგად აქციოს ისევ, ყველაფერი, ყველაფერი წაართვას, რაც კი უფლისგან აქვს მომადლებული, მორალურად მოსპოს და გაანადგუროს! ღმერთო, ამას ხომ ფიზიკური მოსპობა სჯობდა ასწილ... რა ხდება, ვინ არიან ეს ახალი დროის ვითომმწერლები, ვითომპოეტები, ვითომ მხატვრები, ვითომ ტელე და რადიო მუშაკები, ვითომ მუსიკოსები, ვითომჟურნალისტები, ვითომრეჟისორები, ვითომმსახიობები, _ უბრალოდ, რატომღაც ერთდროულად მოზღვავებული, ავადმყოფობა კოპროლალიით შეპყრობილნი თუ სატანასთან წილნაყარი და ვერცხლზე სულგაყიდული შინაურივე მტრები, რომელთაც კარგად აქვთ გაცნობიერებული, ასე ამძუვნებულნი და სარცხვენელგადმოყრილნი რატომაც მიერეკებიან ერს ჭაობისაკენ. ვინ არიან, დავიჯერო, ადამიანის, ქალის გაჩენილები? და ღმერთო, მაპატიე, თუ ვცოდავ, ნუთუ იმ ქალებს, მათ დედებს თვითონვე არ ეშინიათ ამ გატიტვლებული ურჩხულების?! არა, არა, ალბათ

ავადმყოფები არიან თორემ როგორ შეიძლება, ჭკუათმყოფელი ადამიანი ასე იყოს ნამუსგარეცხილი?!

სიკოს ბენდენის წასაკრავად აწეული ხელები გაშეშებოდა და რაღაც უცნაური გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ეკრანს. ერთმანეთს ცვლიდნენ საძაგელ მორალისტთაგან თუ ესთეტთაგან დაჩაგრული თანამედროვე, ნაწვიმარ თუ ნამეხარ ველზე გაურკვეველი ჯიშის სოკოებივით უცებ ამოსული და ასევე უცებ სახელგანთქმული მხატვრები, მწერლები, პოეტები, რეჟისორები, მსახიობები... ყვებოდნენ, ჩიოდნენ და ლამის ფიცს დებდნენ მაყურებელთა წინაშე, რომ არ დაუთმობდნენ მოწინააღმდეგეს, რომ ლამის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ თავიანთი განუსაზღვრელი უფლებების დასაცავად!

უხილავი წამყვანი დასკვნას აკეთებდა თითოეულის გამოსვლაზე, დასცინოდა მოძველებული ღირებულებების დამცველთ, თანაუგრძნობდა, ამხნევებდა დაჩაგრულთ, აქეზებდა და მოუწოდებდა, მტკიცედ დაეცვათ დემოკრატიის ეს უძვირფასესი საჩუქარი.

_ ჩემი დედა...! _ უცებ ისე იღრიალა სიკომ, ყარამანს ჯოხი გაუვარდა ხელიდან, ისედაც შეშინებული ვახტანგი კი უფრო ღრმად შეიყუჟა თავის გამოქვაბულში _ ჩემი დე... აქამდე როგორ ვერ მოვტვინე?! _ ჯიბიდან ჰარის ნაჩუქარი მობილური ტელეფონი დააძრო და გიჟივით შევარდა საძინებელში.

ტახტზე ფეხსაცმლიანად წამოკოტრიალებულმა სიკომ წვეტიანი კბილი ქვედა ტუჩს დაასო, ჰარის ნომერი აკრიფა და თვალები ჭერს გაუშტერა.

_ გისმენ, სიკო, _ როდის-როდის უპასუხა ჰარიმ.

_ ჰაი, ჰარი!

_ ჰო, _ მოკლედ შეეხმიანა ჰარი.

_ პონტია, დაეცემი! _ მღელვარებისგან ხმა აუთრთოლდა სიკოს.

_ რაზეა ბაზარი? _ რატომღაც უინტერესოდ იკითხა ჰარიმ.

_ პროექტიაა... კრისტალი!

_ იასნია, მაყუთი გჭირდება!

_ რა მაყუთი, ტო, ამ პროექტით იმდენს დავიადებ, იქით ჩაგსვამ ყელამდე, ბაქსში.

_ შენ თვითონ ჩაჯექი, მეყოფა მე, რაც ჩამსვეს ყელამდე, ყველაფერში!

_ დამიჯერე, ასიანია! აუუ, მე ცნობილი გავხდებიი, ტელევიზიაში, რადიოში, ვაფშე მასმედიაში დავიჩითებიი... მე შენ ზაგრანპაეზტკებში გაგჩითაავ... მოვივლით ამერიკას, გერმანიას, ინგლისს, ამსტერდამს...

_ მოკეტე, შენი... არ გარეკაა... _ გაცეცხლდა ჰარი, _ ზაგრანპაეზდკები არა! ჰმ, თანაც შენთან ერთად! ისე, ორი თვის წინაც გქონდა შენ ეგეთი პროექტი, შენ რა, მე დამიჯდა.

_ დამიჯერე, ამას ბეზ პრაბლემ დავარეგულირებ. არც კი უნდა ჩალიჩი, მეხანიზმი უნდა იცოდე, პროსტა!

_ კაროჩე.

_ მწერლობა და პოეტობა უნდა დავიწყო და ლიტერატურულ კონკურსში ვიმონაწილო!

_ რას ბლატაობ, რა დაუკრეფავში გადადიხარ, მე შენი დედის... _ უცებ ისე იღრიალა ჰარიმ, სიკოს კინაღამ მობილური გაუვარდა ხელიდან, _ თავი ხომ არ მიგირტყია რამეზე, ტვარო, ატან აზრს, რასაც ახლა რატრატებ?!

_ რა გაგიჟებს, ტო, მომისმინე, გგონია ტრუხა ბაზარია?! _ შეეშინდა სიკოს.

_ აუ, შენი... _ ხელახლა გადაირია ჰარი, _ შენ რა, კაიფში ხარ? გარეკე? რომელი ვაჟა-ფშაველა შენ მყავხარ, რომელი ილია და რომელი გალაკტიონი?! ეს წაქცეული ქვეყანა შენ გინდა გაამხნევო, შენ გინდა, წამოაყენო ფეხზე და შენ გინდა, დაანახო კიდევ რაღაცა ნათელი?! ერის მამობა მომინდომე, ღმერთთან ლაპარაკი მომინდომე, ტვარო?! შეენ?! შეენ?!

_ რომელი საუკუნიდან მებაზრები, ტო?! _ ალალად განცვიფრდა სიკო, _ რაღა დროს ერის მამობაა, რაღა დროს პოეზიით აღზრდა და ტკბობა, შენ რა, ტყემალზე ზიხარ? ვიღას სჭირდება ეხლა შენი «შვლის ნუკრი,» «ჩემო კარგო ქვეყანავ» და «დედაო ღვთისავ»... აზრზე ხარ, რა კარგად მხსომებია სკოლაში ნასწავლი სათაურები? _ რატომღაც თვითონვე გაუკვირდა და რატომღაც გაეხარდა კიდევაც.

_ სათაურებიც რომ ვერ დაგიმახსოვრებია ზუსტად? იმიტომაცაა ახლა შენი საქმე ეგრე საკაიფოდ. _ დასცინა ჰარიმ.

_ სათაურებზე მეტიც რო ისწავლე, წითელი დიპლომიც რო დაიადე და აფხაზეთსაც კინაღამ შეაკვდი, შენ რა, რო?!

_ იმის ნამუსი მაინც შემრჩა, დაუკრეფავში არ გადავიდე, ნებაყოფლობითი ბოზებით ვაკეთებ ბიზნესს. ვითომლექსებითა და ვითომმოთხრობებით ვიკადრებ ჩალიჩსა და ბოზობას? არ შეგრცხვება მაინც, იმ მწერლების, ვისთანაც კონკურსში გახვალ?!

_ აბა, შენა ყოფილხარ, აი! ლომკაში ხო არა ხარ, რა მწერლები, რის მწერლები. ნამდვილებთან კი არ გავდივარ, რაღა დროს ნამდვილებია, ვიღას სჭირდება ეხლა ეგენი, მორჩა მაგათი პესნა. ეს სულ სხვა პონტია, ახალი, დემოკრატიული, უკუღმა ხდება ყველაფერი, იმენა, სწორედ იმაზე უნდა იღადავო, რაზეც ეგენი, ცოცხლებიც და უკვე წასულებიც, ცრემლს აფრქვევენ, იმენა, ის უნდა გააფეტიშო, რაც მაგათ არ ევასებათ და რასაც ეგენი ებრძვიან. თან, რა ადვილია, იცი? როგორც ახალ მუსიკაში, არც ნიჭი რომ არ გჭირდება, არც სმენა, არც ხმა, არც კულტურა და არც ნამუსი, ეგეთი ბაზარია რა, აქაც, არც ნიჭი გინდა, არც განათლება, არც გრამატიკა, არც კულტურა და არც ნამუსი. ნიჭი კიდევ შეიძლება, ჰა და ჰა, მაგრამ აი, კულტურა და სინდისიც თუ გაგაჩნია, მაშინ მორჩა, არ სჭირდები დღეს არავის. შენ, რა, არ უყურებ, რა მასტები გამოჰყავთ ტელევიზიით, ვის უკეთებენ რეკლამებსა და საინფორმაციო მხარდაჭერებს და რაებზე და ვისზე აღადავებენ? აუ, ჩემი, ამ წუთს მომივიდა თავში და ახლავე გეტყვი ზეპირად, უფრო საკაიფოდ რომ გაიგო: _ უკვე მორჩა ვარდის პონტი, შემოვიდა ნაგვის ტორტი! ვაუ! ვაუ! _ გიჟივით აყვირდა სიკო, _ და შენ მეუბნები, რა მწერლობას აპირებ, თავი რამისთვის ხო არ მიგირტყამსო? არაფრისთვისაც არ მიმირტყამს, პროსტა კარგად დავთირე, კარგადაც მოვტვინე, რაც ხდება და იმიტომაც გადავწყვიტე. მივხვდი, როგორებიც ევასებათ იმათ, ვინც სიტუაციას აკონტროლებს. კაროჩე, მორჩა ის პესნა, ლექსს ხმლის ვადაზე რომ აწერდნენ, უფრო გმირულად რომ ებრძოლათ სამშობლოსათვის, მორჩა, ჩარჩოში რომ სვამდნენ და მისი კითხვისას ჩვენი ბაბუშკა-პაპუშკები წმინდა ცრემლს აღვარღვარებდნენ, ლექსმა ხმლის ვადიდან და მოჩუქრუთმებული ჩარჩოდან უკვე ნაგვის ყუთზე ამოყო თავი და გგონია, შემთხვევით? და იცი, რამდენი გადაუხადეს ამისათვის ტიიპს?! კაიფი არ აკლია, ბაქსი და ზაგრანპაეზდკა. შენ რა, მართლა არ გინახავს ნაგავზე წაწერილი ჟორიკას ლექსები? აუ, ჩემი, რა ხოხმა «ნაგვემოგვე მოგვინაგვე» ტომეულებია, იცი?

_ ფუჰ, უპოვია, როგორც იქნა, თავისი ადგილი. _ რატომღაც ჩუმად და ყრუდ ჩაილაპარაკა გოჩამ, ჰარის აღარ ჰგავდა, ის გაახსენდა, შეყვარებული თვითონაც რომ აფრქვევდა ხოლმე ცრემლს ლექსის კითხვისას... ის გაახსენდა, აფხაზეთში წასვლის წინ, განთიადამდე როგორ კითხულობდა ქართულ ხალხურ პოეზიას, როგორ მოეძალა სიყვარული, როგორ დაწერა სამშობლოზე ლექსი თვითონაც და როგორ დახია გასვლის წინ ის ლექსი, _ ბრძოლის ველზე რომ დავეცე, ჩემს სირცხვილად დარჩება ეს, მართალია, გულიდან ამოხეთქილი, მაგრამ, მაინც ვითომ პოეზიაო... ის გაახსენდა, მტერს ვინ ჩივის, მამულის სიყვარულისთვის ზურგიდანაც რომ ესროლეს, ის გაახსენდა, მტრისგანაც და მოყვრისგანაც დაჭრილს, ჭირდა თუ არ ჭირდა, როგორ მიაძალეს საავადმყოფოში ექიმებმა მორფინი და როგორ «შესვეს ნემსზე»... გაახსენდა, საავადმყოფოდან გამოსულს როგორ დასწამა პოლიციამ ყაჩაღობა, როგორ სცემეს და როგორ დაიჭირეს... როგორ გაასამართლა

მაინცდამაინც ყოფილი შეყვარებულის, მართალია, ქაჩალმა, მაგრამ მდიდარმა ქმარმა, რომელიც რუკაზეც კი ვერ გიჩვენებდა აფხაზეთს და როგორ გამოთქვა «კომპეტენტური აზრი», რომ «ბრალდებული იქაც სამარადიოროდ ბრძანდებოდა».... გაახსენდა, როგორ მიაკითხა ციხეში ყოფილმა შეყვარებულმა და როგორ ურცხვად შესთავაზა «თავისუფლება, ბაქსი და ბაითი», საყვარლობის სანაცვლოდ... გაახსენდა, როგორ მოუნდა უცებ იმ ქალის მოკვლა, რომელიც ისევ სიგიჟემდე უყვარდა იმ წუთებამდე... ის გაახსენდა, როგორ მოინახულა რიგით მეოთხედ და ამჯერადაც ისევ არაოფიციალურად გათხოვილმა დედამ შანსიან, ფულით სავსე მამინაცვალთან ერთად ციხეში და ბრალი სწორედ პოეზიას დასდო ყველაფერში: «ახლა მაინც გამოიბერტყე ყურები, შეხედე, რა თბილად და რბილად მოეწყვნენ შენი თანატოლები, სანამ შენ, შენი კი არა, მათი ქვეყნისთვის იბრძოდიო!...» გაახსენდა, როგორ გაიტანა ცხოვრებამ თავისი და როგორ მიიღო პარლამენტარი მამინაცვლისგან თავისუფლებაც და საუნა «სამოთხეც», რომელიც მერე თვითონვე გადანათლა «პანდორად»... ის გაახსენდა, როგორ ამარაგებდა «წამლით» ნატაშკა, რომელმაც გააცნო მირაშკა. გაახსენდა, როგორ შეარქვა მირკამ რატომღაც ჰარი და თვითონაც, _ ანკი რაღა აზრი აქვს, რა მერქმევა უკვეო, და...

_ შენ რა, არ მისმენ? _ კარგა ხნით გოჩას დადუმებამ დააეჭვა და ხმას აუწია სიკომ, _ შენ თათრიაშვილის თუ ლეკიაშვილის ლექსები წაგიკითხავს, მთვარეს რომ ეღადავება, ტრ...-ზე მაკოცეო? აუუ, ეგ სატრფოზე წეერს, ჩემი! ბაყაყს, მატლს, რაღაც საზიზღრობას არ აკადრებ ეგეთ პახაბნი რამეს, არა თუ ქალს და, მით უმეტეს, შეყვარებულს, მაგრამ რა, _ იმიტომაც ვერ გაირტყა სწორედ მინისტრის მოადგილეობა და თანაც რისი მინისტრის, გარეკავ! განათლების მინისტრის! აბა, ერთი იმის ის წაიკითხე, რა გვარია... ჰო, ბათო გონჯიძის. მთელი ნაწარმოები რაა, იცი? «ამან მოტ..ნა ეს, იმან მოტ..ნა ის.» სახელებია სხვადასხვა მარტო, აქეთ _ იქიდან დართული მაგ სიტყვაზე და მაგას ჰქვია მოთხრობა. ნამდვილი მწერლების გაზეთმა არ დაუბეჭდა და ამას ბოი მოყვაა! იმისთანა ქალმა გაუკეთა კრიშა და თვითონ ის ქალიც, რისი აღარ დამწერი, ისეა დაკრიშულიიი. ყველას რა ჩამოთვლის, მთელი ჯოგია უკვე, ახალგაზრდები კი არა, გააფრენ, ისეთი ბერიკაცების დაწერილი წავიკითხე ამასწინათ. პაპაჩემი რაღაცას ფხრეწდა დარეხვილივით, დავინტერესდი და აუ, მიშაა, აუ ჭანტურიკაა, ან ქალს არ გაუჩენიხართ, ან ცოლები არ გყავთ, ან და, ან ქალიშვილი?! ზატო სულ ის ბებრებია გამოჩხირული ყველგან, რადიო გინდა, გაზეთი თუ ტელევიზორი. შენ რადიო 606-ისთვის მოგისმენია? ნორმალურს კი არა, პაპუასს გადაიყვანენ ჭკუიდან თავისი სიბინძურით და ბანძი, ვითომცდა ხუმრობებით. დედას აგინებენ მთელ საქართველოს და ყველაფერს მშობლიურს, მაყუთის გულისთვის. არა, ბიჭო და შენსავით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვით არიან დღემდე დაშოკილები. ტვარებს, არც გაუგიათ, მე მგონი, ეგეთი რამე თუ მოხდა, თორემ მაგაზეც კარგად იშაყირებდნენ და მოქაფავდნენ. კი ბატონო, არ არიან კაცები, არ არიან ადამიანები, ზატო ხო არიან თბილად და ტკბილად ჩაბუჟბუჟებულ-მოყუჩებულები? კაროჩე, რაა იცი, არაფერი არაა იმაზე ადვილი, დღეს ცნობილი გახდე და მაყუთიც ოხრად დაიადო. ნამუსი არ უნდა გქონდეს პროსტა!

_ შენი დედაც და მაგ ახვარი მანიაკებისაც. ავითხარე ნერვებზე, კაროჩე, ჩემგან რა გინდა?!

_ «მერსედესი» დამიადე ორი დღით. დროში ვიწვები.

_ მაგ ბანძების კოლტთან გადიხარ კონკურსში თუ შუმახერთან, შენი, რად გინდა მანქანა.

_ ტუალეტები უნდა დავიარო, ჩემი არ მყოფნის.

_ რა არ გყოფნის...?

_ არა, ტო, სიტყვები, პახაბნი. რაც შეიძლება გარყვნილი უნდა იყოს, რაც შეიძლება მურტალი, დედის რძე რომ აღებინოს კულტურულს პირიდან, ეგეთი. ტუალეტებში რო გინახავს, რა, საზოგადოებრივში, ეგეთი რამე ევასებათ. კაროჩე, რამე ბილწი, მანიაკური, სექსითა და ტუალეტის მასალით კარგად ჩააჯაფსანდალებული. ყველა ტუალეტი უნდა

დავიარო, ბაზრების, სადგურების! ვაუ, სასწავლებლების იქნება და განსაკუთრებით კომერციულებიის... კაროჩე, როგორც შენ ტყვიები გჭირდებოდა, ისე გვჭირდება მეც და ჩემი მასტის შემოქმედებსაც სიტყვები, რაც შეიძლება ბინძური, რაც შეიძლება საზიზღარი, რაც შეიძლება ლირწი!

_ მე მტერს ვესროდი, თქვენ თქვენივე ერს ესვრით?!

_ მაიცა, რა, რაღა დროს «ჩვენი ერი» და ტოროლაა, ტყუილად გელაპარაკები ამდენს? აქამდე ვერ მოტვინე, რაც გიქნეს, რის გამოც გიქნეს? ტვარებმა, გაყიდეს ყველა და ყველაფერი და შეხედე სად და როგორ დაიჩითნენ. რაღა დარჩა სხვა, გასაყიდი. თანაც ჩვენ რა, ვკლაავთ?

_ ცოცხლად ალპობთ, ახვრებო! მე კაცს კაცურად მაინც ვკლავდი, თანაც მტერს. თქვენ ცოცხლად გინდათ გახრწნათ და დაალპოთ, _ სილამაზეს ესვრით, სიყვარულს ესვრით, ღმერთს ესვრით და ახალგაზრდობის სულს ალპობთ ამით. სულსაც და სხეულსაც! ჭეშმარიტ პოეზიას ესვრით, ჭეშმარიტი ლიტერატურის მოკვლა გინდათ, რომ ამით ერი ბოლომდე გადააგვაროთ, მაგრამ არ გამოგივათ, ტვარებო, არა, ნუ გავიწყდებათ, ვინ ვართ, რა კულტურის ერი!

_ სტოპ, სტოპ, ჰარი! _ უცებ შეაწყვეტინა სიკომ _ შენ რა...

_ ჰარი აღარ დამიძახო, თორემ... _ მოულოდნელად სახელთან დაკავშირებით გაგიჟდა გოჩა, _ კეთილი ინებე და ის დამიძახე, რაც მქვია, რა პუტანკა დედაშენივით მელაილავები, შე... ჰარი არა, ძია სემი, სტივი, ჯოი და ჯეი, სულ არ გარეკეს, მე ამათი... ჰო, რა გინდოდა კიდევ გეთქვა? მიდი, მიდი, ძალიან ბევრი გავიგე შენგან, აბა ჰე, კიდევ რითი დამგრუზავ... მართლა დებილი ვყოფილვარ, ამის დედა... რა დაუნი მეგონე და ამ დროს რა მოცვეთილი ყოფილხარ, ვირთხასავით!

_ ვაახ, ჩემი! _ ამოიოხრა სიკომ, _ რა, გოჩა და, რომ ამბობ, არაფერი გამოგივათო, გამოსულია და ეგაა. მარტო ერთი პროგრამა კი არ მუშაობს. ვინც ჩანს, მარტო ის კი არაა. მარტო ლექსზე და მოთხრობაზე კი არაა აქ რეჩი... კაროჩე, რა ეპოქაა ეხლა და რას ემყარება ვაფშე ეს წყობა? საბაზრო ეკონომიკას, ხო? არსებობს შემკვეთი, არსებობს შემსრულებელი და არსებობს მომხმარებელი. შემკვეთი შორიდან თირავს ჯერ, ვინ რა მასტია და ვინ რისი მკისრებელი. იასნია, ეკაიფება, შროშანი დაჭკნეს და ნაგავი აყვავდეს. იასნია, ევასება, პოეტი, ხელოვანი, ეხლა მენაგვეს ერქვას, მუზა კი რაღაც ბინძურ, მანიაკ ახვარს, რომელიც დაზვერვის აგენტივით ჩუმად დასდევს ქალს და როგორც კი ის წაიკუზება, ან ფეხებს გაჩაჩხავს, გახარებული, მყრალი ხითხითით კარნახობს მენაგვეს ლექსს, მოთხრობას, ნახატს, მუსიკას, სპექტაკლს, ფილმს, შოუს, ცეკვას, სიმღერას და რა ვიცი მე, კიდევ რას აღარ. აი, ეგეთებს უხდის შემკვეთი დღეს მაყუთს ოხრად. გრანტები შემოდიის...

_ შენ რა, მომხმარებელი დარეხვილი გგონია?

_ რომელი მომხმარებელი, ტო, ვარდ-ბულბულიანზე გაზრდილი, უკვე ნევროზიანი გოიმი, ტო?! შემკვეთმა ის უკვე კარგა ხანია თავის საყვარელ ლიტერატურასთან ერთად ჩასვა იმ ექსპრესში, რომლის რელსებიც სადღაც უფსკრულის პირას წყდება. ახალ მომხმარებელს კი, ძველის შთამომავალსაც და სხვა თინეიჯერსაც, თვითონვე ზრდის, _ ნახევრადშიმშილით, სხვისი გამონაცვალი ძონძებით, ახალი სასკოლო პროგრამებით, ახალი, მურტალი მუსიკით, ახალი სიმღერებით, სადაც სულ გახდაზეა ბაზარი... ახალი ეროტიკულ-მანიაკური სპექტაკლებითა თუ ფილმებით, ახალი, ნაირ-ნაირი თავისუფლების ინსტიტუტებით, ბილწი ლაი-ლაით, კომპიუტერების პორნოსაიტებით, რუსთაველზე, ილიაზე, ვაჟაზე, ტატოზე, წმიდანებზე, მეფეებზე ღადავით და მენაგვეებსა და მათ ნაგავზე გაკეთებული რეკლამებითა თუ საინფორმაციო მხარდაჭერებით, პოლიტიკოსების საჯიბო ომებით და მასმედიით მერე მათზე გადმოფრქვეული პიარით, რომ თითოეული ეს პოლიტიკოსი იმიტომ ცხოვრობს სასახლეში და იმიტომაა მილიონერი, რომ რომელიღაც უცხო ქვეყნის აგენტია თავისივე სამშობლოში... მომხმარებელი იზრდება. იზრდება კია არა,

უკვე გაიზარდა დევიზით, რომ «სირცხვილი დღეს მხოლოდ ისაა, როცა რაღაცის გრცხვენია!» მან აღარც კი იცის, რა არის სამშობლო, მან აღარც კი იცის, რა არის წმიდა, რას ჰქვია სიყვარული და რა სურნელი ასდის ვარდს, რომლისთვისაც ბულბული ასე იკლავს თავს. მისთვის მარტო ნაგვის სუნია ტკბილი და მისაღები, ბაქსია მარტო ღმერთი, რომლის გულისთვისაც ყველას და ყველაფერს გაყიდის... ტრუპია უკვე შენი კლასიკური ლიტერატურა, ეგეთს კიდევაც რო მიუსაჯო და წააკითხო, გაიგებს, რო?!

_ დონე ხაარ... _ ჩაიცინა გოჩამ, _ გეტყობა, ფილოსოფიური რომ დაამთავრე და პაპის ნიჭიც რომ გამოგყვა, ოღონდ...

_ ხო, არა?! _ არ აცადა გახარებულმა სიკომ, _ რეალნად ეგრეა, რა, რაც გებაზრე. ეხლა სტატისტიკას გადახედე: დიდი ნაწილი სამოქალაქო ომსა და აფხაზეთ-სამაჩაბლოში გაწყდა გაუმრავლებლად, ნუ, ეს ძირითადად ძველი მომხმარებელი; თითქმის ნახევარი ქართველობა თავის ნაშიერითურთ უცხოეთში დაათრევს ღამის ქოთნებს, რომ ლუკმა-პური იშოვოს როგორმე, ან დაბრუნდება, ან აღარა და თუ დაბრუნდა, წერა-კითხვაც აღარ ეცოდინება, _ ესეც დაკარგული მომხმარებელი... ქვეყნის გამყიდველ სავსე სტომაქებს შვილები საზღვარგარეთ ჰყავთ სასწავლებლად და საბაირამოდ და თუ დაბრუნდებიან, სწორედ ნაგვის მწარმოებლებად და არა მომხმარებლებად... აქ დარჩენილი ქართველობის საკმაო პროცენტი დიდიან-პატარიანად მათხოვრობს, მაწანწალობს, ქურდობს, ყაჩაღობს, ლოთობს, ნარკომანობს, ბოზობს, დილიდან საღამომდე კაპიკებზე ვაჭრობს, გრუზს ეზიდება... ვაახ, ჩემი, აზრზე ხარ, რა ცოტა გამოდის მომხმარებელი ვაფშე? ჰო, რა, ძაან ცოტა გამოდის, მაგრამ ის ცოტაც ამ ახლის მომხმარებელია და მამტყუნებ, ტო, რომ დახლი ამ ბაზარში მეც მინდა? მეც მინდა რეკლამა, ბაქსი, ბომონდსა თუ მასმედიაში გაჩითვა?! თორემ... მე რა, მე ვინ ვარ ჯერ, პროსტა დამწყები, რა, ჯერ-ჯერობით რიგითი...

_ რისი რიგითი, _ მთავარი ფრონტის?! _ ყრუდ ჩაიცინა გოჩამ, _ აი, ლომკა, თუ გინდაა... აუ, შენი... მთავარი ფრონტი აქ არ ყოფილა?!... რა გვაჭამეეს... რა გვიქნეს, ბიჭებო! რა გვინდოდა აფხაზეთში, ვიღასთვის გვინდოდა სამაჩაბლო, ამ სულჩაკლული, მანქურთებზე უფრო უარესი საბრალო თინეიჯერებისთვის, უფრო კარგად რომ დამტკბარიყვნენ ნაგვის ჭამით? მთავარი ფრონტი აქ არ ყოფილა, ძმებო, და თანაც როგორი?! აი, თურმე, რატომ ესროდნენ ჩვენს «ძველმომხმარებლურ» პროცენტს ჩვენივე მასტის და სისხლის დაპროგ-რამებული ახვრები, აი, რატომ გვწამებდნენ ცილს, რატომ გვყრიდნენ ციხეებში და რატომ გვსვამდნენ ნემსზე იმათაც კი, ვისაც ეს არ გვინდოდა,.. აი, რატომ უჩუქნიათ ჩვენთვის ქვეყნის ეგრეთწოდებული დამოუკიდებლობა! ერთი წამოგაყენათ ფეხზე, ძმებო, გადმოგახედათ, ვის დარჩენია ბურთი და მოედანი, ჩვენი სულით, სისხლით და ხორცით დასუქებულ-დალაღებული ვირთხებითაა ქვეყანა სავსე. უკვე სავსეა და რაღა გინდა, რომ ქნა, კიდეც რომ შეგეძლოს. ამათი ტანკი ხომ მასმედიაა, ამათი ტყვია კი სიბინძურე და ბაქსიც, ოხრად, _ ჯილდოდ საკუთარი ერის განადგურებისათვის!

_ მოტვინე, ხომ, რაც ხდება ბოლო-ბოლო, _ მთქნარებით შეაწყვეტინა გოჩას სიკომ, _ გაგიგონია ანდაზა, «სახლი როცა გეწვის, ხელი მაინც მოითბეო?» ეგრე რა, ტო. დამიჯერე, ხო იცი, როგორ მევასები, შენ ვერც ხვდები, როგორ მევასები... ვაფშე, თორემ... ნუ ამაზე ბაზარი მერე... _ რატომღაც დაიბნა სიკო, _ კაროჩე, ეხლა მაინც მოდი აზრზე და პრაგმატულად შეხედე ცხოვრებას. ერთიც ვნახოთ და დედაშენს პანღური ამოჰკრა იმ ახვარმა პარლამენტარმა, სად მიდიხარ მერე, გგონია დაგიტოვებს მაგ საუნას? აგახევს ეგრევე. რამდენიმე პროექტი მზად მაქვს უკვე ტვინში, დავწერ და დავბეჭდავ თუ არა, ეგრევე დაინტერესდებიან კინოშნიკებიც და თეატრის რეჟისორებიც. გრანტი და პრიზი თუ უნდათ, ეგრეა და... პირველი რაზე იქნება, იცი? ჩემზე, შენზე და მირკაზე. ოღონდ იმ მოთხრობაში მე და შენ უფრო ინტიმნი ის გვექნება, ვიდრე შენ და მირკას და ვაფშე, მერე მე და შენ ვტოვებთ მირკას და მივდივართ ჰოლანდიაში... პროგრამაში შენც ჩაგრთავ, ვიდრე მე ტუალეტებს

დავივლი, შენ წმიდანებისა და ყველაზე მაგარი მეფეების სია გამიჩალიჩე და მოკლე ბიოგრაფიებიც. _ ბოლო წინადადება კაჭკაჭივით სწრაფად ჩაარაკრაკა სიკომ, _ შენ რა, არ მისმენ, გოჩა?

_ შენი დედის... შენი დედის... _ როდის-როდის ამოიდგა ენა ჭკუიდან ლამის გადასულმა გოჩამ, _ თან მახვევ, თან ისიც გინდა, ყველა შენსავით გადაგვარდეს, არა? მე ისედაც მეყოფა ჩემი, მე არაფერში გამრიო, თორემ... და ვაფშე დაახვიე ჩემი ცხოვრებიდან, გაიგე? იმ პუტანკასაც, მარიშკაა თუ მარტიშკა, დღესვე მოგაყოლებ უკან თავის ...-ად! შენივე ...-ს ჩაგთხრი პირში და დედაშენისასაც ზედ დაგაყოლებინებ, შე ტვარო, ან გიხსენებია, ან შეგიხია შენი ბილწი კალამი მარტო ჩემთვის კი არა, რომელიმე პატრიოტი მეფის ან წმიდანისათვის, ღორივით გამოგჭრი ყელს, ძუკნავ! პიდარასტებო, ტყუილად გგონიათ, რომ მორჩა, ტყუილად გგონიათ, რომ ბოლომდე დაწვით და ხელებს ითბობთ, მთავარი გავიწყდებათ, ვინც ყველაზე მთავარია, ის გავიწყდებათ და ამიტომაც ვერ ქაჩავთ, საით მიექანებით თქვენ თვითონ _ რა თუხთუხებს იმ უფსკრულში, რომლის თავზეც უცებ შეწყდება თქვენი ექსპრესის რელსები. ხომ არ გგონიათ, კუპრი თუხთუხებს, ტვარო, არა, კუპრიც კი ცოდოა თქვენთვის, ყველაზე მეტად რაც გევასებათ, იმით გაძღებით, როცა და როგორც იქნება! ... არ აფურთხებენ მთელ ერს სულში, მე ამათი დედის... მოიცათ, თქვენ, მოიცათ...

წადი, შენი! _ წამოიძახა ნირწამხდარმა და შეშინებულმა სიკომ, როგორც კი გოჩას გააფთრებული ხმა შეწყდა და მობილური გაითიშა, _ «ძუკნა!» ვინაა შენი ძუკნა, ქაჯო, გოიმო, რომელი საუკუნეა, არაფერს კითხულობ, არაფერს უსმენ, არაფერს უყურებ?! ჰმ, მირკასაც მომაყოლებს თურმე, საწყალი მირკა, ველარ უშოვია შენნაირი მაყუთიანი კაიფარიკი, მე შენ გითხრა, ვიაგრა დასჭირდება წლოვანების გამო... ფუ, შენი... როგორ მაგინებდაა, უნდა ჩავიწერო, გამომადგება, ზუსტად მაგნაირისთვის ვაგინებინებ ჩემნაირს მერე მოთხრობაში მაგ სიტყვებით... ერთი მაგის, რაში მჭირდება მაგის მანქანა, ტუალეტებს ტაქსითაც კარგად დავივლი, მე შენ გითხრა და ვერ მოვუტეხე კარგად ბაქსი, _ ჩაიცინა სიკომ და ტანზე შემოტმასნული აბრეშუმის ულტრამოდური შარვლის ჯიბიდან გოჩასთვის წაცანცლულ-მოპარული, ფაქიზად დაკეცილი ასდოლარიანები დააძრო. _ ბოლობოლო რა დამიჯდება, ჰო, პირველ რიგში ბაზრების და სადგურების... აფსუს, პოტერის ცოცხიი...

სიკომ უკანვე ჩაილაგა ასდოლარიანების დასტა, წამით ჩაფიქრდა, მერე კი უცებ გიჟივით შეხტა, შემოტრიალდა და აღფრთოვანებით დასცხო ტაში.

_ ვაუ! დაგლიჯა, ჩემი! რა პროექტია?! მოთხრობებსა და ლექსებში გამოყენების შემდეგ ცალკეც უნდა გამოვცე, მთავარია, არავინ დამასწროს, მთელი ჯოგია, მე მაგათი... «საპირფარეშოებში შეგროვილი სიტყვიერება!» ვაუ, მე ცნობილი გავხდებიი, მე ბომონდში დავიჩითებიი... მოიცა, მოიცა, ზუსტად რა დავარქვა, «ტუალეტური პოეზია!» არა, არა, არ მომწონს, მოიცა, საერთაშორისო სიტყვა ხომ არ ჯობია, გლობალიზაციაა მაინც, ეს უფრო დაევასებათ, ჰო, როგორაა ინგლისურად ტუალეტი ... ინგლისური უნდა ვისწავლო, ეგრე უფრო მალე გავქაჩავ... ჰო «ქლოუზეთ ლირიქს». აუ, ჩემი, დაგლიჯა! აქამდე სად ვიყავი, აქამდე როგორ ვერ მოვტვინე! მაგრამ არა უშავს, ეხლა იწყება, პრინციპში, რაც იწყება, არც ეხლაა გვიან... ჰო, მართლა ფოტოაპარატის წაღება არ დამავიწყდეს, ტუალეტების კედლის მხატვრობის გადასაღებად. ნახატებით უნდა იყოს გაფორმებული... გოიმები! სუპერქაჯები! ტყუილია, მართლა და მართლა? რაღა დროს ვარდი და იაა, რაღა დროს ქრისტე და სამშობლო, რაღა დროს კლასიკა და არისტოკრატია, წმიდანები და პატრიოტი მეფეები!! რაზედაც მინდა, იმაზე დავწერ, ვისზეც მინდა, იმაზე ვიღადავებ! ეს, დემოკრატიისგან ნაჩუქარი ჩემი უფლებაა და თუ გამიჭირდება, მე შენ გითხრა და არ გამომიჩნდებიან დამცველები, რა უცხოეთიდან, რა აქედან, რა მასმედიით და რა ტრანსპარანტებით: _ ხელები

შორს თავისუფალი შემოქმუკვე ცნობილი, კენჭსაც ვიყრი პარლამენტში! ჰმ, ყელს ღორივით გამომჭრის თურმე, ნახავ შენ, ნახავ, ვინ ვის გამოსჭრის!

სიკომ საძინებლის კარგი გამოიხურა და ის იყო, აწკრიალდა კიდევაც წიგნის თაროზე შემოდებული ძველმოდური ტელეფონი.

_ როგორ ხართ, ხომ მშვიდობაა? _ თბილად მოიკითხა სიკო სოფლელმა მამიდაშვილმა ირაკლიმ, _ პაპას მინდა დაველაპარაკო საირიგაციო საკითხებზე და თუ არ შეწუხდება, მოვიდეს ტელეფონთან.

_ ირიგაცია რაღა ჩემი ფეხებია, ტო?! _ გულწრფელად დაინტერესდა მომავალი დიდებით სასიამოვნოდ გაბრუებული სიკო.

_ არხი გამომყავს ვენახისაკენ, _ მოკლედ აუხსნა ირაკლიმ, _ რაღაც ვერ დავიანგარიშე სწორად და რჩევა მინდა ვკითხო.

_ რა არხი, ტო, რაღა დროს არხი, ნამგალი და თოხია, _ ქედმაღლურად ჩაიცინა სიკომ, _ რომელი საუკუნიდან მებაზრები?!

_ მარადიულიდან, პეპელა! _ არც ირაკლი დარჩა ვალში, _ დროზე, დროზე, დედა, ცოლ-შვილი და ძმაკაცები მელოდებიან ვენახში. როგორ ფიქრობ, მცალია მე შენი ტლიკინისთვის?!

«შენიი,» _ ირაკლის ფუთიანი მუშტი გაახსენდა და ჩუმად ჩაისისინა სიკომ, _ შენიი! _ გაიმეორე უკვე ხმამაღლა, როგორც კი ყურმილი გადადო და ვახტანგის დასაძახებლად გაემართა, _ მაშ, პეპელა ვარ, არა? დაიცა, დაიცა, ტელევიზიით უფრო კარგად გაიგებ ცოტა ხანში, ვინც ვარ და რაც ვარ. დაიცა, დაიცა...

თავის გამოქვაბულში შეყუჟული ვახტანგი იჯდა და იდაყვდაყრდნობილი, თავჩაქინდრული არიდებდა თვალს ეკრანს, რომელზედაც ნაირნაირი ფორმით და რაკურსით უჩვენებდნენ ქალის ჰიგიენურ პაკეტებს. სიკომ კარი შეაღო თუ არა, კადრი შეიცვალა და მამაკაცის თავმომწონე, გამარჯვებული მეომარივით ომახიანმა ხმამ საზეიმოდ ამცნო ამის შესახებ, როგორც მხცოვან აკადემიკოსს, ისე მთელ მაყურებელ საზოგადოებას:

_ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება, პრეზერვატივი სიკო!

მაშასადამე, არაევროპელი

ღვინიაშვილების ყოფაში მოულოდნელი, მართალია, სამწუხაროდან გამომდინარე, მაგრამ მაინც სასიხარულო რამ მოხდა: საოჯახო ბიუჯეტი სამსახურიდან დიდი ხნის წინ უკანონოდ შემცირებული ლუხუმის კანონიერად კუთვნილი ორი თვის საკომპენსაციო თანხით შეივსო.

ლუხუმს, როგორც ოჯახის უფროსს, ერთი სული აქვს თანხის ნაწილი ცოლისა და შვილებისათვის საჭირო აუცილებელი წვრილმანებისათვის გადადოს, დანარჩენით კი სტუმრები მოიწვიოს და ერთი მადლიანად, მამა-პაპურად, ჭეშმარიტ ქართველს რომ შეეფერება, ისე მოილხინოს, მით უმეტეს, როგორი დამთხვევაა და სწორედ ზეგ დაბადების დღეც აქვს.

ერთი სული აქვს ნაზიკოსაც, ოღონდ მეუღლისგან განსხვავებით, ქართულად კი არა, ევროპულად მოლხენის, _ სწორედ გუშინ მიიღეს მეზობლად, მეორადი საქონლის მაღაზიაში მორიგი «ევროპული ტანსაცმლის ფუთა» და ბედია თუ რა, ნაზიკო რომ დიდი ხანია ოცნებობს, სწორედ ისეთი ტყავის, არც თუ ძალიან ნახმარი პალტო ამოაძვრინა იქიდან მაღაზიის ეკა მეპატრონემ. თანაც, გეგონება გული უგრძნობდაო, არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად ლუხუმის ორი თვის კომპენსაციის შესაბამისი ეკვივალენტიც სტყიპა ზედ ნაზიკოს სანუკვარს.

_ მა, ამერიკულ ბოტასს ხომ მიყიდი? _ წიგნი «თხა და გიგოს» პერსონაჟივით მართლა უკუღმა უჭირავს დათოს და ზედ შუაგულ თავზე დაკოსებულ მზის სათვალეს ისწორებს გახარებული.

_ მამა გიცხონდათ, გაწყენთ თურქული, ან შენ, ან გიორგის, თანაც ციგნებთან ნაყიდი. _ ბრაზობს ლუხუმი, _ გაიგეთ, ხალხო, მერამდენედ გაგიმეოროთ: რაც ქვეყანამ დამოუკიდებ-ლობა მოიპოვა, მას შემდეგ ამ ოჯახში სტუმარი არ გაჭაჭანებულა! ქართული ოჯახია ის ოჯახი, სადაც თხუთმეტი წელია სტუმარი არ შესულა, ჭიქა არ აწეულა და მრავალჟამიერი არ დაგუგუნებულა? ბოლოს და ბოლოს, კაცი ვარ თუ ჩვარი, მართალია, იშვიათად, მაგრამ სულ იქით გვეპატიჟებიან, ერთხელაც არ უნდა მოვიპატიჟოთ აქეთ? ღვთის მადლით, ღვინო კი გვაქვს ჩვენივე დაწურული, გიყიდით თქვენც, ძალიან აუცილებელ რამეებს და დანარჩენი საქეიფოდ. სანამდე შეიძლება კაცი საკუთარ დაბადების დღეზე სარდაფში იმალებოდეს, ანდაც შიშისგან ყურმილს ვერ იღებდეს, ვინმეს არ გავახსენდე, ვინმემ არ მომილოცოსო?! მორჩა, ასიათასობით ჩემნაირი გამოყარეს სამსახურებიდან, ინჟინრისა კი არა, მტვირთავის ადგილსაც ვეღარ იშოვი ახლა, თუ მისისიპის წყალი არ გაქვს დალეული და ცხოვრებაში ამ უკანასკნელი ხელფასით აღარც ვიქეიფოთ? შენსას დაემთხვეოდა ეს ფული, შენსას გადავიხდიდით; დათოს დაბადების დღეს დაემთხვეოდა, _+ დათოსას, გიორგისას დაემთხვეოდა, გიორგისას. მთავარია, რომ სტუმარი მოენატრა ამ კედლებს უკვე, სტუმარი!

_ ჩამორჩენილო შენ! გოიმო შენ! _ გიჟდება ტყავის პალტოზე აცქმუტებული ნაზიკო, _ ვიღა იხდის ახლა დაბადების დღეებს. მართლა და მართლა, კი არ ტყუის ის თავკომბალა, ამ ახალი მთავრობის კაცი, რაღა დროს ქეიფები და ღრეობებია ოცდამეერთე საუკუნეში. მართლაც, აღარაა დრო, ევროპულ ყაიდაზე გადავიდეთ ჩვენც? პალტო არა მაქვს, პალტო, შე მიწადასაყრელო. საბჭოთა კავშირის დროსაა ეს პალტო ნაყიდი და დაიშალა უკვე ეს ოხერიც, საბჭოთა კავშირივით. პანაშვიდებზე ვერ წავსულვარ მშვიდად, კიდევ კარგი, ქორწილებს ვეღარავინ იხდის, თორემ თუ დაგვპატიჟებდნენ, სირცხვილისაგან ვერც მივყოფდი თავს ვერსად. პალტო მინდა, პალტო!

_ დედა ხარ ახლა შენ? _ ნაზიკოს ნამუსზე აგდებას ცდილობს ლუხუმი, წვეულებას რომ თავი დავანებოთ და აპრილის მცხუნვარე მზეც გადავივიწყოთ, ბიჭების ფეხსაცმელზე მაინც აღარ უნდა იფიქრო? ხომ ხედავ, შემოეხათ უკვე ძველი ბოტასები. რომ დაგიჩემებია, მთელი შენი კომპენსაცია მე მინდა, რომ რვა თვის შემდეგ პანაშვიდებზე თავი მოვიწონოო, დღესვე საჭირო ბიჭების ფეხსაცმელი მე უნდა მადარდებდეს მარტო და შენ არა? თუ გაევროპელდი მაგ მხრივაც, აქაოდა, სრულწლოვანები არიან უკვე და თავს თვითონვე მიხედონო?!

_ ოი, შე საწყალო, შენ. შენი სახსენებელია სწორედ ევროპა! ევროპას დასცინი, _ თავისუფალს, უკომპლექსოს, ცივილიზებულს?! რაღაც კაპიკები მოგიგდეს და ღრეობაზე ფიქრობ უკვე. შეხედე, სერიალებს მაინც შეხედე, შე ოხერო, ნახევარ ჭიქას უსხედან მთელი დღე, სად ხედავ, რომელ ქვეყანაში ქეიფობენ ქართველებივით?

_ ქალო! _ მთელი ხმით ღრიალებს უცებ და მაგიდასაც უცებვე ურახუნებს მუშტს ლუხუმი, _ გაიგე ერთხელ და სამუდამოდ, რომ მე ქართველი ვარ და მაშასადამე ა-რა-ევ-რო-პე-ლი! გაიგე, სანამ ენა არ ამომიგლეჯია შენთვის, შე ბოლოქანქარა თუთიყუშო, ანდაც უარესი, ევროპელივით არ ამიშვია თავი მართლაც! ხო იქნება ახი შენზე, ღმერთო, თქმაც კი მაპატიე, დავკარგო ქართული სინდის-ნამუსი და ცხვირწინ მოგიწყო ეგ შენგან ნაქები ამერკულ-ევროპული სერიალები? მაგალითად, ჯერ შენი დაიკო მანანა გავიხადო ხასად, მერე დედაშენი ციალა, ამის შემდეგ შენს დეიდაშვილ-მამიდაშვილ-ბიძაშვილებში გავინავარდო, ბოლოს კი მშვიდად და ცივილიზებულად გაგეყარო და ცოლად სულაც შენი ბიზნესმენი ღიპ-ღაბაბოსანი სიძე ვახუშტი დავისვა?! ჰა?! ხო იქნები ღირსი, დილით მკვდარი შუადღისას საავადმყოფოდანვე პირდაპირ სასაფლაოზე გაგაქანო, ჩაგფლა, ნახევარი საათის შემდეგ კი მაგ ჩამოტყავებულ, ახალმიწამიყრილ გულმკერდზე შენი უახლოესი დაქალი

ლონდა წამოგიკოტრიალო? არა, ხო ხარ ღირსი, ქმარს ასე თავხედურად რომ მეტიტინები, ავდგე და ქართულად, მამა-პაპურად, სულაც ამ წუთასვე აქედან მიგაპანღურო?

_ მა, ხო მიყიდი ამერიკულ ბოტასს? მე ამერიკული, გიორგის თურქული, ჰა, მა? _ უკუღმა დადებულ წიგნს ხურავს და დახურულს უკვე წაღმა დებს დათო, მზის სათვალესაც როგორც იქნა, უჩენს სათანადო ადგილს, თვალებზე. ეგაა ოღონდ, ოთახი ნეონითაა გაჩახჩახებული უკვე კარგა ხანია და თუ გარეთ ეპირება, ბნელა და თქეშიაა... _ მა, ხომ მიყიდი? _ სათვალის ზემოდან გადმოჰყურებს ლუხუმს და ტელევიზორს რთავს ზმორებით, _ ზატო შენც დაგრჩება ბაქსი კაიფისთვის. მარტოს არ გირჩევნია, რად გინდა ზედმეტი ბაზარი?

_ დაუწიე ერთი მაგ შენს ჭეშმარიტ და ჩემზე უფრო ღვიძლ, აღმზრდელ მამიკოს ხმა, ანდაც სულაც გამორთე... _ ტელევიზორს თვითონვე თიშავს ავადთვალებმოწკურული ლუხუმი და შვილს ლამის ცხვირს ადებს ცხვირზე, _ და შენც, ჩემო დათიკო, ხომ იქნები ღირსი, გაგიღო ახლა კარი და ტკბილად, ცივილიზებულად, ამერიკულად აგიხსნა, რომ რადგან უკვე სრულწლოვანი ვირი ბრძანდები, დროა, მიბრძანდე კანონიერად კუთვნილი ჩემი ბინიდან და შენივე შრომით ნაყიდი ბოტასით შენივე «ბაქსით» ნაქირავებ «ბაითს» მიაშურო? თუ ოდესმე სურვილი გაგიჩნდება ჩვენი ნახვის, კი ბატონო, შეგიძლია მობრძანდე წელიწადში ერთხელ ან ორჯერ. ოღონდ, რაღა თქმა უნდა წინასწარი შეთანხმების შემდეგ. შეგიძლია მეგობარიც იახლო თან, «გერლფრენდი» იქნება თუ «ბოიფრენდი», მაგას არა აქვს ჩემთვის მნიშვნელობა, მე რა, გოიმი კი არა ვარ მართლა. როგორც შენ გაგეხარდება, ისე უნდა იცხოვრო, თავისუფალი უნდა იყო ყველაფრისაგან, თავისუფალი! რაში გჭირდება ან სინდისი, ან ნამუსი, არც ერთი არა აქვს კერატს და ვერ დადის არხეინად აჯაგრულ _ პირაქაფებული, ვერ ისწორებს თავისას, თუ?! ახლა კი, _ ცოლისკენ შებრუნდა და ხმას კვლავ აუწია ლუხუმმა, _ რადგან ასე ძალიან მოგწონთ ამერიკა თუ ევროპა, სწორედ მათი კანონმდებლობის საფუძველზე მოგახსენებთ, რომ ეს თანხა ჩემს პირად საკუთრებას წარმოადგენს და როგორც გამეხარდება, ისე დავხარჯავ _ მინდა, ვიქეიფებ, მინდა, მათხოვრებს დავურიგებ, მინდა _ დავხევ! აი, ხომ ხედავთ, მაინც ქართულად ავურიე, ეგენი დახევენ და ეგენი დაურიგებენ უკანასკნელ ხელფასს მათხოვრებს?! _ ქართულ ღვინია ხარივით მოუმრგვალდა თვალები წამის წინ ავად თვალებმოწკურულ ლუხუმს და უცებვე გადაიხარხარა კიდევაც, _ არ გინდოდათ მშობლიური გაყოფა-გამრავლება, _ ცოლსაც, შვილსაც, სტუმარსაც-მეთქი, რომ ვამბობდი? კი ბატონო, კი ბატონო!

_ კარგი, კარგი, ნუ გადაირიე მთლად, _ რაღაცით გაბრაზებულ, თუ პირიქით, გახარებულ, მეორე ოთახში გავარდნილ დათოს გააყოლა თვალი და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა ნაზიკომ უცებ, თუმცა, რაღა უცებ: როგორც კი მიხვდა, კერკეტ ლუხუმს ვერ გატეხავდა, მას შემდეგ მხოლოდ ბაზარში მოსიარულე და საერთოდ, ზოგადად ოჯახის დიასახლისთათვის გასაგები მათემატიკური ანალიზით _ პლიუს-მინუს _ უდრის ნაშთით ჰქონდა ტვინი დაკავებული. _ ღვინო გვაქვს, ბაზარშიც ცოტა ყველი, ცოტა ხორცი, კარტოფილი, მწვანილი და მეტი კი არ უნდათ არაფერი, მით უმეტეს, შენი ძმაკაცები იქნებიან მარტო, ცოლების გარეშე. ქალებს უფრო მეტი უნდათ ხოლმე, თანაც ნაირ-ნაირი, ჭორიკანებს, ოხრებს... ბიჭების ბოტასებიც ციგნებთან ვიყიდოთ, და...

_ რა ყველი, რის ხორცი, ხომ არ გადაირიე, ქალო, ამ შუა მარხვაში?! _ ხელახლა გაგიჟდა ლუხუმი, _ ღმერთიც რომ დავივიწყეთ და ხატიც, იმიტომაა სწორედ ჩვენიც და ჩვენი ქვეყნის საქმეც კარგად! სამარხო უნდა იყოს სუფრა: ნიგვზით ათასი რაღაც შეიძლება გააკეთო... ჰო, სოკო, კიტრი, პომიდორი... ბზობას დაემთხვა და თევზიც შეიძლება ვიყიდოთ, ოღონდ ძვირფასი. იცოდე, ჭკუით იყავი და ძველებური ოინები აღარ გაიმეორო, კი არ დამვიწყებია, ოცი წლის წინ ზუთხის ორმოცი მანეთი რომ მოტეხე და ერთი მანეთის მზესუმზირასავით ქაფშია მიართვი სტუმრებს. სხვათა შორის, იგივე ხალხი მყავს დაპატიჟებული და თანაც, როგორც მაშინ, რაღა თქმა უნდა, ცოლებით!

_ ამ სიდუხჭირეში სამარხო სუფრა და მით უმეტეს, ცოლებით, უფრო ძვირი რომ ჯდება, არ იცი, შე ოჯახის მტერო?! თანაც, გაგიგია სუფრა ხორცის გარეშე?!

ლუხუმი მორწმუნე იყო და უყვარდა ღმერთი. ეშინოდა კიდევაც მისი. ნაზიკოს მგელივით უყვარდა ხორცი და არ ეშინოდა ღმერთის. პირიქით, როგორც კი რაიმე გაუჭირდებოდა, იმის მაგიერ, შველა ეთხოვა, იმ წუთას ჩხუბსა და აყალ-მაყალს უმართავდა ღმერთს. ახლაც, იმით გამწარებულმა, რომ ძვირადღირებული პროდუქტების ყიდვის დროს ქმარს სოლიდურ თანხას ვერ წაცანცლავდა, ისე წამოაძახა ღმერთს არა მარტო ლუხუმის უმუშევრად დარჩენა, საკუთარი ოთხი წლის წინანდელი შემცირებაც, შვილების უმუშევრობაც და ბოლოს გულიანად მიაწყევლა მომავალ სტუმრებსაც:

_ არ ჩავიდეს იმათ კუჭებში არაფერი ამ ფულით ნაყიდი! ამისი დრო გვქონდა ახლა? აბა ერთი, თუ მართლა ხარ და მართლა მისმენ, ღმერთო, არ შეარგო არაფერი იმ საზიზღრებს! არაფერი, ამ ფულით ნაყიდი! მართლა და მართლა, კი არ ტყუის ის თავკომბალა, ისეთი წერილი რომ დაწერა და ისეთი შეურაცხყოფა მოგაყენათ მაგ ქეიფების გულისთვის ქართველ კაცებს. რა არის, ბოლოსდაბოლოს, მართლა ერთმანეთს ეარშიყებით ხოლმე, თუ?!

ლუხუმი გაგიჟდაა... თვითონაც რომ არ ელოდა, ისე გაგიჟდა ცოტა ხნის წინ ასე თუ ისე ძლივს დაწყნარებული ლუხუმი. ღვინია ხარს კი აღარ ჰგავდა უკვე, თვალებნამიანს, წამში, არენაზე საბრძოლველად გამოვარდნილ, ნესტოებდაბერილ და მთელი სხეულით დაძაგრულ ველურ ბუღასავით ჩაუსისხლიანდა თვალები და უცებ საშინლად მოუნდა ტრადიციული ნაზიკოს მაგიერ სულ რაღაც ათიოდ წუთით ცხვირწინ სწორედ ის არატრადიციული, ჰო, ჰო, სწორედ ის, უცხოთესლთაგან გაწვრთნილ-აღზევებული თავკომბალა კაცუნა, ქართულ, ტრადიციულ, «მრავალჟამიერით» და «ჩაკრულოთი» გაჯერებულ სუფრას ცისფრით შეზავებული ყვითელი ლაფი რომ გადაასხა ზედ ყველაფრისაგან თავისუფალი ბეჭდვითი სიტყვის გამოყენებით.

გენახათ ერთი, რა ცქაფად გასხლტა ოთახიდან შეშინებული თანამეცხედრე, _ ტრადიციული.

ლუხუმს მართლა უყვარდა ღმერთი, ეშინოდა კიდევაც მისი და უცებ საშინლად შერცხვა იმ ნანატრი ათიოდ წუთის. ზიზღით გააჟრჟოლა, ამოიოხრა, აივანზე გავიდა და მძიმე ფარდასავით დაშვებულ თქეშს მიღმა გაუშტერდა თვალი.

ლუხუმს, ორმოცდაათს მიტანებულს, მშობლიურ დიპლომგაუქმებულს, შემცირებულს და დამცირებულს თავისნაირად შემცირებული და დამცირებული ასიათასობით უმუშევარი ქართველის დარად უკვე ძალიან, ძალიან ეშინოდა მომავლის:

«ღმერთო, ნუ გაგვწირავ, ღმერთო!»

ლუხუმს უყვარდა და ძალიან სჭირდებოდა ღმერთი.

ლუხუმმა არ იცოდა, თორემ, ღმერთსაც უყვარდა და მასაც ძალიან სჭირდებოდა სწორედ ლუხუმი და ყველაც _ შემცირებულ-დამცირებულ-ტრადიციული.

* * *

_ ღმერთო, როდის იქნება, ამ ჯართს მოგვაშორებ? აბა ერთი, თუ მართლა ხაარ! _ აღრენილი წამოვიდა ნაზიკო ლუხუმის კუთვნილი თეთრი «ნოლექვსისაკენ», _ რა უბედურებაა, სკამი ამას აღარ უვარგა, საჭე და პედალი, როდის იქნება, როდის იქნება შეისმენს ჩემს ნატვრას და მოგვაშორებს ამ მართლა ჯართს, ამ მართლა ჯართს!

_ ქალო, ნუ სცოდავ ღმერთს! ეს მანქანაა კიდევ, ასე თუ ისე რომ გვასულდგმულებს. _ მანქანა ადგილიდან დაძრა ლუხუმმა, _ ახი არ იქნება, ჩამოგსვა, გადავუხვიო ახლავე ლილოსკენ და ეს შენი დაწუნებული «ჯართი» არშაკას შევუყენო ეზოში? გუშინაც

მეხვეწებოდა, ხუთას დოლარად მომყიდეო. ხომ იქნები ღირსი, რომ მართლა მივყიდო? დაჯექი მერე, ღვაწლმოსილო ქიმიკოსო და ყიდე ქუჩაში მზესუმზირა, მეტი აღარც გვექნება სხვა საშუალება, რომ შიმშილით არ დავიხოცოთ.

_ ჰოდა, შენ კიდევ, სტუმრებიო, არ ჩავიდა იმათ კუჭში არაფერი, ამ ფულით ნაყიდი, არ ჩავიდა!

_ დაანებე ჩემი მეგობრების წყევლას თავი, სანამ კიდევ არ გავგიჟებულვარ, იცოდე! _ თავი მუქარით შემოატრიალა ნაზიკოსაკენ ლუხუმმა.

_ კი ბატონო. კი ბატონო! ერთი, გზას უყურე, თუ ღმერთი გწამს, კიდევ კარგი, მზე მაინც გამოვიდა, თორემ...

ბაზრის შემოგარენი ჯოჯოხეთის ველს ჰგავდა. პირდაპირ ქუჩაში, მტვერსა და ტალახში ეყარა გასაყიდი მწვანილი, კარტოფილი, ხახვი, ნიორი თუ ათასგვარი საჭმელ-სასმელი. ერთმანეთში ირეოდნენ მყიდველები თუ გამყიდველები, გამვლელები თუ გამომვლელები... ყაყანი იდგაა...

ლუხუმმა გაბუტულივით აუარა გვერდი თავმომწონე ყოჩების ფარასავით ერთად თავმოყრილ «ფორდებს», «მერსედესებს», «ბე-ემ-ვეებს», «გრანდ-ჩეროკებს», «ნისან-პატრულებს», «რენოებს», «ვოლვოებს», «ჯიპებს», «კაბრიოლეტებსა» თუ ახალთ-ახალ «ნივებს» და მარჯვნივ, ხეიბარი ცხვრის ფარასავით ერთად ჩარიგებული «მოსკვიჩების», «ვოლგების», «ზაპოროჟეცების», «ნოლერთების», «ნოლხუთების», «ნოლექვსების», «ნოლშვიდების», «ნოლრვების», «ნოლცხრების», «ნოლთერთმეტების» ერთფეროვან მასას მიამატა თავისი «ნოლექვსიც».

_ იჯექი შენ, ცოდო ხარ, მეშინია, არ გაგიმიზეზდეს ეგ მონატეხი ფეხი, ავალ, ვიყიდი და ჩამოვალ მალევე, დიდ დროს კი არ დავკარგავ, _ მზრუნველად გაუღიმა ნაზიკომ ლუხუმს, კიდევ ჰქონდა იმედი მათემატიკური ნაშთის და შეშინებულმა, ლუხუმი ჩვეული რაინდობით არ წამომყვეს ჩანთების ასაწევადო, სწრაფად მოკურცხლა ბაზრის ასასვლელისკენ.

* * *

ბაზარში ასულმა ნაზიკომ პირველ რიგში იმ ადგილს მიაშურა, რომელიც ასე სძულთ ნებისმიერ დროს ვეგეტარიანელებს, მარხვის დროს კი ღრმადმორწმუნეთ. დიდი რჩევის, ფიქრისა თუ აწონ-დაწონის შემდეგ ქალმა საკმაოდ მოზრდილი უძვლო ხორცის ნაჭერი შეიძინა და გახარებულმა იმითაც, რომ უკვე გამოხრული ძვლების გადამალვაზეც აღარ იწვალებდა, შენაძენი სწრაფად დააბინავა ღრმა, შავი ჩანთის საიდუმლო ჯიბეში. სიფრთხილეს მაინც, თავი არ სტკიოდა და ცოტა ხნის შემდეგ ნაზიკომ შავი ჩანთა მთლად მწვანედ გადააბიბინა ისპანახის, ნიახურის თუ ტარხუნის გამოყენებით. მეორე ჩანთაც «ბალახ-ბულახით» (როგორც თვითონ უწოდა) რომ გაავსო, ნაზიკომ გადაწყვიტა ორივე ჩანთა მანქანაში დაებინავებინა და ახალი ცარიელი ჩანთებით ამობრუნებულიყო კვლავ.

ლუხუმი არ დახვდა მანქანაში. ნაზიკომ საბარგული ახადა, კოხტად მიალაგა ორივე ჩანთა და ბაზრისკენ გაეშურა ისევ. თევზეულით, ნიგვზით, სოკოთი, პომიდვრით, კიტრით და ა.შ. კვლავ ორი სავსე ჩანთით გამობრუნებულ ნაზიკოს ლუხუმი კვლავ არ დახვდა მანქანაში. ნაზიკომ მზეს გახედა და სწრაფად გაიქცა ამჯერად უკვე ბაზრის პირველი სართულისაკენ.

ნაირ-ნაირი მწნილებით, სანელებლებით, ყვავილოვანი კომბოსტოებით, ფორთოხლებითა თუ საწებლებით გამობრუნებულ ნაზიკოს ლუხუმი კვლავ არ დახვდა მანქანაში და მაშინ გაიხარა, თუ გაიხარა. წვალებით ჩააწყო უკვე გატენილ საბარგულში

ახალშეძენილი პროდუქტიც და რადგან მცირე თანხის აწაპნა მაინც მოახერხა ქმრისთვის, სწრაფად მიაშურა იქვე, ბაზრის გაყოლებაზე ერთიმეორის გვერდით ჩამწკრივებულ ევროპიდან შემოსული ნახმარი ტანსაცმლის მაღაზიებს.

ყველა მაღაზია მოვლილ, უამრავ კაბა-პალტო-პიჯაკ-ფეხსაცმელ მოსინჯულ და ნაყიდი მაისურით ჩანთადამშვენებულ ნაზიკოს ქმარი, მანქანა და ხვალინდელი სტუმრები რომ გაახსენდა, უკვე საკმაოდ გვიანი იყო და ცოტა არ იყოს შეჩქვიფდა, გზად ერთი კოლოფი მარილიც შეიძინა, ვინიცობაა, ლუხუმი თუ ჰკითხავდა, ყველაფერი ნაყიდი გქონდა და რაღატომ გაბრუნდიო და სადგომს მიახლოებულმა, ის იყო გაიგონა კიდევაც მანქანის წინ მდგომი ლუხუმის ღრიალი:

_ სადა ხარ ქალო, დილიდან წასული მთელი დღე ამ მარილის საძებრად დაყიალებდი აღმა-დაღმა? ამ მარილით გინდა სტუმრების პატივსცემა? რაო, მასხარად გვიყრი, გინდა ცხვრებივით მარილი დაგვიყარო თეფშებზე და მეტი არაფერი?!

_ რა გაყვირვებს, თუ იცი შენ?! _ თავის მხრივ ვალში არ დარჩა ნაზიკოც, _ მადლობის მაგიერია?! სამჯერ ავედი და სამჯერ ჩამოვედი დატვირთული. ფეხზე ვეღარ ვდგევარ დაღლილობისგან, ახია ჩემზე! არ შეგარგოთ ღმერთმა იმ ფულით ნაყიდი არაფერი, არც შენ და არც შენს სტუმრებს! ახლა რამდენი შინ უნდა ვიწვალო კეთებაზე! რას ღრიალებ, რომ ღრიალებ?! მარილი დამრჩა საყიდელი და იმისთვის გავბრუნდი. შენ თვითონ სად დაბრძანდებოდი მთელი დღე, შენ თვითონ! თუ სიარულის თავი გქონდა, ვერ შემომყევი ბაზარში?

_ რას ჰქვია, დავბრძანდებოდი?! _ პირი განცვიფრებისგან ღია დარჩა ლუხუმს, _ მოვკვდი მთელი დღე მანქანაში ჯდომით!

_ რა ვიცი, _ სარკასტულად ჩაიცინა ნაზიკომ და აქამდე საზეიმოდ მარჯვენა ხელით შემართული მარილი მარცხენაში გადაიტანა, ხელჩანთასთან ერთად, _ სამჯერ ავხადე, სამჯერ ჩავალაგე საბარგულში და ისე დავბრმავდი, ამხელა კაცი მანქანაში ვერ დაგინახე?

_ რას ახადე ქალო, რას ახადე და რა ჩაალაგე, ხომ არ გაგიჟდი შენ?

_ ჰმ! _ თავი მწარედ გადააქნია გაბრაზებულმა ნაზიკომ და საბარგულის სახურავს ეცა.

_ ერთბაშად, არ ახადო, აჰა, ჯიბეში მიდევს მაგისი გასაღები დილას აქეთია, გაგიღებ და დატკბი!

ლუხუმმა გააღო. ნაზიკომ ხელის ერთი აკვრით ახადა სახურავი საბარგულს, შიგ ჩაიხედა და მარილი გიჟივით მოისროლა განზე გულზე ცეცხლმოკიდებულმა.

_ აბბა მმაშ... ვის... აბბა მმაშ რროომელი მანქანის...

სულ ხუთიოდე მანქანაღა იდგა ლუხუმის მანქანის ახლომახლო, ხუთივეს საბარგული დაკეტილი დახვდა ნაზიკოს, ან კი რა, ღიაც რომ ყოფილიყო რომელიმე, _ მათგან ერთი «ვოლგა» იყო, სამი «მოსკვიჩი», ერთიც «ზაპოროჟეცი», ერთფეროვანი «ნოლერთებიდან» დაწყებული «ნოლთერთმეტების» ჩათვლით, ყველა თავის გზას სწვეოდა უკვე.

_ მართალია, არ გეკადრება ეს ჩემი ძმასავით თანშეზრდილი მანქანა, მაგრამ რას იზამ, დაჯექი, გპირდები, რომ ბოლო ჩაჯდომაა შენიც და ჩემიც! _ ისეთი ფერი ედო სახეზე ლუ-ხუმს, მტერსაც კი გული მოუკვდებოდა, _დროზე, დროზე, ქუჩაში ხომ არ მიგატოვებ, არც ტაქსის ფული მაქვს, რომ იმით გაგიშვა. ლილოში უნდა გავვარდე არშაკასთან. ფულს ვერავის ვთხოვ სესხად, ქართველი ვარ და ვერც უკვე დაპატიჟებულ სტუმრებს გავაბრუნებ უკან, უთენია უნდა წამოვიდეთ ხვალ ისევ ბაზარში... რა სახე გაქვს... რაც იყო, იყო... ფარხმალი არ უნდა დავყაროთ, მტრის გულის გასახარად, დიდოელი ლეკის ნაბადივით არ უნდა გავეთელინოთ ცხოვრებას... ახალგაზრდები ვართ ჯერ კიდევ, ჯანმრთელი, ჯან-ღონით სავსეები... სოფელში დავბრუნდებით, ქოხს ჩავდგამთ ვენახში, საქონელს გავიჩენთ. კარგია, ხვალ ჩემი მეგობრები რომ მოდიან, უმუშევარია ყველა, იქნებ ერთად უფრო რამე მოვიფიქროთ... რა იქნება, მაგალითად, საკალმახე მეურნეობა რომ შევქმნათ ერთობლივად,

მშვენიერი მდინარე ჩამოგვიდის ზუსტად ვენახის ბოლოში... ეს ბიჭებიც როგორმე უნდა ჩავაბა საქმეში, უსაქმურობა გადააგვარებს, უსაქმურობაა ყოველგვარი ბოროტების დედა...

«მააშ, მააშ! თუ ჯაჭვით შემკრავ და ისე წამიყვან სოფელში, _ მწარედ და უხმოდ გაიფიქრა ნაზიკომ, _ ლუხუმივით ხმამაღალ ფიქრს ხომ არ მოჰყვებოდა აბა, თანაც რისი ჩამდენი, თანაც როგორი დაზაფრული და თანაც რაზე მოფიქრალი, _ ქალაქში მზესუმზირით ვაჭრობა თუ არ მერჩიოს მაგას და... ჰმ, ქოხი, ძროხა, ღორი, კალმახები! ვაიმე, ვაიმე, ჯაჭვი რად უნდა, არ ვიცი, რა საშინელი კერკეტიცაა, უჯაჭვოდაც კარგად მაიძულებს... არ გავყვები და... ისე, რამე რომ იყოს, კია საკმაოდ ახალგაზრდა ჯერ»...

* * *

«ბედნიერი ლიკა! მაგან უნდა თქვას ოჯახი მაქვს და ქმარი მყავსო. სტივი ჰქვია მგონი თუ ფილი, ან ვინი... რა გინდა, რომ საქმეს არ უკეთებს ლიკას: ურეცხავს, უუთოებს, უქსოვს... ან რა სუპებს უმზადებს, ან რა ჩახოხბილებს, პიცებსა თუ ტორტებს... კაბა შეუკერა ამასწინათ ცოლს, კაბის უნახავს გაგხდიდა. ტრუსიკები მოუქარგაა... მე შენ გითხრა, იმაზე ეჭვიანობს, ნაირ-ნაირი კაცები რომ მოჰყავს შინ, მე შენ გითხრა, იმაზე გიჟდება, იმ კაცებთან ერთად სხვაგანაც რომ მიდის. ერთი ეგაა, შვილი ვერ გაუჩინა ლიკას. თუმცა, გენაცვალე, ისეთი ეშმაკის საუკუნეა ახლა და ისე წავიდა წინ ამერიკაც და ევროპაც, აღარც ეგ გამიკვირდება, ლიკასგან დაფეხმძიმებულმა სტივია, ვილია თუ ფილი, იმისთანა ტყუპიც შვაას... აბა ესენი არიან კაცები?! _ ცეცხლიდან ტაფა გადმოდგა და კვლავ ფხლის შეზავება განაგრძო ნიგვზით ნაზიკომ, _ აბა, ეს არის კაცი? მანქანა, ჩვენი მარჩენალი მანქანა გაყიდა სტუმრების გულისთვის. იჯდეს ახლა და იმღეროს «არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედაო...» ისე, კარგად კი მღერიან ოხრები, რაც მართალია მართალია... ამათ გააევროპელებ? კი არიან ჩვენშიც სტივისა თუ ფინისნაირებიც. იმათ კი, იმათ, მაგრამ ამათ? ამათნაირებს? მეტი არაა ჩემი მტერი... რა ტყავი დავკარგეე, რა ხორციი... გამოთვრება ახლა ეს და სტუმრები რომ წავიდოდნენ, მივაძღებოდით ცივად მოხარშულს მეც და ჩემი შვილებიც, თუმცა გიორგი არა მგონია, მამაილაა მთლად, ეკლესიაშიც დადის... ეეხ, ამ სამი დღის წინ ლიკასთან რომ შევიარე, რა კუჭმაჭი მაჭამა სტივმა თუ ფილმაა... თუ რა ჰქვია იმ ოხერს, ვერ დავიმახსოვრე. ისე, ჩვენში დარჩეს და ნეტა ლიკას მაინც თუ ახსოვს, რა ჰქვია. რა ვიცი, შენ გენაცვალე, ცოლად ევროპელს თუ ამერიკელს გაჰყვა და საყვარლებად კი მაინც ეს წურბელა ქართველი კაცები უზის, ვეღარ გავიგე, რა ხდება... ვაიმე, ხელი დავიწვი ამ საზიზღრების გულისთვის. რა ენაღვლებათ, მილიარდერები თუ არიანო, სხედან სამსახურებიდან გამოყრილები, ულუკმაპუროები და რას მღერიან და რას ხარხარებენ არხეინაად... ვაიმე, ქოხი, ვენახი, ძროხა და კალმახი!.. რა იქნებოდა, ფინი, ვინი თუ სტივი მყოლოდა მეც ქმრად, აღარ შემიძლია აღარც ეს გაჭირვება და თან ეს ოხერი რეცხვა, ხეხვა და გაზთან ტრიალი... ეეხ, ღმერთო, რა იქნებოდა სტივი, ვილი თუ ფილი მყოლოდა მეც ქმრად... ეეჰ, მართლა რომ არსებულიყავი, ხომ შემისრულებდი, ღმერთო...»

ხომ გითხარით, ღმერთი არ სწამს და ამიტომ არც ეშინია-მეთქი. არა და ჭკუის ნატამალი რომ ჰქონდეს, ცალტვინას, ელდა ეცემოდა ახლა ამ ნატვრის წარმოთქმისთანავე _ განა სულ მცირეოდე ხნის წინ არ იყო, როგორი ორი ნატვრა შეუსრულა თვალისდახამხამებაში?

ყვითელი ლეგიონერები

ზარი დარეკეს. ანა გელოვანს, რესპუბლიკის დამსახურებულ პედაგოგს, მარტოხელა პენსიონერს, რატომღაც არც კი უკითხავს, ვინ ხარო, ისე გააღო კარი.

_ კოლა ხარ? _ დაუღრიალა კართან მდგომმა, თვალებდასიებულმა, ცხვირწითელა და ერთიანად ალკოჰოლის სუნით გაჟღენთილმა მამაკაცმა ანას, პასუხისთვის არც დაუცდია, ჰოლში შემობანცალდა, სიფრიფანა მხრებში მხეცივით წააფრინდა ქალს და კიდევ ერთხელ იღრიალა, _ კოლა ხარ, ხო?

_ ა-არა! ა-რა! _ შიშისა და მოულოდნელობისაგან ძლივს უპასუხა ქალბატონმა ანამ მომხვდურს.

_ კოლა ხარ, კოლა! _ ცალი ხელით ენერგიულად შეაჯანჯღარა, მეორეთი კი ჯიბიდან გახსნილი ჯაყვა დააძრო მამაკაცმა, _ სადა გაქვს ის ორი ლარი, წუხელ, ქეიფის დროს რომ ამაფცქვენი? გგონია, შეგარჩენ, ხომ? გგონია, შეგარჩენ?!

_ არა ვარ-მეთქი, კოლა! _ შიშისაგან ნიბლიასავით აწრიპინდა და თავის დახსნა სცადა მოხუცმა.

_ თანაც როგორი შრომით ნაშოვნი! თანაც რა დროს, მე შენი, _ ძმობას რომ მეფიცებოდი!

_ არა ვარ-მეთქი კოლა, არა! გამიშვი ხელი, გამიშვი! _ სიმწრისაგან მკლავში კბილებით ჩააფრინდა ქალი უცებ კაცს.

_ უუხ, მე შენი! _ ქალს ხელი გაუშვა და ნაკბენ ადგილს მგზნებარედ აკოცა მამაკაცმა, _ მაშ არა ხარ, კოლა?! რომელი სართულია ეს?

_ მესამე! _ ამოისლუკუნა ანამ.

_ აა..... მაშინ მართლა არ ყოფილხარ, კოლა. მეოთხეზე ვცხოვრობო ასე თქვა. ჩავიგდო ხელში, მე იმის...

როგორც კი აწოწილი, ჩამომხმარი, ბაყბაყდევივით მამაკაცი გარეთ გავარდა, ანამ კარი დახურა. ჩაკეტა გასაღებით, ჯაჭვითაც, მოიწმინდა თვალზე შერჩენილი ცრემლი და იქვე, განათებულ ჰოლში დაკიდულ გაბზარულ სარკეს მიაშურა. მოხუცმა რატომღაც დიდხანს და დაკვირვებით ათვალიერა საკუთარი ორეული, დაივარცხნა შიშისაგან ჯერ ისევ ბამბის ქულასავით აბუებული თეთრი თმაც და უცებ პატარა გოგონასავით ჩაკუჭკუჭდა.

ამბის კეთილი დასასრულით, ელექტროენერგიის მოსვლითა და მზიანი დილით გახალისებულმა ქალმა სწრაფად მოაწესრიგა საძინებელი, მოიწესრიგა თავიც და სამზარეულოს მიაშურა. ჩართო ქურა, დაადგა ჩაიდანი. ჩართო მაცივარიც, თუმცა მაშინვე გაეცინა, გამორთო ისევ და ჩართო მაცივრის თავზე შემოსკუპებული პატარა ტელევიზორი.

ეკრანზე ჯერ პარლამენტის სხდომათა დარბაზი გამოჩნდა, შემდეგ ქვეყნის მხცოვანი პრეზიდენტი.

პრეზიდენტი ქვეყნის გარეგან დამცავ მექანიზმებზე ლაპარაკობდა, მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი აბრეშუმის გზის მნიშვნელობას და შემდეგ უკვე ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესების განხილვაზე გადავიდა.

თქვა, რომ ქვეყანაში მოძალებული უზნეობისა და კორუფციის წინაღმდეგ მარტო ვერ გახდება ვერაფერს, თუ კი მას მხარში არ ამოუდგებიან როგორც პარლამენტარები, ისე მაკონტროლებელი თუ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელნი, თუმცა კი ისიც უკვე საქვეყნოდაა ცნობილი, რომ სწორედ მათი დიდი ნაწილია კორუმპირებული და სწორედ ამიტომ, საჭიროა და დროულიცაა ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, რომ მიზღვითაც სათანადოდ მიეზღოს.....რომ უკვე დროა, მიუხედავად პარტიულობისა, მთელი საქართველო გაერთიანდეს ქვეყნის გადასარჩენად. პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ

მოუბოდიშა მოსახლეობას იმ გაჭირვებისათვის, რაც ისტორიულ გარდაქმნას მოჰყვა თან და კიდევ ერთხელ მხურვალედ დააიმედა, რომ, როცა იქნება, დამთავრდება ეს გაუსაძლისი გვირაბი და ერთიანი, დაკარგულტერიტორიებდაბრუნებული საქართველო კვლავ იხილავს მზის სინათლეს.

ანა გულდასმით უსმენდა პრეზიდენტს. მას შეგნებულად ეიმედებოდა ქვეყნის უშიში მეთაური და ღრმადაც სწამდა, თუკი არ უღალატებდნენ, თუკი აცდიდნენ, მას მართლაც შეეძლო ამ ბეწვის ხიდზე შემდგარი ქვეყნის ხიდსა თუ გვირაბს გარეთ გაყვანა, შეეძლო, თუნდაც იმიტომ, რომ მასავით ვერავის ხელეწიფებოდა მსოფლიო გეოპოლიტიკის საჭადრაკო ხელოვნება, _ ამოცანა კი რთულზე ურთულესი გახლდათ!

პრეზიდენტი პარლამენტის ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წევრმა შეცვალა. მას ცბიერი, აზიური თვალები ჰქონდა, სუფთად გადაპარსულ საულვაშეზე მალი-მალ ისვამდა ხელს და გააფთრებით ამტკიცებდა, მთელი ისტორიის მანძილზე ქართველ ხალხს ასეთი მატერიალური გაჭირვება არ განუცდიაო.

ქალბატონი ანა ისტორიის დამსახურებული მასწავლებელი გახლდათ, იჯდა, უსმენდა ამ ცბიერ კაცუნას და განცვიფრებული იყო ისტორიაში მისი ჩაუხედავობით.

წყალი ადუღდა. მოხუცმა მეზობლის ნაჩუქარი ალპური ბალახის ჩაი დააყენა, გამხმარი პურის ნაჭერიც მოიძია, ორად გაყო, ნახევარი გადაინახა, სხვა არც ჰქონდა არაფერი და სუფრას მიუჯდა.

აზიურთვალებამ, რომელიც რატომღაც ერეკლე მეფესაც მისწვდა თავისი გესლით, კიდევ ერთხელ გამოაცხადა, საწყალი ხალხი ასეთ საშინელ ეკონომიკურ გასაჭირში მთელი ისტორიის მანძილზე არ ყოფილაო და ასევე ხაზგასმით და კატეგორიულად მოითხოვა პრეზიდენტის გადაყენებაც, _ ქვეყანას მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პარტია თუ ააღორძინებს თავის ლიდერთან ერთადო.

პარლამენტის თავმჯდომარემ გვარით მიმართა ცბიერთვალებას, დაბრძანდითო და უცებ ქალბატონ ანას უშაქრო ჩაიში ჩალბობილი ლუკმა გაუშეშდა ხელთ. ახლაღა იცნო, _ ცბიერთვალება ცნობილი და ხალხში მეტად პოპულარული ისტორიკოსი გახლდათ.

«რა მაინტერებს, იცი, _Hჰკითხა მეორე ქალბატონმა ანამ უცებ ჰირველ ქალბატონ ანას, _ ამ კატეგორიის ხალხი, ანუ ვის ავტორიტეტსაც ხალხი ბრმად ენდობა, ნებით ისულელებს ხოლმე თავს, თუ ვინმეს ბრძანებითა და დავალებით?! _ ისედაც გაბრაზებული იყო და ახლა კიდევ უფრო გაბრაზდა პირველი ანა, _ ჰმ, გაიძვერა, ერეკლე მეფესაც რომ გადასწვდა, თითქოსდა ჰქონდა იმ ეპოქასა და ვითარებაში საქართველოსთვის თავგადადებულ მეთაურს სხვა გამოსავალი!»

აზიურთვალებიანი ოპოზიციონერი ხარისთვალება, ზორბა პოზიციონერმა შეცვალა. ამ კაცმა ცოტა ხნის წინ წამოაყენა და ახლაც კვლავ წამოჭრა საკითხი პასპორტში ეროვნული რეკვიზიტების გაუქმების შესახებ. პასპორტში ეროვნების ჩაწერის მოწინააღმდეგე ზორბას სრულიად მოულოდნელად სწორედ ის პარლამენტარი წამოუხტა, რომელიც ჯერ კიდევ კომუნისტების დროს იყო ცნობილი თავისი უზნეობითა და ანტიეროვნული საქმიანობით. მოკლედ, ატყდა ერთი ვაი-უშველებელი. ჩაწერის მომხრემ ამერიკის აგენტი ეძახა ჩაწერის მოწინააღმდეგეს, ჩაწერის მოწინააღმდეგემ _ რუსეთის აგენტი ჩაწერის მომხრეს. ერთის მხარდამჭერებიც ტყედ წამოიმართნენ დარბაზში, მეორისაც, მცირე ხნის ლანძღვა-გინებისა და ყაყანის შემდეგ კი ორივე მხარე ჩაწყნარდა, რადგან ამასობაში მიკროფონი სოციალისტების კაპიტალისტმა ლიდერმა იგდო ხელთ. ჯიბეებში უზრდელად ხელებჩაწყობილმა თავმომწონე კაპიტალისტმა კიდევ ერთხელ დასდო ბრალი პრეზიდენტსა და მმართველ პარტიას ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარების გამო, კიდევ ერთხელ შეიცოდა, შეიბრალა და თავის მხრივ უკეთეს მომავალსაც დაჰპირდა, _ თუკი, რაღა თქმა უნდა, ამისი საშუალება მიეცემოდა, _ მისთვის არაფრით, მხოლოდ საარჩევნო ხმებით

საყურადღებო პროლეტარიატს _ და მიზანმიმართული და ამპარტავანი კაცის მიხვრა-მოხვრით დაუბრუნდა თავის ადგილს.

კაპიტალისტისაგან გათავისუფლებულ მიკროფონს ქართული გვარის მქონე არაქართულყვრიმალებიანი დეპუტატი დაეუფლა. მან რელიგიის თავისუფლების დაკანონება მოითხოვა და მადლიერებით მოიხსენია «თავისუფლების ინსტიტუტი», რომელიც დაუღალავად იღვწის როგორც იეღოველთა, ისევე სხვა, დანარჩენ არამართლმადიდებლურ სარწმუნოებათა თუ სექტათა ინტერესების დასაცავად.

გარინდებული ანა «თავისუფლების ინსტიტუტზე» ფიქრობდა ოხვრით, არაქართულ ყვრიმალებიანს მისჩერებოდა და უცებ ისეთმა კითხვამ გაუელვა, შეძრწუნდა: «სად არიან და ვინ არიან იმ უთვალავ მომხვდურ ბარბაროს მტერთა შთამომავალნი, ისტორიული ქარტეხილებისა და სისხლის წვიმების დროს ქართველი, ნაწამები და ნამუსახდილი გოგონებისგან რომ ჩნდებოდნენ?! როგორც მეცნიერება ამტკიცებს, გენი ხომ უკვდავია?!.. «ო, ღმერთო, ო, ღმერთო», ამაზე ფიქრს ისევ სხვა რამეზე ფიქრი ჯობდა და უცებ, ქალბატონ ანას, წინა ფიქრიდანვე გამომდინარე, გაახსენდა, როგორ დაჰპირდა თამარს, «ქართლოსის საფლავს» წაგაკითხებო. «არ მგონია, ჩემს გარდა კიდევ ვინმესთვის ეთხოვებინა ცხონებულ შალვას ის წიგნი, დავურეკავ ერთი, ამ გახსენებაზე, ოფელიას, იქნებ მათხოვოს ისევ, ცოტა ხნით, თორემ ყიდვის საშუალება სად გვაქვს ან მე, ან თამარს!»

ანამ ტელევიზორი გამორთო და ტელეფონს მიაშურა. ტელეფონი ქვასავით დუმდა. ანას ტელეფონის დუმილი სულაც არ გაჰკვირვებია, ჰოლისკენ გაეშურა, კარის სათვალთვალოდან კიბის ბაქანი მოათვალიერა შიშით, ისევ იმ ჩამომხმარ ბაყბაყდევს არ გადავეყაროო და მეზობელთან გავიდა.

მეზობლის კარი ღრიჭოდ იყო დატოვებული, არც ზარს გამოჰპასუხებია ვინმე, არც კაკუნს. ანამ კარი შეაღო და ძახილით «ტანია! ანზორ!,» იქაურობა მოათვალიერა. არც ტანია ჩანდა, არც ანზორი. «ნეტა ქიტესას ხომ არ დაემართა რამე, მე შენ გითხრა და არა აქვს ხანი, ოთხმოცდაექვსი წლისაა უკვე», _ გაიფიქრა ანამ, ფრთხილად შეაღო ქიტესას ოთახის კარი და იქვე გაშეშდა: სახეაფორაჯებული, ახვნეშებულ-აკვნესებული ოთხმოცდაექვსი წლის ქიტესა ისე გაფაციცებით მისჩერებოდა საშინლად უხამს პორნოგრაფიულ კადრს, ანა კი არა, ტრაქტორიც რომ შემოსულიყო ახლა ამ ოთახში, იმასაც ვერ შეამჩნევდა. ასევე გაფაციცებით, სულგანაბულნი შეჰყურებდნენ ეკრანს ქიტესას ბადიშის შვილებიც, ცხრა წლის დიმა და შვიდი წლის კასანდრა.

«ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, როგორ გეგმაზომიერად და მასიურად რყვნის ტელევიზია ბებერსაც და ახალგაზრდასაც,… დიდსაც და პატარასაც.»

ქიტესასგან გამობრუნებულ ანას უკვე ტანია და ანზორიც დახვდნენ შინ შემობრუნებულნი, როგორც ყოველთვის, მეზობელ ქეთევანთან გავარდნილიყვნენ საშველად, როგორც ყოველთვის, ახლაც წიხლით ეცემა თავის ნარკომან შვილს ხეიბარი ქეთევანი, _ ბინა გაყიდე, ფული მჭირდებაო.

ანამ ამოიოხრა და ტელეფონით სარგებლობის ნებართვა ითხოვა მეზობლებისგან. ქიტესას ოთახში გაფაციცებულ ტელემაყურებელ ბავშვთა შესახებ არაფერი უთქვამს, რადგან ეს თემა დიდი ხნის წინათ ჰქონდა უკვე განხილული და ამოწურულიც ტანიასთან, რომელიც ერთადერთი, გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობდა ამ ოჯახში და ამავე დროს დიდად აფასებდა დემოკრატიასაც, _ განსაკუთრებით მის ყვითელ მონაპოვარს.

ანა ჩაფიქრებული მიუჯდა ტელეფონს. მეუღლის, წიგნის მკინძავი შალვას გარდაცვალებამდე ღარიბ-ღატაკმა ოფელიამ, შალვას გარდაცვალების შემდეგ პარიკმახერობას თავი დაანება და მცირე ბიზნესს მიჰყო ხელი. მცირე ბიზნესში რა იგულისხმებოდა, ანამ ვერ გაიგო, მაგრამ სამაგიეროდ ნათესავებისგან კარგად იყო ინფორმირებული, რომ სულ მცირე ხანში ოფელიამ მცირე ბიზნესით დიდ ქონებას გამოჰკრა

ხელი: შვილები ამერიკაში გააგზავნა საცხოვრებლად, თვითონაც ამერიკულ მანქანას მოასკუპდა, სამოცი წლის ასაკში კაბაც დაიმოკლა, თმაც ლამის გადაიხოტრა, სიგარეტი, შორტი, შარვალი და ჯუბაჩაც მოირგო და ევროპასა და ამერიკას არა თუ დაეწია, ქვრივის კვალობაზე გადაასწრო კიდევაც. ამ ხნის მანძილზე ოფელიას არც ტელეფონით, არც უტელეფონოდ არ მოუკითხავს ანა. ანას მშვენივრად მოეხსენებოდა, გამდიდრებული მდაბიოსათვის ქურდი, ყაჩაღი და ღარიბი ნათესავი (მით უმეტეს, მეუღლის მხრიდან ნათესავი) ერთი და იგივე რომაა და ამიტომ, ოფელიას ხმა გაიგონა და იგრძნო თუ არა, როგორ ჩაღღვარა ოფელიას ხმაში ყინული დამრეკავის ვინაობის გაგების შემდეგ, ანა პირდაპირ სათხოვარზე გადავიდა.

გამყინვარებულმა ოფელიამ კარგა ხანს ვერ გაიგო, რა საფლავს ეხვეწებოდა მარტოხელა მოხუცი. მერე თანდათან გაიხსენა ჯერ გარდაცვლილი მეუღლე, მერე მისგან შეძენილი წიგნები, ხმა ცოტა დაუთბა და დაჰპირდა, როგორც კი დროს გამოვნახავ და საშუალებაც მექნება («ბენზინის ფულიც კი არ მაქვს, ისე მიჭირსო!»), მოვძებნი და მე თვითონ, ანდაც ჩემი კამაზის შოფერს ამოვატანინებო. ანამ სთხოვა, ჩაიწერე, სხვა არაფერი მომიტანო, ავტორი ჯანსუღ ღვინჯილიაა, წიგნის სათაური კი «ქართლოსის საფლავიო». ოფელიამ ნერვიულად დაუცაცხანა, მაგის დამახსოვრებას რა უნდა, ქართლოსა და ჰაოსა ხომ ძმები იყვნენო; სულაც გაჩუქებ იმ წიგნს, ჩემს შვილებს მაინც არაფერში სჭირდებათო და კიდევ ერთხელ წაიწუწუნა თავის საშინელ მატერიალურ გასაჭირზე. ანამ «გულუბრყვილოდ» შესთავაზა, გუშინ ნინომ თავისი ხელფასიდან ათი ლარი მაჩუქა და თუ რამეს გიშველის, ფეშქაშო! ამ დროს ანამ საკუთარ სახეს მოჰკრა თვალი სარკეში და გაიფიქრა, რა საოცრად ვგავარ ახლა ბებერ, ცბიერ მელაკუდასო.

საკუთარ ბინაში შებრუნებული ანა უცებ საკუთარმავე ტელეფონმა იხმო ურცხვად. _ ისრაელის ოფისიაო? _ ვიღაც კაცმა იკითხა. _ არაო, _ რატომღაც მკვახედ უპასუხა ანამ და ყურმილს რომ დებდა, გაიფიქრა, სისხლის ყივილმა იხმო ვინმე, ნეტა, ისტორიულ სამშობლოში თუ რომელიმე ბედკრული ქართველი ებღაუჭება ლუკმა-პურისა თუ გამდიდრების იმედსო?

მაცივრის თავზე შემოდგმული ტელევიზორი ჩართო თუ არა, ეკრანზე უხამსი რეკლამა გამოჩნდა. ანამ სხვა არხზე გადართო, მაგრამ ერთმანეთზე ბაყაყებივით დაკოსებულ შიშველ ქალსა და კაცს გადააწყდა და ისევ გადართო: ქართულად თარგმნილი უცხოური ფილმიდან ისეთი ბილწსიტყვაობის ნაკადი იფრქვეოდა, კულტურულ ადამიანს სიცოცხლეს შეაზარებდა და ანამ ისევ გადართო.

ამ არხზე, აფუებული ცომივით საზღვრებს გარეთ გადმოსული თანთალა კაცი ენის ჩლიფინითა და ქოშინ-ქოშინით განაქიქებდა, არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს სალოცავ ხატს, ილია ჭავჭავაძეს!

ანა ჯერ გაშრა, გაშტერდა, მერე იფიქრა, ალბათ რაიმე ახალი ინსცენირებაა «კაცია-ადამიანი?!»-ს და ეს მსახიობი, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ლუარსაბს, როლს ასრულებს ასე ნიჭიერადო, მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ მიხვდა, რომ საქმე უფრო რთულად იყო, ვიდრე ეგონა. ჩლიფინამ ილიადან აკაკიზე გადაინაცვლა და ახლა მის განქიქებას მიჰყო ხელი.

_ ღმერთო, ან მეჩვენება, ან გავგიჟდი! _ ამოიკვნესა თავზარდაცემულმა ანამ და თითქოს საშველს ეძებსო, კვლავ გადართო.

ამ არხზე, კარტუზიანი, ნარკომანის იერის მქონე არცთუ ახალგაზრდა კაცი მთლიანად კლასიკურ ქართულ პოეზიასა და კლასიკოს ქართველ პოეტებს ასწორებდა მიწასთან. გალაკტიონიო? _ მოწიწებით ჰკითხა ჟურნალისტმა გოგომ. ვინ იყო გალაკტიონი, ერთი სოფლელი ბიჭი, _ გაანათლა გოგო კაცმა, _ ჩვენი ხალხი ვერ ხვდება ჯერ-ჯერობით, მე რა გენიოსი პოეტიც ვარ, თორემ ევროპა-ამერიკა კი არ მაკლებს ყურადღებას და პატივისცემას,

ახლაც ვიყავი მიწვეული, გუშინ დავბრუნდი სამშობლოშიო. გოგომ მორცხვად სთხოვა, თუ არ შეწუხდებით, წაგვიკითხეთ თქვენი შედევრებიო. კი, ბატონო, კი ბატონოო, _ კარტუზიანმა და პირველი შედევრი წაუკითხა: «როცა წაიკუზები, მაშინ მომდის მუზები».

ანამ ლამის გონება დაჰკარგა, ერთი-მეორეს მოყოლებული რამდენიმე უხამსი «შედევრი» რომ მოისმინა. ლამის არც თვალისთვის დაეჯერებინა, არც ყურისთვის, მოწიწებული ჟურ-ნალისტი გოგოსგან წაქეზებული კარტუზა კი მიერეკებოდა და მიერეკებოდა...

«ესეც შენი დამოუკიდებელი საქართველო! ესეც შენი დემოკრატია!» _ ანამ ტელევიზორი გამორთო, ერთხანს იდგა საფეთქლებზე ხელებწავლებული, თვალებდახუჭული და ლამის შეშლილი. «ვინ, რატომ, რისთვის და რა მიზნით აიძულებს თუ აფინანსებს ამ უბედურებს თუ შეურაცხადებს.....ვინ, რატომ და რა მიზნით?!. არა, აღარ მინდა ამაზე ფიქრი, თორემ მართლა გავგიჟდები! მოდი, რა ვქნათ, იცი, ვიდრე სინათლეა, გავაუთოოთ».

უთოობის ჟამს ანამ ილიას, აკაკის და გალაკტიონის უამრავი შედევრი წარმოთქვა ზეპირად, ხასიათიც გამოუკეთდა და როგორც კი უთო გამორთო, მექანიკურად ისევ ტელევიზორი ჩართო: უცხო წარმომავლობის, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისაგან განდგომილი შავწვერა, შავი მოძღვარი ქვაბ-ავაზაკივით აბრიალებდა თვალებს და უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ლანძღვა-გინებასა და ცილისწამებას აფრქვევდა თავზე ტელეეკრანიდან. ჟურნალისტმა ბიჭმა მოწიწებით დაამთავრებინა სათქმელი ქვაბ-ავაზაკს, მადლობა გადაუხადა და სთხოვა, ახლა რომ კადრებს გიჩვენებთ, იმის შესახებაც გვითხარით ორიოდ სიტყვაო: კადრში ეკლესიისგან განდგომილი შავი მოძღვარი თავის გაბრუებულ, გაშმაგებულ და სახეშეშლილ მრევლთან ერთად, კეტებითა და ქვებით ქრისტეს სახელით უსწორდებოდა ასევე გაბრუებულ, გაშმაგებულ და სახეშეშლილ, ქრისტესა და ყოველივე მშობლიურის უარმყოფელ იეღო-ველთა სექტას...

«ლამის დავიჯერო, რომ პირადად თვითონ სატანამ შეადგინა ასეთი თავზარდამცემი ნიჭიერებით და ხელმძღვანელობითაც თვითონ ხელმძღვანელობს საქართველოს მთლიანად განადგურების გეგმას, _ ტელევიზორი სწრაფად გამორთო შეძრწუნებულმა ანამ, _ ნელ-ნელა, ეტაპ-ეტაპ, მტრისგან დედაეკლესიას და მართლმორწმუნეებს ჩამოშორებული მოტყუებული მრევლი, მტრისგანვე მართლმადიდებლობას ჩამოშორებული, გადაგვარებული და არა თუ მამა-პაპის სარწმუნოების, ყოველივე ეროვნულის უარმყოფელი, უსახო, გაბრუებული, სხვადასხვა სექტებად სახელდებული მასობრივი ჯოგები.....ეტყობა, ქვაბ-ავაზაკმა და მისმა თანამეინახეებმა უკვე მიიღეს დავალება, ერთმანეთს ახლა უკვე ფიზიკურად დაატაკონ ერის ეს საბრალოდ და უღვთოდ მოტყუებული გონებაჩლუნგი ნაწილი.....ჰმ, ეროვნული ხარაკირის სატანური რიტუალი ქრისტეს სახელით!».

ანამ მუხლებზე ჩაიჩოქა და სასოწარკვეთილმა ხელებში ჩარგო თავი, ფუტკრის სკასავით ზუზუნებდნენ ფიქრები: «მაგრამ ღმერთი, სიკეთე ხომ უძლეველია?! მაგრამ რა ჰქნას მარტო ღმერთმა?! ღმერთი მარტო ჩვენ კი არ გვჭირდება, _ ჩვენც ვჭირდებით ღმერთს.....და ვინ ვართ ეს ჩვენ, _ ვინც ღმერთთანაა?! «თუ არ გვიშველი, მგონი ვიღუპებით, ღმერთო!..»

და ანამ, მონუსხულივით ისევ ტელევიზორი ჩართო.

კადრში ერთი-მეორის მიყოლებით გამოჩნდნენ ფეშენებელური, უცხო სტილის სასახლეები. ნეტა რომელი ქვეყანაა ასე მდიდარი და ბედნიერიო, _ ის იყო, გაიფიქრა ანამ, რომ ახალგაზრდა, მელოტმა ჟურნალისტმაც გამოაცხადა:" აი, სად გაჰქრა და რას მოხმარდა, ხალხო, თქვენი ბანკში შენახული დანაზოგები, წლობით გაუცემელი ხელფასები, პენსიები თუ ის შემოწირულობა და დახმარებები, რომლებსაც ამერიკა და სხვა უმდიდრესი ქვეყნები გვიგზავნიდნენ! და ვინ არიან ამ სასახლეთა პატრონები, _ თქვენი შიმშილის ხარჯზე გამდიდრებული ბობოლები?! _ პარლამენტარები, ძალოვანი თუ მაკონტროლებელი სტრუქტურების წარმომადგენელნი და საერთოდ, ძლიერნი ამა ქვეყნისანი!"

ანამ კარგად იცოდა ისტორია და არც ეს გაჰკვირვებია, ასე იყო იმ ისტორიული სისხლის წვიმების დროსაც, სწორედ მაშინ, როცა ბრძოლის ველი ქართველი ვაჟკაცების გვამებით იყო მოფენილი, როცა თითო-ოროლა, სიკვდილს გადარჩენილი ქართველი კი შიშისა და შიმშილისაგან ძრწოდა, მედროვენი და ძლიერნიც ამა ქვეყნისანი ხალისით ირგებდნენ გამარჯვებული მტრისაგან ბოძებულ ხალათს, სასახლებსაც და ციხე-სიმაგრეებსაც მათივე დახმარებით იშენებდნენ და ისედაც გაძვალტყავებულ მოსახლეობასაც კიდევ უფრო აძვალტყავებდნენ მტრისავე გულის გასახარად.

ანა კარგად იცნობდა ადამიანის ბუნებას, თანამედროვე სასახლეთა შესახებაც მოეხსენებოდა უკვე ნაცნობ-მეგობრებისგან, მანამ, სანამ ეს ამერიკაში სტაჟირებაგავლილი «დამოუკიდებელი» ჟურნალისტი გამოიტანდა საჯაროდ ამ ამბავს (ოღონდ ასე მდიდრულნი კი მაინც ვერ წარმოედგინა); ანას ყველაზე მეტად ერთი რამ აღელვებდა და უფორიაქებდა სულს, როგორც ახლა, ამ გადაცემისას, ისე ყოველთვის, როცა კი ეს ჟურნალისტი ასე საჯაროდ ამზეურებდა, როგორც თვითონვე ამტკიცებდა, მართალ ამბებს, _ ანას ზარავდა მის ხმაში შეფარული ზეიმი, მისი ვითომ თანაგრძნობით სავსე მიმართვაც კი, _ «როდემდის, ხალხოო», ანას საშინელი სიცხადით აგონებდა იმ ცნობილ და ავადსახსენებელ ლოზუნგს, რომლის განხორციელებამაც სისხლით გადაღება, არც თუ შორეულ წარსულში, როგორც მთლიანად საქართველო, ისე დედამიწის კარგა დიდი ნაწილიც, _ «პროლეტარებო, შეერთდით!»

ანამ ტელევიზორი გამორთო, საგაზაფხულო პალტო ჩაიცვა, ჯიბეში ნაჩუქარი ათი ლარი ჩაიდო და საბაზრო ჩანთით ხელში გარეთ გამოვიდა.

მზით გაჩახჩახებული ეზო ბავშვებით იყო სავსე. ვინ «ბოევიკობანას» თამაშობდა, ვინ პარლამენტარობანას, ვინ ბაზრობანას, ვინ ოჯახობანას და ვინ კიდევ იქვე, ყველას თვალწინ, სიყვარულობანას.

სადარბაზოს პირდაპირ ძელსკამზე აფხაზეთის ომში ნაბრძოლი ოცდახუთი წლის ცალფეხა რატი გიორგობიანი იჯდა, ყავარჯნები გვერდით მოეწყო და ერთ წერტილს მიჩერებელი, უსასოო და ნაღვლიანი სახით აბოლებდა იაფფასიან «პრიმას».

«გტკივა, ჩემო უსახელო უფლისციხელო? _ თვალზე ცრემლი მოადგა ანას, _ შენ არ იცოდი, რომ შენს მეგობრებთან, გუბაზთან, ლევანთან, დავითთან, გიორგისთან და ასობით სხვასთან ერთად უკვე წინასწარბედგადაწყვეტილ ომში ჩაები. შენ ვერ განსაზღვრე, რომ ახლა მაინც უფრო სხვა დროა, რომ ახლა უფრო მეტად დის ღალატის სუნიც და ის უხილავი დირიჟორიც, რომელიც ასე უტიფრად და ვირტუოზულად ხელმძღვანელობს სახელმწიფოების ხელახალ გადანაწილებას, სწორედ ამ შინაური მოღალატეებითაა უფრო ძლიერიც.....შენ და შენი მეგობრები დიდგორობანას თამაშობდით ხოლმე, მახსოვს, ეზოში ჯოხის ცხენებს დააქროლებდით ყიჟინით და ამაყად «კვდებოდით» სამშობლოსათვის. ახლაც, აფხაზეთისთვის ბრძოლაში, ალბათ ასევე ამაყად დაიხოცნენ გუბაზიც, ლევანიც, დავითიც, გიორგიც... იმ დროს კი, იმ დროს...ესენი, ათასი ჯურის მოღალატენი, ათასი ჯურის მედროვენი.....ეჰ.....მაგრამ თუნდაც გცოდნოდათ, მაინც წახვიდოდით, მაინც იბრძოლებდით დიდი მტრისაგან მოსეული იმ პატარა მტრის წინააღმდეგ, ვინც მამა-პაპათა საძვალეს გედავებოდათ. თქვენი წმინდა სისხლი, თქვენივე ბავშვობა წაგიყვანდათ და აკი წაგიყვანათ კიდევაც.....ახლა კი მეგობრებშემოძარცული, სამშობლოჩამოჩეხილი, მამულგაუცხოეუბლი, მშიერი, ხეიბარი, ზიხარ, ფიქრობ, ფიქრობ და პასუხი ვერ გიპოვია! შვილო, მარადგამწარებული მამულის მარადგამწარებულო შვილო...”

რატიმ თავი ასწია. ლამაზი, ქართულად ჩამოქნილი ნაკვთები მოკრძალების ღიმილმა გაუნათა და ყავარჯნებს მისწვდა წამოსადგომად.

_ იჯექი, შვილო, იჯექი, _ გაუღიმა ანამ _ გაზაფხულის დადგომას გილოცავ!

_ გმადლობთ, ანა მასწავლებელო, მეც, ასევე.

მეორე სადარბაზოდან რატის თანაკლასელი ბიჭი გამოვიდა უზადოდ გამოწყობილი. ამერიკაში განსწავლულმა და ამერიკისგანვე საქართველოში შექმნილი რაღაც ახალი ინსტიტუტის წევრმა ამერიკული «მარლბოროს» წევით, ინდაურივით აფხორილმა ჩაუარა წინ ანას და რატის, ზედ არ შეუხედავს არცერთისთვის, ამერიკულ მანქანაში ჩაჯდომისთანავე ამერიკული როკი ჩართო გამაყრუებლად და ადგილიდან მოწყდა.

ანამ თვალი გააყოლა უცხო მანქანას და თავი გადააქნია. ერთ-ერთი, ვინც საქართველოში დემოკრატიის სახელით ყველანაირი არაქართულის, არატრადიციულის დამკვიდრებას მოითხოვდა თავის ახალ ინსტიტუტთან და თავზარდამცემ თანაინსტიტუტელებთან ერთად, სწორედ ეს ბიჭი გახლდათ, მთელი ომის განმავლობაში იბრძოდა ეს ბიჭიც თავის უცხოდ განსწავლულ თანამოაზრეებთან ერთად, ოღონდ მტრის კი არა, მტრის წინააღმდეგ მებრძოლი ბიჭების წინააღმდეგ. «ომში საძარცვავად წასულებს», «ნარკომანებს», «დამნაშავეებს»... რაღას არ უწოდებდა, რა ხერხით არ შეურაცხყოფდა და არ ამცირებდა პატრიოტი ქართველების დაღვრილ წმინდა სისხლს და კიდევ უფრო აბნევდა და აშტერებდა ისედაც დაბნეულ ქართველ ხალხს _ გაზეთში დაწერილს და ტელეეკრანიდან ნათქვამს ხომ მართლაც და მაგიური ძალა აქვს!

ჭეშმარიტად! განსაცვიფრებელი ნიჭიერებით ფლობდა საქართველოს და მართლმადიდებლობის მარადი მტერი თავის ხელოვნებას!

ავტობუსში, ისევე როგორც მთელ ქალაქში, ქლორის გაუსაძლისი სუნი იდგა. ანა ფანჯრიდან გაჰყურებდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თვალისდახამხამებაში გაუცხოებულ დედაქალაქს. ევრორემონტით სახეცვლილი ყოფილი კვლევითი ინსტიტუტები, წიგნის მაღაზიები თუ ასევე ყოფილი ბიბლიოთეკები ახალი და ახლა უკვე რუსულის მაგიერ ინგლისური წარწერებით იწონებდნენ თავს: «კაზინო», «მინიმარკეტი», «რესტორანი», «ლომბარდი», «დისკოთეკა», «ღამის ბარი», _ ათასფრად აჭყრიალებული სავაჭრო რეკლამები, სავაჭრო კერძო მაღაზიები, ჯიხურები, წერტები..... ქუჩებშიც უცბად გაევროპელებულ-გაამერიკელებული მოქალაქეები ირეოდნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, ტელეშვილობილ ახალგაზრდობას ლაღად და ურცხვად მოერგო უცხოეთიდან მოძალებული, ძონძების მაღაზიებში ნაყიდი სხვისი გამონაცვალი ტყავი, ხნიერები მორცხვად იწონებდნენ თავს ამერიკელების თუ ევროპელების, შიდსიანების, ჭლექიანების, მკვდრების თუ ცოცხლების გამონაცვალი, ბაქტერიებით გაჯერებული სამოსით. ან კი რა ექნათ, _ ქვეყანაში, რომლის დიდი ნაწილიც შიმშილისაგან ლამის სულს ღაფავდა, ხალხისთვის მხოლოდ უცხოეთიდან შემოტანილი იაფფასიანი ძონძები, უცხოეთიდანვე შემოტანილი, ჯანმრთელობისათვის საშიში უვარგისი საკვები და რაც მთავარია, სულმთლად უფასო ჩასახვისა და გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებები იყო ხელმისაწვდომი.

როგორ გინდოდა გებრძოლა იმ უხილავი, ზღაპრული ურჩხულის წინააღმდეგ, რომელსაც ასობით და ათასობით საცეცი ჰქონდა და თითოეული საცეცით ნელ-ნელა ახრჩობდა ყველაფერ იმას, რასაც ტრადიციული, ეროვნული, რასაც კლასიკური, ამაღლებული, ანდა, სულაც უბრალოდ, ადამიანური ერქვა.

ანამ გვერდი აუარა პირდაპირ ავტობუსის გაჩერებასთან გაშლილ დახლს, რომელიც ამაზრზენი, ეროტიკული თუ პორნოგრაფიული, პოლიგრაფიულად უმაღლეს დონეზე გაფორმებული გაზეთებით, ჟურნალებითა და წიგნებით იყო სავსე და ძონძების მაღაზიებით დახუნძლული ქუჩით ბაზრისკენ გადაუხვია.

ბაზრის მისადგომი ჯოჯოხეთის კარიბჭეს ჰგავდა. ბაზარში შესვლა არც იყო საჭირო, იქვე, ჭრელა-ჭრულად გადაზიმზიმებულ ქუჩებში იყიდებოდა ყველა და ყველაფერი. ყურისწამღებ, გაუსაძლის გნიასში თითქმის ყველა ენა და ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტი ისმოდა. ერთმანეთში ჭიანჭველებივით ირეოდნენ, ყიდულობდნენ და ყიდდნენ:

სახეშეშლილი, ჩამომხმარი, გატანჯული, აფხაზეთიდან თუ სამაჩაბლოდან ლტოლვილნი, თოხებს თუ შიმშილს გამოქცეული სხვადასხვა კუთხის მაცხოვრებელი, ბაზრის ქალებად და კაცებად უცბადნაქცევი მასწავლებლები, ინჟინრები, ექიმები, მუსიკოსები, მხატვრები, დიასახლისები... ერთმანეთში ირეოდა ჯანსაღი თუ ავადმყოფი, ბებერი თუ ახალგაზრდა, დიდი თუ პატარა, მათხოვარი თუ მაწანწალა. გინება, შეხლა-შემოხლა, მუშტი, წივილი, კივილი...

ნაჩუქარი ფულით ანას დიდი-დიდი, სასიცოცხლოდ აუცილებელი რამეების შეძენა შეეძლო მხოლოდ: საპონი, მარილი, შაქარი, ჩაი, მაკარონი.

ანამ ჯიბეში ჩაიყო ხელი და მოულოდნელობისაგან გაშეშდა, საკუთარ ჯიბეში სხვის ხელს წააწყდა. უზარმაზარი ხელი არც შენძრეულა. შეშინებულმა მოხუცმა სწრაფად ამოიღო საკუთარი ხელი საკუთარივე ჯიბიდან და მომხვდურისა თუ დამხვდურის მკლავს ააყოლა თვალი. ზორბა, ტყავის ძვირფას ქურთუკში გამოწყობილი ახალგაზრდა, უკისრო კაცი დაცინვით ჩამოჰყურებდა ანას.

_ კი, მაგრამ... _ კაცის ხელს დაეჯაჯგურა შეცბუნებული ანა.

_ ჩემი დედა... არ მითხრა ახლა, ჩემი ჯიბეაო. მე ჩემი მეგონა! _ წაუსისინა კაცმა, ანას ჯიბიდან ხელთან ერთად ფულიც ამოიღო და იქვე გადათვალა, _ ხმა არ ამოიღო, თორემ აქვე გაგაფრთხობინებ სულს! _ კიდევ ერთხელ დაუსისინა და მორიგ მსხვერპლს გაეკიდა მწევარივით.

_ რას გაშეშებულხარ, ქალო, გამატარე! გამატარე ერთი, გამატარე! _ ხელი წაჰკრა უცებ ვიღაც წითურთმიანმა, სახეაალებულმა ქალმა ანას, გვერდზე მიაგდო და ცეცხლმოკიდებულივით იწივლა:

_ გამოიხედე აქეთ, შე მიწადასაყრელო წისქვილის ვირთხავ! Fფქვილის გამყიდველო, შენ გეუბნები, შენ! გამატარეთ! გამატარეთ! _ ქალმა მუჯლუგუნით მიყარ-მოყარა გამყიდველის წინ რიგში ჩამდგარი მოქალაქეები და აფორაჯებული დაუდგა წინ ფქვილის გამყიდველს.

_ რა მითხარი ხუთი წუთის წინ, რამდენი კილო ფქვილიაო? ხუთი მითხარი, ხომ? საკონტროლო სასწორზე ავწონე და ორი აკლია, ზუსტად ორი! ამ პარკში ზუსტად სამი კილოა და გგონია შეგარჩენ ახლა მე შენ ჩემს მოტყუებას?!

_ დაიკარგე აქედან! _ უღრიალა უცებ ფქვილის გამყიდველმა ქალს, _ რა ვიცი მე, იქნებ იქით რომ გახვედი, ორი კილო სხვა პარკში გადაიღე და გადამალე, დაგიმატო არაა.

_ აჰაა, მაშ მოტყუება არ მაკმარე და ახლა ცილსაც მწამებ, არა?! მაშინ რას გეტყვი, იცი, არც დამატება მინდა, არც ფულის დაბრუნება. მე თვითონ დაგიბრუნებ უფასოდ, აქვე და ახლავე!

ქალმა პარკი მოულოდნელად ასწია კაცის თავს ზემოთ და წონით, როგორც თვითონ ირწმუნებოდა, ზუსტად სამი კილო ფქვილი, თავზე ჩამოაყარა კაცს.

ფქვილში თეთრადამოგანგლული კაცი, რომელიც ამ დროს მართლაც წააგავდა წისქვილის ვირთხას, ერთხანს გაშეშდა, მერე დახლს გადმოევლო და ქალს ეცა. ქალი დაუსხლტა, წააქცია ანა, გადაახტა ზედ წაქცეულს და გაიქცა. თეთრთავა, თეთრბუნგალავარდნილი კაციც მიჰყვა თან.

ანა ციგნის პატარა გოგომ წამოაყენა და მაშინვე სთხოვა, ფული მომეციო. ანამ მოუბოდიშა, გამქურდეს და გეფიცები, ერთი თეთრიც აღარ გამაჩნიაო. ციგნის გოგომ ჯერ ისევ წასაქცევად უბიძგა ქალბატონ ანას, მერე კი გულმოდგინედ მიაფურთხა და მეყსეულად იქვე ჩავლილ ვიღაც ძვირფასლაბადიან ქალს დაეკონწიალა ჩანთაზე. ქალმა ჩანთა, რატომღაც საღეჭი რეზინაც მეორე მხარეს გადაიტანა და თავში ენერგიულად წასცხო ციგნის გოგოს. არც ციგნის გოგოს დაუხანებია, _ ტალახიანი წიხლი ამოსცხო ძვირფასლაბადიანს და ყოველი შემთხვევისათვის, დასახმარებლად იქვე მოვაჭრე თავის მრავალრიცხოვან თვისტომსაც უხმო. წვრილმანებით მოვაჭრე ციგნის ქალებმა თავიანთი წვრილმანები და სამკითხაო ატრიბუტები მკერდზე მიიხუტეს და საშინელი წივილ-კივილით გაეკიდნენ

ძვირფასლაბადიანს. ძვირფასლაბადიანმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე მოჰკურცხლა. ძალიან კი აინტერესებდა, მაგრამ რადგან სწორედ ამ დროს «გზა- გზას!» ძახილით მომავალმა მტვირთავმა ურიკა დააჯახა, ანას აღარ გაუგია ძვირფასლაბადიანი ქალის ამბის დასასრული.

გვიანი საღამო იყო, როცა ბაზრიდან კოჭლობით მომავალმა ანამ თავის უბანს მიაღწია. საცხოვრებელი კორპუსისკენ რომ გადაუხვია, მეზობელი ცისანა წამოეწია. ცისანა ანას ყოფილი მოსწავლე იყო. კომუნისტებმა რომ დაასრულეს თავიანთი მოღვაწეობა, ცისანამაც მაშინ დაასრულა სწორედ საშუალო სკოლა. მოწაფეობისას იგი მორცხვი, გრძელნაწნავიანი და უჭკუო გოგო იყო, ახლა კი ურცხვ, მოკლეთმიან და მოკლეკაბიან, უცნაურად თვალ-წარბმოხატულ ქალს წარმოადგენდა. ჭკუა შერჩენოდა მხოლოდ უცვლელი. ცისანაც ბიზნესს ეწეოდა, _ საკუთარი სხეულით ვაჭრობდა, ოღონდ აქვე, უპატრონო მეძავებისთვის დაწესებულ ქუჩებში კი არ ვაჭრობდა, აქაური პოლიციელების გულის გასახარად, _ საგასტროლოდ თურქეთში დაიარებოდა. ერთ-ერთი ასეთი ვოიაჟის დროს შავთვალ-წარბ-წამწამ-ულვაშა თურქსაც გამოჰკრა ხელი (თუ პირიქით?!) კაცმა არ იცის, მერამდენე ცოლად გაჰყვა, ჩამოიყვანა და ჩაწერა თბილისშიც და საყვარელი სამშობლო ჯერ ერთი (ქმარი მელიჯევდეთ ხოროზჯუ), მერე კი მეორე (შვილი არუზ კოჯა) თურქითაც გაამდიდრა. ცისანა კვლავ ფეხმძიმედ იყო, ტყუპს ელოდა და ანამ გაიფიქრა, ეს თუ ასე ენერგიულად და პატრიოტულად განაგრძობს მუშაობას, როცა იქნება, სიძე მელიჯევდეთ ხოროზჯუს შთამომავლობაც ჯერ მეჩეთებს, მერე ავტონომიას, ბოლოს კი ალბათ სულაც დამოუკიდებელ რესპუბლიკას მოითხოვს შუაგულ საქართველოშიო.

ცისანა, როგორც უმეტესი ნაწილი მეძავებისა, კეთილიც გახლდათ და როგორც კი მასწავლებლის საბაზრო თავგადასავალი შეიტყო, ჩანთას ეცა. ცისანა რომ ჩანთას ეცა, ქალბატონ ანას ელდა ეცა, ეს რა დაუფიქრებლად ავლაპარაკდი ჩემს გასაჭირზეო, რამდენს და როგორ არ ეხვეწა ცისანა, აიღეთ ეს ათი დოლარი, პატივცემულო მასწავლებელოო, მაგრამ ანას ვერაფრით ვერ ააღებინა საკუთარი ოფლით ნაშოვნი ფული. ბედად, უკვე სახლსაც მიუახლოვდნენ და წინ ცისანას დედა მართა შემოეყარათ. ანა ცისანას დაემშვიდობა და ქვასავით მდუმარე მართას მიუტრიალდა, როგორ ხარო? მართამ თვალი გააყოლა ფეხმძიმე ცისან-ხათუნს, თავი გადააქნია და ანას უპასუხა, როგორ ვიქნები, ორი კი არა, ბუდასავით ასი ხელიც რომ მქონდეს, ასივეს თავში უნდა ვიცემდე ამის შემხედვარეო.

ქალბატონმა ანამ ვერაფერი თქვა მართას სანუგეშოდ, ისევ ამინდში ჰპოვა გამოსავალი და კოჭლობით გადაუხვია სადარბაზოსკენ. სწორედ ამ დროს უცხოური ტიპის მანქანამ შემოუხვია, კინაღამ გასრისა ქალბატონი ანა და ზედ სადარბაზოსთან შეჩერდა.

მანქანიდან დგანდგარით გადმოვიდა მეხუთე სართულელი, პარლამენტარის მეუღლე ცაცა. პარლამენტარი ტელეჟურნალისტის მიერ დღეს დილას ერთ-ერთი ძვირფასი სასახლის მეპატრონედ იქნა დასახელებული, მაგრამ ოჯახი ჯერ, ეტყობა, რატომღაც არ ჩქარობდა სასახლეში გადაბარგებას. ცაცა მეუღლის გაპარლამენტარებამდე ქალის ტანსაცმლის უხეირო მკერავი გახლდათ და ფინიასავით ეგებოდა თითქმის ყველა კლიენტს, მათ შორის ქალბატონ ანასაც, რადგან, როგორც წესი, ყველას განსაკუთრებული ოსტატობით უფუჭებდა როგორც ძვირადღირებულ, ისე იაფფასიან ნაჭერს. როგორც კი ქმარმა ქუჩის აქციებიდან პირდაპირ პარლამენტში ამოჰყო თავი, ჩამომხმარმა, სიფრიფანა ცაცამ კერვას თავი ანება, თანდათან გასუქდა, გალაღდა და დიდი ხნის მოწყურებული, სიამოვნებით დაეწაფა თითქმის ყველაფერ იმას, რასაც ამ ქვეყანაზე სიამე ეწოდება. ქალი წინა პრეზიდენტის თაყვანისმცემელი იყო, ქმრის გადიდკაცებასაც მას უმადლოდა, ანას თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ თვლიდა და ამიტომ ახლაც ზიზღნარევი სახით, ამაყად კისერაღერილმა ჩაუარა ცხვირწინ. ჩანთებით დატვირთული, ინტელიგენტური გარეგნობის მოსამსახურეც მონური მორჩილებითა და მოწიწებით მიჰყვა მას.

ანამ თვალი გააყოლა წინ წასულთ და კიდევ ერთხელ განაცვიფრა ორმა რამემ, _ როგორ ახერხებდა ეს, საერთოდ უკისრო ქალი კისრის აღერას და ვის-ვის და ამ ქალს მაინც რაღა ჰქონდა იმ პრეზიდენტისა და იმ მთავრობის საწინააღმდეგო, რომელთა მმართველობის დროსაც ასე გალაღდა და გამდიდრდა, პასუხს სთხოვდა ვინმე, საიდან და როგორო, თუ?!

სინათლე ისევ არ იყო და ლიფტის ღილაკზე უიმედოდ თითდაჭერილ ყოფილ მკერავს კიდევ ერთხელ მიეცა საშუალება, ანას გასაგონად, ხმამაღლა, ენერგიულად და როგორც ალბათ თვითონ ეგონა, პატრიოტულად, მიწაში ჩაედო და ზედ ქვა-ღორღიც ბლომად მიეყარა საწყალი მხცოვანი პრეზიდენტისთვის და რაღა თქმა უნდა, მათთვისაც, ვისაც რატომღაც ჯერ კიდევ სჯეროდა მისი. ანას კარგად მოეხსენებოდა მდაბიოს ფსიქოლოგია, იცოდა, როგორც უყვარს ასეთი ჯურის ხალხს სხვის გასაგონად წარმოთქმული მომწამვლელი მონოლოგები და ამიტომ არჩია, სანამ ქალბატონი და მისი საბრალო მსახური მესამე სართულს ასცილდებოდნენ, ცოტა ხნით მაინც შეჩერებულიყო. შეჩერდა, ამოიოხრა და ჰოი, საოცრებავ, ლიფტთან დაგდებული უზარმაზარი პომიდორი დაინახა. გაქურდულ, მშიერ და მწყურვალ მოხუცს შინ ალპური ბალახის ჩაი, ერთი ნაჭერი პური, ერთი მწიკვი მარილი და ლიტრა ნავთი ელოდა, ეს იყო და ეს. უკვე კარგა ხანია, პენსია არ აეღო, არც მალე აღების იმედი ჰქონდა და პირველი, რაც აღტაცების გამომხატველ შორისდებულს მოაყოლა, ის იყო, რომ დაიხარა და ხელი სტაცა ძვირფას ნაპოვნს.

ანამ კმაყოფილებით შეათვალიერა უზარმაზარი, საღი, წითლად ახასხასებული პომიდორი და უცებ გაშეშდა, _ ასეთი, საგაზაფხულოდ საკმაოდ ძვირადღირებული საკვებით რვასართულიანი სადარბაზოს ვერცერთი ბინადარი ვერ გაინებივრებდა თავს, გარდა პარლამენტარის ოჯახისა. ანამ ცივად უშვა ხელი პომიდორს. პომიდორმაც, გეგონება, შური იძია უარყოფისთვისო, გეზი პირდაპირ ანას ნატკენი ფეხისკენ აიღო.

«კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა ავიღო, _ ხელმეორედ ნატკენი ფეხი მოისრისა და გადახლეჩილი პომიდორიც ხელახლა, მუშტრის თვალით შეათვალიერა ქალბატონმა ანამ, _ დავიჯერო, ჩემი პენსიის ერთი თეთრიც არ ურევია ამ პომიდორისთვის გადახდილ თანხაში?! დავუშვათ, არ ურევია. პარლამენტის სხდომაზე რომ გამოხტებიან და თეთრზე ამტკიცებენ, შავია და შავზე თეთრიაო, ვინ ავალებს, თუ უბრძანებს ამის თქმას თუ კეთებას ზოგიერთებს, მერე კი ვინ უხდის ამისათვის, ანუ სამშობლოს გაყიდვისათვის ფულს?! მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები რომ იწვევენ თუგინდ ზრდასრულსა და თუნდ უმწიფარ გოგო-ბიჭებს, მერე მანქურთებივით უკანვე რომ გვიბრუნებენ და ურცხვად ალაყბებენ ქვეყნის ბედ-იღბალზე... წმინდა ქეთევანის, თამარის, ილიას, მართლმადიდებლობის, ქართული მწერლობის, კულტურის, ყოველივე წმინდის შეურაცხყოფისა და მასხრად აგდებისათვის რომ აფინანსებენ და აწინაურებენ... რა ხდება პარლამენტში, რა ხდება პარლამენტს გარეთ არსებულ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციურ პარტიებში, ვისი, რამდენი უცხო ქვეყნის ინტერესებისა და ქართველ და არაქართველ აგენტთა ინტერესების ჭიდილია ასე ურცხვად, ასე უტიფრად და თავზარდამცემად... და როდემდის, ჩემო ქვეყანავ?! რა ქნას ერთმა და ორმა მართლა პატრიოტმა, თუნდ მთავრობაში, თუნდ გარეთ. რა ქნას საბრალო, უბრალო და უდანაშაულო ხალხმა?!»

_ ეგდე, არ მჭირდები! _ მკაცრად მიჰკრა საღი ფეხი ქალბატონმა ანამ პომიდორს, _ ვიცხოვრებ, ვითარცა შროშანი ველის... ღმერთი გამომიგზავნის!

იმ ღამეს ანამ კვლავ დილის საუზმე გაიმეორა ვახშმადაც, მერე კი რადგან არც დენი იყო, საკმაოდ ციოდა კიდეც, ადრევე ჩაწვა ლოგინში.

ლოგინში ჩაწოლილი ანა ვერა და ვერ გათბა, ადგა, ჩაიცვა უფრო თბილად, ზემოდან პლედიც წაიმატა და ისევ ჩაწვა. საშინლად შიოდა. საიდან სადაო და ისევ ის, თავისი ცხოვრების ერთადერთი მამაკაცი გაახსენდა, რომელმაც ხელი სთხოვა. «არ გერჩია, გაჰყოლოდი, რომელი ვივიენ ლი შენ მყავდი?» _ ჰკითხა ძილბურანში წასულმა მეორე

ქალბატონმა ანამ ჯერ ისევ ფხიზელ პირველ ქალბატონ ანას. «ადამიანო, გარეგნობის გამო დავიწუნე?_გაცეცხლდა პირველი ქალბატონი ანა, _ არ გახსოვს, მკლავზე რა წარწერა ჰქონდა ამოსვირინგებული?!" «რა დამავიწყებს, რა დამავიწყებს?!» _ ისევ ბებერ მელაკუდასავით ჩაეცინა მეორე ქალბატონ ანას და უცებ ცხადად დაინახა მრავალი წლის წინ მისკენ გამოწვდილი სახელოკაპიწებული, გრძელცხვირა, მელოტი მამაკაცის მკლავი:@ «არ ენდო ცხენებ და ქალ! დაგღუპანს!»

ტელეფონმა ისე მოულოდნელად დაიწკრიალა, შეშინებული ორივე ანა საბან-პლედიანად ახტა კარგა მანძილზე. ზარი არ წყდებოდა და უკვე საკმაოდ გამოფხიზლებული ქალბატონი ანა ყურმილს დასწვდა.

_ გძინავს, ინეზა ჩათლახო?! _ ისეთი მგრგვინავი ხმით ჰკითხა ვიღაც ქალმა ქალბატონ ანას, ამ უკანასკნელმა შიშით მოათვალიერა იქაურობა, ტელეფონზე კი არა, აქვე, თავზე ხომ არ მადგას ეს ქალიო.

_ ა-არა! _ რატომღაც ასე უპასუხა ანამ.

_ არ გძინავს, ხომ? მე დაგაძინებ, მე და სამუდამოდაც, შე ინტერბოზო! სახლი რომ გამაყიდინე, კოშკები რომ ამიშენე, ამერიკაში გაგაგზავნი და ორ წელიწადში მილიონერად გაქცევო, ორი წელიწადი რომ მიყოლიებდი, ორი წელიწადი რომ მიყვებოდი ზღაპრებს, ხომ გაირკვა ყველაფერი, ეს მერამდენე მსხვერპლი ვყოფილვარ შენი, შე საერთაშორისო თაღლითო!

_ უკაცრავად, ქალბატონო, მაგრამ მე არა ვარ ინეზა.

_ ახლა არა ხარ, შე ნამუსგარეცხილო, ახლა არა ხარ, შე ქვეყნის ნათრევო კახპავ, როცა პირიდან ლუკმა გამაცალე, როცა უსახლკაროდ დამტოვე, მათხოვრად მაქციე და გამაგიჟე?!

_ სხვაგან მოხვდით ქალბატონო, მე მართლა არ ვარ ინეზა, _ ლამის ტირილით უთხრა ქალბატონმა ანამ ქალს, _ სხვაგან მოხვდით.

_ შენ მოხვდი სხვაგან და ისეთ ადგილას, საიდანაც აღარ ბრუნდებიან და მოგახვედრებ კიდევაც, თუ ვყოფილვარ ქალი. შენი ოფისიდან მობრუნებული, მთელი დღეა რას ვაკეთებ ჩემს ნაქირავებ სოროში, იცი? დანას ვლესავ, რომ ღორივით წაგაჭრა ეგ მახინჯი თავი! ახლავე, ათ წუთში გავჩნდები შენთან და მიმტკიცე მერე, «არ ვარ ინეზა და სხვაგან მოხვდიო!» _ გაცეცხლებულმა ქალმა, ეტყობა, დაახეთქა ყურმილი. ანამაც დადო თავისი ყურმილი. ერთი პირობა იფიქრა, მე რა, ვიღაც გარეწარი ინეზაა, იმან იკითხოსო, მაგრამ ქალი ისე ირწმუნებოდა, ათ წუთში შენთან გავჩნდები და მიმტკიცე მერე, არ ვარ ინეზაო, შეჩქვიფებულმა ანამ გადაწყვიტა სანთელი აენთო და კიდევ ერთხელ შეემოწმებინა, იყო თუ არა კარი საიმედოდ ჩარაზული. კარი საიმედოდ აღმოჩნდა ჩარაზული და სიცივისაგან აკანკალებულმა ანამ სწრაფად მიაშურა ისევ საწოლს...

ფეხები ებორკებოდა, მაგრამ მაინც გარბოდა. კოლა იყო და ჩამომხმარი, ბაყბაყდევივით კაცი ჯაყვაგახსნილი მისდევდა, _ ჩემი ორი ლარი, ჩემი ორი ლარიო!

ანა წაიქცა. მდევარმა ხელი სტაცა, ქალმა შიშით ახედა და ჯაყვის მაგიერ ახლა უკვე ღორის დასაკლავი დანა დაინახა თავის თავს ზემოთ შემართული, _ ღორივით უნდა გამოგჭრა ყელი, ინეზა გათახსირებულო, ღორივითო!

ანა წვალებით დაუსხლტა გაანჩხლებულ ზორბა დედაკაცს და ისევ გაიქცა...

ხეობაში გარბოდა შეძრწუნებული... ბრძოლის ველი ქართველი ვაჟკაცების გვამებით იყო მოფენილი, მონღოლები ხმლების ჩახა-ჩუხით მისდევდნენ ახლა უკვე მცირერიცხოვან გადარჩენილთ და ანას მათი ველური ყიჟინი და ცხენთა ფლოქვების თქარა-თქური უფრო მეტად სცემდა თავზარს, ვიდრე მათივე ხმლები.

ყველა ციხე-სიმაგრე დაინგრა და იავარიქმნა მტრისაგან უკვე, ერთადერთი იმედი კლდეღა იყო თავისი გამოქვაბულებით და ამიტომ ყველა კლდისკენ გარბოდა შიშისგან ლამის გონმიხდილი. სიმწრით, წვალებით და წამებით მიფორთხავდნენ ქარაფზე, ბევრი ვერ

იკიდებდა ფეხს, ბევრს მტრის ისარი ხვდებოდა ზურგში და პირდაპირ უფსკრულში ცვიოდა მტრისა თუ ყვავ-ყორნის გულის გასახარად. ერთი პირობა ანაც მოსწყდა კლდის შვერილს, მაგრამ ვიღაცამ შეაშველა ხელი, ანამ ჩამოიხედა და რატი დაინახა, ცალი ფეხით იდგა ქიმზე და მაინც მოახერხა ანას აწევა გამოქვაბულის შესასვლელამდე, მერე თვითონაც აიწია, მაგრამ ტანი ვეღარ აზიდა და ის იყო, უნდა მოსწყვეტოდა ქარაფს, ანამ სტაცა ხელი. ისე მსუბუქად აჰყვა რატი, ანას გაუკვირდა კიდევაც.

თქარა-თქურის ხმა ისევ ისმოდა, ოღონდ შორიდან. მცირერიცხოვანი გადარჩენილები იმ შვიდიოდ ქვაბულს იყვნენ შეფარებულნი, არსთაგამრიგეს ამ ქარაფებში გეგონება, შავი დღისთვის რომ გამოეთხარა.

შვიდივე ქვაბული სავსე იყო ქალებით, ბავშვებით, მოხუცებით, დაჭრილი თუ დასახიჩრებული კაცებითა და ახალგაზრდებით. სულგანაბულნი, შეძრწუნებულნი, ბუდეში შეყუჟული ბარტყებივით გადაჰყურებდნენ ბრძოლის ველს.

ანას პირი ჰქონდა გამშრალი იმ საშინელებისაგან, რაც იხილა, იმ განსაცდელისაგან,რაც გადაიტანა.

გასაოცარი იყო, საზარელი თქარა-თქური აღარ ისმოდა, აღარც ცხენოსანნი, ხმლითა თუ ავტომატებით შეიარაღებულნი მოჩანდნენ სადმე.

რატის მხარზე დაყრდნობილმა ანამ თვალები მოწკურა და კარგად დააკვირდა ველს: გმირთა ცხედრები უკვალოდ გამქრალიყო, მათი სისხლით მორწყულ მიწაზე კი უთვალავი, უცხო ახალგაზრდა როკავდა ველური მანჭვა-გრეხითა და წივილ-კივილით. მდაბიური, უცხო, სისხლის ავხორცულად ამაფორიაქებელი მუსიკა გრიალებდა დიდგორის ველზე, წამდაუწუმ ჩერდებოდნენ უცხო ფირმის ოქროსფერი მანქანები და ერთიმეორის მიყოლებით ერთვებოდნენ მროკავთა დასში ზრდასრულნი თუ უმწიფარნი, ქალნი თუ კაცნი... ყვითლად აციალებული თუ აკაშკაშებული, ველს ტანკებივით გარშემორტყმული ტელევიზორებისა თუ კომპიუტერების ეკრანები მთლად აბრუებდა როკისა თუ როკვისაგან ისედაც გაბრუებულ სერობას და აღარც ახანებდნენ, იქვე, ერთმანეთის თვალწინვე ეძლეოდნენ ხორციელ განცხრომას ველურად ამძუვნებულნი...

მუსიკა შეწყდა. დირიჟორმა პარტიტურა დახურა, თავი დაუკრა მადლიერ, ახლა უკვე ტაშის კვრისაგან ლამის ხელებდახეთქილ, გაოფლილ, სახეშეშლილ, აღტკინებულ ბრბოს და გამოქვაბულებისკენ შემოტრიალდა.

შვიდივე გამოქვაბულს უსასოო გმინვა აღმოხდა ერთბაშად, _ შემზარავი, თავიდან ფეხებამდე ქერცლით დაფარული ათასსაცეცა ურჩხული ნიშნისმოგებით უღიმოდა კლდის ხიზანთ! დირიჟორი ისევ მრევლისკენ შეტრიალდა, პარტიტურა გადაშალა, ახალი ჩანაწერი გააკეთა და სარდალივით წაუძღვა წინ სერობის უთვალავ, გაბრუებულ თუ ფხიზელ თანამონაწილეს.

განსაცვიფრებელი იყო, ანას ახლა უფრო მეტად ზარავდა შიში და სასოწარკვეთა, ვიდრე მაშინ, როცა მის წინ ხმლებს ჩახა-ჩუხი გაუდიოდათ, ტყვიებს კი ზუზუნი, _ საშინელი, გაუსაძლისი სიჩუმე ჩამოწვა ირგვლივ.

ანამ ღრმად ამოისუნთქა და გამოქვაბული მოათვალიერა. მის ფეხებთან მართა ჩაცუცქულიყო და ტიროდა. სიღრმიდან რატის საცოლე ანი გამოვიდა და რატის შეუდგა მხარში. გუბაზი, ლევანი, დავითი, გიორგი არსად ჩანდნენ. ანამ იცოდა, რომ ბიჭები მტრისა კი არა, _ მტერი რას დააკლებდათ მარტო, _ მოღალატე თანამოძმეთა მიერ ზურგში დახლილი ტყვიებით დაეცნენ ველზე, სწორედ მაშინ, როცა მათი გმირი მეთაური სახეშეშლილი და სასოწარკვეთილი ეხვეწებოდა თანამოძმეებს, რა დროს იმისტობა და ამისტობაა, დაგვეხმარეთ, საქართველო იღუპებაო! ანი სასოწარკვეთილ რატის არწმუნებდა, ცოცხლები გადარჩებოდნენ, ალბათ რომელიმე ქვაბულს იქნებიან შეფარებულნიო.

ცა ავად იყო მოქურუხებული. მტერიც საშიშად სულგანაბული.

_ ახლა მტერი ისრებით შეიარაღებულ მებრძოლებს დაუშვებს კალათებით, რომ საბოლოოდ და სამუდამოდ მოსრას ქართული ჯიში, _ გამოქვაბულის სიღრმიდან თქვა ვიღაცამ და მთელმა გამოქვაბულმა ერთხმად ამოიგმინა.

_ მაგრამ, ხომ ბრძანა უფალმა, «თუ ათი მართალი მაინცო...» _ იმავე ხმამ დასძინა, თბილადვე, იმედიანად, _ ვნახოთ!

«როგორი ნაცნობი და მშობლიური ხმაა. ვინაა ნეტავო» _ ანამ, უკან მიიხედა, მაგრამ ვერ დაინახა და ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ ქვაბულიდან თავგაყოფილმა შიშით ახედა თხემს: ქარაფის თავზე ასობით საცეცი მოძრაობდა საზარლად: ამზადებდა, ავარჯიშებდა, წვრთნიდა და კალათებში სვამდა შეიარაღებულ მეომრებს.

შიშისგან დაზაფრულმა ანამ სწრაფად შემოჰყო თავი უკანვე და სწორედ ამ დროს თქვა გამოქვაბულის სიღრმიდან იმავე ხმამ.

_ მტერმა იცის თავისი საქმე, პირველ რიგში ჩვენს მოსპობას შეეცდება, ამიტომ, გაგვატარეთ!

გამოქვაბული უხმოდ გაიყო ორად, გზა დაუთმო და მეყსეულად დაუჩოქა კიდევაც წინ წამოსულთ: გიორგი პირველს, დავით აღმაშენებელს, მეფე თამარს, გიორგი ბრწყინვალეს... მღვდელ თევდორეს, დიმიტრი თავდადებულს, ქეთევან წამებულს... შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს...

სწორედ ამ დროს დაუპირისპირდა კიდევაც ზემოდან დაშვებული კალათები ქვაბულის შესასვლელს და განცვიფრების და შეძრწუნების საშინელი კივილი აღმოხდა უცხოტომელთა მომლოდინე ანას, _ კალათებში ცალთვალმოჭუტული, ცეცხლოვანი ისრებით შეიარაღებული ქართველები ისხდნენ და გამალებით უმიზნებდნენ ისრებს მხოლოდღა ღვთის იმედად მყოფთ: აზიურთვალება ისტორიკოსი, წმინდანი ქართველი ქალების შეურაცხმყოფელი, უხამსობით ცნობილი არტისტი, ილიასა და აკაკის განმაქიქებელი ჩლიფინა ზონზროხა, ეროვნული რეკვიზიტების უარმყოფელი ზორბა, ქართულ მარლთმადიდებლურ ეკლესიას დაპირისპირებული, გონებადაბნელებულ თანამოძმეთა შორის სისხლის დაღვრის ინსპირატორი ქვაბ-ავაზაკი, ქართული კლასიკური პოეზიის შეურაცხმყოფელი ქუჩის ბიჭი...

გამოქვაბულის სალმა კედლებმა ბუმერანგივით დაუბრუნეს ისრები მოისართ, საცეცებით დაშვებულმა ყვითელმა კალათებმა ვეღარ გაუძლეს ხორცის სიმძიმეს და ერთიმეორის მიყოლებით გადაეშვნენ უძირო უფრსკულში ყვავ-ყორანთა გულის გასახარად.

მეორე წყება დაუშვეს თხემიდან საცეცებმა: ქართული მიწის გამყიდველები, ქართული ფლოტის გამანადგურებლები, ქართული ტყეების შთანმთქმელები, ქართული ჯარის დამბეჩავებლები, ქართული წარმოების მომსპობნი, უზომოდ მშიერი ხალხის ხარჯზე უზომოდ გამდიდრებულნი და მათთან ერთად იმ მშიერი ხალხის «ქომაგი» მართალი და მაძღარი, «დამოუკიდებელი» ჟურნალისტები, რომელთა ხმაში შეფარული კილოც ასე ახსენებდა ხოლმე ანას პროლეტარების იმ ავადსახსენებელი შეერთებისთვის მოწოდებას არც თუ შორეულ, სისხლიან წარსულში.

ქვაბულმა კვლავ აისხლიტა ისრები, კვლავ ბუმერანგივით დაუბრუნა მოისართ და ხორცის სიმძიმისაგან საცეცებს ჩამოგლეჯილი მტრის ეს ყვითელი ლეგიონიც პირველის კვალდაკვალ შთანთქა უძირო უფსკრულმა...

იდგა გამოქვაბულს შეხიზნული უმწეო, სუნთქვაშეკრული ქართველობა და შეშინებული და განცვიფრებული ადევნებდა თვალს მათ ამოსაბუგად, მათ ამოსაძირკვად მტრისაგან ცეცხლოვანი ისრებით შეიარაღებულ მანქურთთა თუ შეგნებულად მოღალატეთა ლეგიონებს: ფსევდო-პატრიოტებს, ფსევდოპოლიტიკოსებს, ფსევდორეფორმატორებს, ფსევდოღვთისმსახურთ, ფსევდოპოეტებს, ფსევდომწერლებს, ფსევდომომღერლებს, ფსევდომუსიკოსებს თუ სატანური მუსიკის მსახურთ, ნაირ-ნაირი ჯურის სექტანტებს, მათ

დამცველებსა თუ დამკანონებლებს, _ ერთი მიზნით მებრძოლნი, ერთნაირი, ყვითელი ფერით მოსილნი, ერთმანეთის ბედს რომ იზიარებდნენ ერთმანეთის კვალდაკვალ...

უფსკრულში უკანასკნელი კალათები ჩაილეწნენ თავიანთ შემზარავ ბინადრებთან ერთად...

უცებ გამოიდარა და მშვიდმა ნიავმა მშობლიური მიწა-წყლის სურნელით აავსო მიდამო, მზემ შვიდფერი ცისარტყელა გადასახა მანამდე კალათების სიმრავლისაგან ჩაბნელებულ შვიდივე ქვაბულს... ირგვლივ გამეფებული სიჩუმე შხუილის ხმამ გააპო მოულოდნელად და ყველამ ერთდროულად ახედა ზეცას.

ლურჯი, ფრთებღონიერი ფრინველი დაეშვა ციდან ფრთების მძლავრი ტყლაშუნით, მეყსეულად აიტაცა თხემზე განაბული ამაზრზენი ათასსაცეცა და იქვე, ცაშივე შეუდგა საზარლად აწივლებული ურჩხულის ფლეთა-გლეჯას: შავი თოვლივით დაეშვნენ შავი ქერცლითა თუ დამსხვრეული საცეცებით გაჯერებული ურჩხულის ნაფლეთები სერობის მონაწილე ყვითელ ლეგიონერთა კვალზე უფსკრულში...

ცა ფირუზი იყო, ხმელეთი ზურმუხტი. უკვე საამოდ აბიბინებულ ველზე გამოდიოდნენ გადარჩენილნი, _ წმინდანთა რაზმი მიუძღოდათ წინ!

დაღლილმა, მშიერმა ანამ მცირე ხანს შეისვენა და წინ წასულნი შეათვალიერა, _ ქანცგაწყვეტილნი, მისავათებულნი, ნაწამებნი, მაგრამ სახენათელნი... და რაც მთავარია, არც თუ მცირერიცხოვანნი!...

უფალმა კი... უფალმა ბრძანა, _ ათი მართალიც რომ იყოსო!

ლექსები



დაჭრილი ალბატროსი

ყველაზე ძვირფასი, რაც შენთვის მსურდა რომ მომეძღვნა,
რაში იყო, პოეზიის, _ დარახტული!
ყველაზე ლამაზი, რაც შენთვის მსურდა, რომ მომეძღვნა,
_ ცა იყო უღრუბლოდ დახატული!
ყველაზე საიმედო, გრძნეული, მინდოდა მე შენთვის ავგაროზი...
ვერ გიძღვენ და აჰა, სანაცვლოდ _ შიგ გულში დაჭრილი ალბატროსი!
ქარიშხალს მოვაპობდი, ისე მომენატრე, ისე დაგეძებდი...
(ო, ალბათ ვერც გკითხავ ვერასოდეს, _ შენც რად არ მეძებდი?!)
ო, როგორ მინდოდა, რომ შენთვის მომეძღვნა თუნდ მცირე, ლამაზი წამი...
ო, როგორ მინდოდა, იმ წამს გაჰყოლოდა შენი თვალებიდან ნამი.
ვერ გიძღვენ რაში დარახტული... ტირის ზეცაც შენი _ ისევ დანამული...
ვერ გიძღვენ ავგაროზი... არ გექნება ჩემგან ნაჩუქარი წამიც...
თუმც ფრთები შენს ძებნაში დამემსხვრა, პეგასსაც ამიძვრა ნალი!

იასამანი

ლურჯი ტბის ნაპირას დგას იასამანი,
ჩვენს შორის ცხოვრებამ ჩაჰყარა სამანი:
ცხრა მთაა ჩვენს შორის, ზღვაც ცხრაა, მდინარეც,
კლდეა და წარაფი, კბოდე და ქარაფი...
მე მაინც მივდივარ, მე სხვა გზა არა მაქვს:
ცხრა დევსაც შევუვლი, ურჩხულსაც დავლაშქრავ,
_ ვაშლს რომ მოვიპოვებ, _ გრძნეულს რომ დავშაქრავ,
გრძნეული მასწავლის, ბედს როგორ ვეწიო:
ჩემს მტერს და მოყვარეს, _ საძულველს, _ საყვარელს,
_ თუ როგორ ვეწვიო, რა ვუთხრა ან როგორ მოვიქცე,
რომ მთლად არ დავიქცე, _ მოჯადოებული ქვად არ გადავიქცე!
ლურჯი ტბის ნაპირას დგას იასამანი,
ჩვენს შორის ცხოვრებამ ჩაჰყარა სამანი:
ცხრა მთაა ჩვენს შორის, ზღვაც ცხრაა, მდინარეც,
კლდეა და წარაფი, კბოდე და ქარაფი...
მე მაინც მივდივარ, მე სხვა გზა არა მაქვს,
_ უიასამანოდ სულისთქმა არა მაქვს!
შემთხვევით გამვლელო, ღმერთი არ გაგიწყრეს,
_ რტოსაკენ, ყვავილისკენ ხელი არ წაგიცდეს,
_ ჩემია, ჩემი ის იასამანი!
ერთი ფოთოლიც ვინმემ რომ შეაწყვიტოს,
_ იჩქარებს, იჩქარებს ფრთამალი, მტრედი აფრინდება,
ცისკენ გაფრინდება ელდის და ტკივილის ამალით,
ის მტრედი სულია ჩემი, რამდენი ხანია იქ ცხოვრობს!

სულო, სულო ჩემო, ჩემო თეთრო მტრედო,
ჩემზე უბედოვ და ჩემზე ბედნიერო,
რა გრჯიდა, გეცხოვრა სხვებივით სახურავქვეშ,
ხეში რა გინდოდა, კადნიერო?!
მტრედო, თეთრო მტრედო, ჩემგან გაქცეულო,
ჩემს მაწამებელთან ტკბილად ჩახვეულო,
მე და შენ ვინა გვთქვა ერთურთის...
ან იმის გარეშე?! მოვდივარ, მოვდივარ, გზა-კვალ არეულო!

* * *

მადლობელი ვარ, თუმც არც კი იცი, _
ისე მიღებდი სამოთხის კარებს!
მადლობელი ვარ, თუმც არც კი მიცნობ, _
მაკრეფინებდი ცაში ვარსკვლავებს!

მე ყველა წიგნი შენ მოგიძღვენი, _
შენით ვუძლებდი ზარდამცემ ზარებს!
მე ყველა სიტყვას იმ ჟინით ვწერდი,
რომ წაეკითხა შენს ლამაზ თვალებს!

შენ ვერასოდეს გაიგებ, ალბათ,
როგორ გხატავდი ფერთა გამმაში,…
რა ტკბილი იყო ჩვენი ცხოვრება
ყაყაჩოების ყირმიზ ყანაში!

მადლობელი ვარ, თუმც არც კი იცი,
რომ მე უშენოდ დარდი შემშლიდა,
მადლობელი ვარ, რომ ცხოვრობ ქვეყნად,
რომ შენი ყოფნა ასე მშველიდა!

იკაროსი

არც მოკვდავთაგანს, არც უკვდავთაგანს
არ ღირსებია ჩემგვარი ხვედრი,
თქვენ კი გგონიათ, რომ ახლაც ვნანობ,
რომ ახლაც ბედის გამგებელს ვყვედრი!

ლაბირინთიდან სხივი არ ჩანდა,
და არც იმედის რამ ნატამალი,
მიწისქვეშეთში იდგა უკუნი
და იწვა ურვის გრძელი ტრამალი...

ჩემში სიცოცხლის ჩქეფდა წყურვილი,
ჩემში სინათლის ტრფობა ღვიოდა,
მე დავტიროდი ყრმობას განწირულს
და გაყინული გული მტკიოდა!

როცა ავფრინდი... როცა თვითონ მზე
სულისთქმად, სატრფოდ, სიცოცხლედ მექცა,
მევე დავკეცე ის ფრთები, ცაო,
რომ შესაფერი თაყვანი მეცა!

არც მოკვდავთაგანს, არც უკვდავთაგანს
არვის შეცვლია ასე იერი, _
მე ისე ახლო ვიყავი მზესთან,
ისე ვიყავი მე ბედნიერი!

* * *

რა სიმშვიდეა... თერგიც ჩუმად რბის,
ცამ გადაიკრა ღრუბელი მქისი...
გული ავს უგრძნობს და მწვერვალებზე
მალემსრბოლივით ჩამორბის ნისლი.

რა სიმშვიდეა... როგორ გაყუჩდა
ველს მოჭიხვინე ჰუნეთა რემა...
იჭექებს ალბათ უკვე, საცაა
და ცა დაიწყებს გიჟურ თვითგვემას!

სულგანაბული სდუმს ყვავილთ ქორო,
თქორი ასერა ირაოდ ქორმა,
გულო, ნუ შმაგობ! სულო, დამშვიდდი,
მკერდს ნუ მასკდებით მძვინვარე შტორმად!

იდუმალება

ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ, დიდი ხანია
ერთად მივყვებით ცხოვრების შარას
და ბუხრის პირას ხან მე გიყვები,
ხან შენ მიამბობ შენს წარსულ ამბავს...

როგორ ამშვენებ ჩემს ნისლისფერ კოშკს,
შენ, - ჯადოსნური ზღაპრის ლამპარი,
შენ ჩემთანა ხარ, დიდი ხანია
აღარ მაშინებს ღამე, _ აფთარი!

შემხვდები სადმე, ზოგჯერ, შემთხვევით,

ირიბად მესვრი მომნუსხველ მზერას,
თვალს ვერ გაშორებ, სუნთქვაშეკრული,
ნაღვლიან უცნობს, _ უცნობს, ამჯერად!

და მეშინია შენი გაცნობის,
ვაითუ ბროლის დამემსხვრეს კერა,
შენ ხომ არ იცი, რომ ჩემთან ცხოვრობ,
არ იცი, რა ჰქმნა მაგ შენმა მზერამ!

გამოგიგონე, როგორც ზღაპარი,
ზღაპრულს ზღაპრული გიძღვენი ჭერი,
ძირს ფიანდაზად გული გაგიგე,
მოგიჩუქურთმე სონეტით ბჭენი!

შენ ჩემთანა ხარ, მე, _ მეოცნებემ,
განვკურნე შენი ყველა იარა,
შენმა ნაღველმა, შენმა ტკივილმა,
შენგან ცხრა მთა-ზღვა გადაიარა!

შენს მეფურ იერს, შენ ლამაზ თვალებს
ჩემთან უღრუბლო ცა ააისებს,
შენ მშვიდადა ხარ, ახლა შენც უკვე
ალერსით მირჩენ გულზე ნაისრევს...

შემეფეთები ზოგჯერ შემთხვევით,
წამით მოგაპყრობ მონუსხულ მზერას,
თვალს გაგაყოლებ ასე საყვარელს
და ასე უცნობს, _ ამ წუთს, ამჯერად!

რა იდუმალი, რა მისტიური
ხიბლი მაჯაჭვავს მე შენს მზერაზე, _
ოდესღაც ერთნი ხომ არ ვიყავით
და ცეცხლიც გვენთო, _ ნამდვილ კერაზე?!

შავრა

ჩემო ბავშვობის მეგობარო,
ჩემო შავთვალება შავრა,
ყოველ გახსენებას შენსას
ტკივილი უსაშველო ახლავს!

ვიყავით კენტავრივით განუყრელნი,
ცხენი და პატარა ბავშვი,
გიწვდიდი შაქარს და გკოცნიდი,
და ფაფარს გივარცხნიდი აშლილს...

ო, როგორ ვსერავდით ნავარდით,
მთასა თუ ველ-მინდორს გაშლილს,
როგორ მარიდებდი პატარა თავნებას,
ბილიკებს და კლდეებს საშიშს!

რა ფრთხილად ლახავდი დაბრკოლებებს, _
გესმოდა, რას ნიშნავს ბავშვი,
როგორ სასოებით ჩამაფრინდი,
კბილით, _ გადავარდნილს ტბაში!

ვიყავით ველ-მინდორს შეხიზნულნი,
გვეძებდნენ, შფოთავდნენ სახლში...
შენ თავი ჩემს მხარზე გედო და
მე ყვავილს გიწნავდი თმაში.

შენ მხოლოდ ერთხელ არ გამიფრთხილდი,
მძინარე გამაღვიძე მაშინ,
ჭიხვინით მიხმობდი, მთვარის შუქი, _
თავისთან გიხმობდა აშლილს...

იმ ღამეს პირველად გამწირე, _
ცხოვრებას დამაჯახე საშიშს, _
ტიროდი, ჩემს მკერდზე ტიროდი, _
ბავშვს მეთხოვებოდი ბავშვი!

დასრულდა პროცესი ბავშვობის,
პროცესი კენტავრის დაშლის,
და შევრჩი ცხოვრებას პირისპირ, _
სრულიად უმწეო ბავშვი!

და... ხშირად დავდივარ საშიშ ბილიკებზე,
და... ხშირად ვვარდები ტბაში,
არავინ, შენსავით, მეგობარო,
კბილით არ მაცხრება მხარში!

მე ისევ ბავშვი ვარ, ისევ ველს შეხიზნული,
და ისევ შფოთავენ სახლში...
მე ახლაც ვტირი და ცრემლიან ლექსს გიწნავ,
ღიღილოს მაგიერ, თმაში!

* * *

ბეღურებივით დაფრთხნენ თვალები,
მკერდს მერცხალივით მოასკდა გული, _
შენ ჩამიარე და გამიღიმე, _
თან, როგორც ლანდი, წამოგყვა სული!

უნუგეშო არია

რა მწუხარე დღე არის,
რა მწუხარე ქარია,
სულში ისევ ხმიანობს
უნუგეშო არია.

ვიოლინოს ატირებს
ვიღაც ფანჯრის გადაღმა,
გულში ყველა ყვავილი
სულ ერთიან გადახმა!

რატომ, რად დამაბედე,
სულ მტირალი თვალები,
ღმერთო, ღმერთო, ძლიერო,
ნუთუ არ გებრალები?!

რისთვის, რატომ მიხმობენ
სულ მწუხარე ზარები?
რისთვის გადამიკეტე
სიხარულის კარები?!

გარეთ ისევ ქარი ჰქრის,
სულშიც ქარიშხალია,
ისევ ისე ქვითინებს
უნუგეშო არია!

ქარი

წუხელის ქარმა არ დამაძინა,
კარწინ დამინთო გლოვის ხანძარი,
ტიროდა ცხარედ გულდამდუღრული,
ამბოკარი და მიუსაფარი!

წმოვდექი და ვით მასპინძელმა
მე მას გულღიად გავუღე კარი,
მადლობა მითხრა, არ დაიმორცხვა

და შემოვიდა მთელი ამალით!

მე გამოვუტყდი, რომ მეც მასავით
ეული ვარ და მიუსაფარი,
მან შემომხედა, ჩაფიქრებულმა
გადამირწია დარდის აკვანი.

მერე კი მითხრა, რომ მარტო არ ვართ,
რომ სხვასაც უდგას კუბოს სადარი
და რომ ჩვენა ვართ მთელი სამყაროს
ურიცხვ-უთვალავ სულთა ლაშქარი!

რომ აკვნებიდან წამოკრეფილი
სუყველა ელდა, დარდი და ზარი
ყველა ხელიხელჩაჭიდებული,
იგი აქ არის, იგია, _ ქარი!

მომესალბუნა ზაფრადანაფერს,
და გაიხურა მზრუნველად კარი,
თან წაიყოლა, ვაყურადებდი, _
არ შერხეულა ღამით აკვანი.

მე მთელი ღამე მეღვიძა მაინც,
ნიავს მოჰქონდა ტირილი ქარის, _
ყვებოდა ჩვენზე და იგი ასე
ანუგეშებდა მარტოსულ მარიხს!

აგვისტო

აგვისტოს ხვატში განაბულა სოფელი ჩემი,
მინდორ-ფერდობზე დანავარდობს სხივილით ცელი,

ვწევარ გულაღმა, უცნაურად ვარ ბედნიერი,
მოთიბულ ბალახს მზის სუნი აქვს, _ მისი იერი.

უკიდეგანო, უსასრულო ცა ჩამომყურებს,
უკიდეგანო, უსასრულო ფიქრი ავყურებ...

თივის ბულული ხომალდია, ოცნება _ აფრა,
უკვე ზღვაში ვარ, რა სოფელი, _ ნისლივით გაჰქრა!

ლურჯია ტალღა, იისფერში ლივლივებს ანძა,
მარტო კი არ ვარ, გულისსწორიც თან მახლავს განძად!

მე თავი ჩემი სასურველის კალთაზე მიდევს,
მე თვალებს ვხუჭავ, ვიფარებდე თითქოს რამ რიდეს...

ო, მისი ხელი მიალერსებს ლოყაზე, ღაწვზე,
ო, სადაც არის იგი თავს დასწევს...

ვგრძნობ ვიღაც მიცქერს, არ მაშორებს დამცინავ მზერას,
«მატროსი არის?» _ მე თვალს ვახელ, _ კორდზე ზის მელა!

მიყურებს მელა, შეგახედათ ნეტა, რა სახით.
რისი მატროსი, რა ზღვა, აფრა და ალბატროსი!

თივაში ვწევარ, მიჭრიალებს «ზღვაზე» ურემი,
თვალს არ მაცილებს უტიფარი და უდიერი!

ოხ, მელაკუდავ, ცხოვრება ხარ თვითონ ცბიერი,
არ შემარჩინე ეს გაქცევაც კი წამიერი!

მე მაინც წავალ, დავუსხლტები მაინც მე ბადეს,_
მზედ იქცა ახლა გულისსწორი, _ მიკოცნის ბაგეს....

წვიმა

ვისხედით ბორდიურზე მე და მათხოვარი,
წვიმდა, შევეხიზნე მეც მის თავშესაფარს...
დამისხა ღვინო ნაწყალობევი და
პურიც, მოწყალების, მიფეშქაშა.

ურალის ქედიდან ბედს აქ მოეხვეწა,
აქ ედგა კაბადონზე, მზეც, _ უკვე სადაისო,
რუსული კილოთი და ტკბილი ქართულით
მითხრა «სად წაიყვან სადაურსო...»

მომიყვა, რომ არის ყოფილი კატორღელი,
მოკლულ წეროსავით ჩაჰკიდა მხარ-ხელი...
გამანდო ჩურჩულით, როგორც აღსარება, _
ქმრის ხასა რომ დაჰკლა მან სწორედ ამ ხელით!

ვუსხედით მე და მკვლელი სუფრას, ბორდიურზე,
წვიმდა, ვერ გვფარავდა ტირიფი თმასველი...
ვყვებოდით ყოფნაზე, ვბჭობდით არყოფნაზე,
ვიყავით ტანსველი ... თვალსველი...

* * *

შენ მომიყევი, რომ სიზმრად ნახე:
რომ შემოხეთქა ანაზდად კარმა...
რომ გაცინებულს დამწვდა აკვანში
და ზეცისაკენ წამიღო ქარმა!

შენ გეშინოდა, სულ გეშინოდა
ჩემი დაკარგვის, მძვინვარე ქარის,
შენ სულ ცდილობდი, რომ ჩაგეკეტა
ყველა, საჩემოდ საშიში კარი...

შენ იხსენებდი, რომ სიზმრად ნახე...
ეხვეწებოდი ღმერთს შვილის დაცვას...
მეღიმებოდა და... გიმალავდი,
რომ, რა ხანია, წამიღო ქარმა!

რომ მიწა მექცა მე დედინაცვლად,
რომ ბინა მიდევს მე ზეცის კარად,
რომ ქარი შლეგი, დააფრიალებს
ჩემს ოცნებებით მოხატულ კარავს!

შენ გეშინოდა და მაფრთხილებდი,
რომ გაგაღვიძა ელდამ და ზარმა...
მეტირებოდა და ვერ გიმხელდი,
რომ, დედი, უკვე წამიღო ქარმა!

* * *

მე შემეშინდა და გამოვიქეცი
და მოგაშურე უკანვე, დედა,
მე შემოგჩივლე, რომ გარეთ ცივა,
რომ ქვეყნად სუფევს ჭმუნვა და სევდა!

დაბრუნებული ბარტყი ბუდეში
შენც მერცხალივით უარმყავ, დედა,
შენ მკაცრად მითხარ, რომ ეს ასეა,
და შევეგუო ცხოვრებას უნდა!

მე გამოვბრუნდი და გზა განვაგრძე,
ლასლასით, ყელში გაჩრილი ბურთით,
და ცრემლნარევი შენი სიმკაცრე
თან წამყვა, როგორც გაყრილი ხუნდი!

შენ ახლა უკვე საფლავი გქვია
და ახლა გეტყვი, რაც ვერ ვთქვი, ბედად, _
შემინდე, დედა, რაც გაწყენინე,
ისე, როგორც მე, რომ მშვი ამ ქვეყნად!

მე ლოყა შენი ქვის მკერდზე მიდევს
და ისევ იმ ძველ საჩივარს ვბედავ,
რომ გარეთ ცივა, რომ დავიღალე,
რომ ახლაც დედა, მე შენთან მინდა!

მუსიკა

აჟღერდა მუსიკა, ამღერდა მომღერალი:
«შენ რომ მიმატოვო, როგორღა ვიცოცხლო»...
იჯდა მათხოვარი ვაგზლის წინ ხელგაწვდილი,
ჩაქინდრა თავი უცებ უსიცოცხლოდ...

ტიროდა ქალი, დახეულ-დაქენცილი,
მუსიკას აყოლებდა ხელს, გაწვდილს სამოწყალოდ,
და სულ არ ნაღვლობდა, და სულ არ ახსოვდა,
იმ წუთას გამვლელი, მოწყალე, უმოწყალო!

სახეზე აჩრდილი გარდასულ სილამაზის,
ხელი, ო, ოდესღაც უთუოდ სათუთი...
მან ფულზე არ გაყიდა მოგონება,
წარსულის ძვირფასი წამ-წუთი!

დასრულდა მუსიკა და ჩაქრა მათხოვარი
და ისევ გაშალა ხელი სამოწყალოდ,
იჯდა, ვერ იცნობდი, წამის წინ ატირებულს, _
წყევლას აყოლებდა გამვლელს უმოწყალოს!

გალაკტიონი

ორივე ხელი ჰქონდა შეკრული,
ისე ურტყამდნენ მას გააფთრებით,
მას მხოლოდ ზეცა თანაუგრძნობდა, _
ღრუბლის ზვირთებით, ღრუბლის აფრებით...

მას მხრებზე მიწა ემძიმებოდა,
თვალები ჰქონდა ცრემლებით სველი,
ცას აჰყურებდა, _ ცაზე ნებივრად
ზღვას მიაპობდა ოცნების გემი...

სული, _ კითარა, მან ზეცას უძღვნა,
ღრუბლის თეთრ ქულას ის ცრემლი, _ ცხელი,
და ცის ლაჟვარდში შემოაჭენა
პეგასი თავის ზღაპრული ფრთენით!

ახლა ვარსკვლავეთს ებინადრება
და გაშლილი აქვს ორივე ხელი,
ცის მიმოხატულ ტალღებს მიაპობს
მეფეთა მეფის მეფური გემი!

ამბოხი

დაბურულია ირგვლივ უღრანი, _ მე დავიღალე!
არა, გზის ძებნას აღარ აქვს აზრი,
აქვე დავჯდები, ხის მწვანე ხავსზე,
აღარ მჭირდება კალამიც ბასრი!

რაში მჭირდება, _ მაინც ვერ გავალ,
აღარც ვაპირებ ბრძოლას, ხეტიალს...
ჰფარავდეს ღმერთი, ვინც იბრძვის ველზე,
ყველას, _ უბედოს თუ ქუდბედიანს!

როგორც საკანში, ვზივარ უღრანში,
მაღლა, კენწეროს სცემს მზის არილი,
მე ლოყა მიდევს ხის თბილ გულ-მკერდზე,
რომ ჩემთვის იყოს უფრო ადვილი...

მაინც რა იყო, რა გამოცანა, _
იქით შროშანი, აქეთ აფთარი:
ოცნება ჩემი, _ თეთრი აპრილი,
ცხოვრება ჩემი, _ შავი ზამთარი!

როგორ აჯობა ზამთარმა აპრილს,
რა თავხედურად იაქტიურა?!
მე აღარ მატკბობს ფოთლის შრიალი,
აღარც ფრთოსანთა უვერტიურა!

რაც იყოს, იყოს: აქ გაიყარონ!
აქვე დაფლითონ ლეშიც ყორნებმა!
ზეცას გასხლტება სული, _ ბედისმწერს
ისრად შიგ გულში განეწონება!

ეს იმ ცრემლს გაუმარჯოს

ეს იმ ცრემლს გაუმარჯოს, მეგობარო,
როცა მარტო ხარ და ტირი,
როცა სხვას, _ ყველას, _ ხელში თოფი აქვს და
შენ კი ხარ სამიზნე ტირის!

გესვრიან მარჯვნივ თუ მარცხნივ,
მაღლა, თუ დაბლა, თუ განზე...
გაკრავენ ცეცხლოვან ისრებით
ცეცხლის გაუსაძლის ჯვარზე...

როცა ,,ლაღი» ხარ და ,,იცინი» _
სამიზნე ხალხმრავალ ტირის,
ხშირად ხარ სამიზნე ბუმერანგიც,
უფრო კი... მარტო ხარ და ტირი!

ჰა, ესეც შენი იდეალი _
ცაზე მზე, ზღვაში იალქანი!
არ იცი, ვინა ხარ, მოდიხარ საიდან,
საით მიგაქროლებს ნიავ-ქარი...

ეს იმ ცრემლს გაუმარჯოს, მეგობარო,
როცა მარტო ხარ და ტირი,
როცა სხვას, _ ყველას, _ ხელში თოფი აქვს და
შენ კი ხარ სამიზნე ტირის!

საქართველო

მე გადამიხსნეს ცისფერი ძარღვი
და ჩემი სისხლი შესვეს სიამით,
გადამიარეს სათუთ გულ-მკერდზე
ეს მერამდენედ, _ ფლოქვის თქრიალით!

ბარბაცით ვდგები, გაოგნებულმა
როგორ უნდა ვთქვა ღვთისადმი აჯა, _
მტერი მარჯვენას რომ მისერავდა,
ჩემსავ მარცხენას ეპყრა ის მაჯა!

ბარბაცით ვდგები, ცრემლი მისველებს
ნაომარსა და სისხლიან მხარ-მკლავს,
ბარბაცით ვდგები, ცრემლით ვასველებ

მტრისათვის გაწვდილ მარცხენა მკლავსაც!

ბარბაცით ვდგები, გადაჭრილ ძარღვით
ვცდილობ აღვმართო დროშა ჯვრიანი,
მარცხენა ხელში ურცხვად ფრიალებს
დროშა შავი და ფლოქვებიანი!

ბარბაცით ვდგები... ეს მერამდენედ...
და აღარ ვიცი, ღირს კი ადგომა?!
ეს მერამდენედ... ეს მერამდენედ...
მხოლოდ ეულ მუხლს ვუყრი აღდგომას!

უმწეო ბავშვი

ასე ციცქნას და ასე ნამცეცას
როგორ გაგიწყრა ბედი მსახვრალი,
რამ გადმოგაგდო, ბარტყო, ბუდიდან,
ვინ დაგინგრია თბილი სახლ-კარი?!

ჩემს ხელზე ზიხარ, სასოწარკვეთილს
ორს არ მაშორებ გიშერა მარცვალს,
მართალი გითხრა, ჩემს სიცოცხლეში
ასე უმწეო ვყოფილვარ არსად!

მითხარი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე,
როგორ გიშველო, ჩემო პაწია,
ოთხი საათი იქნება, მეტიც, _
გრძელდება ჩვენი გაწამაწია!

მიწაზე დაგსვამ, გამოვბრუნდები,
გასაოცარი, _ მომდევ ტაატით,
სულ არ გაწუხებს, ჩემი ცხოვრება
რომ იზომება წუთით, საათით!

ამდენ გამოწვდილ ხელში როგორ ცნობ
ჩემსას და როგორ ებღაუჭები?!
ალბათ სისხლმა სცნო _ ერთმა, მეორის
ბედის მარწუხი და კაუჭები!

«მერცხლის ბარტყია, აღარ მიიღებს
დედა, კიდეც რომ ჩასვა ბუდეში»,
ეს მერამდენედ მაფრთხილებს ვიღაც,
ეს მერამდენედ გისვამ უბეში!

«მერცხლის ბარტყია, შინ ნუ წაიყვან,
მოკვდება, მოკლავს შენი ალერსი,
ისევ აქ დასვი, იქნებ გადარჩეს,
იქნებ ბუნებას შვილის ხმა ესმის!»

მე აღარ ვიცი უკვე რაღა ვქნა,
რომ აგარიდო დანას ალესილს,
თითქოს რექვიემს უკრავდნენ შენთვის,
ვეღარ გიყურებ საწყალს თვალებში.

აღარ მოგხედე, თვალცრემლიანმა
ბაღს შეგატოვე უმწეო ბავშვი,
ხედავდი ალბათ, როგორ მითრთოდა
მხრები უსუსურს და ნერვებაშლილს

შევაჩერდები ხშირად იმედით
ფრთამოფართქალე ცის შავ არშიას,
გუშინ მერცხალი გამეთამაშა, _
ვიფიქრე: ჩემი, ჩემი ბავშვია!

წვიმა სულხან-საბას კითხვის დროს

ცაა ქურუხი, ვით ქეიბურმა
გაისრიალა ღრუბელში ელვამ,
დაისეტყვება ალბათ ისრიმი,
ლეშტერი შეიქმს როკვას მთა-ველად.

არავინ არის ახლა მისი მრე,
მოუწევს ორბსაც ეხში ფრტიალი,
აიკარვება ნეტავი როდის, _
ცას გადახატავს იალკიალი!

ვზი სახლაკს თქეშის უმწე ქაშაგი,
გზა ურანომდე არის ჯავარი,
სარკმლიდან მოჩანს მწვანე ქაშანი,
ქარი ჯომარდი ნეტა სად არი?!

ვარ ამბოკარი და მახსენდება
ახლა რატომღაც ჩემი ნაიდი,
ვიყავით მიწყივ რა განუყრელნი,
ვითარცა ერმი და ოტარიდი!

შემომაშველე ძილისშორისი,

მარიხ, მიმწუხრე რიოში ბანგით,
ახლა მე გვერდზე გადავდებ საბას,
დავემალები ისხარს, ვით მანგი!

* * *

ჩიტო ნიბლიავ, როგორ მინდოდა,
რომ მეც შენსავით მქონოდა ფრთები,
ჩამოვჯდებოდი შენთან ხის ტოტზე
დასასვენებლად, დაღლილი ფრენით.

ჩიტო ბეღურავ, როგორ მინდოდა,
რომ მეც შენსავით მქონოდა ფრთები,
არ მექნებოდა ამდენი დარდი,
არ მექნებოდა მოზარე წლები...

ვყოფილიყავი თუნდაც პეპელა,
მიმოქარგული პაწია ფრთებით,
მიმომეფრინა ეფემერულად
ველი, ნახატი ლურჯი იებით...

ჩიტო ჩიორავ, თქვენთან მინდოდა,
ვაი, რომ არ მაქვს თქვენსავით ფრთები,
ზიხარ ხის ტოტზე, ვზივარ ხის მერხზე
და დაღლილი მაქვს დარდისგან მხრებიც.

ოკეანე

ვარ ოკეანე, _ ჩრდილოეთის, _ ყინულოვანი.
გასაკვირი ამიტომაც სულაც არ არის, რომ რჩეულს
ჩემსას, გული უცემს ყინულოვანი: თვალები ცივი,
მზერა მკაცრი, პროფილი მკვეთრი და სახე თეთრი,
_ აისბერგია მისი სახელი! მშვიდად, გულგრილად
დაქანაობს ჩემს თბილ ტალღებზე, მეზღვაურივით
რწევარწევით... ისე იქცევა, თითქოს ვერც მამჩნევს!
ზოგჯერ რინდდება, ირიყება ჩემგან სრულებით
და ჩაციებით გასცქერს ჰორიზონტს, _
ვის ელის ნეტავ, ნეტავ ვის აფრებს?!
მე ეს მააფთრებს! და მაშინ არის
ერთიმეორის მიყოლებით რომ ვასამარებ:
გემებს, ხომალდებს, ბრიგებს, ფრეგატებს!..
სხვა დროს კი, სხვა დროს: წყნარი ვარ,
მშვიდი, რბილი ცვილივით და უვნებელი,

ვით დაკიდული კედელზე მშვილდი!
ვარ ოკეანე, _ ჩრდილოეთის, ყინულოვანი,
 გაყინულია ნაწილი ჩემი, _ საუკუნეთა მიღმა
 წამსკდარი ის ნაწილია, _ ის ცხარე ცრემლი!
 ჩემია, ჩემი, ჩემი სისხლია, ჩემი გულის
აქვს გულში ნაწილი, ჩვენ ერთი გვქონდა
მაშინ სიცოცხლე, სკიპტრაც ერთი და ერთიც ბარძიმი...
 ის დაკრისტალდა, ჩემგან გარიყულს
სულ სხვა დაერქვა სახელიც, იცის...
ის დაკრისტალდა და აღარ ახსოვს,
რომ იყო ცრემლად დაღვრილი ფიცი!
ვარ ოკეანე, _ ჩრდილოეთის, _ ყინულოვანი...
ვის არ იფარავს მხურვალე მკერდი.
ვინ არ დაცურავს მის ცრემლიან, მლაშე სიღრმეში,
ვინ არ მთხოვს შველას, ვის არ უნდა ჩემგან ნუგეში...
მე ვუსმენ ყველას, გულთან მიმაქვს ყველას ჩივილი,
რადგან ჩემსავით არვინ იცის რაა ტკივილი, _
 ცას სწვდება ზოგჯერ ჩემი ზვირთი, ჩემი კივილი...
ვარ ოკეანე, _ ჩრდილოეთის, ყინულოვანი.
მე ვუთვალთვალებ, მეც ისევე, თითქოს
ვერც ვამჩნევ, ვარ გარინდული... სიმყუდროვეში
მე ცხადად ვარჩევ: გულში რომ ჩამდის,
 ცხელი და წრფელი, _ ცრემლია მისი,
ახლა ყინული რომ ჰქვია დიდი...
მე მიხარია, წვეთ-წვეთად ვითვლი:
რომ დამიბრუნდეს, რომ შემიერთდეს...
რომ გაიხსენოს ის ცხარე ფიცი, _
დრო უნდა დიდი... არ მეჩქარება.
მე მივეჩვიე, საუკუნეებს აღარც კი ვითვლი, _
 როცა იქნება, ვიქნებით ერთი, _
ბედნიერების, როცა იქნება, ჩვენც გაგვიღიმებს ლამაზი ღმერთი!
ვარ ოკეანე, _ ჩრდილოეთის, _ ლურჯი და დიდი, _
ჩემი რჩეულის განწყობაზეა, _ ხან კედელზე დაკიდებული,
_ ხან მოზიდული თუ კი ვარ მშვილდი!

* * *

შემხვდები, ბავშვივით დავიბნევი,
გარიდებ, ვერ გისწორებ თვალს...
ვაიმე, ვაიმე, ყალყზე დგას ურა კვიცი,
ცოტაც და... წამართმევს თავს!

ერთხელაც, ერთხელაც ისე გაგიჟდება,
ისე გადალახავს ზღვარს,

ვერავინ, ვეღარავინ გამაჩერებს,
ისე, ისე გავცემ თავს:

გეტყვი, რომ მე შენი თვალები,
მიბნევენ, მიბნევენ გზას,
გეტყვი, რომ რაც გნახე, მას შემდეგ
ვეღარ ვცნობ, ვეღარ ვცნობ თავს...

გეტყვი, რომ უშენოდ ცხოვრება
უმზეოდ ცხოვრებას ჰგავს...
გეტყვი, რომ სულ შენზე ვოცნებობ,
გეტყვი, რომ სულ ჩემთან ხარ...

ერთხელაც... მანამ კი: «როგორ ხართ?» მეკითხები,
(მე კვიცს ვეხვეწები ზავს),
ვდგავარ და ბედნიერი კვიცის დაურვებით,
ჯიუტად არ ვიღებ ხმას!

* * *

ისევ ერთ მოტივს აწვალებს,
ისევ ერთ სიმზე ხემი:
ისევ შენა ხარ ლოცვაც,
წყევლაც შენა ხარ ჩემი!

ვარ მოდრეიფე ზღვაზე,
კურსსდაკარგული გემი,
ნიშანს ნიშანზე გიგზავნი
და კვლავ ამაოდ გელი...

ისევ ერთ მოტივს ატირებს
ისევ ერთ სიმზე ხემი:
დაიღუპება უშენოდ,
დაიღუპება გემი!

* * *

მე საწამლავით ავივსე თასი,
ვთქვი სადღეგრძელო
მარტოდმარტომ
მარტოდმარტოსი
და ათას ცხრაას რომელიღაც წელს

მოვიკალ თავი!
მზე იყო შავი,
ტაროსი ავი,
მე აღარ მახსოვს
რით წამასვენეს,
ბალდახინით თუ
ქარონის ნავით,
მახსოვს მხოლოდ, რომ
მზე იყო შავი
და მაცილებდა სასაფლაოსკენ
ტირილით ქარი!
მე საწამლავით ავივსე თასი,
ვთქვი მარტოდმარტომ
სადღეგრძელო
მარტოდმარტოსი
და გავიხურე აქ ყოფნის კარი.
ახლა კი, რადგან
მე, მე აღარ ვარ,
რადგანაც უკვე
მოვიკალ თავი,
სასაფლაოდან შემოვბრუნდი და
დავდე ყოფნასთან
გულმშვიდად ზავი.

ახლა მზე უკვე
მზე აღარც არი,
გინდ თეთრი იყოს,
გინდ იყოს შავი.,
ამინდიც უკვე რა ბედენაა _
რას გაუყვია
კარგი თუ ავი?!
რადგან მე უკვე
აღარ ვარსებობ,
რადგან მე უკვე
მოვიკალ თავი!

ბუმერანგი

ეს დედამიწის ცრემლებია
წასული ცაში, _
ახლა რომ დელგმად კვლავ
მიწას აწვიმს!

ელვამ გაჰკვესა

ერთხელ, მეორედ, _
გულებს დავლილი ელდებია,
ცა იმეორებს!

იქუხა ისე,
განიხვნა ბჭენი, _
რამდენს დაექცა
აქ თავზე ჭერი...

ქარმა მილეწა
მი-და-მოეთი,-
კრულვას გვიბრუნებს
მიღმაოეთი!

რა ბევრი იყო
ქვეყნად ავდარი,
რა ცოტა მზე და
მზის ალამდარი!
რა სიწყნარეა
სასაფლაოზე,
როგორ მშვიდად თვლემს
ბერი კედარი...

ვინა თქვა, თითქოს
ბოროტი იყოს
ცელით მოსული
შავი მხედარი?!

* * *

ხატის წინ დგახარ დარდწაღებული,
შარავანდს გმოსავს ციმციმი სანთლის...
ჩემში იღვიძებს უცებ წარმართი
და ულმობლობა მაგიჟებს მაღლის:

როგორ შესძლო და მოგიზარნიშა
ურვით ნატიფი სახის ოვალი,
გაგიმეტა და ჩაგიკლა გული,
გადაგიკვეთა ძარღვი მომავლის!

ხატის წინ დგახარ, ხარ დასახატი...
და კვლავ მანცვიფრებს რებუსი ნათლის:
დგახარ ჩამქრალი, როგორც ლამპარი,

შარავანდს აფენ ციმციმით სანთლის!

სიტყვათა რემა

ყალყზე დგას ჩემი ფიცხი მერანი,
ხელში მიჭირავს ცისფერი ლასო,
ახლა მჭირდება კვიცი _ ზერდაგი,
დასაურვებლად და საკალმასოდ!

ჭრელია რემა, ნაირფერადი,
დგას პრერიების უცხო სურნელიც,
ყალყზე დგას ჰუნე, მზადაა ლასო, _
უნდა ვიპოვო მე სასურველი!

ურჩობს, წრეს უვლის ლაღი ალურით:
ლურჯა... აბრაშა... შავრა... ამლაყი...
მე ყველაფერზე ხელი ავიღე,
მე მუსტანგერის დავეც ბანაკი!

ნისლა... ტრედანა... ლუში... საღარი...
ჯურა... ქურანი... წაბლა თუ რასხი...
ზრიალებს ველზე სიტყვათა რემა,
რა ოქროსფერი, რა ფერად თალხი...

ლაინისფერი გადაჰკრავს ზეცას...
ალერდი არის როგორც ხავერდი...

მე ყველაფერი გადავივიწყე,
მე უნაგირზე ისე დავები...

ჭიხვინებს რაში ჩემი, ფეხმარდი,
ჰაერს სხივილით მიაპობს ლასო...
ხეზე მივაბი ურა ზერდაგი,
ახლა ტაიჭი მსურს საკისკასოდ!

მივაგნებ ნაპირს

შემომეყუჟეთ, როგორც ბარტყები,
როგორც ობოლი ორი შოშია,
მეც ფრინველივით ავწიე მხრები
და შემოგავლეთ ფრთები არშიად!

ო, ამ არშიას ვერ გადმოლახავს

ვერც ავსული და ვერცარა მტერი,
თქვენი ბინაა ახლა ეს გული,
თქვენი აბჯარი _ ეს მკერდი ცხელი!

ერთად, წვალებით დავანთეთ ცეცხლი,
ავაბრიალეთ მიმქრალი ნავლი,
შევაფერადეთ ცხოვრება რუხი
და გავაცინეთ მტირალი სახლი...

ბედმა უეცრად შემოგვთავაზა, _
წარმოგვედგინა «სამი ობოლი»
და ამ დრამატულ, მძიმე სცენარში
შევისისხლხორცეთ ჩვენ-ჩვენი როლი!

მე აღარ მძინავს დიდი ხანია,
სულ უმნიშვნელოც მაშფოთებს ჩქამი:
«ვაიმე, ძილში რად დაიკვნესეთ,
ვაიმე, წვიმს და არა გაქვთ ხამლი.»

თქვენ კრძალვით მისმენთ, როცა «ვუფროსობ»,
«დიასახლისის» გართობთ მანტია
და გეტირებათ, როცა გიმტკიცებთ:
«რომ ვისადილე, რომ სულ არ მშია!»

თქვენს ანგელოსურ ლამაზ სახეებს
ო, როგორც იქნა, წავრეცხე ჩრდილი,
როგორც სარანგი, მე ისევ ვფხიზლობ, _
დასაცავი მაქვს მე თქვენი ძილი!

მიცურავს ასე ოკეანეში,
ჩვენი პატარა, უმწეო ნავი...
არ შემიშინდეთ, არ დამიღონდეთ,
თქვენს საოცნებოს მივაგნებ ნაპირს!

ნუგეში

კალთაში მიზის პატარა გოგო,
ლამაზი, როგორც ჩიტი მზეწვია,
თითქოსდა ზღაპრის გაიღო კარი,
თითქოს პირდაპირ ღვთისგან მეწვია.

თმას მივარცხნის და ლექსებს მიამბობს,
კისკისით მიფრთხობს გულიდან სევდას

და მომხიბვლელი, მთავაზობს უცებ:
«მოდი, ვიქნები მე შენი დედა!

გულში ჩაგიკრავ, მოგეფერები,
ფაფასაც გაჭმევ, ჩემო შოშია,
ლოგინს გაგიშლი, დაგაწვენ შვილო,
აქ შენი ჯდომა რაღა დროსია!

აღარ იტირო შენ ამის შემდეგ,
შვილო, აღარ თქვა ვაი და ვაი,
ბაღში წაგიყვან, ნაყინს გიყიდი,
წამალსაც მოგცემ, თუ გტკივა თავი!»

მსუბუქი, როგორც დილის ნიავი,
ჭიკჭიკა, როგორც ჩიტი მზეწვია,
მართლაც და ზღაპრის გაიღო კარი,
მართლაც პირდაპირ ღვთისგან მეწვია!

ასე პაწიამ, ასე ნაბიამ,
როგორ გაჰფანტა ობლობის სევდა,
ორმოცდაექვსი წლის ვწევარ ბავშვი,
საბანს მიჭუჭკავს სამი წლის დედა!

თომას მანის «ტონიო კროგერს»

ჰო, თავიდანვე გვერგო ბილიკი, _
ეკლიანი და ცრემლით მორწყული,
დაბადებიდან გამოგვყვა დაღად, _
გული, _ სულ სხვისი დარდით მოკლული!

თუმცა გვიყვარდა ჩვენი ტოლები
და გვიზიდავდა მათი გრაცია,
ჩვენ მათთან თამაშს ვერ ვახერხებდით,
ვერ ვახერხებდით ინტეგრაციას!

როგორ ვცდილობდით, სახლობანათი
გართულთ, ჩვენთვისაც დაეგდოთ ყური,
როგორ ვყვებოდით მეფის ტირილზე, _
ოხვრით, ბავშვურად ამომჯდარ გულით...

და ვაოცებდით მაშინვე ყველას, _
სიცილს გვაყრიდნენ მეფის ტირილზე,
ჩვენ ვერ ვხვდებოდით, ჩვენ ისე ვგრძნობდით,
რა ცივი იყო ჩვენი წილი მზე!

გამოღმა ნაპირს შევრჩით, ტონიო,
გაუგებარნი მათთვის სრულებით
და დარჩენილნი უსახლ-უკაროდ,
ერთურთს ვმკურნალობთ მოკლულ გულებით!

გაღმა ნაპირზე ცეცხლი ანთია,
ბიურგერული ნებივრობს კვამლი...
მივყვებით ბილიკს კაეშნიანნი, _
წაქცეულთ ვუწვდით ხელსა და ყვავილს!

მკვლელის მონოლოგი

ხვალ ამ დროს უკვე აღარ ვიქნები,
ხვალ ალბათ უკვე შემინდობს ღმერთიც,
ნატყვიარებიც გამივლის ალბათ,
სულში კი მაინც ჩამრჩება ერთი!

ერთი, რომელიც შენ დაგახალე,
სიყვარული რომ მარადი მექმნა,
ერთი, რომელიც შენ დაგახალე,
და იმ რომელმაც მე უფრო მომკლა!

საკანში ისმის ქარის ხმაური
და არ მასვენებს მარადი კითხვა:
ვინა წყვეტს ჩვენს ბედს ამ ქვეყანაზე
ან სიყვარულის ჩაქრობა ვინ თქვა?!

როგორ გამეძლო, მითხარ, უშენოდ,
როგორ მეცხოვრა დარდის კირთებით?
მე ბედისწერას ვესროლე ტყვია
შენგან ნაფერებ გრძელი თითებით!

ხვალ ჩემი სული შენს სულთან მოვა,
შემინდობ, ვიცი, და... ატირდები,
ცოტაც და... უკვე თვალს ამიხვევენ,
ცოტაც და... მარად შენთან ვიქნები!

ქურდის მონოლოგი

ღაწვშეფაკლული და მომხიბვლელი,
ისე ლამაზი, ისე ნატიფი...
ის იყო, შენსკენ გამოვემართე,
წინ გადაგიდგა ჩემი რაყიფი!

წინ გადაგიდგა და კადნიერად
მკლავზე შეგავლო მოვლილი ხელი,
უნაკლოდ ეცვა და მანქანისკენ
მიგითითებდა ბრიყვულ იერით...

რამ გამაშეშა, რამ დამამუნჯა,
რად არ მოვკალი იქვე ცბიერი?!
რად გამიხარდა, რომ შენ თვითონვე
ჩამოიცილე მკაცრი იერით?!

შენ გზა განაგრძე, მე კი ქურდულად
უკან მოგყევი, ვით მანკიერი,
მე ხელი მედო დაკერილ ჯინსზე
და დილიდანვე ვიყავ მშიერი.

შენ მიდიოდი, შენ მე გიყვარდი,
ჩემზე ფიქრობდი ასე ციერი,
მე შენთან მოსვლას ვეღარ ვბედავდი, _
ასე წყვეტს ზოგჯერ ბედს ზეციერი!

ო, მე პირველად მაშინ ვიქურდე,
მალულად დავტკბი შენი იერით,
მე მაშინ გროშიც კი არ მებადა
და მაინც, ვიყავ რა ბედნიერი!

კენტავრი

ისევ ამომდეს რკინის ლაგამი,
თუმც სულ დავგლიჯე გუშინ ავშარა.
უფსკრულის პირას ვდგავარ ჩამქრალი, _
ჩაკეტილია ყველა გზა-შარა!

გახურებულ შუბლს მივახლი ქარაფს,
წუხილის ლაგამს მდუმარედ გავხრავ,
სად ხარ თანატოს, უკვე სიამით
განვეწონები ახლა შენს ლახვარს!

ო, რა სასტიკი მერგუნა ბედი, _
ჰეფესტოს ცეცხლზე დამწველი ალი:
რა სიძულვილით მიცქერდა გუშინ
ულამაზესი, დამფრთხალი ქალი!

ფლოქვით ჩავტორავ უღონოდ მიწას,
ცისკენ ავაღერ კვლავ ბიჭურ კისერს,

ცივია მთვარე თესალიისა
და ღამეც ისევ გულცივად მისმენს!

მინდა დავფლითო სხვისი სხეული,
მინდა გავიხსნა შეკრული მკლავი,
ჩემს მკლავებს შენი სურვილი ჰკლავდათ
და ამ სურვილით ვიყავი მთვრალი!

სადღაც იყივლა უკვე მამალმა,
სადღაც დამცხრალი ისვენებს ქალი,
მუსიკასავით მოუსმენს ყივილს,
არ შეაშფოთებს ტირილი ქარის!

სალამი ქარო, ჩემი სულივით
მოუსვენარო, მიუსაფარო,
ეკლიანია ჩემი ბილიკი,
შემზარავია ჩემი სამყარო!

ჩემს ბოლო ნახტომს გაქცევა ჰქვია,
მინდა დავიხსნა ცხენისგან თავი.
შენი თვალები ჩემს თვალებს სწვავდნენ,
მივალ, ჰადესსაც მე შენით მთვრალი!

ლოთის მონოლოგი

შვიდი მეჭირა როგორც წესია:
ჯვარიც და ყვავიც, აგურიც, გულიც,
პაპაც და დამაც, ათიც, რვიანიც,
რაც მთავარია, კოზირის ტუზიც!

შვიდი მეჭირა, როგორც წესია:
და ვთამაშობდი ბანქოს ცხოვრებით,
ხან მოვიგებდი, ხან წავაგებდი
და ვღიღინებდი მშვიდი ზმორებით.

მე გულის ცხრიანს ვათამაშებდი
კენტად შერჩენილს, ის იყო, ხელში,
რომ მომეჩვენა, უეცრად თითქოს
თვალისმომჭრელად იელვა ბნელში:

«ო, იგი ისე ლამაზი იყო,
რომ მის სიყვარულს ვერც გავბედავდი!»
მაინც გავბედე და იმ შერჩენილ
ბანქოთი შევრჩი ცხოვრებას ხელში!

ცხოვრებას დარჩა ოცდათხუთმეტი:
პაპაც და დამაც, ტუზიც, ვალეტიც,
წითელიც, შავიც, ჯვარიც და კვერთხიც
მე კი გულის ცხრა მეჭირა ხელში!

და მათამაშა როგორც წესია,
და წამიჭირა მარყუჟი ყელში!
გულის ცხრიანით ვთამაშობ ახლაც,
გული კი... ელვას გადაჰყვა ბნელში!

დამისხით ღვინო, დამალევინეთ,
ქარიშხალს გავყვე კლდეში და ღრეში,
ამქვეყნად გულის ვიწამე მხოლოდ,
გული კი ელვას გადაჰყვა ბნელში!

კახპის მონოლოგი

თუ რამე მქონდა, სულ ერთად გავეც,
გადავუხადე სიყვარულს ხარკი,
დედოფლობისთვის ვემზადებოდი
და... გავიმზადე საწოლი ხარჭის!

მას შემდეგ სულში ქარიშხალია,
მას შემდეგ ხან თოვს, ხან კიდევ მაწვიმს,
მას შემდეგ ჩემთვის სულ, სულ ერთია,
ვის ვუმასპინძლებ, _ ბებერს თუ ყმაწვილს!

წუხელაც მაგრად გამოვილეშე,
სახე არ მახსოვს ახლა იმ კაცის, _
მახსოვს სიყვარულს ადღეგრძელებდა,
გადავამსხვრიე ზედ თავზე თასი!

თუ რამ გამაჩნდა, სწორედ სიყვარულს,
სწორედ სიყვარულს შევწირე ხარკად,
დედოფლობისთვის გამზადებული
ასე ვიქეცი წუთიერ ხარჭად!

* * *

მშვიდობით, წავალ,
შენ ვერ გაიგე,
რადგანაც იყო
უღვთოდ გვიანი,
ქარმა დაგლიჯა
სუყველა აფრა, _
დავიგვიანე!
მშვიდობით, წავალ,
თან წავიყოლებ
რაც მიწილადე, _
სითბო ბავშვური,
რა მშვენიერი
მქონდა წუთები,
რა ბედნიერი
და... მირაჟული!

* * *

ჩვენ ბარიერთან შევჩერდით უცებ.
მშვიდობით, _ მითხარ, _
გფარავდეს ღმერთი!
შენ მე მაკოცე,
მე გამოვბრუნდი,
შენ წინ გადადგი
ნაბიჯი ერთი!
შენ მიდიოდი...
მე ვბრუნდებოდი...
მე სახე მქონდა
ქაღალდზე თეთრი!
მე ვიხსენებდი სანუგეშებლად,
რომ შენც ჩემსავით
იყავი თეთრი!
შენ მიდიოდი...
სიზიფესავით
დაღლილს მომქონდა
მე ჩემი ხვედრი...
და მაჩნდა გულზე
ღია ჭრილობა, _
შენი ნაბიჯი, _
სისხლივით მკვეთრი!

* * *

ვიცი, რომ მოხვალ...
შენ ჩემი ფიქრი დაჟინებული
მოგიყვანს ჩემთან.
მე ყველაფერი გითხარი, თუმცა,
ერთი სიტყვაც კი
არ მითქვამს შენთან.
არ შეიძლება, არ გაგეგონა
თუნდაც შორიდან
ამ გულის ფეთქვა,
არ შეიძლება, შენი გულისთვის
ჩემს გულს არ ეთქვა...
არ შეიძლება, არ შეეჩერე
ამ თვალებს შემკრთალს,
არ შეიძლება, არ ჩაეფიქრე
ამ სახეს, _ ფერმკრთალს.
ვიცი, რომ მოხვალ...
ეს სიყვარული ატირებული,
ასე ობოლი,
როცა იქნება, ჩაგკიდებს ხელს და
მოგიყვანს ჩემთან!

პოეზია, _ «დემონური ღვინო!»[1]

ისევ დავისხამ დემონურ ღვინოს,
ისევ ქარიშხლის ფრთებს მივენდობი,
შუბლს გამიგრილებს ჩუმი ალერსით
პოეტი _ ყველა ცოდვის შემნდობი!

შეძრწუნებული დაცხრება სული,
დაუზავდება ყოფნას უამურს,
თვალს მივადევნებ აწ უკვე მშვიდი,
ჩემს სასთუმალთან ჩამომჯდარ ამურს.

ისევ დავთვრები დემონურ ღვინით,
აღარ ვინატრებ, _ რომ დავისვენო, _
«ვინცა მცნა ფრთენი...
ავფრინდე მე და.. და... განვისვენო!»

---

[1] *ერთ-ერთმა წმინდა მამამ პოეზიას უაღრესი სიმკაცრით უწოდა «დემონური ღვინო» _ ფ. ბეკონი.

* * *

რად შემახსენე თავი, უკვე წასულო წამო:
რა მშვენიერი დღე იყო, რა სათუთი და ამო...
ხომ ღირდა მთელი სიცოცხლე მარტო იმ წუთის გამო, _
გულს რომ მერცხალი მოასკდა მისი პასუხის გამო?!

* * *

მე ვარ მდინარე:
შავი,
მღვრიე,
ადიდებული!
შუა გავაპე
საკუთარი გულის
კლდეკარი, _
მოვანგრევ ჯებირს,
ჩემივ გულის ბნელ ორწოხებში
ზათქით,
გრიალით,
უფსკრულისკენ
მივექანები!!!

* * *

შენ მე სიცოცხლე მაჩუქე უცებ
და მზის ღიმილით მიმომიქარგე,
შენ გააცინე ჩემში კვლავ ბავშვი
და სევდა სადღაც გადამიკარგე.

მე ახლა მიკვირს, როგორ გაგწირე
და მოღალატის მაწუხებს ზადი,
ო, თურმე რარიგ მენატრებოდი,
ო, თურმე რარიგ, რარიგ მიყვარდი!

* * *

ღამეა ახლა და ღამის ფონზე შენი პორტრეტის მე ვიწყებ ხატვას.
ღამეა ახლა, შენს მთვრალ თვალებში მე უპირველეს ამ ღამეს ვხატავ.
უკვე მოვხაზე სახის ოვალი, გადაგიკალმე ორივე წარბი,
აჰა, გავძერწე ბაგეც ჯიუტი და აშხვართული ტანიც ავაზის!
ღამეა ახლა, მკაცრი ცენზორი, მთვარე მიწუნებს ღამეულ ნახატს,
ბოლთას სცემს იგი ცის ლურჯ თაღებში და ჯიუტად მთხოვს რაიმეს ახალს!
მე უცებ ვხვდები, _ მე სისხლის ფასად ორს, მოკაშკაშეს ვყიდულობ
ვარსკვლავს, _ ზეცას გასერავს შენი თვალები, თვალებში ვხედავ საჩემო ნაპრალს.
მე ვიჩეხები მაგ ღრმა უფსკრულში, _ ცას დამთავრებულს ვუტოვებ ნახატს!

APOLLON

დავშთები მარადრჟამს შენს მონა-მორჩილად,
ო, ისე მომნუსხა მე შენმა კითარამ,
შენია ეს გულიც, მონადირებული,
გული, თავიდანვე ღმერთად რომ გიწამა!

სამყაროს ჩამოხსენ უგვანი საბურველი,
ასცელე ჭაობის ბარდი...
მუხლს გიყრი, შენს ტაძრად ვლოცულობ,
პრომეთევ «სილაში ვარდის»!

მიყვარხარ! მომწონხარ! გაღმერთებ!
არ ოდენ კითარით, ქნარით, _
როგორც არტემიდე, შურისმგებსაც,
დასტურს გყოფ მოზიდულ ლარით!
მზეოსან გულების ღმერთო მშვენიერო,
ურვილი არწყულებ ურვილთ,
პრინცო სიყვარულის, წილ სიყვარულისა
ხის რტო რომ გიურვებს წყურვილს!

ფებოს, მზეთა-მზეო, ჩემო საესავო,
ხომ გესმის შრიალი დაფნის?
შენ, ედელვაისის უკვდავო ალამდარო,
უკვდავო ლახვარო ბაკხის!

მე მხოლოდ ერთი მაქვს სათხოვარი

მთელი ცხოვრება ვიღაცას ვეძებ...
მთელი სიცოცხლე მაწვალებს აზრი:
რომ მიცხოვრია გარდასულ დროშიც
და რომ გარს მერტყა ამალა აზნის...

ცხოვრებას ახალს ძველ ცხოვრებაში
ჩადენილ ცოდვის ბეჭედი აზის,
რა დავუშავე... რად დავუშავე...
ვის დავუშავე, _ ვეზირს თუ ნაზირს?!

მთელი ცხოვრება ანდამატივით
მიზიდავს მხოლოდ მანერა აზნის...
ვერ ვეგუები გვერდით მდაბიოს, _
თავზარს მცემს მისი ქცევა და აზრი!

მთელი ცხოვრება თვალებს დავეძებ, _
ეს კარგად მახსოვს _ ირიბად აჭრილს!
იქნება სწორედ მას დავუშავე...
და თუ ასეა, _ მომეზღოს ასწილ!

მთელი სიცოცხლე იმ თვალებს ვეძებ
და მონატრება ცეცხლივით მაწვიმს...
ნუთუ ვუმუხთლე და ვუღალატე?!
თუ ასე იყო _ ვეწამო ასწილ!

ახალ ცხოვრებას ძველი ცხოვრების
შეუნდობლობის ნიშანი აზის...
თუ ის გავწირე, ვინც ახლაც მიყვარს,
დასტურ ვარ, ღმერთო, ვიტანჯო ასწილ!

მე შენთან მხოლოდ ერთი მაქვს აჯა,
ნუ დამამადლი უწყალოდ დასჯილს, _
თუ კიდევ მოვალ, გთხოვ, შემახვედრო
იმ თვალებს, მეფურს, _ ირიბად აჭრილს!

სამოთხის სანახებიდან

აქ სათნოება სუფევს,
მშვენიერება უფლობს
და აქ სანთელი უნთია
მარად სიყვარულს, უქრობს.

აქ ორი ქვეყნის შუა
გადებულია ხიდი,
ხიდზე მზესავით ბიჭი დგას,
მომღიმარი და მშვიდი.

ბიჭს მხარზე უზის ჭიკჭიკა
ლურჯი სამოთხის ჩიტი,
სამოთხის სანახებისკენ
ლოცვა ჩურჩულით მიდის.

აქ სათნოება სუფევს,
სევდა ნისლივით უფლობს,
თვით ღვთისმშობელი მფარველობს
აქ დიდ სიყვარულს, უქრობს...

ბიჭს მხარზე უზის ჭიკჭიკა
ლურჯი სამოთხის ჩიტი,
სამოთხის სანახებისკენ
ლოცვა ნისლივით მიდის.

სამოთხის სანახებიდან, _
რომ არ ჩამოწვეს ბინდი,
დედის სიმშვიდეს დარაჯობს
ყრმა ანგელოსი მშვიდი.

თოვლზე თრთი
თეთრი შროშანი ველის

ქარში ანთიხარ სანთელი წმინდა,
თოვლზე თრთი თეთრი შროშანი ველის,
ვხატავ შენს თვალებს და ნახატიდან
მიყურებს მკერდში დაჭრილი შველი.

ვირტუოზულად ასრულებ შენს როლს
სცენაზე, რასაც ცხოვრება ჰქვია,
ვუალის მიღმა მალავ ჭრილობას
და მოყვასს უწვდი ღიმილის იას.

ო, მეგობარო, თაფლის სანთელო,
ათრთოლებულო თოვლში შროშანო,
მინდა მზესავით დაგიდნო თოვლი,
ქარი აშარი მსურს, აგაშორო!

ვხატავ შენს ნაკვთებს განსაცვიფრებელს
და... ბედისწერის მწუხარე ველი...
და... პორტრეტიდან შენი თვალებით
მიყურებს მკერდში დაჭრილი შველი!

მშვენიერება

ბრბოს ღრიანცელი იკლებდა არეს,
ბაზარი იყო ბნელი და შავი,
იდგა ყაყანი და წყევლა-კრულვით
ავსებდა ერთურთს ადამის ხვავი.

როგორც ღრუბლიან ზეცაზე მზე და
როგორც ღამეში ნათელი მთვარის,
ბრბოში გამოჩნდა უცებ ინფანტა,
უბიწო ღიმით, საბალე კაბით!

ინფანტას ჰქონდა თვალები ლურჯი
და ოქროსფერი თმის დალალ-კავი,
დედას, მშვენიერს და თან დიდებულს

შემკრთალს მოჰყავდა შემკრთალი კრავი.
უცებ განაბა სული ბაზარმა,
უეცრად შეწყდა სურვილი დავის,
მშვენიერებამ მოთოკა წუთით
ვნებათაღელვა გიჟის თუ ავის!

ო, მომხიბვლელი მათი სამოსი,
ო, სამეჯლისო მათი გრაცია...
წუთით გაშტერდა და მოწიწებით
მათ გზა დაუთმო დეგრადაციამ!

თითქოს და ნახატს მოეხსნა ჩარჩო,
გარდასულ დროის გაიღო კარი...
და ჩაიარა ჭუჭყში ფაქიზად
მშვენიერებამ, შემცბარმა ჟამით!

ასტრიდ ლინდგრენს

ეს რა დამემართა, ძვირფასო ქალბატონო,
დიდო ქალბატონო, ლინდგრენ!
ეს რა დამემართა, _ ორად გავიყავი, _
ამაში წილი თქვენ გიდევთ!

ხომ განვვლე მე ჩემი ბავშვობა, _
ლამაზი, კარგი და ქართული...
ახლა კი შხერებში ვხეტიალობ, _
ჩორვენთან, პელესთან გართული...

და განა ეს მხოლოდ წუთია, _
წლებია... მე კი ვარ ზრდასრული,
მე ისევ ვთამაშობ, მე ისევ ვკუჭკუჭებ, _
ემილი «ჭინკა» და... ლინა,-გულწასული!

სულ ჩემთან არიან, სასთუმალს მისხედან:
კარსლონი, ანა თუ ფრედი...
და როცა წიგნს ვხურავ, ვიძინებ
ლიონებერგელი შვედი!

ეს რა დამემართა, ჩემს ოთახს შეხედეთ:
საწოლთან სურათი შვედის!
წიგნები, სიმღერები, _ შვედური
სტოკჰოლმის, ბალტიის ხედი!

და თქვენი წყალობით მე მართლაც ორი ვარ,
ქართველიც, მზისფერი შვედიც,
ორი მაქვს ბავშვობა, მაწუხებს
მე ორი სამშობლოს ბედი!

ეს რა მეგობრები შემძინეთ:
რასმუსი, პეპი თუ ტედი...
მიყვარხართ, დიდოსტატო, მუხლს გიყრით,
თქვენი თბილისელი შვედი!

მფარველ ანგელოზს

ფრთები სერაფიმის, თვალები ქერუბიმის,
თმა ოქროსფერი და ხვეულია...
გხედავ თავჩაქინდრულს, თუმცა მოძღვარი კი
ამბობს,- უხორცოა, მთლად ზეციურია...

ვამბობ აღსარებას, ვიცი ჩემს გვერდით ხარ,
შენი წილხვედრია ჩემი მისტერია,
ვამბობ აღსარებას: რაც კი შემიცოდავს,
რაც მიფიქრია თუ მიწერია...

ვამბობ აღსარებას, თანაც მებრალები, _
წილად მე რომ გერგე, ჩემი ისტერია,
მე ხომ პოეტი ვარ, _ მეინახეთათვის
ღვინო დემონური, მისმევია!

ვამბობ აღსარებას. მოძღვარი კვლავ მახსენებს, _
«უფალთან ანგელოზი შუამავალია, _
იცოდე, არ დამალო არაფერი, _
ღმერთი შემწყალე და მაღალია!»

ვამბობ, არ გიმალავ ანგელოზო:
ჩემი გზა ამბოხის მაგვარია, _
მიყვარდა, უბრალო მოკვდავი მიყვარდა, _
შემინდობს? _ უფალზე ძალიან!

შემინდობს? _ ვიყავი მომხრე შურისგების,
საქმით, გულისთქმითაც ვიდექ წაქცეულთან,
დუელის მომწონდა არსი რაინდული, _
სისხლი კადნიერის, _ ბარიერთან!

შემინდობს? _ სიცოცხლეს მისჯად ვთვლიდი,
შემინდობს? _ დავა მქონდა ღმერთთან მკრეხელური,
შემინდობს? _ არ მომწონდა, რაც მან გამოძერწა, _
თიხა, უხამსი და უამური!

ნუ ტირი, ანგელოზო, რა მშვენიერი ხარ!
დაე, ჩამეთვალოს ესეც მკრეხელურად, _
ჰკითხე, რად არ შეგვქმნა უფრო პატივდებით,
მართლა სახედ თვისად, მართლა ღვთისებურად?

ნუ ტირი, ანგელოზო, შენს ცრემლად არა ვღირვარ,
იქნებ ჩემგან გიხსნას, _ ღმერთი მაღალია!
სთხოვე, ჩაგაბაროს სხვა ვინმე,სამფარველოდ
და ნუ დამიტირებ, თუ არ მაპატია!

* * *

უკან ვიბრუნებ მე ყველა სიტყვას,
რაც კი ოდესმე სხვისათვის მითქვამს.
უკან ვიბრუნებ ყველა გაცემულ
მდუღარე ცრემლს თუ ცხელ გულის მიზანს...

უკან ვიბრუნებ მე თეთრ ღამეებს
და ბოდიშს ვუხდი სუყველას ერთად,
რომ მეშლებოდა სულ, მისამართი,
რომ ვქმნიდი, თვითვე, კერპსაც და ღმერთსაც!

უკან ვიბრუნებ მე ყველა ალერსს
და სიყვარულით თავდავიწყებას,
რომ ყველაფერი იყო მირაჟი,
რომ სიყვარული ახლა იწყება!

ვბრუნდები შენთან დიდი ხნის შემდეგ
და უცნაური თან მომაქვს ტვირთი,
მე გვიან მივხვდი, შენ გეკუთვნოდა,
სულყველაფერი, რაც გავეც სხვისთვის!

უშენობა, როგორც ცხელი ტყვია

ჩამოინგრა შენი ძმური მკერდი,
ჩაინაცრა მეგობრობის ლიბო,
უშენობის უსაშველო ტვირთი
მითხარ, ძმაო, როგორ უნდა ვზიდო?!

ჩამოეშვა, როგორც ფარდა, ნისლი,
გადახუნდა მინდვრის ჭრელი ფარჩა,
არაფერი, მეგობარო, მხოლოდ
მხოლოდ ტკბილი მოგონება დარჩა!

მენატრება გაცინება შენი,
შენთვის სათქმელს ცრემლით ვატან ნიავს,
დამაქვს ძმაო, დაობლებულ სულით
უშენობა, როგორც ცხელი ტყვია.

ჩამოინგრა შენი ძმური მკერდი,
ჩაიფერფლა შენი გულის სითბო,
უშენობის უსაშველო ტვირთი
მეგობარო, მითხარ, როგორ ვზიდო?!

მე სასამართლოს არ დავსწრებივარ!

მე სასამართლოს არ დავსწრებივარ,
გამოიტანეს მსჯავრი უჩემოდ, _
მე სათუთ სულზე მომარგეს ხორცი,
დამამორჩილეს სხეულს უენოდ!

მე საპყრობილე დამაქვს ამ სულით
და მისი თიხის კედლები მზარავს,
თვალები, _ სულის სარკმელი ჩემი,
ჩემს ტკივილსა და ნაღველს ვერ ფარავს!

საპყრობილეში მხოლოდ ერთადერთს
შევეცოდე და გავენდე, _ დარაჯს:
ის თანახმაა, რომ გადავხერხო
ბორკილი რკინის, შეკრული მყარად!

საპყრობილეში ერთადერთია,

თანამგრძნობი და თანმდევი მარად,
ის ერთადერთი ჩემი გულია,
უხმოდ რომ ტირის ამ სულის დარად!

მე ჯერ არ ვიცი, რამდენი დამრჩა, _
როდის გამიშვებს თიხა ცის კარად,
თუ არა, ხომ მყავს მე თანამგრძნობი, _
თავისუფლებას მაჩუქებს მარადს!

* * *

ბელზებელმა დახია
ჩემი თეთრი აფრები,
სულ ხარხარით ამსხვრია
ბროლის ლურჯი თაღები.
ჩემი კოშკის ნანგრევი
ჩემს ფეხებთან გაშლილა,
ჩემი ძველი დარდები
ძველებურად აშლილან.

ეს რა განსაცვიფრებლად
ამისრულდა ოცნება,
ბედი ჩემი წყეული,
მკბენს, კი არ იკოცნება _
შენთან ვარ და ვაიმე,
ისევ შენ მენატრები,
ვაი, შენზე ოცნებით
ვეღარასდროს დავთვრები!

ბელზებელმა დახია
ჩემი თეთრი აფრები,
შენში ისევ შენ გეძებ,
ისევ შენ მენატრები.

წარმართული სიზმარი, ანუ ოდა ცხენს

ვუკრავ სალამურს,
რადგან ვმწყემსავ
არჩვების არვეს...
(მე ვარ წარმართი _
ვადიდებ მზეს,
თაყვანს ვცემ მთვარეს!)

ზურმუხტ ალერდზე
მონავარდდა
მზისფერი რაში,
როგორც მთიები
ვარსკვლავებით
მოჭედილ ცაში!

სალუქი, ურა,
კისკასია
ვით ქეიბური,
ამაყი მკერდით
გადათქერა
ნისლი თუ ბური!

მზისფერ ფაფარში
მზემ ჩაუწნა
მზისფერი სხივი,
ჩამოუძერწა,
ჩამოუქნა
კენარი წვივი!

დანამულ თვალებს
აურეკლავს
სამყაროს სევდა...
მონუსხულივით
მთათა ზედა
არმურიც შესდგა!

ო, მზეო, ღმერთო,
დაიფარე
შენი შექმნილი,
ლეგა ცხოვრებამ

არ დაადოს
ფეხზე ბორკილი.

სულიერთაგან
უნატიფესს
ამოსდებს ლაგამს, _
არ არის ღირსი,
ნუ მიუშვებ
ჰუნესთან ადამს!

აღმატებული
როცა შეჰქმენ
ყოველთა შორის, _
რად უძღვენ მიწას,
დე, ექროლა
ვარსკვლავთა შორის!

ბედნიერება

არ მიძებნია ფონიც კი, ისე, _ სხარტად გავცურე მდინარე ვრცელი,
 გადავჭერ ველი და ავირბინე სულმოუთქმელად ფერდობი ჭრელი...
 ჩემს წინ კლდე არის, სულ არ მჭირდება მისთვის წრიაპი, _
მუხლი ისედაც დაუღლელი მაქვს, თუმც დაღლილი ვარ ქვეყნის გნიასით!
ჩემს წინ კლდე არის... სულ არ მაშინებს მისი კბოდე და მისი წარაფი,
 არ ვეპუები მის მრისხანებას, _ უშიშარი ვარ და ვარ თამამი!
 უნდა დავიპყრო, რომ ვნახო იგი, ის, _ საოცნებო თეთრი თავანი!
 მწვერვალი უკვე სულ ახლოსაა, _ მიზანი ჩემთვის ასე მთავარი!
გადავიარე ყინულის ზღუდე, მარყუჟი მოვდე ზედ ქიმზე ქარაფს,
ავზიდე ტანი, ავწიე თავი და გადავლახე სიკვდილის ზღვარიც...
სულ ცოტა კიდევ, სულ ცოტა კიდევ და დაედება ძებნას საზღვარი...
სულ, სულ ახლოს ხარ! იქ მელოდები, სადაც ცას ერთვის მიწის თავანი,
 უნდა მოვიდე და დაგიჩოქო, უნდა გცე ძებნილს მძებნლის თაყვანი,
 უნდა გიამბო, როგორ გელტვოდი, უნდა ჩაგიდო კალთაში თავი...
უნდა ჩამიკრა მკერდში მხურვალედ და დამავიწყო ცხოვრება ავი.
არც ყინვა მაკრთობს, არც ქარის ზარი, _ შენ იქ დამხვდები! შენ მწვერვალზე ხარ!
დიდებული ხარ და საოცნებო და საოცნებო გიდგას სრა _
კარი, სახელად გვქია ბედნიერება, შვენი სიცოცხლეს როგორც ვარდს ცვარი.
ვარდი უშენოდ ვარდი არც არი, ხოლო ცხოვრება შენს გარეშეა ბარდ-ეკალ-ნარი!
ახლა ხომ მაინც აღარ მეშლება? დიდხანს გზვერავდი ბარიდან მთაში,
დიდხანს გზვერავდი მწვერვალზე, _ მაღალს! შენ მეგულები ახლა თავანზე,
_ რა შემაშინებს მე, შენთვის მავალს! ცოტაც კიდევ და...

დავცემ ყიჟინას! ცოტაც კიდევ და აღვმართავ ალამს!
აჰა მწვერვალიც!
ვდგავარ ჩამქრალი! შენი სასახლე აქ არსად არი! ვერ გეუბნები მხურვალე სალამს,
_ ვათვალიერებ ცარიელ თავანს... დავყურებ ძრწოლით ფრთაჩაშლილ ალამს!
ამ მწვერვალიდან სხვა მწვერვალიც სჩანს... ო, ალბათ იქ ხარ!
ალბათ კი არა, ცხადად და ნათლად! მე შემეშალა, მე ეს მეგონა...
ჰო, შენ იქა ხარ, აიმ მწვერვალზე, ცისფერი, მკვეთრი რომ ხატავს ზღვარი...
ვდგავარ დაღლილი, უსასოობის, სახეს მისველებს მე, ცრემლის ღვარი!
შენ ჰორიზონტი, მე შეპყრობილი თითქოს მანიით.
მიდიხარ, _ მოგდევ! მიდიხარ, _ მოგდევ! აი, ხომ ხედავ, არც შევისვენე,
ისევ შევიკარ ქურთუკის ზორტი, გადავიკიდეისევ ზურგჩანთა,
უკვე დავტოვე ყინულის პორტიც, _ დაგეძებ ნანატრ ბედნიერებას,
_ უნდა დაგიპყრო შენ _ ჰორიზონტი!
მოვდივარ, რადგან მე სხვა გზა არ მაქვს!
რადგან ამ გულით ეკლის ტყე დამაქვს, სიცარიელის მკერდს
მიხრავს ბარდი და დაჭკნა სულში სულ ყველა ვარდი!
აჰა, მწვერვალიც _ უკვე ახალი! შენი სრა სახლი აქაც არ არის!
უკვე მერევა ნაბიჯი დაღლილს და მირაჟს ვადრი უკვე შენს ძახილს!
უკვე ვტრიალებ ჯადოსნურ წრეში: ვერა, ვეღარ ვხსნი მე ყოფნის არაკს,
თუ არ არსებობ, ასე რად მიხმობ? თუ ხარ, სად მიხმობ მე,- მიწის ზვარაკს?!
ვტოვებ დაპყრობილს, ველტვი დასაპყრობს, გავქელე მიწაც _
მიწის თავანიც... მხოლოდ ზღვა დამრჩა, _
ქედან ვხედავ _ კალთას გიკოცნის მზე, ჩამავალი...
აღვმართე ანძა, გავჭიმე აფრა, _ მე ზღვის ღრიალი სულაც არ მზაფრავს!
უნდა გიპოვო, რომ გცე თაყვანი... შენ უნდა მაგრად ჩამიკრა გულში, _ ამომიძირკვო ტყე ეკალ-ბარდის, ამიყვავილო სულში ვარდნარი
და დამავიწყო ყოფნა ამგვარი!
ისევ ლურჯი ხარ, თუმც გაფენია ახლა მზისფერი, ნაზი არილი...
ლივლივებს აფრა და მიმაცილებს ლაღი კადრილით დელფინთ დარილი...
შენ ჰორიზონტი!
მე შეპყრობილი!
მიდიხარ...
მოგდევ!
რას, რას მანიშნებ მოუხელთები, ასე ძნელი და ასე თამამი?!
რად შეუერთდი ზღვისპირს ცის ტატნობს, _ ტატნობის ველზედ განა რა არის?!.

სულის სარკმლიდან გამონაშუქი

გულო კობიაშვილის ნოველები ღრმა, სახიერი, მრავალშრიანი მხატვრული ნაწარმოებებია, რომლებშიც ნათლად შეიგრძნობა საზოგადოებრივი, ყოფითი, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური, მისტიკური შინაარსობრივი ასპექტები. მწერლისთვის ლიტერატურა და ცხოვრება განუყოფელია, ერთი მთლიანობაა; თავად მწერლის ცხოვრება ლიტერატურაა, მისი მხატვრული მემკვიდრეობა _ ცხოვრება. იგი იშვიათი ოსტატობითა და ნიჭიერებით ხატავს თანამედროვე ადამიანების ტრაგიკომიკური ცხოვრების მრავალფეროვან სურათებს და მრავალმხრივი ლიტერატურული განზომილებით იქცევს მკითხველის ყურადღებას.

ძნელია გქონდეს საკუთარი სტილი, მანერა, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, სიმბოლური და ალეგორიული ხედვა, მოკლედ, ყოველივე ის, რაც მწერლის ინდივიდუალობას ქმნის, სხვათაგან გამოარჩევს. გულო კობიაშვილი გამოკვეთილი ინდივიდუალური ხელწერის შემოქმედია, მისი ნოველები უმალ ამცნობენ მკითხველს, თუ რაოდენ მაღალნიჭიერ მხატვართან აქვს სულიერ-ინტელექტუალური კონტაქტი, დამყარებული სიტყვით. ეს იმიტომ, რომ მწერლის აზროვნებისა და ქმედების საფუძველი რწმენა, სასოება და სიყვარულია, მას სწამს უზენაესი სიკეთის არსებობა, იმედი აქვს მარადიულ სამშობლოში დაბრუნებისა და უყვარს სამყარო მთელი თავისი იდუმალებითა და რეალობით, როგორც მაკროკოსმოსი, და ადამიანი, როგორც მიკროკოსმოსი, თავისი რთული, წინააღმდეგობრივი ხასიათით. მას საოცრად მეტყველი, ნათელი სტილი აქვს, ფლობს მხატვრულ სახეთა აგების ახალ, თავისებურ პრინციპებს, უსაზღვროდ მდიდარი ფანტაზიითა და დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებით ქმნის, ძერწავს პერსონაჟებს, რომლებიც ცხოვრებიდან შემოჰყავს ნაწარმოებში. მას აინტერესებს ყოველი ფაქტი, მოვლენა, რომელიც ჩვენს ირგვლივ ხდება. მის მიერ ბუნებაში დანახული მოვლენები მკითხველს შეახსენებს სამყაროსა და ადამიანის არსებობის აზრსა და მიზანს, აღუძრავს საგნის არსში წვდომის სურვილს.

გულო კობიაშვილის ნოველების მეტაფორა ღრმაა, აქ მეტაფორული სიტყვა ზუსტად გადმოსცემს არსებულს, ობიექტურ რეალობას, სუბიექტურ აღქმასა და განცდას. იგი წინააღმდეგობებით აღსავსე სინამდვილეს, ზოგჯერ ძნელად შესაცნობსა და მისაღებს, შეუფერადებლად ხატავს; აღწერს ყოველდღიურ მძიმე ყოფას, ზოგჯერ აუტანელს, მაგრამ მაინც გასაოცარი იუმორითა და სიმსუბუქით გაჯერებულს. ამასთან, ძირითადად გვთავაზობს მოჭარბებული ტროპებისაგან თავისუფალ ტექსტებს, მხატვრულობასა და გამომსახველობის ძალას მთლიანად სიტყვას აკისრებს. სწორედ ამიტომაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გულო კობიაშვილის ნოველებში დიალოგი, რომელიც ზოგჯერ დიალექტებითაა გაჯერებული, ზოგჯერ _ ქალაქური ჟარგონით, რაც სათქმელის ზუსტად გამოხატვის მიზანდასახულობითაა განპირობებული.

გულო კობიაშვილი ეპოქათა მიჯნაზე, ათასწლეულთა გასაყარზე მოღვაწე მწერალია. ცხადია, მისი ნოველები თანამედროვეობით, ეპოქალური ფაქტებითა და მოვლენებითაა ნასაზრდოები. ეპოქალური ძვრებით ამღვრეული გასული საუკუნის დასასრული მდიდარი იყო დადებითი და უარყოფითი მოვლენებით, რაც უხვ საზრდოს, თემათა მრავალფეროვნებას სთავაზობს შემოქმედს. ახალ ეპოქას ახლებური გაგება მოაქვს, რაც მხატვრული გამოსახვის ფორმების განახლებას მოითხოვს. მთავარი ისაა, რომ მწერალმა თავის ირგვლივ არსებული ვითარება გაითავისოს და, ამავე დროს, არ მოსწყდეს საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებულ ეროვნულ ლიტერატურულ ტრადიციებს.

რა არის გულო კობიაშვილის ნოველების ცენტრალური ღერძი, კომპოზიცია, რაზეც იგი აგებს ყოველ თხზულებას? რით იზიდავს იგი მკითხველს, რომელსაც მწერლის ნაწარმოებების კითხვისას სევდიანი ღიმილი არ ტოვებს და საჭირბოროტო ფიქრებს აღუძრავს?

გულო კობიაშვილის მხატვრული სამყარო არაა გროტესკული, არც პაროდიული; იგი მსუბუქი იუმორით წარმოაჩენს ყოველდღიური ამაოებით, სიდუხჭირით გაუფერულებულ ადამიანთა სამყაროს და ეძებს სულიერებას, ამაღლებულობას; სასტიკ, შემზარავ რეალობას იუმორისტული ფერებით, სევდიანი იუმორით აზავებს და ცდილობს აჩვენოს, პოულობს თუ არა ადამიანი საკუთარ თავს, რათა საზოგადოებაში მოძებნოს კუთვნილი ადგილი. მწერალს სურს, რომ მისმა პერსონაჟებმა იცოდნენ ადამიანობა და თუ არ იციან, ისწავლონ. გულო კობიაშვილი გახლეჩილი სამყაროს აღწერა-დახასიათებას საკმაოდ უთმობს ადგილს და მის გარდუვალ გამთლიანებას წინასწარმეტყველებს.

მწერალი რთულ სიმართლეს გვეუბნება, სხვადასხვა ფოკუსში მოქცეული სამყაროსა და ადამიანის ასასახავად ათასნაირ დეტალს გამოკვეთს, მრავალფეროვნად აჩვენებს ყოველივეს. მისი პერსონაჟები, ყოველდღიური ყოფითი პრობლემებით დამძიმებულნი, მკაცრ რეალობას სულიერი თვალით უყურებენ და სიმსუბუქისაკენ, სიკეთისაკენ მიისწრაფვიან; ყოფითი სისასტიკე ვერ აქრობს ნათელს და მკითხველს შეახსენებს, რომ ადამიანის ღირსებას გაფრთხილება სჭირდება ეს ღვთით დაკისრებული მოვალეობაა, ამიტომ დღევანდელობის, ყოველდღიურობის განცდისას მარადიულ ღირებულებათა განჭვრეტა მიაჩნია სულიერ ხსნად. ცოდვათა სიმრავლემ დააშორა ადამიანი ზესთასამყაროს, არადა, აუცილებელია ადამიანის დაბრუნება პირველქმნილ ბუნებასთან, უშუალობასთან. გულო კობიაშვილის პროზა ფესვებთან დაბრუნებაა, რადგან, ილიას სიტყვები რომ მოვიხმოთ, მასში მაინცდამაინც მისი ქვეყნის დვრიტაა დადებული.

ყოველ ფაქტს, მოვლენას, სიტუაციას, განწყობილებას, რომელსაც ასახავს, გულო კობიაშვილი იშვიათი სისადავითა და სიფაქიზით გვაწვდის. მისი თვალით დანახული სამყარო, აღქმული მოვლენები, მისი აზრები, ჩანაფიქრი უმეტესწილად აკუმულირებულია მის მიერ წარმოსახულ მხატვრულ სახეებში. გულო კობიაშვილის ნაწარმოებები თვით მწერლის შინაგანი, სულიერი სამყაროს, ზნეობრივ-ეთიკური მრწამსის გათვალისწინებისა და წვდომის საშუალებას იძლევა. მის პერსონაჟთა გალერეას ამშვენებენ სულით მღვიძარე ადამიანები, რომელთაც უჩვეულო გარემოში უწევთ ცხოვრება. ისინი ჩვეულებრივი, თითქოს არაფრით გამორჩეული ადამიანები არიან, მაგრამ მათ მწერალი სწორედ ამ თვისების _ ჩვეულებრივობის გამო ირჩევს. მას აინტერესებს თავის პერსონაჟთა ყოველდღიური ყოფა, მდგომარეობა, განწყობილება, ემოცია, ფიქრი, აზრი. თითოეული მათგანი განსაკუთრებულ სიტუაციაში ვარდება, რაც ნოველის კომპოზიციურ ღერძს ედება საფუძვლად.

გულო კობიაშვილის ნოველების მოქმედების ადგილი ქალაქიცაა და სოფელიც, რაც სამყაროს ერთიანობაში მოგვააზრებინებს. საქართველოში ცხოვრება თითქმის ყველგან ერთნაირია, მაგრამ ადამიანები არიან განსხვავებულნი, ინდივიდუალურნი. გაუსაძლისმა

საყოფაცხოვრებო პირობებმა ზოგი გააბოროტა, ზოგს ადამიანური სითბო და მოყვასისადმი თანაგრძნობის სურვილი და უნარი მაინც არ დაუკარგავს; ერთ-ერთი ნოველის, „მესამე მაწანწალას“ პერსონაჟი, თავად უმუშევარი და უმუშევარი ქმარ-შვილის პატრონი, სიღატაკის ზღვარზე მყოფი, ახალი წლის წინა დღით მდიდარ ნათესავს გამიზნულად ეწვია, იქნებ რაიმეთი დაესაჩუქრებინათ. მან ოჯახურ პრობლემებს, დედამთილსა და რძლებს შორის კონფლიქტურ ურთიერთობას ადვილად აუღო ალღო და თითოეულს ცალ-ცალკე შეხვდა; ისინიც, ცალ-ცალკე, ერთმანეთის ჯიბრით ერთმანეთისაგან მალულად ჩანთებს უვსებენ და ისტუმრებენ. გახარებული ქალი ძლივს მიათრევს სურსათ-სანოვაგითა და ნუგბარით სავსე სამ ჩანთას. თუმცა, სიკეთე აკლდება და უჭირს მათხოვრის გაკითხვა, საკმაოდ მკაცრად დაუცაცხანებს და გზას აგრძელებს. ვინ იცის, გზად შეხვედრილი გლახაკები რომ გაეკითხა, იქნებ არ შემთხვეოდა ის, რამაც სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა ნოველის პერსონაჟი. ღმერთმა დასაჯა და მაწანწალების მსხვერპლი გახდა, სამივე ჩანთა მოჰპარეს, რის შემდეგ უნუგეშოდ, უფულოდ დარჩენილი კიდევ ერთმა, მართალია, უზნეო, როგორც თავად ამბობს, მაგრამ კეთილმა მესამე მაწანწალამ შეიწყალა და გზის ფული მისცა. მკითხველს თავიდან სიბრალულის გრძნობა უჩნდება, ეცოდება ნოველის პერსონაჟი, მაგრამ შემდეგ ეს გრძნობა ქრება, იგი თანაგრძნობით აღარაა მის მიმართ გამსჭვალული. მიუხედავად ამისა, ეს ქალი მართლა შესაბრალისია, ვინაიდან არ ესმის ჭეშმარიტი სიკეთის არსი, არ ესმის, რომ ადამიანებს სითბოსა და სიყვარულის განაწილება სჭირდებათ. გულო კობიაშვილის პერსონაჟები ცხოვრებისეული ადამიანები არიან, ჩვენი თანამედროვენი, სიდუხჭირეს ზოგი გაუუკეთურებია, ზოგს მაინც შერჩენია სიკეთის ქმნის უნარი.

გულო კობიაშვილის ნოველების პერსონაჟები ნაწარმოების დასასრულს მოულოდნელ საქციელს სჩადიან, რაც ნოველის ჩვეულებრივი ფინალია. ერთ-ერთი ნოველის („ლელიანში, გამთენიისას“) პერსონაჟმა, ახალგაზრდა კაცმა, სიმთვრალეში შუაღამისას ლოგინიდან წამოყარა რამდენიმე თანასოფლელი კაცი და ქალი, სოფლის ბოლოში მცხოვრები მეზობლის სახლისაკენ გაირეკა, თან უთხრა, იქ გაიგებთ, რაც მინდაო. მეზობლებს რაღაც სერიოზული საქმე ეგონათ, შიშით ხმა ვერ ამოიღეს. მიუახლოვდნენ მეზობლის სახლს, გამოიხმო მასპინძელი, მაგრამ ვერაფერი უთხრა, სიტყვა ვერ შეჰბედა. მასპინძელმა შუაღამისას კარს მიმდგარი მეზობლები შეარცხვინა, ხოლო ღამეული ვოიაჟის ინიციატორს ტყაპა-ტყუპი აუყენა ზურგზე. შეურაცხყოფილი, უკმაყოფილო მეზობლები ძილის დამფრთხობს მიუბრუნდნენ, მაგრამ მას აღარაფერი ესმოდა. სწორედ აქ გვიმხელს გულო კობიაშვილი ნოველის მთავარი პერსონაჟის აფორიაქებისა და მეზობლებთან ერთად ღამეული მოგზაურობის მიზეზს. ლელიანში პირაღმა ამოტრიალებულმა ახალგაზრდა მთვრალმა კაცმა მთვარეს შეჰყმუვლა: „მიყვარს... გერონტის შვილი ეკა მიყვარს, მთვარევ!“

უაღრესად საინტერესოა ნოველა „გადაუღებელი წვიმების შემდეგ“, რომელიც მრავალ საფიქრალს აღძრავს. ავტორი გვიანი შემოდგომის სამკვირიანი გადაუღებელი წვიმების შემდეგ მთის ერთ თითქმის დაცარიელებული სოფლის ორი მკვიდრის, მეზობელი ქალების პოლიტიკური დებატების მოწმეს ხდის მკითხველს. მათ განსხვავებული შეხედულებები აქვთ, განსხვავებულ პოზიციაზე დგანან. ამ ორი მოხუცი ქალის პოლიტიკური შეპაექრების უნებლიე მოწმე გახდა სოფელში დარჩენილი ახალგაზრდა ქალი, რომელიც გადაუღებელი წვიმების შედეგად გაჩენილ ტალახში ჩარჩა, ვერ გამოდის, ადგილიდან ვერ იძვრის. საბედნიეროდ, მხსნელი გამოჩნდა, სოფლად დარჩენილი ერთადერთი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც მოხუცი მეზობელი ქალების პოლიტიკურ დებატებს ბოლო მოუღო და გზის გაგრძელება დააპირა. სწორედ ამ დროს შეევედრა მას ტალახში ჩარჩენილი, მოულოდნელ გასაჭირში ჩავარდნილი ახალგაზრდა ქალი და შველა სთხოვა. ახალგაზრდა კაცის სიტყვები ზედმიწევნით ახასიათებს დღევანდელი საქართველოს გაუსაძლის ყოფას: „მშობლიურ მიწაში გაგიდგია ფესვი, როგორც იქნა, შენ მაინცა. ამაგაძრო და ერთიც ვნახათ, დახკარ ფეხი

და გაღვარდი შენცა ან ქალაქსა და ან უცხოეთჩი? აარა, ჩემო ლელავ, ამაგაძრობ კი არა, ყოველდღე წყალს დაგისხამ, ყოველდღე მოვალ და ყოველდღე მაგივლი, რომ შენ მაინც მეგულებოდე ხმის გამცემადა მე უბედურსა ამოდენას სოფელჩი, თორო აბა შეხედე ამ ბებრუხანებსა, სადამდე მეყვალებიან მე ესენი ხმის გამცემადა, შენი აზრით, ჰა? წასვლით მე ვერცა წავალ, ჩემო ლელავ, რაი ვქნა, გიჟი ვარ, ეტყობა, ეგრე მიყორს აქაურობა, აქ შიმშილით სიკვდილი მირჩევნია ცხოგა ტკბობა-ლაღობასა“... ნოველის დედააზრი ამ სიტყვებშია ჩაქსოვილი და იმ დასასრულშიც, რომელსაც ამ სიტყვების შემდეგ მკითხველი აღარ ელოდება. კაცმა ტალახში მდგომი ახალგაზრდა ქალის მშვენიერება და დაქალება თავისი მონოლოგის დასრულების შემდეგღა შენიშნა და მისი ცოლად შერთვა გადაწყვიტა, მაყრებად პოლიტიკურ დებატებში მონაწილე ორი მოხუცი ქალიც გაიყოლა. გულო კობიაშვილის ნოველის ფინალი სიმბოლურია, სოფელში ახალი ოჯახი იქმნება, ე.ი. ცხოვრება გრძელდება. ნაწარმოები საქართველოში მიმდინარე ურთულეს სოციალურ, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ პროცესებს ასახავს. დროის ტკივილი, სიდუხჭირე, სოფლის გაუსაძლისი მძიმე ყოფა, სამშობლოსთან განშორებულთა და დარჩენილთა ხვედრი მწერალმა ლაღი იუმორითა და თანაგრძნობით გადმოგვცა, რითაც კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ქართული პროზის ტრადიციების სიძლიერე.

გულო კობიაშვილის ნოველებში ძალუმად იგრძნობა ქვეყნის ჭირ-ვარამზე დაფიქრებული მწერლის სწორი პოზიცია. იგი ჰერმეტულ, დახურულ სივრცეს კი არ ქმნის, არამედ უსაზღვროდ ღიას, ხილვადს, რისთვისაც მდიდარ ხერხებს იყენებს _ მეტაფორას, ალუზიას, ენიგმას, სიმბოლოს... მწერალს სტკივა საქართველოს ჭრილობები _ სამაჩაბლო, აფხაზეთი, საზღვარგარეთ გაკრეფილი ქართველობა, ნირშეცვლილი ქართველი კაცის გასაჭირი...

გულო კობიაშვილს აინტერესებს ახალი სამყარო, ის სამყარო, რომელიც განწმენდის ცეცხლში გამოიწვრთნება და დაიბადება. ნოველაში „ყვითელი ლეგიონერები“ მწერალს მისტიფიკაციით მიჰყავს მკითხველი რეალურიდან ზერეალურისაკენ, მის მიერ კონსტრუირებული წარმოსახული ირეალური სამყარო ჭეშმარიტ რეალობად აღიქმება და სიმბოლურ ხასიათს იძენს. ნოველის მთავარი პერსონაჟის სულიერ ტკივილებს იწვევს ირგვლივ გამეფებული გაუსაძლისი რეალობა, მაგრამ იგი სიკეთითაა აღსავსე, იტანს ყოველგვარ გასაჭირს, უძლებს სიცივეს, შიმშილს, გულგრილობას, სისასტიკეს, დაუნდობლობას... ნოველა სიმბოლური და ალეგორიული სცენებით მთავრდება, რაც სიცოცხლის, სიკეთის, სიყვარულის საფუძველი ხდება. ნოველის პერსონაჟი უმძიმესი კატაკლიზმების დროს სხვა ექვს ადამიანთან ერთად კლდესთან გამოქვაბულში აფარებს თავს, გამოქვაბული შვიდია, შვიდივე სავსე ქალებით, ბავშვებით, მოხუცებით, დაჭრილი თუ დასახიჩრებული კაცებითა და ახალგაზრდებით. გამოქვაბულების ხიზნებს თავიდან ფეხებამდე ქერცლით დაფარული ათასსაცეცა შემზარავი ურჩხული ემუქრება, მაგრამ იგი თავადვე ნელ-ნელა, თანდათანობით ილევა, ნადგურდება, ისპობა; გამოქვაბული ურჩხულის ისრებს ისხლეტს, მასვე უბრუნდება ბუმერანგივით და ყვითელი ლეგიონი უძირო უფსკრულში ინთქმება.

გამოქვაბულს შეხიზნული უმწეო, სუნთქვაშეკრული ქართველობა შეშინებული, განცვიფრებული ადევნებს თვალს მათ ამოსაბუგად, ამოსაძირკვად მტრისგან ცეცხლოვანი ისრებით შეიარაღებული მანქურთებისა თუ შეგნებულად მოღალატეთა ლეგიონებს. მწერალი ჩამოთვლის მათ: ფსევდოპატრიოტებს, ფსევდომომღერლებს, ფსევდომუსიკოსებს, ნაირ-ნაირი ჯურის სექტანტებს, მათ დამცველებსა თუ დამკანონებლებს, რომლებიც ერთი მიზნისთვის იბრძვიან, ერთნაირად მოსილნი _ ყვითლით მოსილნი არიან. იშვიათი და გადამდებია გულო კობიაშვილის რწმენა და სასოება, ვინაიდან ყველა ზემოჩამოთვლილნი უფსკრულს იჩეხებიან, ის კალათები ილეწება, რომლებშიც ეს შემზარავი ბინადარნი

იმყოფებიან, რის შემდეგაც გამოიდარა, საქართველოს ცას ცისარტყელა გადაეკრა, შვიდფეროვანი სარტყელი ცისა გადასახა მზემ შვიდ ქვაბულს, ფრთებღონიერმა ლურჯმა ფრინველმა ამაზრზენი ათასსაცეცა ურჩხული აიტაცა, ნაგლეჯებად, ნაფლეთებად აქცია და ბოლოს ყვითელ ლეგიონერთა კვალს გაუყენა უფსკრულისაკენ.

და გადარჩა „ცა ფირუზი, ხმელეთი ზურმუხტი!» გამოქვაბულში გადარჩენილთ წინ წმინდანთა დასი მიუძღოდა, არცთუ მცირერიცხოვან გადარჩენილთ...

ღმერთმა იდუმალის შესაცნობად აღძრა და წარმართა ადამიანის გონება, თუმცა თვით ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების დასაზღვრულობის გამო ეს შეუძლებელია; ამიტომაც მიმართა მწერალმა მისტიფიკაციას და წინასწარმეტყველადაც მოგვევლინა. არის კი „ტურფა საბაღნარო“ ამქვეყნად? ეზიარება ადამიანი ნათელს, ზესთასოფლურ ნათელს, ანუ ღმერთს? ნოველაში ამ კითხვის პასუხად გამოქვაბული და ცისარტყელაა მოხმობილი, გამოქვაბული _ ადამიანის სულიერი გამოცდისა და მისი ხსნის სიმბოლური ადგილი, ცისარტყელა _ სინათლესთან, ღმერთთან მიახლების სიმბოლო. გამოქვაბულიდან გამოსვლა „მღვიმური ცნობიერების“ დაძლევაა, რაც ფილოსოფიურად დაასაბუთა პლატონმა თავის განთქმულ „მღვიმის მითში“ („სახელმწიფო“, VII); ცისარტყელა ილიასა და აკაკის ერის ნათელი მომავლის სიმბოლოდ ჰქონდათ მოაზრებული, რომლის არსის ახსნა ბიბლიურ-ევანგელური სწავლებითაა შესაძლებელი.

გულო კობიაშვილის რწმენით, ერი, რომელიც სულიერ გამოცდას გაივლის, უთუოდ განიწმინდება და საღვთო გზით მავალი გადარჩება. ბედნიერების, სიყვარულის მოსაპოვებელი გზა ჯერ გამოქვაბულისაკენ, შემდეგ გამოქვაბულიდან გვირაბისაკენ მიდის, რომლის ბოლოს კაშკაშა, დაუსრულებელი ნათელია, მისი გამოხატულებაა ცისარტყელა... ასეთია გრადაცია ძლიერი სულისა. გულო კობიაშვილმა ლიტერატურაში ნაცად მხატვრულ ხერხებს მიმართა, წყვდიადიდან თანდათანობით იკვეთება საგანთა კონტურები და სინათლისაკენ მიისწრაფვის, რითაც მწერალი ძირითად სათქმელს აწვდის ერთგულ მკითხველს: ყოველივე ამას დამსახურება სჭირდება! აკი „უფალმა ბრძანა, _ ათი მართალიც რომ იყოსო!“.. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: გულო კობიაშვილი არასოდეს ყოფილა კონიუნქტურული! „ყვითელი ლეგიონერების“ პერსონაჟებმა დაძლიეს რეალობის შიში, წინააღმდეგობათა აღიარების უუნარობა და ქანცგაწყვეტილნი, მისავათებულნი, ნაწამებნი, მაგრამ სახენათელნი, გამარჯვებულნი წარდგნენ უზენაესის წინაშე.

გულო კობიაშვილმა ბიბლიური ალუზიით დაასრულა თხზულება, ბიბლიური ალუზია-ციტატით: ათი მართალიც რომ იყოსო... რწმენის, იმედის, სიკეთის, სიყვარულის მაუწყებელი ალუზია-ციტატით.

გულო კობიაშვილის ნაწარმოებთა შორის „ყვითელი ლეგიონერები“ გამორჩეულია თავისი კომპოზიციით, პრობლემის დასმით, გადაწყვეტით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ქართული პროზის შედევრი, ქართული ნოველის ერთი საუკეთესო ნიმუშია.

ამ წიგნში გულო კობიაშვილმა თავის მკითხველებს თავისი ლირიკული ნაწარმოებები პირველად შესთავაზა, თუმცა ჭაშნიკი ორიოდე წლის წინ დაიბეჭდა გაზეთ «კალმასობაში» და მაშინვე მიიქცია ლიტერატურის მოყვარულთა ყურადღება. მისი ლექსები ადასტურებენ, თუ რა ძნელია სათუთ სულზე ხორცის მორგება.

აკაკი ბაქრაძე წერდა: „ერთადერთი, ვინც სრული სიმართლე იცის, დროა... ამიტომ ვაცალოთ დროს...“ მართლაც, დრო კიდევ უფრო სრულად და უკეთ წარმოაჩენს გულო კობიაშვილის მხატვრულ შესაძლებლობებს, მწერლის ნიჭიერებასა და ოსტატობას, რაც მისი სულის სარკმლიდან უკვე ნათლად გამოსჭვივის.

ნესტან სულავა

ს ა რ ჩ ე ვ ი

პროზა
მესამე მაწანწალა;
ბრძენი ჩინელები;
მეჭეჭი;
მეოცნებე, ნაღვლიან თვალებში;
ადიულტერი;
ბაქო;
შემთხვევით;
თოკი;
უწვერულვაშო მეფისტოფელი;
მეუღლის პალტო;
ლეო;
ვაშლი;
ოცდამეთექვსმეტე;
სინდიოფალა;
ლელიანში, გამთენიისას;
ტკბილი ლირიკა;
სულთამხუთავი;
ბანდიტი, ბანდიტზე უარესი და;
გადაუღებელი წვიმების შემდეგ;
ნოე;
ყულფი;
მეცამეტე მგზავრი;
სიკო, მთავარი ფრონტის ჯერჯერობით რიგითი;
მაშასადამე, არაევროპელი;
ყვითელი ლეგიონერები;
პოეზია
დაჭრილი ალბატროსი;
იასამანი;
* მადლობელი ვარ;
იკაროსი;
* რა სიმშვიდეა;
იდუმალება;
შავრა;
* ბეღურებივით დაფრთხნენ თვალები;
უნუგეშო არია;
ქარი;
აგვისტო;
წვიმა;
* შენ მომიყევი;
* მე შემეშინდა;
მუსიკა;
გალაკტიონი;

ამბოხი 243
ეს იმ ცრემლს გაუმარჯოს 244
საქართველო 245
უმწეო ბავშვი 246
წვიმა სულხან-საბას კითხვის დროს 248
* ჩიტო ნიბლიავ... 249
ოკეანე 250
* შემხვდები, ბავშვივით დავიბნევი... 252
* ისევ ერთ მოტივს აწვალებს 253
* მე საწამლავით ავივსე თასი 254
ბუმერანგი 256
* ხატის წინ დგახარ დარდწაღებული... 258
სიტყვათა რემა 259
მივაგნებ ნაპირს 260
ნუგეში 262
თომას მანის «ტონიო კროგერს» 263
მკვლელის მონოლოგი 264
ქურდის მონოლოგი 265
კენტავრი 266
ლოთის მონოლოგი 268
კახპის მონოლოგი 270
* მშვიდობით, წავალ... 271
* ჩვენ ბარიერთან შევჩერდით უცებ... 272
* ვიცი, რომ მოხვალ... 273
პოეზია, - «დემონური ღვინო»! 274
* რად შემახსენე 275
* მე ვარ მდინარე 276
* შენი სიცოცხლე მაჩუქე უცებ... 277
* ღამეა ახლა... 278
APOLLON 279
მე მხოლოდ ერთი მაქვს სათხოვარი 280
სამოთხის სანახებიდან 282
თოვლზე თრთი თეთრი შროშანი ველის 284
მშვენიერება 285
ასტრიდ ლინდგრენს 286
მფარველ ანგელოზს 288
* უკან ვიბრუნებ მე ყველა სიტყვას... 290
უშენობა, როგორც ცხელი ტყვია 291
მე სასამართლოს არ დავსწრებივარ! 292
* ბელზებელმა დახია... 293
წარმართული სიზმარი, ანუ უდა ცხენს;
ბედნიერება;
ბოლოსიტყვაობა
ნესტან სულავა: სულის სარკმლიდან გამონაშუქი.

გულო კობიაშვილი
გადაუღებელი წვიმების შემდეგ

ნოველები

ლექსები

რედაქტორი:
სალომე ზვიადაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
გოგა ზარნაძე

ოპერატორი:
მედეა შოთაძე

კორექტორი:
მზია ჩხაიძე

წიგნის დიზაინი:
ზურაბ თორია»

ეროვნული მწერლობა»
თბილისი
2005